ეროვნული ბიბლიოთეკა


# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№3 (568) ◆ 16 – 22 იანვარი. 2006 წ. ◆ ფასი 60 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


ექსკლუზივი **სამხედრო თემაზე:** გვ. 9

## БМП-ების საქმის მთავარი „დამნაშავე" — ძრავების ზეთი!



„ძრავების ზეთის სისტემაში აღმოჩნდა ფერადი და შავი ლითონების ნაფხვენები, ორგანული წარმოშობის ნადები, სხვადასხვა ზომის პოლიმერიზებული ფირფიტები და ძაფისმაგვარი ჩანართები. ეს უკანასკნელი არ შეიძლება წარმოქმნილიყო ძრავის მუშაობის შედეგად, იგი შეტანილია ზეთთან ერთად..."

## სისხლიანი გარჩევა მედიკოსთა შორის?!

„ისეთი მასალები მაქვს, თმა ყალყზე დაგიდგებათ" გვ. 5

## მოიპარავენ თუ არა ორიგინალურ იდეებს?!

შალვა რამიშვილი ციხეშიც ბიზნესზე ფიქრობს გვ. 11



**ამ ეტაპზე საქართველოში „ნო წუთი" არავის აინტერესებს**

იდეის მოპარვას ვერავინ გაბედავს, ჩვეულებრივი იდეა კი შეიძლება ერთმანეთისთვის უცნობ ადამიანებს ერთდროულად გაუჩნდეთ... ორიგინალური იდეები თითზე ჩამოსათვლელია. ძირითადად საცხობის გაკეთებაზე, ჩურჩხელების ექსპორტზე, ძროხის ყიდვაზე და ა.შ. გვწერენ.

## „კობა ბექაური დენის ქურდია"(?!)



„ბექაური გაჰყვიროდა, მე პარლამენტარი ვარ, შენი წონა ფული მაქვს, რამდენი გინდა გადაგიხადო აქტის დახევაშიო...

კობა ბექაურმა დიპლომი 200 დოლარად ჯერ კიდევ „სილარიბის" დროს იყიდა. ამის შემოწმებას მხოლოდ ერთი საათი უნდა." გვ. 5,13



## „გოლიათების მკვლელი"

გვ. 39

ინტერვიუ კოკაისთან

„ძლიერი მოწინააღმდეგე „სუფთად" გეჭიდავება, დაბალი დივიზიონის სუმოისტები კი მოსაგებად არაფერს თაკილობენ..."

იბეჭდება პირველად

## ზარბაზანა

ქალაქში არავინ არ ესროდა მგელივით აყმუვლებულ ძაღლს თოფს, განსაკუთრებით ახლა არავის არ ეცალა ამისათვის. ქუჩებში ავტომატიანი ქართველები დარბოდნენ და ძაღლებს კი არა, ერთმანეთს ხოცავდნენ...



გვ. 14

## ვინ აპირებდა შობის ღამეს პირდაპირი ტრანსლაციის ჩაშლას?!



### რატომ გახდა საჭირო ბოლო მომენტში პრეზიდენტის საქმის კურსში ჩაყენება





„წირვის ტრანსლაციას ჩაშლის რეალური საფრთხე მართლაც შეექმნა. ამის შესახებ ბატონ მიხეილ სააკაშვილს ვაცნობე და ჩვენი საქმეში ჩარევის შემდეგ მოვლენები ისე განვითარდა, როგორც უნდა განვითარებულიყო..."

## მრავალწლიანი ტრადიცია საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით(!)

გვ. 6

„საინტერესოა, ვინ არ მოინდომა შობის წირვის ტრანსლაცია, ეს ერთი პირის თუ პირთა ჯგუფის გადაწყვეტილება იყო? დიდი სიამოვნებით მოვისმენდი არგუმენტებს...

...თუ ვინმე იტყვის, საზოგადოებას წირვის ყურება არ აინტერესებსო, ასეთ დასკვნას საზოგადოების უმცირესი ნაწილის გამოკითხვის მიხედვით აკეთებს, რაც არანაირად არ ასახავს მთლიანად საზოგადოების მოთხოვნას..."





## ნათლისღების მადლი გვფარავდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პრეზიდენტმა საბაგირო გზა გახსნა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბაკურიანში 1600 მეტრის სიგრძის ულტრათანამედროვე გონდოლის ტიპის საბაგირო გზა საზეიმოდ გახსნა და ბაკურიანის დამსვენებლებს ერთი თვის განმავლობაში საბაგირო გზით უფასოდ სარგებლობის ნება დართო.

„ჩვენი კურორტები მოიზიდავს ასიათასობით ტურისტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ტურისტულ რეგიონში ასიათასობით ქართული ოჯახი გამდიდრდება", — განაცხადა პრეზიდენტმა. მიხეილ სააკაშვილმა სკეპტიკოსებსაც მიმართა. მისი თქმით, საქართველოს აღმშენებლობას დრო სჭირდება. „უამრავი რამ გაკეთდა, ამას კი დანახვა უნდა", — აღნიშნა პრეზიდენტმა.

ბაკურიანში მსოფლიო სტანდარტების სამთო კურორტის აშენების იდეა ბიზნესმენ გოგი თოფაძეს ეკუთვნის. 2002 წელს ეს წინადადება მან რუსეთში მოღვაწე ცნობილ ბიზნესმენს, ბიძინა ივანიშვილს გააცნო და „დიდველის" მშენებლობის შესახებ ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღეს.

საბაგირო გზაზე 35 დახურული გონდოლა მოძრაობს, მათი სიჩქარე წამში 5 მეტრია და საათში დაახლოებით 3-4 ათასი მოთხილამურე გადაჰყავს.

ტრასის მეორე მონაკვეთის დასრულება გაისად იგეგმება, სულ საბაგირო გზების მშენებლობა 18 მილიონი ევრო დაჯდება, მშენებლობა ბიძინა ივანიშვილმა დააფინანსა. მისი გადაწყვეტილებით, საბაგირო გზის აქციების მთელი პაკეტი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკუთრებაში გადავა იმ პირობით, რომ მას არ ექნება ამ ქონების გაყიდვისა და გასხვისების უფლება.

## ნოღაიდელი ბორის ჩოჩიევს უსაფრთხოების გარანტიას აძლევს



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს, ბორის ჩოჩიევს თბილისში ჩამოსასვლელად უსაფრთხოების გარანტიას აძლევს.

ნოღაიდელის თქმით, სასაცილო და უსაფუძვლოა ჩოჩიევის განცხადება, თითქოს თბილისში ჩამოსვლის შემთხვევაში მას დააპატიმრებენ. „ჩოჩიევს საფრთხე არ ემუქრება და მან ეს კარგად იცის. ეს არის საბაბი იმისთვის, რომ სამშვიდობო პროცესის დაწყება გაჭიანურდეს. ეს კი არავის გამოადგება", — აღნიშნა ნოღაიდელმა.

ბორის ჩოჩიევი შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის თბილისში ჩატარებას გამორიცხავს. ამის შესახებ განცხადება მან უკვე არაერთხელ გააკეთა. როგორც ჩოჩიევმა რუს ჟურნალისტებს განუცხადა, — „საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელსაც სამხრეთ ოსეთის დელეგაციისთვის უსაფრთხოების გარანტიის მიცემა შეუძლია და ამიტომ სხდომა აუცილებლად ვლადიკავკაზში უნდა გაიმართოს".

## მიხეილ სააკაშვილი ნაზარბაევის ინაუგურაციას დაესწრო

მიხეილ სააკაშვილი ყაზახეთის პრეზიდენტის, ნურსულთან ნაზარბაევის ინაუგურაციის ცერემონიალს დაესწრო.

ყაზახეთის პრეზიდენტმა საპრეზიდენტო ფიცი მესამედ დადო. ინაუგურაციის ცერემონიალი ასტანაში, აკორდას სასახლეში გაიმართა და 40 წუთს გაგრძელდა. ნაზარბაევმა, რომელმაც 4 დეკემბრის არჩევნებში 70%-ზე მეტი ხმა მიიღო, ამომრჩევლებს მადლობა გადაუხადა და მათი ნდობის გამართლებას დაჰპირდა.

ინაუგურაციის ცერემონიალს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები, საქართველოს, რუსეთის, უკრაინისა და სხვა ქვეყნების პრეზიდენტები დაესწრნენ. ნურსულთან ნაზარბაევთან შეხვედრის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ყაზახეთი უახლოეს მომავალში საქართველოსთვის „ნომერი პირველი" ინვესტორი გახდება (ვრცლად იხ. გვ. 16).

## სოხუმი მოსკოვს პირობას უყენებს

სოხუმი მოსკოვს აფხაზეთის გავლით რუსეთ-საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის პირობად აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მებაჟეებისა და მესაზღვრეების არდაშვებას უყენებს.

„კატეგორიული წინააღმდეგი ვართ, რომ ჩვენს ტერიტორიაზე იყოს თუნდაც ერთი ქართველი მებაჟე ან სასაზღვრო პოსტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, რკინიგზას არავის გავახსნევინებთ, ვფიქრობთ, რუსეთის ხელისუფლებისთვის ეს გასაგებია", — განაცხადა სეპარატისტული აფხაზეთის ხელისუფლების ვიცე-პრემიერმა ლეონიდ ლაკერბაიამ.

ლაკერბაია რუსეთს შეახსენებს, რომ „რეგიონში რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესების დამცველი აფხაზეთია". მისივე განცხადებით, აფხაზეთი არ აპირებს რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესებით სპეკულირებას, მაგრამ მოსკოვმა უნდა გაითვალისწინოს აფხაზეთის ინტერესები საქართველოსა და სომხეთთან ურთიერთობების მოგვარებისას.

მოსკოვს უნდა ახსოვდეს, რომ „მთელი საბჭოეთის სივრცეში ვერ იპოვის იმაზე მეტად პრორუსულად განწყობილ მოსახლეობას, ვიდრე აფხაზეთშია", — აცხადებს ლაკერბაია.

## გილაურმა მადლობა დაიმსახურა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი ენერგეტიკის სამინისტროს მიერ 2005 წელს გაწეულ მუშაობას დადებითად აფასებს და ენერგეტიკის მინისტრს ნიკა გილაურსა და ენერგეტიკოსებს მადლობას უხდის გაწეული მუშაობისთვის.

როგორც ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, ენერგეტიკული სექტორი საკმაოდ პრიორიტეტული და მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და ამიტომ ყველა დეტალზე პირადად კონტროლი ჰქონდა დაწესებული. 2003 წელს, როდესაც „ვარდების რევოლუცია" მოხდა, ენერგეტიკა სრულ კრიზისში იყო, ამიტომ 2004 წელი ვარდნის შეჩერების, ხოლო 2005 — პრობლემების მოგვარების წელი იყო.

„წლევანდელი 2006 წელი ენერგეტიკის განვითარების წელი უნდა იყოს", — განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

## გამოიცა საქართველოს ახალი რუკა




საქართველოს ზოგადგეოგრაფიული რუკა პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდეგ პირველად განახლდა და საერთაშორისო მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად გამოიცა.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურის მიერ გამოცემული საქართველოს განახლებული ზოგადგეოგრაფიული რუკა მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა წარუდგინა საზოგადოებას.

საქართველოს 1:500000 მასშტაბის რუკას სახელმწიფო დანიშნულება აქვს და სახალხო მეურნეობის ყველა დარგისთვის არის განკუთვნილი. საცნობარო დანიშნულების რუკაზე დატანილია ყველა გეოგრაფიული ელემენტი — რელიეფი, დასახლებული პუნქტები, მოსახლეობა, მცენარეული საფარი, სახელმწიფო, ავტონომიური და ადმინისტრაციული საზღვრები, ჰიდროგრაფია, ნაკრძალები, დაცული ტერიტორიები; ეკლესიები, ქარხნები, მეტეოსადგურები, აეროდრომები, სატელევიზიო ანძები და სხვა ობიექტები. რუკაზე მოცემულია საქართველოს თითქმის ყველა სოფელი, საკრებულო, ქალაქი თუ დაბა, ასევე ნაჩვენებია საერთაშორისო, სახელმწიფო, ადგილობრივი და სხვადასხვა მნიშვნელობის გზები.

უახლოეს მომავალში გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამსახურს დაგეგმილი აქვს შექმნას საქართველოს ზოგადგეოგრაფიული რუკის ინგლისური და ლათინური ვერსია, ასევე გამოსცეს საქართველოს კომპლექსური ატლასი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

## პოლიციელებს დაუსჯელობის სინდრომი ათამამებს

არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელი შს სამინისტროს მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს სამი ეჭვმიტანილის ლიკვიდაციის ფაქტს გმობს.

როგორც ნანა კაკაბაძე აცხადებს, ბოლო პერიოდში საქართველოს სამართალდამცველთა მხრიდან ადამიანთა ხელაღებით ლიკვიდაციის ფაქტები გახშირდა, რაც იმის ეჭვს ბადებს, რომ ქვეყანას ბოროტმოქმედთა დასაკავებლად ლიკვიდაციის გარდა სხვა სამართლებრივი საშუალება აღარ გააჩნია.

„გამოდის, ქვეყანაში ან არაპროფესიონალი პოლიციელები გვყავს, ან კიდევ სპეცოპერაციების დროს ადამიანთა დახოცვით ხელისუფლება ხალხის დაშინებას ისახავს მიზნად", — აცხადებს ნანა კაკაბაძე.

მისივე თქმით, საქართველოში ეჭვმიტანილების ლიკვიდაციის ფაქტების გახშირება უფლებამოსილების გადამეტებაში ბრალეულ პოლიციელთა დაუსჯელობის გამოც ხდება.

## ყაზბეგს ისტორიული სახელწოდება დაუბრუნეს



უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივით დაბა ყაზბეგს ძველი სახელი დაუბრუნდა. მე-19 საუკუნის დასაწყისამდე დაბა ყაზბეგს სტეფანწმინდა ეწოდებოდა.

## ანტისომხური აქციები აფხაზეთში

სოხუმში ანტისომხური პროკლამაციების გამოჩენას ახალი წლის ღამეს ვორონოვის ქუჩაზე სომხური სკოლის შენობასთან მძლავრი აფეთქება მოჰყვა. აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა, მაგრამ სომხური დიასპორის შეშფოთება და უკმაყოფილება გამოიწვია.

აფხაზეთში მცხოვრები სომეხი მოსახლეობა აფხაზეთში ანტისომხური აქციების გამო პროტესტს გამოთქვამს და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებას სომეხი მოსახლეობისადმი უყურადღებობას საყვედურობს.

სერგეი ბაღაფშმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ხელისუფლება ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევს „აფხაზეთის შრომისმოყვარე სომხური სათვისტომოს პრობლემების გადაწყვეტას, რომელმაც აფხაზ ხალხთან და სხვა ეროვნებათა სათვისტომოების წარმომადგენლებთან ერთად გადაიტანა ომის სიმძიმე".

## ქართველ პარლამენტარებს რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი შეაქვთ

საქართველოს პარლამენტის წევრები რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავენ. საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარის, შოთა მალაშხიას განცხადებით, პარლამენტარები საგაზაფხულო სესიაზე სახელმწიფო კომისიის შექმნის საკითხს დააყენებენ, რომელიც რუსეთის მიერ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საქართველოსათვის მიყენებული ზარალის ოდენობას დაადგენს. მალაშხიას აზრით, რუსეთმა საქართველოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მიყენებული მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურებისათვის 15 მილიარდი აშშ დოლარი უნდა გადაუხადოს. მას შემდეგ, რაც ქართული მხარე ზარალის ზუსტ ოდენობას დაადგენს, საერთაშორისო და ქართული იურიდიული კომპანიებისათვის ტენდერი გამოცხადდება, მასში გამარჯვებულს საერთაშორისო არენაზე საქართველოს ინტერესების დაცვა დაეკისრება. მალაშხიას განმარტებით, ქართული მხარე აუცილებლად გაითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ რუსული კომპანიები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არალეგალურ საქმიანობას ეწევიან. ქართული მხარე საერთაშორისო სასამართლოში სარჩელის შეტანას მათ წინააღმდეგაც გეგმავს.

## ლეიბორისტები კომპრომატებს აპირებენ

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ლეიბორისტი" კოლეგების წინააღმდეგ კომპრომატებს ამზადებს. როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ გიორგი გუგავამ განაცხადა, უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება მასალები იმის შესახებ, „რა წილები აქვს საკრებულოს საპრეზიდენტო უმრავლესობას საქალაქო ბიუჯეტში, რა თანხებით იშენებენ ფეშენებელურ სახლებს და როგორ იძენენ ძვირად ღირებულ ავტომობილებს". ლეიბორისტები ერთ-ერთ მტკიცებულებად კონტროლის პალატის დასკვნის გამოყენებასაც აპირებენ, რომელსაც, გუგავას თქმით, საკრებულოს უმრავლესობა საგანგებოდ მალავს. გასული წლის 2 დეკემბრის ხმაურიანი სხდომის შემდეგ, სადაც მუნიციპალური ბიუჯეტის დამტკიცების დროს რამდენიმე ლეიბორისტი სცემეს, ფრაქციის წევრები საკრებულოს სხდომებს აღარ დასწრებიან. გუგავას განცხადებით, მათ არ სურთ მონაწილეობა სხდომებში, „სადაც გადაწყვეტილებებს მხოლოდ პირადი, მერკანტილური ინტერესების დასაკმაყოფილებლად იღებენ".

## ციხეებში ამანათების შეგზავნის პროცედურა გამკაცრდება



როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულების თბილისის №7 საპყრობილის დირექტორის მოადგილემ სერგო ხულორდავამ განაცხადა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გაიკვრება იმ ნივთების სია, რომელთა შეტანა დასაშვები იქნება.

ადრე არსებული ჩამონათვალი მნიშვნელოვნად მცირდება. პარალელურად გახშირდება რეიდები, რომლებიც საკნებში ჩატარდება. მისი თქმით, ამჟამად საპყრობილეში არსებული ვითარება სტაბილურია და პატიმრები უზრუნველყოფილნი არიან ელექტროენერგიით, წყლითა და გათბობით.

## პოლიციელი ნარკობარიგა?

სამართალდამცველებმა ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციაში ეჭვმიტანილი დიდუბე-ჩუღურეთის დაცვის სამმართველოს თანამშრომელი, პოლიციის სერჟანტი ირაკლი ბურნაძე დააკავეს. როგორც შს სამინისტროში განაცხადეს, სამართალდამცველებმა თავდაპირველად ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები — ადრე ნასამართლევი, 45 წლის ზაზა ელიზბარაშვილი და 31 წლის კარლო გვენცაძე დააკავეს, რომელთაც ჩხრეკისას ნარკოტიკული ნივთიერება „ჰეროინი" აღმოაჩნდათ. პოლიციის ინფორმაციით, აღნიშნულმა პირებმა „ჰეროინი" შეიძინეს დიდუბე-ჩუღურეთის დაცვის სამმართველოს თანამშრომლისგან, 33 წლის ირაკლი ბურნაძისაგან (მეტსახელად დუი). სამართალდამცველებმა ბურნაძე თბილისში, გოთუას ქუჩაზე დააკავეს. იგი ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იყო. ბურნაძისგან 0,36 გრამი „ჰეროინი" ამოიღეს.

## კიდევ ერთი ინციდენტი

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა. გალის რაიონის სოფელ თაგილონში შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა გაბისონიების ოჯახს. გატაცებულია ვალერი გაბისონია. გამტაცებლები გამოსასყიდის სახით 50 ათას დოლარს ითხოვენ.

როგორც თაგილონელები აცხადებენ, ვალერი გაბისონია გაიტაცა ორგანიზებულმა ბანდიტურმა დაჯგუფებამ, რომელიც გალის რაიონში სიტუაციას აკონტროლებს, — დაუბრკოლებლად გადაადგილდება და არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მშვიდობიან მოსახლეობას ესხმის თავს.

## ნათელაშვილი ბრალს სდებს

შალვა ნათელაშვილის პროტესტი შობის ღამეს სამების საკათედრო ტაძარში მყოფი უმაღლესი მღვდელმსახურებისა და მრევლის გაჩხრეკამ გამოიწვია. როგორც ნათელაშვილმა განაცხადა, მაშინ, როცა მსოფლიოს ფრინველის გრიპი ემუქრება, საქართველოს დიდ საფრთხეს უქმნის მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება, რომელიც აგრესიულ ანტიმართლმადიდებლურ პოლიტიკას ახორციელებს. ლეიბორისტთა ლიდერის თქმით, მართლმადიდებლობის ისტორიას არ ახსოვს შემთხვევა, რომ ხელისუფლების პირველი პირის ეკლესიაში მისვლის გამო დაცვის სამსახურებს სასულიერო პირები და მრევლი გაეჩხრიკოთ. შალვა ნათელაშვილი პრეზიდენტს აფრთხილებს, რომ ასეთ პოლიტიკას მომავალი არ აქვს და მას „პირადად მიხეილ სააკაშვილისადმი ხალხის საშინელი რისხვა მოჰყვება".

## გაზრდის თუ არა რუსეთი ცხინვალში სამშვიდობო ძალების კონტინგენტს



ცხინვალის რეგიონში შერეული სამშვიდობო ძალების სარდალი ოსური და რუსული სამშვიდობო ბატალიონების წინააღმდეგ პროვოკაციებს არ გამორიცხავს. როგორც მარატ კულახმეტოვი აცხადებს, მოსალოდნელი საფრთხის გამო შესაძლოა რუსული სამშვიდობო ბატალიონის შემადგენლობა გაიზარდოს. მით უმეტეს, რომ კონტინგენტის გაზრდა შერეული სამშვიდობო ძალების მანდატითაც არის განსაზღვრული.

## დააკავეს კახა თარგამაძის მეგობარი

საქართველოში ნარკოტიკის უკანონოდ შემოტანის ფაქტზე ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრ კახა თარგამაძის მეგობარი დააკავეს.

შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის, საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოსა და ფინანსთა სამინისტროს საბაჟო „აღმოსავლეთის" თბილისის აეროპორტის კონტროლის განყოფილების თანამშრომლებმა ერთობლივად გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 86 აბი „კოდეინის" უკანონო შემოტანის ფაქტზე ამსტერდამი-თბილისის რეისის მგზავრი, 1963 წელს დაბადებული ოლღა ივანეს ასული კერესელიძე დააკავეს.

# „ზედმეტ გულგრილობას ისევ ზედმეტი სიფრთხილე სჯობს"

## „სანამ ბარიკადებზე დგომას არ შევეშვებით, ამ ქვეყანაში დემოკრატია ვერ გაიხარებს"



...თუ გასულ წლებში შორეულ ჩინეთში აღმოცენებული ფრინველის გრიპი საქართველოს მოსახლეობაში განსაკუთრებულ ემოციებს არ იწვევდა (ადამიანურ თანაგრძნობას თუ არ ჩავთვლით) და მოსახლეობის პანიკას, ხელისუფლების რეაქციასა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სპეციალისტთა ქმედებას ქართველი საზოგადოება მხოლოდ ტელევიზიის მეშვეობით აფასებდა, წელს ეპიდემიისა თუ პანდემიის საშიშროებას და მასთან ბრძოლის მეთოდებს უკვე საკუთარ თავზე ვცდით. ერთი შეხედვით, გამაღიზიანებელიც კია ყოველდღიურად საინფორმაციო გამოშვებებში იმის ყურება, თუ საქართველოს რომელ რაიონში რამდენი ქათამი დაიღუპა — თითოეულ მათგანს (მანქანაც რომ დაეჯახოს და დაავადება არაფერ შუაში იყოს) შეშინებული მოსახლეობა ადგილობრივ ვეტერინარულ განყოფილებაში მიარბენინებს ექსპერტიზის ჩასატარებლად. საკმაოდ სოლიდური ტელეკომპანიები კი უფრო შორს მიდიან — ქათმის გაკვეთას დეტალურად აშუქებენ. სიტუაციას ისიც ამძაფრებს, რომ გზაზე თუ ორღობეში ნაპოვნი დაღუპული ფრინველის გარშემო ნამებში იქმნება ლეგენდები და ვერსიები იმის შესახებ, თუ გაბოროტებულმა თურქებმა როგორ გადმოაგდეს საქართველოს ტერიტორიაზე ფრინველის გრიპით დაავადებული, უკვე გახრწნილი ქათმები. ჩვენს დროში კაცმა კი არაფერი უნდა გამორიცხოს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რაც დღეს თურქეთში ხდება (იქაური მოსახლეობა ქართველებთან შედარებით ასმაგად იქნება შეშინებული), არა მგონია, რომელიმე ჭკუათმყოფელს საქართველოსადმი ისეთი ზიზღი ამოძრავებდეს, რომ რამდენიმე ასეული კილომეტრის მანძილზე უბეში ჩაკრული, ვირუსით დასნებოვნებული ქათმის საქართველოს ტერიტორიაზე მალულად შემოტანა სცადოს... არათუ ქათამი, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ორი მტრედის სიკვდილმა ზუგდიდში ლამის საყოველთაო პანიკა და მოსახლეობის გახიზვნა გამოიწვია. ქუთაისის ერთ-ერთ უბანში ჩამოვარდნილი არწივის ნეშტი კი მთელმა ქალაქმა გრიპის საწინააღმდეგო ცენტრამდე მიაცილა და შემდეგ ექსპერტთა დასკვნას მოუთმენლად ელოდებოდნენ. როგორც გაირკვა, ცის მბრძანებელი ლეიკემიას შეუწირავს... როგორც ჩანს, პანიკის განვითარებას ხელს ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებებიც უწყობს, — ამდენ თვეში ამდენი ადამიანი დაავადდება და ამდენიც, დაიღუპებაო, ჯანდაცვის მინისტრი რომ გამოაცხადებს, ბუნებრივია, მასობრივი შიშიც გაჩნდება. ალბათ, ბუზი სპილოდ არ უნდა გადავაქციოთ, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამავე გრიპის შედარებით, დაბალაქტიურმა მუტაციურმა ვერსიამ — H1N1-მა 1918 წელს მთელ მსოფლიოში 20 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ამჟამად გამოჩენილი ვირუსის ფორმულა კი გაცილებით მაღალი აქტივობის მაჩვენებელია (H5N1), ალბათ, „ბუზის სპილოდ" გადაქცევა ნამდვილად არ არის დასაძრახი — სპილოების ძებნაში ბუზის ამოჩენა გაცილებით იოლი გახდება...

სანამ საქართველო და მთელი ევროპა ქათმებს აკვირდება, თბილისში ერთმანეთს იურისტები დაერივნენ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოში ერთ-ერთ განვითარებულ და წარჩინებულ არასამთავრობო ორგანიზაციად ითვლება, ოღონდ მას ერთი თავისებურება ახასიათებს — შევარდნაძის პერიოდშიც და ახლაც, მასში ხელისუფლებაში საკმაოდ დაწინაურებული პირებიც იყვნენ გაწევრებული. როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციის გამგეობის წევრები სამთავრობო პირებიც არიან, ინტერესთა კონფლიქტი გარდაუვალი იქნება (ამ ტერმინის პირდაპირი და არა იურიდიული გაგებით). ასეც მოხდა, კონფლიქტი გამწვავდა და როგორც ჩანს, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მცირე ხანში ერთსახოვანი გახდება — იმის მიხედვით, თუ ორგანიზაციულ-კულუარულ ბრძოლაში ვინ უფრო მოხერხებულად მოიქცევა, ის ან ბოლომდე სამთავრობოდ გადაიქცევა, ან ბოლომდე არასამთავრობოდ... თუ პრეზიდენტის რეაქციით ვიმსჯელებთ, როგორც ჩანს, ხელისუფლებაში მოქმედების გარკვეული გეგმა ამ კუთხით უკვე არსებობს — საქართველოში უმაღლესი სახელმწიფო რანგის მქონე იურისტს, მიხეილ სააკაშვილს იურისტებში ამტყდარ დებატებზე რეაქცია არ ჰქონია. როგორც წესი, ეს მაშინ ხდება ხოლმე, როდესაც სვლები გათვლილია, სამსხვერპლო ქვები კი განსაზღვრული. სამაგიეროდ, პრეზიდენტის აღტაცება და ყურადღება გასულ კვირაში ბაკურიანს მიეძღვნა. ზოგადი ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკის ფონზე, ტურიზმის სფეროში ხელისუფლებაზე აუგი ალბათ ძნელი სათქმელი იქნება, რადგან მთის თუ ზღვის კურორტების ახლო მდებარე სახელმწიფოებიდან დამსვენებელთა ნაკადის ზრდა უფრო და უფრო თვალში საცემი ხდება. თუ საგადასახადო სამსახურები კურორტებზე მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას ხელს შეუწყობენ, ალბათ ეს სფერო თანდათან ხალხსაც და სახელმწიფოსაც დიდ მოგებას მოუტანს. თუმცა სჯობს, ამ და გასული კვირისა თუ მომავლის ტენდენციებსა და პერსპექტივებზე უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ — „კვირის თემის" მიმოხილვაში მონაწილეობას ამჯერად პოლიტოლოგი **გია ნოდია** მიიღებს:

**— ფრინველის გრიპი არა, მაგრამ მასთან დაკავშირებული პანიკა საქართველოში დღითი დღე იზრდება. რამდენად რეალურია, რომ ამ პანიკის გამწვავებას მეზობელი სახელმწიფოებიც უწყობენ ხელს, ან რამდენად ქმედითი და მიზანშეწონილია ამ კუთხით ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები?**

— ზოგადად, ასეთ შემთხვევაში, როცა სერიოზული ეპიდემიის საფრთხის წინაშე ვდგავართ, ქვეყანამ ორი არასწორი გზა შეიძლება აირჩიოს: ერთია გულარხეინობა, მეორე კი ზედმეტი პანიკა და აურზაური. თუ არჩევანზე მიდგება საქმე, ვფიქრობ, ზედმეტ გულგრილობას ისევ ზედმეტი სიფრთხილე სჯობს. რაც შეეხება ვარაუდს, უცხო სახელმწიფოთა ჩარევისა და მცდელობის შესახებ, რომ ფრინველის გრიპის გამო ატეხილი პანიკა სერიოზულ დესტაბილიზაციაში გადაზარდონ, არა მგონია კონკრეტული საფუძველი ჰქონდეს. თუ დაინტერესებული ქვეყნის სპეცსამსახურები (გასაგებია, რომელს ვგულისხმობთ) საქართველოში დესტაბილიზაციის გამოწვევას მოინდომებენ, ამისთვის მათ გაცილებით ქმედითი ბერკეტები აქვთ.

**— დღეს უკვე აქტიურად ლაპარაკობენ, რომ თურქეთთან საზღვარი ვირუსის გავრცელებამდე უნდა გადაიკეტოს, რადგან შემდეგ ამის გაკეთებას აზრი აღარ ექნება. მეორე მხრივ, საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვანწილად იმპორტზეა დამოკიდებული, მათ შორის არის პირველადი მოხმარების საგნების წარმოება-რეალიზაციაც. ისიც ფაქტია, რომ არა მხოლოდ თურქული, ევროპული პროდუქციაც რომ შემოიტანო, სახმელეთო გზით სწორედ თურქეთიდან უნდა შემოხვიდე...**

— ღმერთმა დაგვიფაროს და, პანდემია რომ დაიწყოს, ამას ადამიანთა დიდი მსხვერპლი მოჰყვება. ესეც რომ არ იყოს, პანდემიის თუნდაც მოსახლოებას ეკონომიკური თვალსაზრისით უზარმაზარი და დამანგრეველი ეფექტი ექნება. იგულისხმება საზღვრის გადაკეტვაც, ფრინველების ამოხოცვაც, პროდუქციის მკვეთრი გაძვირებაც და ა. შ. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება თავის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს ამ დარგში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციებს უთანხმებს. ალბათ ეს ყველაზე სწორი გზაა, რადგან ჩვენ ასეთ ეპიდემიებთან ბრძოლის გამოცდილება არ გაგვაჩნია და თუ არავის დავეკითხებით, ზედმეტად დავმშვიდდებით ან პირიქით, დავფრთხებით, შეიძლება რამე სისულელეც მოგვივიდეს. საზღვრების გადაკეტვა დღეს დიდ ზიანს მიაყენებს ჩვენს ეკონომიკას, არ არის გამორიცხული, რაღაც ეტაპზე ესეც გახდეს აუცილებელი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვიჩქაროთ. ქათმის გრიპის მოსალოდნელი პანდემია მსოფლიო პრობლემაა და სჯობს, მსოფლიოსთან შეთანხმებულად ვიმოქმედოთ.

ჩვენ ასეთ ეპიდემიებთან ბრძოლის გამოცდილება არ გაგვაჩნია და თუ არავის დავეკითხებით, ზედმეტად დავმშვიდდებით ან პირიქით, დავფრთხებით, შეიძლება რამე სისულელეც მოგვივიდეს. საზღვრების გადაკეტვა დღეს დიდ ზიანს მიაყენებს ჩვენს ეკონომიკას, არ არის გამორიცხული, რაღაც ეტაპზე ესეც გახდეს აუცილებელი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ვიჩქაროთ. ქათმის გრიპის მოსალოდნელი პანდემია მსოფლიო პრობლემაა და სჯობს, მსოფლიოსთან შეთანხმებულად ვიმოქმედოთ.

**— გასულ კვირას პარალელურად ხმაური იურისპრუდენციაშიც ატყდა — ერთი მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაცია პოლიტიკაში არ უნდა ერეოდეს და არც რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური პარტიის ინტერესებს იცავდეს, მეორე მხრივ კი არასამთავრობოთა ნომერ პირველი მოვალეობა სწორედ მთავრობის შეცდომებზე საზოგადოების ყურადღების გამახვილებაა. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში ატეხილი სკანდალი სახელისუფლებო წნეხის ნიშანია თუ შიდაორგანიზაციული კონფლიქტის შედეგი?**

— ის, რაც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში და მის გარშემო ხდება, ძალზე შემაშფოთებელია და არაპირდაპირ იმ პირს ეხება, ვინც არასამთავრობო სექტორში საქმიანობს. ჯერ ერთი, ეს ორგანიზაცია ერთ-ერთი წამყვანი და ტონის მიმცემია საქართველოში და თუ ამ კონფლიქტის შედეგად დასუსტდება, ეს ყველა ჩვენგანის დასუსტებას გამოიწვევს. გარდა ამისა, ხელისუფლებასა და არასამთავრობო სექტორს შორის ურთიერთობა სულაც არ არის ჰარმონიული და ამ კონტექსტშიც გასაგებია ადამიანების შფოთვა. მე არ ვთვლი, რომ აქ ცალსახა შეფასებებია შესაძლებელი — ეს ერთდროულად ორგანიზაციის შიდაპრობლემაცაა და ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობის პრობლემაც. ამიტომ კონფლიქტის უშუალო მხარეებსაც და მთლიანად არასამთავრობო სექტორსაც გამოზომილი და ტაქტიანი პოზიცია უნდა ჰქონდეს, თუმცა არა პრინციპულობის ხარჯზე. ორგანიზაციების ერთმა ნაწილმა ამ ორი დღის წინ ვცადეთ ასეთი პოზიციის ჩამოყალიბება და გამოხატვა (პირადად მე აქტიურად ვმონაწილეობდი ამ პროცესში) და ჩემი აზრი პრესაშიც გამოქვეყნდა. ჩვენმა ზოგმა კოლეგამ ეს უპრინციპობაში ჩამოგვართვა, როგორც ჩანს, ისინი ფიქრობენ, რომ ასეთ დროს ბარიკადის ერთ-ერთ მხარეს უნდა დადგე და დემოკრატიის დროშა აფრიალო. მე კი მგონია, რომ ბარიკადა უნდა დაიშალოს და საკითხი ცივილიზებულად გადაწყდეს, რადგან ორივე მხარეზე პატიოსანი და პატივცემული ხალხია, ღრმად მწამს, რომ ორივე მხარეს ქვეყნის ბედიც აღელვებს და ორგანიზაციისაც. სანამ ბარიკადებზე დგომას არ შევეშვებით, ამ ქვეყანაში დემოკრატია ვერ გაიხარებს.

ჩვენ არა ვართ ჩამოყალიბებული დემოკრატიული საზოგადოება, რომელშიც ძირითადი სამოქალაქო თავისუფლებები მყარად არის ფესვგადგმული, რაც გვაქვს, ისიც ჯერ კიდევ ძალიან მყიფეა. ამის გამო ხელისუფლების წარმომადგენლებს განსაკუთრებული დელიკატურობა მართებთ. ამავე დროს ვერ ვხედავ შფოთვის საფუძველს, რადგან ამ მეთოდებით, თუნდაც ამის სურვილი ჰქონდეს, ხელისუფლება ვერ შეძლებს არასამთავრობო სექტორზე მოახდინოს გავლენა.

**— და მაინც, შეგვიძლია თუ არა რაიმე ვთქვათ ამ კონფლიქტის არსზე? ვერ ხედავთ იმის საფრთხეს, რომ ხელისუფლება ამ გზით არასამთავრობო სექტორის დაშინებას ან დამორჩილებას ცდილობს?**

— ზოგადად, არასამთავრობო ორგანიზაცია ათასნაირი შეიძლება არსებობდეს. სრულიად ნორმალურია, როცა არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები (თუნდაც მისი გამგეობის წევრები) იმავდროულად ხელისუფლების მაღალჩინოსნები არიან. ეს ჩვენთვისაა ცოტა უჩვეულო, თორემ ბევრ განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყანაში ასეთი რამ არავის უკვირს. მეორე მხრივ, არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა რომელიმე ორგანიზაცია ხელისუფლების აქტიური კრიტიკოსია და პრაქტიკულად, ოპოზიციურ ორგანიზაციად იქცევა — ამას ნამდვილად შევეჩვიეთ. მაგალითად, თავისუფლების ინსტიტუტს შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდში ძნელად გამოარჩევდი პოლიტიკური ოპოზიციისაგან — პრაქტიკულად, მასთან კოორდინაციაში მოქმედებდა. ამის გამო მას უყიჟინებდნენ, პოლიტიკური პარტიის დანამატი გახდიო, მე კი ეს ნორმალურად მიმაჩნდა, როგორც სწამდა, ისე იქცეოდა. ბოლო ხანებში ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საჯარო განცხადებები მიანიშნებდა, რომ შესაძლოა მას ანალოგიური ნიშა დაეკავებინა დღევანდელ არასამთავრობო სპექტრში, ანუ ისეთივე როგორიც თავისუფლების ინსტიტუტს ეკავა შევარდნაძის დროს (სულაც არ ვიზიარებ იმ ბრალდებას, რომ ის რომელიმე პარტიის მიერ იყო მანიპულირებული — ისიც იმას აკეთებდა, რასაც საჭიროდ თვლიდა). ამაში თავისთავად ცუდი არაფერია, პირიქით, ჩვენს საზოგადოებას სჭირდება აქტიური, აგრესიული და ამავე დროს კომპეტენტური უფლებადამცველი ორგანიზაციები. არც ის გამკვირვებია, რომ ამან ორგანიზაციის შიგნით წარმოშვა პრობლემები — ხელისუფლების მძაფრად მაკრიტიკებელ ორგანიზაციებს გამგეობაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეები არა ჰყავთ. ასე რომ, როცა სვამენ კითხვას, — ცდილობს თუ არა ხელისუფლება, თავისი იურისტი მაღალჩინოსნების სახით, არასამთავრობო ორგანიზაციაზე გავლენა მოახდინოს და მისი კურსი შეცვალოსო, — პასუხი მარტივია, რა თქმა უნდა, ცდილობს. სირთულეს ის ქმნის, რომ მისი მცდელობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში კანონიერია, რადგან ყოველი ორგანიზაცია მართლაც ანგარიშვალდებულია თავისი წევრების წინაშე. პრეტენზია, რაც მე ამ შემთხვევაში ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ მაქვს, არის ის, რომ ასეთი საკითხები ორგანიზაციის შიგნით უნდა წყდებოდეს და არა საჯარო პრესკონფერენციებით ან სამთავრობო კაბინეტებში ჩაწერილი ინტერვიუებით. რა თქმა უნდა, ხალხი შეშფოთდება და იტყვის, არასამთავრობოების წინააღმდეგ კამპანია დაიწყოო. ასეთი მეთოდები სრულიად ბუნებრივად იწვევს შეშფოთებას, მით უმეტეს, რომ არსებობს ფონი — ხელისუფლებამ შეძლო, ფორმალურად კანონიერი მეთოდებით სერიოზული გავლენა მოეხდინა თავისუფალ მედიაზე (თუნდაც მისი მფლობელების შეცვლის გზით). ჩვენ არა ვართ ჩამოყალიბებული დემოკრატიული საზოგადოება, რომელშიც ძირითადი სამოქალაქო თავისუფლებები მყარად არის ფესვგადგმული, რაც გვაქვს, ისიც ჯერ კიდევ ძალიან მყიფეა. ამის გამო ხელისუფლების წარმომადგენლებს განსაკუთრებული დელიკატურობა მართებთ. ამავე დროს ვერ ვხედავ შფოთვის საფუძველს, რადგან ამ მეთოდებით, თუნდაც ამის სურვილი ჰქონდეს, ხელისუფლება ვერ შეძლებს არასამთავრობო სექტორზე მოახდინოს გავლენა — რადგან ჩვენი წამყვანი ორგანიზაციები წევრობაზე არ არიან დამყარებული და არც მინისტრები ჰყავთ გამგეობაში.

**— იურისტების კამათში უმაღლესი სახელმწიფო რანგის მქონე იურისტი, პრეზიდენტი სააკაშვილი არ ჩარეულა. გასულ კვირაში ის ბაკურიანის პრეზენტაციას ესწრებოდა და ამ კურორტს ქართული ტურიზმის ფლაგმანობაც უწინასწარმეტყველა...**

— პრეზიდენტის ამ განცხადებისთვის არ მომისმენია და მის კონკრეტულ ნათქვამზე ვერ გავაკეთებ კომენტარს. საზოგადოდ, ძალიან მიხარია, რომ ბაკურიანის ტურისტული ინფრასტრუქტურა ბოლო წლებში სწრაფად ვითარდება. იგივე ითქმის, გუდაურზეც, ქობულეთზეც — რომელია აქედან „ფლაგმანი" და საჭიროა თუ არა, რომ ასეთი „ფლაგმანი" არსებობდეს, არ ვიცი. ზოგადად ის აზრი, რასაც ხელისუფლება იმეორებს, რომ პერსპექტივაში ტურიზმის ზრდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი უნდა გახდეს, სწორად მიმაჩნია და იმედისმომცემი ძვრები ამ მხრივ ნამდვილად არის. საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა, ჩემი აზრით, ის არის, რომ მას მრავალი სხვადასხვა მიმზიდველი რესურსი აქვს ტურიზმისთვის — ზღვისპირიც, სათხილამურო კურორტებიც, უნიკალური ისტორიული ძეგლებიც, უკაცრიელი მთებიც. ტურიზმის განვითარებისთვის საჭიროა მიზანმიმართული და ერთიანი პოლიტიკა, რომელიც ტურისტული ბიზნესის მრავალი მიმართულებით განვითარებას შეუწყობს ხელს.

**— ტურიზმისა და ზოგადად, ეკონომიკის განვითარების აუცილებელი პირობა ალბათ სტაბილურობაში მდგომარეობს — კვლავ გააქტიურდა ლაპარაკი აფხაზეთთან პოლიტიკის შეცვლაზე, ურთიერთობის დათბობის მცდელობაზე, აფხაზების რეაბილიტაციაზე და ა.შ. რამდენად რეალურია აფხაზებთან დიალოგი მესამე ძალის — კრემლის გარეშე?**

— ამ ეტაპზე ჩვენ და აფხაზებს ნაკლებად შეგვიძლია ურთიერთობა მესამე მხარის (უპირველეს ყოვლისა, რუსების, აგრეთვე სხვა მოთამაშეების) აზრისა და ინტერესების გაუთვალისწინებლად. ეს კონფლიქტი ისევე, როგორც მრავალი სხვა ანალოგიური კონფლიქტი მსოფლიოში, მყარად და მრავალმხრივ არის ინტერნაციონალიზებული. ეს დღეს რეალობაა, მაგრამ არც იმას ნიშნავს, რომ ჩვენზე არაფერია დამოკიდებული. ძალიანაც ბევრი რამეა. რაც შეეხება დაძაბულობას, ამ რეგიონებში ჩამოყალიბდა ერთგვარი „დაძაბულობის კორიდორი" („სავალუტო კორიდორის" ანალოგიით): გარკვეული ფარგლების შიგნით, დაძაბულობა ხან მოიმატებს, ხან მოიკლებს, იმისდა მიხედვით, თუ რა ნაბიჯებს დგამენ მხარეები, მათ შორის, საქართველო, ან როგორ იცვლება ზოგადი სიტუაცია რეგიონში. ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ დაძაბულობა უფრო ხშირად ამ „კორიდორის" ზედა ზღვარს არის მიახლოებული. ჩემი შთაბეჭდილებით, ეს ნაწილობრივ ობიექტური ფაქტორების შედეგია (რუსეთს და მის სატელიტ სეპარატისტებს ეშინიათ ჩვენი მეტად აქტიური ხელისუფლებისა და ფორსირებულ ნაბიჯებზე მიდიან, ცდილობენ, პოზიციები გაიმაგრონ), ნაწილობრივ კი, ჩემი აზრით, ჩვენი ხელისუფლების ტაქტიკაცაა. ჩვენთვის შეიძლება მომგებიანიც იყოს გარკვეულ ზღვრამდე დაძაბულობა რომ არსებობდეს, თორემ სხვანაირად, ამ კონფლიქტს „საერთაშორისო თანამეგობრობა" (ანუ დასავლეთი, უპირველეს ყოვლისა კი ამერიკა) სულ დაივიწყებს, ჩვენ კი სწორედ მათი აქტიურობის იმედი გვაქვს. ჩვენთვის არც ის იქნება მომგებიანი, რომ სიტუაცია კონტროლიდან გამოვიდეს, ან ჩვენ სიტუაციის დამძაბავთა იმიჯი გვქონდეს. ამიტომ ბუნებრივია და სწორია, რომ ბოლო ხანებში საქართველოს ხელისუფლება მშვიდობისმოყვარე ნაბიჯებს და განცხადებებს ანიჭებს უპირატესობას.

*დაჩი გრძელიშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამარჯვებებით გევლოთ!



უკვე ერთი წელია ყველაზე ეროვნული მედია-პროექტი „ეტალონი“ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განახლებული სახით გადის და უამრავი ერთგული მაყურებელი შეიძინა. ამ პროექტს დაწყების დღიდან მხარს უჭერენ ცნობილი პოლიტიკოსები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. 2005 წელი „ეტალონისთვის“ საკმაოდ წარმატებული და ნაყოფიერი გამოდგა. ახალ არხზე გადასვლის პარალელურად ინტელექტუალურ თამაშში რამდენიმე ახალი წესი დამკვიდრდა. მათ შორის ყველაზე გამორჩეული სუპერთამაშია, რომელიც გამარჯვებულ მონაწილეს მოპოვებული 50-ლარიანი სტიპენდიის გაორმაგების შანსს აძლევს. ბავშვებისთვის კიდევ ერთი სასიხარულო სიურპრიზის შესახებ ახლახან გახდა ცნობილი. საუკეთესო „ეტალონელებს“ ივლისში დიდი შერკინება ელოდებათ, სადაც გამარჯვებული მოსწავლე უცხოეთში სასწავლებლად ერთი წლით გაემგზავრება. „ეტალონი“ წლის მასწავლებელსაც უმზადებს სიურპრიზს, თუმცა მის შესახებ ჯერ-ჯერობით არ საუბრობენ.

დღეს ამ ინტელექტუალურმა კონკურსმა, რომელიც მთლიანად ქართველების მიერ არის მოფიქრებული და განხორციელებული, მთელი საქართველო მოიცვა. „ეტალონში“ მონაწილეობის მისაღებად მოსწავლეები გადაცემას საქართველოს ყველა რეგიონიდან სტუმრობენ. საახალწლოდ „ეტალონელთა“ ადგილები ყველაზე ცნობილმა და პოპულარულმა ჟურნალისტებმა, შემდეგ კი პოლიტიკოსებმა დაიკავეს. ორივე თამაში საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. ჩვენს კოლეგებს შორის ყველაზე გამჭრიახი და საზრიანი ჟურნალისტის ტიტული და „ეტალონის“ გაორმაგებული 100-ლარიანი სტიპენდია გიორგი თარგამაძემ დაისაკუთრა და თავის ყოფილ კლასის დამრიგებელს, მე-18 სკოლის რუსული და ინგლისური ენების პედაგოგს, ჯულიეტა ფერაძეს გადასცა. ქალბატონი ჯულიეტა, რომელიც დღესაც ასწავლის მშობლიურ სკოლაში, გაოცებას ვერ მალავდა, როდესაც გიორგის გამარჯვებისა და მისი საახალწლო საჩუქრის შესახებ შეატყობინეს. არანაკლებ გახარებული დარჩება შატილის სკოლის მათემატიკის მასწავლებელი, რომელიც ლევან ბერძენიშვილის წყალობით ერთი წლის განმავლობაში 50-ლარიან სტიპენდიას ყოველთვიურად მიიღებს.

„ეტალონის“ საახალწლო სიურპრიზები ამით ამოიწურა, თუმცა 2006 წლის სეზონი გრძელდება. 2006 წლის პირველი სტიპენდია გაზეთმა „კვირის პალიტრამ“ დააწესა. როგორც ჩანს, საახალწლო არდადეგების დროს ბავშვებს ყურადღება არ მოუდუნებიათ, ამიტომ შედეგი პირველივე ტურის შემდეგ გამოჩნდა. ნახევარფინალში გასასვლელად ერთმანეთს სამი კონკურსანტი სადავო ტურში შეეჯიბრა და ორმა მათგანმა დანარჩენ მოთამაშეებთან ერთად სტიპენდიისთვის ბრძოლა განაგრძო. თუმცა, ძლიერი სქესის წარმომადგენლებმა გოგონები დაჩაგრეს და მაღალი ქულებით ფინალში მხოლოდ ბიჭებმა გადაინაცვლეს. საბოლოოდ, გამარჯვებულის ვინაობა ბოლო კითხვამ გამოავლინა და „კვირის პალიტრის“ სტიპენდიანტი ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხაჯალიის სკოლის მეათეკლასელი გიგი ქაცარიძე გახდა. მისმა გამარჯვებამ განსაკუთრებულად დედა და სკოლის დირექტორი გაახარა, რომლებიც მთელი თამაშის განმავლობაში დარბაზიდან გულშემატკივრობდნენ. „კვირის პალიტრის“ მთავარმა რედაქტორმა. გიორგი თევდორაშვილმა გამარჯვებულ მოსწავლეს მანტია მოასხა და ეროვნული და „ეტალონის“ დროშები და პლასტიკური ბარათები გადასცა, რომლითაც გიგი და მისი კლასის დამრიგებელი ერთი წლის განმავლობაში 50-50-ლარიან სტიპენდიას მიიღებენ. „კვირის პალიტრამ“ გამარჯვებულებს მოულოდნელი საჩუქარიც გაუკეთა — გიგი და მისი დამრიგებელი მთელი წლის განმავლობაში გაზეთ „კვირის პალიტრას“ შინ უფასოდ მიიღებენ.

*გიორგი თევდორაშვილი:*

— „ეტალონი“ ახალგაზრდებისთვის მიმზიდველი და საჭირო პროექტია. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უჭერს მხარს. გვიხარია, რომ „ეტალონში“ გამარჯვებულისთვის სტიპენდიის დაწესების საშუალება გვაქვს. უნდა გავამხილო, რომ გიგის თავიდანვე ვგულშემატკივრობდი და ვთვლი, რომ გამარჯვება დამსახურებულად მოიპოვა, წარმატებებს ვუსურვებ.

*გიგი ქაცარიძე:*

— სასიამოვნოა, რომ „კვირის პალიტრის“ მიერ დაწესებული სტიპენდია მერგო. „ეტალონში“ გამარჯვება ადვილი არ ყოფილა. მიხარია, რომ ეს მოვახერხე. ამ თამაშში ყველაზე მთავარია დაძაბულობის მოხსნა და კითხვებზე დაკვირვებით, ნერვიულობის გარეშე პასუხის გაცემა.

***ნინო მურღულია***
***„რეიტინგი“***

# ნაცრისფერი ეზოს სითბო და ანგელოზის ხმა...



უფალმა რომ ჩვენ ადამიანები მონანიების უნარითა და გულმოწყალების მადლით დაგვაჯილდოვა, ამით ქვეყნიერების სიმძიმეც შეამსუბუქა და ჩვენი სულებიც...

მინდა ერთ შემთხვევაზე გიამბოთ და სიკეთის გამოსხივებით სულები გაგინათოთ...

თბილისის კორპუსებით გაშენებულ ერთ-ერთ უბანში ვცხოვრობ. ისეთში, სადაც ტრადიციად დამკვიდრდა ჯერ თბილისის გარეუბნიდან შემოსული მემაწვნეების, მერე მემწვანილე-მეკარტოფილეთა ძახილი, ბოლოს კი მათხოვართა „შემოვლა“... ზოგი საწყლად იხვეწება, დამეხმარეთო, ზოგი — ჯიუტად. დადიან ჯანმრთელებიცა და ავადმყოფებიც, დიდებიცა და პატარებიც, მორჩილი, მოწყენილი სახეებითა და გამოწვდილი ხელებით... და სანამ რომელიმეს კარს გაუღებ, კორპუსის არცთუ ისე ყრუ კედლის მიღმა უსათუოდ გაიგონებთ მეზობლის კარის მოჯახუნებას, რომელმაც დაგასწროთ და ვინ იცის, იქნებ უკანასკნელი ოცთეთრიანიც გამოიტანა და (მერე რა, რომ ცოტა საყვედურნარევი ხმით) — შე კაცო, შენ ხომ გუშინაც იყავიო... რაც მთავარია, ეს ხმა იმედით გავსებს, რომ შენი ბინებში გამოკეტილი მეზობლები, კვირაში ერთი-ორჯერ ძლივს რომ ხვდები, აგერ, გვერდით არიან და ღვთისაგან ადამიანისთვის ნაწყალობევი სიყვარულის უნარიც შერჩენიათ... და რაც მთავარია, სიკეთის ის უხილავი თასიც ივსება, რომელიც თითოეულ ჩვენგანს იმქვეყნიურ გზაზე უნდა გაგვიძლვეს...

ყველაფერ ამის მოყოლა იმიტომაც დამჭირდა, რომ მინდა ერთ ლამაზ, სიკეთით სავსე დღეზე გიამბოთ, ამით გულები გაგითბოთ და ცხოვრებაც გაგილამაზოთ. მართალია, ეს ამბავი ცივ სუსხიან, ნაცრისფერ დღეს, ასეთივე ნაცრისფერი კორპუსების ეზოში მოხდა, მაგრამ მერწმუნეთ, მისი სითბო ერთ პატარა გოგონასა და ერთ თბილისურ კორპუსს ამ ზამთარს ეყოფა.

იმ დილას ეზოში სულისშემძვრელმა წკრიალა (ალბათ, ანგელოზის ხმასავით) სიმღერამ გადამახედა: ხუთიოდე წლის გოგონა დედას ჩაფრენოდა და ფოთლებგაცვენილი ჭადრის ძირში, სწორედ ჩემი კორპუსის წინ მღეროდა, სწორედ ისეთ სიმღერას, ნებისმიერ მეტროსადგურში რომ გაიგონებთ. საოცრად ლამაზი ხმა ჰქონდა და თავადაც ისეთივე მშვენიერი იყო. მირღვეულ-მორღვეული ბათინკებიდან თითები მოუჩანდა და გახსნილი ზონრები მიწაზე დასთრევდა...

გულმა არ გამიძლო, კარი სწრაფად გამოვიხურე და პატარა მომღერლის სანახავად გავიქეცი. მიახლოებული არ ვიყავი, რომ ჩემი მეზობელი, ძია ვახტანგი გამოვიდა თავისი გარაჟიდან, იმ ფოთლებდაცვენილ ჭადარს მიეყრდნო და სმენად იქცა. ძია ვახტანგს ქალბატონი ნანა გამოჰყვა, იმას ქალბატონი ნათელა და ასე: დაახლოებით 5-7 წუთში პატარა მომღერალთან მთელი ეზო შეგროვდა, — სევდითა და სიყვარულით სავსე ეზო...

შიშველი, შეუმოსავი პატარა „მსახიობი“ ხელებს გამოცდილი ტენორივით შლიდა და ყველას გვიმღეროდა, მაგრამ რამდენადაც შვილი ლამაზად მღეროდა, იმდენად გასაკვირად დუმდა დედა... ჩვენი ერთი-ორი მეზობელი ქალი გამოელაპარაკა, მან კი ხელებით გვანიშნა, არაფერი მესმისო... მუნჯი ყოფილა და, ალბათ, ყრუც... ნამდვილად არ გვატყუებდა — არ შეიძლება, ასეთი სევდიანი და ტკივილიანი თვალები მატყუარას ჰქონდეს...

ვინ ბავშვები გააქცია სახლში, ვინ — თვითონ წავიდა და პაწია, მოთხუპნილ გოგონას ხელში ფული ჩაუდეს, ზოგმა შარვალზე გულმოდგინედ დაკერებულ ჯიბეებშიც ჩაუყარა ხურდა...

ვაიმე, ამის ზომა ფეხსაცმელი ჩემს შვილიშვილებს აცვიათო, — თქვა ქალბატონმა დალიმ და, ალბათ, რძლის დაუკითხავადაც რომელილაც შვილიშვილის ფეხსაცმელები გამოარბენინა, ძია ვახტანგმაც მიჰბაძა და არ ვიცი, რომელი შვილიშვილის (იქნებ მომავალი ჩემპიონისაც) ახალთახალი ბუცები ჩამოიტანა... ცოტა ხანში ამას ზოგმა შაქარი, ზოგმაც — მაკარონი, ზოგმაც — ბრინჯი დაამატა... გოგონას ზომისა არაფერი მქონდა და შევწუხდი, მაგრამ მეზობელი „სექენდ ჰენდი“ გამახსენდა და იქ გავვარდი. რა გული ამოგვარდნიაო, გაუკვირდა გამყიდველს... ვუთხარი, ჩვენს ეზოში უფეხსაცმლო ბავშვი მღერის-მეთქი. მოიცაო და, დამტვერილი დახლის ქვემოდან ორიოდ წყვილი ბავშვის ფეხსაცმელი გამოაძვრინა, ცელოფანის პარკში ჩამიდო, წაუღეო. რამდენი უნდა გადავიხადო-მეთქი რომ ვკითხე, არაფერიო, მიპასუხა... გულში ჩაკრული მივარბენინებდი ფეხსაცმელებს...

ჩვენ რომ ასეთ ამბავში ვიყავით, ვერც კი შევამჩნიეთ პატარა გოგონა კედელს როგორ მიეყრდნო და ჩაიძინა. დედამისი კი ერთ დიდ ტომარაში თავს უყრიდა ნაწყალობევს, თან სხივიანი თვალებით მოგვჩერებოდა...

მერე ტომარა დედამ ზურგზე მოიკიდა, პატარა ხელის შეხებით გაალვიძა და გზას გაუდგა.

წავიდა გოგონა ჩვენი ეზოდან, თან წაიღო ანგელოზის ხმა და დაგვიტოვა სიყვარული. ნაცრისფერკორპუსიან ეზოში, იქ, სადაც ხალხი ბინებშია შეკეტილი, ზამთრის მიუხედავად დიდი სითბო დატრიალდა...

გულმოწყალებამ საქმიანი იერი დაგვაკარგვინა და, ალბათ, უხილავად სიკეთის ის თასიც შეავსო, ყოველ ჩვენგანს რომ მიუძღვება იმქვეყნიურ ცხოვრებაში...

ყურში კი დღესაც წკრიალებს ის სულისშემძვრელი ხმა...

***ეთერ ერაძე***


„კვირის პალიტრა“ და პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასერვისი“ გთავაზობთ ერთობლივ პროექტს:

**გამოიწერეთ „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის გამოცემები და მიიღეთ საჩუქრები!**

- 30-50 ლარის ღირებულების ჟურნალ-გაზეთების გამოწერის შემთხვევაში საჩუქრად გადმოგეცემათ 1 კედლის მოსახევი კალენდარი (2006) და 1 საბავშვო ზღაპარი
- 50-100 ლარის ღირებულების ჟურნალ-გაზეთების გამოწერის შემთხვევაში საჩუქრად გადმოგეცემათ 1 კედლის მოსახევი კალენდარი (2006); 1 საბავშვო ზღაპარი და 1 წიგნი („კვირის პალიტრის“ გამოცემებიდან ერთ-ერთი, თქვენი არჩევანით)
- 100 ლარზე მეტი ღირებულების ჟურნალ-გაზეთების გამოწერის შემთხვევაში საჩუქრად გადმოგეცემათ 1 კედლის მოსახევი კალენდარი (2006); 1 საბავშვო ზღაპარი; 1 წიგნი („კვირის პალიტრის“ გამოცემებიდან ერთ-ერთი, თქვენი არჩევანით) და ოტია იოსელიანის „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრების“ კრებული (მაგარ გარეკანში)

შეავსეთ ქვემოთ მოცემული ქვითარი, გამოაგზავნეთ რედაქციაში „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით და თქვენ დაგიკავშირდებათ სააგენტო „ელვასერვისის“ თანამშრომელი...

**მსურს გამოვიწერო:**

„კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის გამოცემები:

1. 
2. 
3. 
4. 
5. 
6. 
7. 

სახელი, გვარი:

მისამართი:

ტელ:


## სიახლე ეს თქვენი გაზეთია — ხალხი ბრძენია!

*ეს თქვენი გაზეთია და გაქვთ შესაძლებლობა, გამოხატოთ თქვენი აზრი ნებისმიერ აქტუალურ მოვლენაზე, შეაფასოთ ქვეყანაში მიმდინარე ყველა დადებითი თუ უარყოფითი მოვლენა, ქართველ პოლიტიკოსთა თუ საზოგადოებისათვის ცნობილი სხვა პერსონების საქმიანობა. ჩვენი თხოვნაა, თქვენი დამოკიდებულება გამოხატოთ ქვეყნისა და საზოგადოებისთვის მწვავე და საჭირბოროტო პრობლემებთან (და არა პირადულთან) დაკავშირებით.*

*წერილები გამოგზავნეთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთებით ან ელექტრონული ფოსტით:* news@kvirispalitra.com

*თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!*

*ხალხის აზრი უნდა იცოდნენ ძლიერთა ამა ქვეყნისათა!*

# სისხლიანი გარჩევა მედიკოსთა შორის?!

## „ისეთი მასალები მაქვს, თმა ყალყზე დაგიდგებათ"



როგორც ჩანს, სისხლიანი გარჩევები მარტო კრიმინალურ სამყაროში არ ხდება, და საქართველოს შემთხვევაში, სხვა პროფესიის წარმომადგენლებიც მიმართავენ ამ მეთოდს. ეს რომ ასეა, გასულ ოთხშაბათს კიდევ ერთხელ დადასტურდა, როცა ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე დავით ხეროდინაშვილი დაჭრეს.

დანით შეიარაღებული თავდამსხმელები ხეროდინაშვილს მაშინ დაესხნენ თავს, როცა ის ქალაქის №1 საავადმყოფოდან (ე. წ. „არამიანცი") გამოდიოდა. თავდასხმა რომ გაძარცვის მიზნით არ მომხდარა, იქიდან ჩანს, რომ თავდამსხმელებს მსხვერპლისთვის არაფერი მოუთხოვიათ, რამდენჯერმე ჩაარტყეს დანა და მიიმალნენ. საბედნიეროდ, ჭრილობები სასიცოცხლო არ აღმოჩნდა და სასწრაფო ოპერაციის შემდეგ ხეროდინაშვილის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, დაადგენს თუ არა გამოძიება თავდამსხმელთა ვინაობას, ძნელი სათქმელია. თუმცა ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ოპერაციის შემდეგ გონს მოსულმა ხეროდინაშვილმა თვითონვე გააკეთა სკანდალური განცხადება. მისი თქმით, თავდასხმა შეკვეთილი იყო, ხოლო შემკვეთი ჟორდანიას ინსტიტუტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არჩილ ხომასურიძეა.

ხეროდინაშვილის სკანდალურ განცხადებას ხომასურიძე გაკვირვებით შეხვდა. როგორც ამბობს, მას და ხეროდინაშვილს დაპირისპირება არ ჰქონიათ. თუმცა, როცა „არამიანცის" საავადმყოფოში მომხდარის დეტალების დასადგენად მივედით, იქ ბევრი ისეთი დეტალი გახმიანდა, რაც ამ ორ პირს შორის არსებულ აშკარა დაპირისპირებაზე მეტყველებს (გასული წლის „კვირის პალიტრამ" გააშუქა მათ შორის არსებული კონფლიქტის პერიპეტიები). დავით ხეროდინაშვილის ახლობლების თქმით, დაპირისპირება რამდენიმე წლის წინ დაიწყო.

ორი წლის წინ დავით ხეროდინაშვილი სწორედ ხომასურიძის რეკომენდაციით დააწინაურეს ჟორდანიას სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგიდან აღმასრულებელ დირექტორამდე. ცოტა ხანში არჩილ ხომასურიძე მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ წავიდა და მისი არყოფნის პერიოდში ინსტიტუტს ხეროდინაშვილი განაგებდა. ინსტიტუტის ბუღალტერმა მას ერთ-ერთ ფინანსურ ოპერაციაზე ხელის მოწერა სთხოვა. კერძოდ, საქმე ეხებოდა ინსტიტუტში ერთ-ერთი შპს-ის მიერ შემოტანილ ქიმიურ რეაქტივებს, რის სანაცვლოდაც ინსტიტუტს 200 ათასი ლარი უნდა გადაეხადა. ხეროდინაშვილმა რეაქტივების დათვალიერება მოითხოვა, მაგრამ უთხრეს, ინსტიტუტის დირექტორი საქმის კურსშია, შენი საქმე მხოლოდ ხელის მოწერააო. ხეროდინაშვილმა რეაქტივები მაინც შეამოწმა, უმრავლესობა ვადაგასული აღმოჩნდა და მან სამართალდამცველ სტრუქტურებს მიმართა...

რეაქტივების შემომტანმა ფირმამ კუთვნილი 200 ათასი მაინც მიიღო, რადგან როგორც მოგვიანებით გამოძიებით დადასტურდა, ხეროდინაშვილის ნაცვლად დოკუმენტს სხვა პირმა მოაწერა ხელი. როცა არჩილ ხომასურიძე საქართველოში დაბრუნდა, მასსა და ხეროდინაშვილს შორის საკმაოდ უსიამოვნო საუბარი შემდგარა. თურმე ხომასურიძემ ხელქვეითს უსაყვედურა, ჩემს განკარგულებას რატომ არ ასრულებო. პასუხად კი მიუღია, — საციხო საქმეს ვერ გავაკეთებდი, რეაქტივები ვადაგასული იყოო. ერთი სიტყვით, ასე გაირბინა შავმა კატამ ხომასურიძესა და ხეროდინაშვილს შორის. დაზარალებულის ახლობლებს უკვირთ, რატომ უარყოფს ხომასურიძე კონფლიქტის არსებობას, მით უმეტეს, რომ ეს ამბავი სასამართლომდეც მივიდა.

კიდევ ერთი ფაქტი, რასაც საბოლოო განხეთქილება მოჰყვა: ინსტიტუტის დირექტორმა ერთ-ერთ რესტორანში დაბადების დღე გადაიხადა. საიუბილეო სუფრაზე ხეროდინაშვილი და უცხოელი სტუმრებიც იყვნენ მიწვეული. წვეულების შემდეგ, როცა ანგარიშის გასწორების დრო დადგა, ხომასურიძეს საკმარისი თანხა არ აღმოაჩნდა და ხეროდინაშვილს სთხოვა დახმარება, იმ პირობით, რომ თანხას მეორე დღესვე დაუბრუნებდა. ხეროდინაშვილის თქმით, ხომასურიძემ მართლაც გასცა განკარგულება, — ბუღალტერს საანგარიშო ფურცლის გამოწერა დაავალა, რომლის მიხედვითაც ხეროდინაშვილის სახელზე უცხოელი სტუმრების მასპინძლობისთვის გადადებული თანხა(?!) უნდა გამოწერილიყო. თუმცა, როგორც ხეროდინაშვილი ამბობს, ეს თანხა მას თვალითაც არ უნახავს და ფული ხომასურიძის ჯიბეში აღმოჩნდა. ამას კიდევ ერთხელ მოჰყვა კონფლიქტი, რამაც საბოლოოდ ჩატეხა ხიდი ხომასურიძესა და ხეროდინაშვილს შორის. მალე დავით ხეროდინაშვილი აღმასრულებელი დირექტორობიდან ისევ განყოფილების გამგედ ჩამოაქვეითეს.

საპასუხო ნაბიჯი ხეროდინაშვილმაც გადადგა, — არჩილ ხომასურიძეს სასამართლოში უჩივლა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. სასამართლოს გარდა შიდაუწყებრივი დავით დაინტერესდნენ მთაწმინდა-კრწანისის პროკურატურა და ფინანსური პოლიცია, მაგრამ ორი წლის განმავლობაში საქმის ძიებას შედეგი არ მოჰყოლია. არადა დავით ხეროდინაშვილი ხომასურიძეს საკმაოდ მძიმე ბრალდებებს უყენებდა — კორუფციასა და სხვადასხვა თანამდებობრივი პირის მოქრთამვაში ადანაშაულებდა. სამაგიეროდ, ხომასურიძემ ინსტიტუტში რეორგანიზაცია წამოიწყო და დავით ხეროდინაშვილის განყოფილება საერთოდ გააუქმა.

ბოლო დროს ხეროდინაშვილი „არამიანცში", თავის კლინიკაში მუშაობდა, დაპირისპირება კი უფრო გამწვავდა: ხეროდინაშვილმა ხომასურიძეს არაპროფესიონალიზმში დასდო ბრალი. ბრალი დასდო ხომასურიძის ნათლულს, არჩილ გვენეტაძესაც იმაში, რომ ყალბი დიპლომით მიიღო დოქტორის ხარისხი და დიპლომზე თვითონ არჩილ ხომასურიძემ მოუწერა ხელი.

ხეროდინაშვილმა ხომასურიძის წინააღმდეგ ინსტიტუტის მძღოლის, გელა ჩიჩოელის წერილიც გამოიყენა. ამონაწერი წერილიდან (სტილი დაცულია): „მოგახსენებთ, რომ ვმუშაობდი მძღოლად ხსენებულ ინსტიტუტში. დირექტორის — ა. ხომასურიძის მითითებით, ძირითადად, ვემსახურებოდი ბუღალტერიას. ერთხელ დამიბარა ხომასურიძემ მთავარ ბუღალტერ ლია გოგსაძესთან ერთად და მითხრა, რომ ყოველთვიურად უნდა გამოიწეროს 200 ლარი ჩემი მანქანის ბენზინის შესაძენად. ყოველი თვის ბოლოს, მაწერინებდნენ ხელს, რომ ვითომ 200 ლარი ავიღე. სინამდვილეში ეს თანხა თვალითაც არ მინახავს. როცა გავაპროტესტე, დამიბარეს და მითხრეს: თუ გაწყობს ასეთი მუშაობა, იმუშავე, თუ არა და, შეგიძლია სამსახური დატოვოო..."

ხეროდინაშვილმა გამოძიების ყურადღების მიქცევა კიდევ ერთი ფაქტითაც სცადა: არჩილ ხომასურიძეს თავდაპირველად „გაზ-24" მარკის ავტომობილი ემსახურებოდა. შემდეგ იგი გაეროს პროგრამით გაცემული უცხოური ავტომობილით შეცვალა და ფაქტობრივად, „გაზ-24"-ს აღარ იყენებდა. მიუხედავად ამისა, მის საწვავით მომარაგებასა და რემონტზე 21 ათასი ლარია გაცემული. ხეროდინაშვილს ეჭვი აქვს, რომ ეს თანხაც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მიითვისა. ერთი სიტყვით, ხეროდინაშვილის ახლობლების თქმით, ყველა ამ გარემოებისთვის გამოძიებას თავის დროზე ყურადღება რომ მიექცია, ეს ინციდენტი არ მოხდებოდა.

არსებობს სხვა ვერსიებიც. ერთ-ერთი მათგანი თვითონ არჩილ ხომასურიძის ვარაუდია. მისი თქმით, ხეროდინაშვილს პაციენტის ახლობლები დაესხნენ თავს, და არასწორი მკურნალობისთვის „ვენდეტა" მოუწყვეს. რაც შეეხება მის კავშირს თავდასხმასთან, ხომასურიძე ამ ვერსიას არასერიოზულად მიიჩნევს.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: როგორც ხეროდინაშვილის ერთ-ერთმა ახლობელმა გვითხრა, ბატონი დავითი გამომძიებელს უნდა შეხვედროდა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთ-ერთი თანამშრომლისაგან მიწოდებული მასალები გადაეცა. რა მასალაზეა ლაპარაკი, უცნობია, მხოლოდ რამდენიმე დეტალი გაუმხელია ხეროდინაშვილს. საქმე ეხებოდა სამინისტროში არსებულ კორუფციულ გარიგებას. ხეროდინაშვილს უთქვამს: შეურაცხყოფილი ვარ იმ ხალხისგან, ვისაც ექიმობის არაფერი ესმის და მხოლოდ ფულის აღება იცის. ისეთი მასალები მაქვს, თმა ყალყზე დაგიდგებათო. ერთი სიტყვით, დაზარალებულმა მასალების გამოძიებისთვის გადაცემა ვერ მოასწრო. რამდენიმე საათით ადრე, ვიდრე გამომძიებელს შეხვდებოდა, დაჭრეს.

როგორც დაზარალებული აცხადებს, დამნაშავემ, რომელმაც მას ჭრილობა თირკმლის არეში მიაყენა, იცოდა, რომ მას ცალი თირკმელი ამოღებული ჰქონდა და მეორე თირკმლის დაზიანებას ფატალური შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა. თავდასხმის შემკვეთებზე და სხვა მასალებზე კონკრეტულ საუბარს დავით ხეროდინაშვილი საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ აპირებს.

P. S. იმედია, გამოძიება დროზე დაადგენს დამნაშავეთა ვინაობას და უახლოეს მომავალში საქმეს ნათელი მოეფინება.

**დავით დევიძე**

# გაქცევის ერთ-ერთი ყველაზე გაბედული გეგმა



გასულ კვირას მეტრო „სამგორთან" ჩატარებული სპეცოპერაცია, რომელსაც სამი ეჭვმიტანილის ლიკვიდაცია მოჰყვა, ნათლად მეტყველებს, რომ ქართველი ძალოვნები კრიმინალურ სამყაროსთან ბრძოლაში უკან დახევას არ აპირებენ. როგორც ჩანს, ჯერჯერობით, არც დამნაშავეთა სამყარო აპირებს ბედთან შერიგებას და პრივილეგიების შესანარჩუნებლად უკანასკნელ ძალებს იკრებს.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, ხუთი შეიარაღებული პირი რუსთავის №1 კოლონიის ტერიტორიაზე პატიმართა ერთი ჯგუფისთვის ავტომატის მიწოდებას გეგმავდა. ეს ცნობა პატიმარ დავით ლეფსვერიძის აღიარებასაც ეყრდნობა. გეგმის თანახმად, პატიმრები განაიარაღებდნენ კოლონიის დაცვას, რის შემდეგაც გაიქცეოდნენ. როგორც ჩანს, ჰქონდათ სათადარიგო გეგმაც: ბოროტმოქმედთაგან ორს, შოთა გოგოლაძესა და რომან სურმანიძეს კოლონიაში, საექიმო ხალათებში გადაცმულებს, სასწრაფო დახმარების მანქანით უნდა შეეღწიათ და შეტანილი იარაღით პატიმრებს გაქცევაში დახმარებოდნენ. წინასწარი ოპერატიული მონაცემების გამო, კრიმინალური ოპერაცია ჩაიშალა, მაგრამ სამართალდამცველები აღიარებენ, რომ ეს იყო გაქცევის ერთ-ერთი ყველაზე გაბედული გეგმა, რომელიც საქართველოში მყოფ პატიმრებს ოდესმე შეუმუშავებიათ. ქართველი ძალოვნების თქმით, მომხდარი ბოლოდროინდელ მოვლენებს უკავშირდება. კრიმინალურ სამყაროსთან გამოცხადებულ ომს ბოროტმოქმედებმა საპასუხო სვლით უპასუხეს: კოლონიიდან გაქცეულ ასობით დამნაშავეს ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევა შეეძლო. მოკლედ, შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ოპერატიული მუშაობის წყალობით კრიმინალური ავანტიურა არ შედგა. საინტერესოა, რომ სამართალდამცველები მსგავს შეტევებს კიდევ ელიან და ზუსტად იმავე მეთოდით. ლაპარაკია საქართველოს ციხეებში მყოფი პატიმრების გარედან ჩარევით გააქტიურების მცდელობაზე. არ გამორიცხავენ, რომ ქვეყნის გარეთ მყოფი კრიმინალური ავტორიტეტები ფულს არ დაიშურებენ პატიმართა გაქცევების დასაფინანსებლად.

„კვირის პალიტრასთან" საუბრისას ექსპერტი-კრიმინალისტი **ნოდარ გაგუა** ამბობს, რომ მსგავსი რამ მოსალოდნელი იყო: — ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში კრიმინალურმა ავტორიტეტებმა იმდენი ქონება დააგროვეს, რომ მის დაკარგვას იოლად არ შეეგუებიან. როგორც ცნობილია, ე. წ. „კანონიერი ქურდებისთვის" დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევა უკვე დაიწყო. უმრავლესობა დღეს საქართველოში არ იმყოფება, მაგრამ აქ დარჩათ ფეშენებელური სახლები, რომლებსაც სახელმწიფო თავისი შეხედულებისამებრ მოიხმარს. მართალია, ამ პრეცედენტს ხშირად საბჭოურ განკულაკებას ადარებენ, მაგრამ ეს არის სახელმწიფოს მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯი. ქურდებსა და სხვა კრიმინალურ ავტორიტეტებს ქონება ყანაში ან ქარხანაში მუშაობით რომ არ შეუძენიათ, ცხადია. ეს ნაყაჩაღარი და ნაძარცვი ფულით შექმნილი კეთილდღეობაა და სამართლიანი იქნება, თუ მათი ქონება ისევ ხალხს დაუბრუნდება.

**— იმასაც ამბობენ, რომ ეს საკმაოდ მტკივნეული პროცესი იქნება, რადგან კრიმინალური ავტორიტეტები ქონების ჩამორთმევას არ შეეგუებიან.**

— სხვა რა გზა დარჩენიათ? მიუხედავად იმისა, რომ უმეტესობა ქვეყნის ფარგლებს გარეთ უზრუნველად ცხოვრობს, თუკი სახელმწიფო მოინდომებს, მათი მცდელობა დაკარგული პრივილეგიების აღსადგენად ამაო იქნება. სხვათა შორის, ერთ დეტალზე მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო: პრივილეგიები კანონიერმა ქურდებმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოიპოვეს. დამნაშავეთა სამყაროში, ცხადია, ისინი მანამდეც ლიდერები იყვნენ, მაგრამ ცალკეული გამონაკლისის გარდა, სახელისუფლებო წრეებთან დაკავშირება ვერ მოახერხეს. ერთი სიტყვით, მათ თავიანთი ადგილი ჰქონდათ მიჩენილი. სწორედ მაშინდელი ტერმინია „ციხე ქურდებისაა". შემდეგ რაც მოხდა, ყველას კარგად ახსოვს. წინა ხელისუფლებაში იმდენად მოიკიდეს ფეხი სახელისუფლებო წრეებში, რომ ქვეყნის ნებისმიერ საჭირბოროტო საკითხს ლამის „კანონიერი ქურდები" წყვეტდნენ. ესპანეთიდან რომ ჩამოდიოდა ტარიელ ონიანი, აეროპორტშივე ხვდებოდნენ მაღალი რანგის ჩინოვნიკები და დიდი მოწიწებით აცილებდნენ ქუთაისამდე. ჩინოვნიკებს ასეთ „პატივსაცემ" კაცთან ურთიერთობა საპატიოდ მიაჩნდათ. სხვათა შორის, ამას წინათ ერთ-ერთი ცნობილი პოლიტიკოსის (მისი ვინაობის დასახელების უფლება არ მაქვს) საოჯახო ალბომის დათვალიერებისას ერთი ფოტო ვნახე, — ჩემი მასპინძელი ტარიელ ონიანთან ხელგადახვეული იყო გადაღებული. სასწრაფოდ გამომტაცა ალბომი ხელიდან და თითქოს თავი იმართლაო, მითხრა: რამდენიმე წლის წინ ესპანეთში რომ ვიყავი, მაშინ გადავიღეო. რა უნდოდა ესპანეთში ჩასულ პოლიტიკოსს „კანონიერ ქურდთან"? სხვათა შორის, ეს არ არის მხოლოდ ერთი შემთხვევა, ონიანთან სტუმრად სხვადასხვა დროს სხვა პოლიტიკოსებიც ჩასულან. აქ თვითონ მოვლენის ანალიზია საინტერესო: „კანონიერმა ქურდებმა" ირწმუნეს, რომ „თავიანთი საქმიანობის" ლეგალიზება მოახდინეს და ქონების უშიშრად დაგროვებას მიჰყვეს ხელი. დაიწყეს უზარმაზარი სახლების აშენება, ძვირად ღირებული ავტომობილების შეძენა და ა.შ. იმის შიშიც არ ჰქონდათ, რომ მათი ქონების წარმომავლობით ვინმე დაინტერესდებოდა. ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლამ მათ სრულ ლეგალიზებას ხელი შეუშალა. სხვათა შორის, რევოლუციის შემდგომ ქვეყნის გარეთ მყოფმა კრიმინალურმა ავტორიტეტებმა სცადეს პირველ პირებს დაკავშირებოდნენ და სხვადასხვა სახის დახმარება შეეთავაზებინათ, მაგრამ ვიცი ხელისუფლებამ თავი შორს დაიჭირა და ეს სწორიც იყო. ანგარების გარეშე ისინი არავის დაეხმარებიან, კონკრეტულ შემთხვევაში კი თავიანთი მდგომარეობის შენარჩუნებას მოითხოვდნენ. თავის მხრივ, ვერც ხელისუფლება წამოიწყებდა ანტიკრიმინალურ ოპერაციას. სწორედ ამან გაალიზიანა დამნაშავეთა სამყარო და სხვადასხვა ავანტიურაზე წასვლა აიძულა.

**დავით დევდარიანი**

# ბექაური დენის ქურდია(?!)



ნუნუ რამიშვილი

ტელეკომპანია „202"-ის დამფუძნებლები შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე კვლავ პატიმრობაში რჩებიან. სასამართლომ საქმის ხანგრძლივი განხილვის შემდეგ რამიშვილისა და კოხრეიძის ადვოკატების მოთხოვნა მათი დარბაზიდან გათავისუფლების თაობაზე არ დააკმაყოფილა. ადვოკატები შალვა რამიშვილსა და დავით კოხრეიძეს უკანონო პატიმრებად მოიხსენიებენ და სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში ჩივიან. ადვოკატ გოჩა სვანიძის განცხადებით, რამიშვილისა და კოხრეიძის პატიმრობის ვადა 27 ნოემბერს ამოიწურა, რაც არ გაგრძელებულა. დარბაზიდან გათავისუფლების ილუზია, როგორც ჩანს, არც ადვოკატებსა და არც თავად ბრალდებულებს აქვთ. როგორც დაკავებულები ამბობენ, წინასწარ იციან, რომ სასამართლო მათ ოთხ წელს მიუსჯის.

**დავით კოხრეიძე:** „რამდენიმე დღის წინ ჩვენთან მოვიდა პირი, რომელმაც შემოგვთავაზა, თუ ბრალს აღიარებთ, მინიმალურ სასჯელს მოგისჯიან და მალევე შეგიწყალებენ კიდეც, არა და, მაქსიმუმს მიიღებთო. ბრალის აღიარებაზე ლაპარაკი ზედმეტია".

ვიდრე შალვა რამიშვილისა და დავით კოხრეიძის ბედს სასამართლო გადაწყვეტს, შალვა რამიშვილის დედა, ნუნუ რამიშვილი კობა ბექაურს დენის ქურდობასა და ყალბი დიპლომის ყიდვაში ამხელს. ნუნუ რამიშვილი ბექაურს ქურდს უწოდებს და აცხადებს, რომ თუ მის მიერ გახმაურებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, მზად არის პასუხი აგოს.

**ნუნუ რამიშვილი:** „ამ შემთხვევას ვარკეთილში და თავად „თელასში" უამრავი მოწმე ჰყავს. ვარკეთილში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში, „თელასის" თანამშრომლებმა სარდაფიდან გაყვანილი ე. წ. „ლევი" კაბელი აღმოაჩინეს. კაბელი კობა ბექაურის ბინაში შედიოდა, მრიცხველი კი გაჩერებული იყო.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

# ვინ აპირებდა შობის ღამეს პირდაპირი ტრანსლაციის ჩაშლას?!








## რატომ გახდა საჭირო პრეზიდენტის საქმის კურსში ჩაყენება

*დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, საზოგადოებრივი ტელევიზიის ეთერში საშობაო წირვის ტრანსლაცია დაგვიანებით გადაიცა. როგორც „კვირის პალიტრამ" მოგვიანებით გაარკვია, შეიძლებოდა ტრანსლაცია სულაც არ შემდგარიყო. გავრცელდა ვერსია, რომ წირვის პირდაპირი ეთერით გადაცემას საზოგადოებრივი ტელევიზიის თავმჯდომარე თამარ კინწურაშვილი ეწინააღმდეგებოდა და რომ არა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი პირების საქმეში დროული ჩარევა, მრავალწლიანი ტრადიცია, სამწუხაროდ, დაირღვეოდა.*

*საქართველოს საპატრიარქოსთან შეთანხმების თანახმად, სულ ხუთი რელიგიური დღესასწაულის: შობის, ნათლისღების, აღდგომის, ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულისა და სვეტიცხოვლობის წირვის ტრანსლირება შეიძლება. მათი წამყვანი კი ტრადიციულად მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელია, რომლის კომენტარები კიდევ უფრო აახლოებს ეკლესიასთან ხალხს.*

*ჩვენ ვესაუბრეთ იმ პირებს, რომელთაც შეეძლოთ პასუხი გაეცათ კითხვაზე, რა მოხდა სინამდვილეში შობის ღამეს.*

საქართველოს პარლამენტის წევრი **ხათუნა გოგორიშვილი:**

— შობის წირვაზე დასასწრებად ფერისცვალების ეკლესიაში მივდიოდი. იმის გამო, რომ ჩემი მეგობრები წმინდა სამების ტაძარში მიდიოდნენ, გზიდან დავურეკე წინასწარ მისალოცად. მათ შორის ერთ-ერთი საპატრიარქოში მუშაობს და სწორედ მისგან გავიგე, რომ იმ ღამეს შობის წირვა საზოგადოებრივი ტელევიზიის პირდაპირი ეთერით არ გადაიცემოდა(?!). ძალიან გამიკვირდა, რადგან ბოლო 15 წლის განმავლობაში შობის, აღდგომისა და სხვა დიდი დღესასწაულების წირვა ყოველთვის გადაიცემოდა პირდაპირი ეთერით. საღამოს ათი საათი სრულდებოდა და სამსახურში ვერაფერს გავარკვევდი. ამიტომ მარიკა ვერულაშვილს დავურეკე, ვიფიქრე, რომ მას ეცოდინებოდა რამე. მარიკამაც და პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემაც ჩემგან შეიტყვეს ეს ამბავი. დაახლოებით 40 წუთის შემდეგ მეგობარმა დამირეკა საპატრიარქოდან და მითხრა, ყველაფერი მოგვარდაო. საზოგადოებრივი არხიდან თხოვნით დაურეკავთ, სასულიერო პირი მოვიდეს წირვის ტრანსლაციის წასაყვანადო.





მართალია, ძალიან ბევრი მიდის ღამის წირვაზე შობის ღამეს, მაგრამ საზოგადოების ასევე დიდი ნაწილი (რამდენია თუნდაც შეუძლოდ, რომელიც ტელევიზორს მისჩერებია, რომ ამ დიდი დღესასწაულის მოწმე გახდეს) მას ტელევიზიით ადევნებს თვალს. განსაკუთრებით რაიონებში, სადაც წირვები უმეტესად დღის საათებში მიმდინარეობს ან სადაც მოქმედი ეკლესიები ჯერაც არ არის. აქედან გამომდინარე, თუ ვინმე იტყვის, საზოგადოებას წირვის ტელეტრანსლაცია არ აინტერესებსო, ასეთ დასკვნას საზოგადოების უმცირესი ნაწილის გამოკითხვის მიხედვით აკეთებს, რაც არანაირად არ ასახავს მთლიანად საზოგადოების მოთხოვნას. არ მგონია, საზოგადოებრივი ტელევიზია ახერხებდეს საზოგადოების მოთხოვნილების სრულად შესწავლას და ამის მიხედვით ადგენდეს სატელევიზიო ბადეს. ვფიქრობ, ეს არც შეუძლიათ სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზის გამო. კერძო არხებიც გადასცემენ სადღესასწაულო წირვებს, მაგრამ ისინი მთლიანად ვერ ფარავენ ქვეყნის ტერიტორიას. საზოგადოებრივი ტელევიზია კი, გარდა იმისა, რომ მთლიანად საზოგადოებრივ აზრს უნდა ემსახურებოდეს, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მაუწყებლობს. ყველაფერ ამის გათვალისწინებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება არხის ხელმძღვანელობამ. საინტერესოა, ვინ არ მოინდომა შობის წირვის ტრანსლაცია, ეს ერთი პირის თუ ჯგუფის გადაწყვეტილება იყო? დიდი სიამოვნებით მოვისმენდი არგუმენტებს. თუ საზოგადოებრივმა ტელევიზიამ რატომღაც გადაწყვეტილება შეცვალა, საზოგადოება თავიდანვე ინფორმირებული უნდა ყოფილიყო.

თავისი სახელწოდებიდან გამომდინარე, ეს ტელევიზია უნდა აკმაყოფილებდეს საზოგადოების მოთხოვნასა და ინტერესებს. მახსოვს, როდესაც საზოგადოებრივი ტელევიზიის შესახებ კანონზე მუშაობდნენ, ვიკითხე, რა მოიაზრებოდა ამ სახელწოდებაში, მის არსში. მითხრეს, რომ ქართული საზოგადოებრივი ტელევიზია ბი-ბი-სის პრინციპებით იმუშავებს. ვიცი, რომ ბი-ბი-სის აქვს სპეციალური სამსახური, რომელიც ყოველწლიურად შეისწავლის საზოგადოების მოთხოვნებს და საეთერო დროის მეტ ნაწილს ისეთ გადაცემებსა და მიმართულებებს უთმობენ, რაზეც დიდი მოთხოვნილებაა. თუმცალა „უმცირესობაში" მყოფი მაყურებლის გემოვნებისა და მოთხოვნილებების იგნორირებაც არ ხდება.

კითხვებით, რომელიც არა მარტო ხათუნა გოგორიშვილს გაუჩნდა, საზოგადოებრივი ტელეარხის თავმჯდომარეს, **თამარ კინწურაშვილს** მივმართეთ. რესპონდენტმა თავიდანვე კატეგორიულად უარყო გავრცელებული ხმა საშობაო წირვის ტრანსლირების ეთერიდან მოხსნის შესახებ.

— ტელევიზიას აქვს ტექნიკური პრობლემები, რომელიც ხან შობის ღამეს იჩენს ხოლმე თავს, ხანაც — სხვა დროს. ტექნიკური ხარვეზი გავასწორეთ და საშობაო წირვა ეთერში (მართალია დაგვიანებით) გავიდა.

**— ამბობენ, რომ წირვის ტრანსლაცია არ გსურდათ. თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ, რა ტექნიკური პრობლემები გქონდათ?**

— ტექნიკური ხასიათის ძალიან ბევრი პრობლემა გვაქვს. არ გვივარგა გადამცემები, თითქმის ყველაფერი უხარისხოა. მობრძანდით და თქვენი თვალით ნახეთ, რით ვმუშაობთ.

**— მაშ, რატომ გავრცელდა ასეთი ხმა, თითქოს ადგილი ჰქონდა ტრანსლაციის მიზანმიმართულ ჩაშლას?**

— ზოგიერთებს მდიდარი ფანტაზია აქვთ და უამრავ რამე იგონებენ. ამას რომ სერიოზულად შევხედო, ველარ ვიმუშავებ და საქმესაც ველარ გავაკეთებ. დიდად მადლიერი ვიქნები, თუ დაინტერესდებით და ჩაატარებთ ჟურნალისტურ მოკვლევას იმის თაობაზე, რატომ დაიხარჯა ფული უვარგისი ტექნიკის შეძენაზე. რეალურად ტექნიკა არ მუშაობს. პირველ არხს, რომელსაც საკმაოდ სოლიდური დაფინანსება ჰქონდა, ტექნიკური პრობლემები არ უნდა აწუხებდეს.

**— ისიც კი ითქვა, რომ პარლამენტარებმა დარეკეს საზოგადოებრივ ტელევიზიაში ტრანსლაციის ჩაშლის მიზეზის გასაგებად და უპასუხეს, რომ იმ დროისთვის „კარგი" ფილმი(?) უნდა გასულიყო ღამის ეთერში.**

— ესეც უსაქმურების მოგონილია, არავის დაურეკავს. ვინც უნდა დამირეკოს, რაც არ მინდა, იმას არასოდეს გავაკეთებ. მე ანგარიშვალდებული სამეურვეო საბჭოს წინაშე ვარ, ვითვალისწინებ მათ პროგრამულ პრიორიტეტებსა და ამ მიმართულებით ვმუშაობ. ალარ არის ეს ის ტელევიზია, სადაც პარტიული ზარები გაისმოდა და ამაზე რეაგირებდნენ. თუ ვინმე დარეკავს, სათანადო პასუხს გავცემ. ეს არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელსაც მეთვალყურეობას უწევს საზოგადოების წარმომადგენლებისგან შემდგარი სამეთვალყურეო საბჭო...

ჩვენ კი დავძენთ, რომ საზოგადოებრივ ტელევიზიას, მის სამეთვალყურეო საბჭოსა და ტელევიზიის თავმჯდომარეს მეთვალყურეობას უწევენ გადასახადების გადამხდელები, რომელთა მიერ გალებული თანხებით ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული ჩინოსანი იღებს ხელფასს. თუ დავრწმუნდებით, რომ დაქირავებული პირები საქმეს სათანადოდ ვერ ართმევენ თავს, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ საზოგადოებრივი ტელევიზიის როგორც სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის, ისე ტელევიზიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნა-არყოფნის საკითხი, ან პასუხი მოვთხოვოთ საქართველოს პარლამენტს, რომელმაც საბჭოს წევრები აირჩია.

ჩვენ შევეცადეთ, დაგვედგინა, მართლა უსაქმური ხალხის ფანტაზიის ნაყოფი იყო თუ არა საზოგადოებრივ ტელევიზიასთან დაკავშირებული ჭორი. პირველად პარლამენტის თავმჯდომარეს, **ნინო ბურჯანაძეს** მივმართეთ. ქალბატონმა ნინომ დაადასტურა, რომ შობის წირვის ტრანსლაციას ჩაშლის რეალური საფრთხე მართლაც შეექმნა. „ამის შესახებ ბატონ მიხეილ სააკაშვილს ვაცნობე და ჩვენი საქმეში ჩარევის შემდეგ მოვლენები ისე განვითარ-



და, როგორც უნდა განვითარებულიყო", — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ფანტაზიორობა ვერც **მარიკა ვერულაშვილს** შევატყვეთ:

— ძალიან მინდოდა შობის ბრწყინვალე დღესასწაულის წირვას ბოდბის დედათა მონასტერში დავსწრებოდი. ბატონ პრეზიდენტს ვკითხე, რა დროს აპირებთ სამების ტაძარში მისვლას, ჟურნალისტებს რომ შევატყობინო-მეთქი. მიპასუხა, ზუსტად არ ვიცი. წირვის პირდაპირი ტრანსლაცია ხომ მაინც იქნება და ჟურნალისტების გაფრთხილებაზე ნუღარ იზრუნებ. როცა ავალ, ამას ტელევიზიით მაინც გაიგებენ, შენ კი შეგიძლია ბოდბეში გულმშვიდად ნახვიდეო. ისევე როგორც თითოეულმა ჩვენგანმა, პრეზიდენტმაც ვერ დაუშვა, რომ იმ ღამით შობის ტრანსლირება შეიძლებოდა არ შემდგარიყო. წავედი მონასტერში. საღამოს თერთმეტი საათი იქნებოდა დაწყებული, ხათუნა გოგორიშვილმა დამირეკა და მკითხა, ხომ არ იცი, ამაღამ შობის წირვის ტრანსლაცია რატომ არ იქნებაო. ძალიან ავფორიაქდი. დავურეკე „მზის" ხელმძღვანელობას, რადგან ვიცოდი, ისინიც გადასცემდნენ საშობაო წირვას და ეს მათ I არხის სიგნალით უნდა გაეკეთებინათ.

დავურეკე პრეზიდენტსაც და ავუხსენი, რაც ხდებოდა. მანამდე პარლამენტის თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს ველაპარაკე. შემდგომ მათ რა ზომები მიიღეს, უკვე აღარ ვიცი. საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, ფრიდონ თოდუასაც ვთხოვე, მიზეზი გაერკვია.

**ფრიდონ თოდუამ** „კვირის პალიტრასთან" საუბრისას ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, რომ ტელევიზიის მეთვალყურეობა მისთვის მძიმე და ძალით აკიდებული ტვირთია.

**— ბატონო ფრიდონ, რამ გამოიწვია შობის წირვის ტრანსლაციის ერთი საათით დაგვიანება?**

— ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ასეთი მოვლენები პირდაპირი ეთერით და დროულად გადაიცემა. გამიკვირდა, ტრანსლაცია გვიან რომ დაიწყო. სიმართლე გითხრათ, არც მიკითხავს მიზეზი, ვიფიქრე, რაიმე ტექნიკური პრობლემა იქნებოდა-მეთქი.

მერე ხელმძღვანელობას დავურეკე და მითხრეს, ტექნიკური ჯგუფი უკვე წასულიაო. ჩვენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები კი ვართ, მაგრამ თვეში ერთხელ ვიკრიბებით და დანარჩენი საკითხები არ გვეხება(?!).

**— მგონი, ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება თქვენთან უნდა შეთანხმდეს.**

— ყოველდღიურ საკითხებს ჩვენ არ გვითანხმებენ. ბიუჯეტის განხილვაზე ვიყავით, სხვა საკითხებზეც ვიმუშავეთ. მმართველობაში კი ჩვენ არ ვერევით. ამისთვის არის გენერალური დირექტორი.

ცნობილია, რომ მართლაც მოძველებული მოძრავი სატელევიზიო სადგური აქვს საზოგადოებრივ ტელევიზიას, მაგრამ ეს ვერ უნდა გამხდარიყო შობის წირვის ვერც ტრანსლაციის ჩაშლისა და ვერც დაგვიანების მიზეზი (აქამდე ასეთი რამ არ მომხდარა). ტექნიკური პრობლემების შემთხვევაშიც კი, საზოგადოებრივ ტელევიზიას შეეძლო დაკავშირებოდა ნებისმიერ კომერციულ არხს და მათი მოძრავი სადგურით ესარგებლა. თუ საზოგადოებრივ არხზე მართლაც წინასწარგანზრახული არ იყო ტრანსლაციის ჩაშლა, მაშ, როგორ ავხსნათ ტექნიკური ჯგუფისა და მოძრავი სადგურის დაგვიანებით მისვლა დანიშნულების ადგილზე? როგორც ტელეკომპანია „მზის" წარმომადგენლებისგან შევიტყვეთ, მათი და საზოგადოებრივი ტელევიზიის მოძრავი სადგურები ტაძრის ეზოში ერთდროულად მივიდა (რატომ დასჭირდა კომერციულ არხს ამის გაკეთება. ისინი ხომ არხის სიგნალს ელოდნენ). არადა საზოგადოებრივი არხის ტექნიკური ჯგუფი სამების ტაძარში უფრო ადრე (როგორც წესი) უნდა მისულიყო და ხალხის სიმრავლეც ხელს აღარ შეუშლიდა გადამცემების დაყენებასა და კაბელის გაჭიმვაში, რაც სავარაუდოდ ტრანსლაციის მთელი ერთი საათით დაგვიანების მიზეზი აღარ გახდებოდა. გარდა ამისა, თუნდაც უსაქმური ხალხის ფანტაზიებში რომ ვეძებოთ აჟიოტაჟის მიზეზი, ფაქტია, კვამლი უცეცხლოდ არ გაჩნდებოდა.

*ეკა ლომიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაბნეულები ვართ, როდესაც ერთი მინისტრი ერთს ამბობს, მეორე კი — მეორეს

## ციხესიმაგრე, სადაც მინისტრები და პარლამენტარები უნდა შევასახლოთ...



### „სიჩქარეში, ცხადია, რაღაცები გვეპარება“

პარლამენტის საგაზაფხულო სესიისთვის ახალი კანონპროექტი მომზადდა, რომლის თანახმადაც, პრემიერ-მინისტრი პარლამენტის წევრიც უნდა იყოს და ამ ინიციატივას ექსპერტებმა უკვე სახელიც მოუძებნეს — „პოლიტიკური აჯაფსანდალი“. მართალია, კანონპროექტის ავტორად დეპუტატი ალეკო შალამბერიძე მოგვევლინა, მაგრამ მისი გააქტიურებისა და ინიციატივის მიღმა ბევრმა რომელიღაც პოლიტიკური ჯგუფის ინტერესი დაინახა; ანუ უნდა ვივარაუდოთ, რომ შალამბერიძე მხოლოდ გამხმოვანებელია, ხოლო მის უკან მდგომ გუნდს კი პრემიერ-მინისტრის ბედზე ზრუნვა განუზრახავს. მართალია, ამ კანონპროექტით პრემიერ-მინისტრი მხოლოდ ერთ (ანუ პრემიერის) ხელფასს აიღებს, მაგრამ ის პარლამენტარის მანდატთან ერთად ძალზე მნიშვნელოვან რამეს — იმუნიტეტს შეიძენს. ბევრის აზრით, იმუნიტეტიანი დეპუტატი-პრემიერ-მინისტრი საკმაოდ მოლონიერდება და უფრო რადიკალური იქნება. თუ არ გამოუვა საქმე, ბუხარში ნაცრის ქექვა ან ოპოზიციის მიტინგებზე სიარული არ მოუწევს, დაჯდება პარლამენტში და იქ გააგრძელებს პოლიტიკურ ბიოგრაფიას.

**ალეკო შალამბერიძე,** თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე:

— ჩემი ინიციატივის მიხედვით, პრემიერ-მინისტრი პარლამენტის წევრი უნდა იყოს. ეს ხელს შეუწყობს მთავრობასა და პარლამენტს შორის კავშირს. ეს იდეა მაშინ დამებადა, როდესაც ბიუჯეტის ფორმირება მიმდინარეობდა და მინისტრთა კაბინეტის წევრებისგან აბსოლუტურად განსხვავებულ შეხედულებებსა და არგუმენტებს ვისმენდით. უმრავლესობის წევრები ბიუჯეტის შესახებ არ ვიყავით ინფორმირებული, დროულად ვერ მივიღეთ საჭირო ახსნა-განმარტებები. ამიტომ, ვფიქრობ, თუ მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელი პარლამენტის წევრი იქნება, ჩემს კოლეგებთან უფრო მჭიდრო კონტაქტი ექნება(?!). კანონპროექტების ინიცირებას, ძირითადად, მთავრობა ახდენს და მისი მეთაურის ხშირი ურთიერთობა საკანონმდებლო ორგანოსთან საქმეს წაადგება.

— **აქამდე გვესმოდა, მთავრობა და უმრავლესობა შეხმატკბილებული მუშაობენო, გამოდის, მთლად ასეც არ არის საქმე?**

— შესაძლოა, გარედან ასე ჩანდეს, მაგრამ შიგნით არც ისეთი სიამტკბილობაა. საზოგადოებამ ხომ დაინახა, რომ დეპუტატი ბესო ჯუღელი დაუპირისპირდა მთავრობის წარმომადგენელს, ფინანსთა მინისტრს (ჯუღელი უმრავლესობის წევრი არ არის, მაგრამ მას რომ იქ თავისიანად თვლიან, ბატონ ალეკოს წამოსცდა. — ავტ.). დეპუტატები ვერ იღებენ ახსნა-განმარტებას, რატომ არის ამა თუ იმ კანონის მიღება აუცილებელი. დაბნეულები ვართ, ერთი მინისტრი ერთს ამბობს, მეორე — მეორეს, მესამე კიდევ ვინ იცის, რას. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მთავრობაში მთლად დალაგებული არ არის ყველაფერი და ეს პარლამენტზეც აისახება. როდესაც პრემიერი პარლამენტის წევრი გახდება, ვალდებული იქნება, მოვიდეს საკანონმდებლო ორგანოში და გველაპარაკოს. დიდ ბრიტანეთში, ირლანდიასა და უნგრეთში მთელი მინისტრთა კაბინეტი პარლამენტის წევრია. ჩვენს 150-კაციან პარლამენტში ამ მოდელის გადმოტანა არ ივარგებს, მაგრამ პრემიერის პარლამენტარობა სამთავრობო და საპარლამენტო პროცესებს უკეთ დაარეგულირებს. ჩემი აზრით, მთავრობაში კაცი პარლამენტის გავლით უნდა ხვდებოდეს. ხომ ფაქტია, რომ ის მინისტრები, რომლებიც დეპუტატები არ ყოფილან, მთავრობაში ვერ „ქაჩავენ“.

— **მაინც ვის გულისხმობთ?**

— ესა თუ ის მინისტრი თავის დარგში პოლიტიკის განმსაზღვრელია და მისთვის აუცილებელია პოლიტიკური სკოლის პარლამენტში გავლა. მაგალითად, სოფლის მეურნეობის მინისტრი ბიზნესიდან არის მოსული და საერთო არაფერი ჰქონია პოლიტიკასთან. ამიტომაც ვერ არის ძლიერი მინისტრი, იმავეს ვიტყოდი ეკონომიკური განვითარების მინისტრზეც. იმ მინისტრებს, რომელთაც საპარლამენტო გამოცდილება არ აქვთ, უჭირთ „ჩვენს ენაზე“ ლაპარაკი. მთავრობაში გამოკვეთილი ფიგურაა კახა ბენდუქიძე, მას აქვს პოლიტიკური ხედვაც და არც თავისი პოზიციის ჩამოყალიბება უჭირს მასისთვის, მაგრამ მან არ იცის პარლამენტის ენა, უჭირს დეპუტატებთან კონტაქტი.

— **თქვენი ინიციატივის გახმაურების შემდეგ კულუარებში ითქვა, მინისტრთა კაბინეტში სერიოზული ცვლილებები მოხდება და პრემიერ-მინისტრად რომელიღაც პარლამენტარს (სავარაუდოდ, მიხეილ მაჭავარიანს) უპირებენ გამწესებასო.**

— სიმართლე გითხრათ, არც გამკვირვებია, ლოგიკასთან ახლოა. მივესალმები, თუ პრემიერად პარლამენტიდან დაინიშნება ვინმე, ჩვენ გვერდით ნამუშევარი კაცი უფრო პროგნოზირებადიც იქნება და გვეცოდინება მისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები. მიშა მაჭავარიანის სავარაუდო გაპრემიერებაზე კარგა ხანია მუსირებს აზრი, მაგრამ პარლამენტს მისი წასვლა ძალიან დაასუსტებს.

— **ცოტა არ იყოს, უცნაური შეფასება გააკეთა ზოგიერთმა დეპუტატმა, რომელმაც თქვენს ინიციატივას იმ მოტივით დაუჭირა მხარი, რომ თუკი პრემიერს მთავრობიდან მოუწევს წასვლა, პარლამენტის წევრად მაინც დარჩებაო. რატომ უქმნით სასათბურე პირობებს წარუმატებელ პრემიერს?**

— პოლიტიკოსს ზოგჯერ უწევს არაპოპულარული, თუმც სწორი გადაწყვეტილების მიღება. შესაძლოა, არაპოპულარული ნაბიჯის გამო პრემიერს თანამდებობის დატოვებაც მოუხდეს. თუ პრემიერს მიეცემა პარლამენტარად დარჩენის შანსი, ის უფრო თამამ და რისკიან ნაბიჯებს გადადგამს და არ გამოეკიდება სავარძელს. ჩვენ ისეთ დროში გავიზარდეთ, რომ სულ თავში გვიტენიდნენ, გმირული საქციელი ამბრაზურაზე გადაფარება და თავის გაწირვააო. მე ცოცხალი გმირები მინდა, რომელთაც რისკის გამო არ მოუწევთ პოლიტიკური არენიდან გაქრობა.

კონსტიტუციაში ჩადებული უნდა იყოს კრიზისების დაძლევის სქემა. 2001 წელს, როდესაც პოლიტიკური კრიზისი დაიწყო და პარლამენტმა შს მინისტრის გადაყენება მოითხოვა, ამას ზურაბ ჟვანიასა და მთავრობის გადადგომა მოჰყვა. მაშინდელ კონსტიტუციაში არ იყო გათვალისწინებული კრიზისის დაძლევის შესაძლებლობა. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შემდგომ კი 144 კაცს შეუძლია მთავრობის ისე გადაყენება, რომ პარლამენტის დაშლის საშიშროება არ შეიქმნას. თუ მთავრობიდან წამოსული პრემიერი პარლამენტში გააგრძელებს მუშაობას, კრიზისს ავიცილებთ თავიდან. ის არ დაიბოლმება და არ დაიწყებს ბრძოლას ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს სქემა გადატრიალებებსაც და რევოლუციებსაც აგვაცილებს თავიდან. ეს ინსტიტუტები ერთგვარი ციხესიმაგრე იქნება, სადაც მინისტრები, პარლამენტარები და სხვა თანამდებობის პირები უნდა შევასახლოთ.

საკონსტიტუციო ცვლილებებისკენ მიბიძგა საშემოდგომო სესიის ბოლო სხდომებმა, როდესაც სტახანოველებივით გვიწევდა პარლამენტში მუშაობა კანონპროექტის მისაღებად. ახალი წლის წინა დღეებში 150 კანონი მივიღეთ! კანონპროექტის სათაურის დასახელებასაც ვერ ასწრებდა პარლამენტის თავმჯდომარე. იმდენად ჩქარობდა, რომ მხოლოდ კანონპროექტის ნომერს ამბობდა(?!). ეს ფორსმაჟორული ვითარება პარლამენტისა და მთავრობის არაკოორდინირებულმა მუშაობამ შექმნა. კანონპროექტები იმდენად გვიან შემოიტანეს, წაკითხვასა და შენიშვნის გაკეთებას ვინ მოასწრებდა? ამიტომაც არის კანონები არასრულყოფილი. სიჩქარეში, ცხადია, რაღაცები გვეპარება.

*იზო რეკაძე*

# პოლიტიკაში მეგობრობა არ იცის...

## „გამოჩნდება, ანა დოლიძეს მართლა უყვარს ჩვენი ორგანიზაცია თუ მისთვის ასოციაცია არის ადგილი, სადაც ფულს შოულობს“

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ირგვლივ მძაფრი ვნებები ბობოქრობს. ასოციაციის დღეს უკვე მაღალჩინოსანი წევრები ორგანიზაციას ოპოზიციურ განწყობებს ამჩნევენ და მის ზედმეტად პოლიტიზებას ეწინააღმდეგებიან. ეტყობა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ზედმეტად გაალიზიანა ხელისუფლება და ამიტომაც გააკეთა მის წინააღმდეგ განცხადებები ისეთმა „მძიმეწონიანმა“ ფიგურამ, როგორიც თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილია, — დემოკრატიის პრინციპებზე მორალს მიკითხავენ პირდაუბანელი დედაკაცები, რომლებსაც ამ ორგანიზაციის მშენებლობისთვის აგური აგურზე არ აქვთ დადე-

### „სააკაშვილს ერთ დროს ასოციაცია ძალიან უყვარდა“



### „მიწოლისა და გადაგდების“ მეთოდით საკითხის გადაწყვეტას არ დავუშვებთ“

ბული. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დღეს „ახალგაზრდა რესპუბლიკელების“ გაერთიანებას წარმოადგენსო.

საპასუხოდ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა დოლიძე აცხადებს, რომ „ასოციაციას ხელისუფლების დავალებით უტევენ. ეს არის შეთქმულება, რომელსაც არაპროფესიონალი და მშიშარა რეჟისორი ჰყავს. ეს არის თავდასხმა ასოციაციაზე მისი დისკრედიტაციისა და შესუსტების მიზნით. ეს კი საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, არამედ მთელი სამოქალაქო სექტორისთვის“.

ვითარების განსამუხტავად ასოციაციის წევრთა ნაწილი ანა დოლიძის გადადგომას ითხოვს. თუმც ასოციაციის თავმჯდომარე თანამდებობის დატოვებაზე არც კი ფიქრობს.

ვინ არის ამ დავაში მართალი, რამდენად არიან ასოციაციის დაპირისპირებული წევრები ამა თუ იმ პოლიტიკური ჯგუფის გავლენის ქვეშ და მართლა უტევს თუ არა ხელისუფლება ორგანიზაციას, რომელიც ბოლო დროს ხშირად გამოდიოდა მისი ოპონენტის (თუმცა წინა ხელისუფლების დროს აშკარად საპირისპიროდ იყო საქმე. — ავტ.) ამპლუაში, დრო გვიჩვენებს. დღეს კი დაპირისპირებული მხარეების არგუმენტებს გავეცნოთ.

**პაატა ლეჟავა,** დეპუტატი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი: — 1995 წელს რამდენიმე კაცი (მათ შორის, დათო უსუფაშვილიც) შევიკრიბეთ და ისეთი გაერთიანების შექმნა გადავწყვიტეთ, სადაც სხვადასხვა პრობლემასა და მათ სამართლებრივად მოგვარებაზე ვიმსჯელებდით. ამავდროულად, აბსოლუტურად დამოუკიდებლები ვიქნებოდით... ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ბოლო დროს არაერთი პოლიტიკური განცხადება გააკეთა. არადა ასოციაციის დაფუძნებიდან დღემდე ვცდილობდით გვეხელმძღვანელა პრინციპით, — პოლიტიკური განცხადებები არ გავაკეთოთ, რადგან ჩვენ პროფესიული ორგანიზაცია ვართ და არა პარტიული დანაყოფი. სწორედ იმ პოლიტიკურმა განცხადებებმა, რომლებიც შეთანხმებული არ იყო არც გამგეობასთან და მით უმეტეს, არც ასოციაციის წევრებთან, გამოიწვია ჩვენი პროტესტი.

— **გინდათ თქვათ, რომ ადრე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას არასოდეს გაუკეთებია პოლიტიკური განცხადებები?**

— როდესაც შევარდნაძეს პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღება უნდოდა, მაშინ გააკეთა ასოციაციამ პოლიტიკური განცხადება. მიუხედავად იმისა, რომ ის სამართლებრივად გამართული იყო, პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონ-



ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია რესპუბლიკური პარტიის დანამატად გადაიქცა

და. ამიტომ 30-კაციანმა ჯგუფმა, რომელიც ტექსტზე მუშაობდა, განცხადება გამგეობის სხდომაზე გავიტანეთ, ტექსტი გამგეობის წევრებს დავურიგეთ და მხოლოდ ამის შემდეგ გამოქვეყნდა. არ გვინდოდა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაკეთებულიყო ან პოლიტიკური თვალსაზრისით ვინმეს მომხრე ან მოწინააღმდეგე ყოფილიყო.

— **ანუ მიგაჩნიათ, რომ ასოციაციის თავმჯდომარე ტენდენციურ პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებს?**

— ტენდენციურობაზე არ არის საქმე... ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელიც ნეიტრალური უნდა იყოს, რესპუბლიკური პარტიის დანამატად გადაიქცა. ის პროფესიულ ორგანიზაციად უნდა დარჩენილიყო და არც ერთი ძალის ინტერესებს არ უნდა ემსახურებოდეს. ანა დოლიძეს საკმაოდ მაღალი ხელფასი ასოციაციის მიერ მოზიდული გრანტებითა და საწევროების წყალობით აქვს, ამიტომ ვალდებულია, ამგვარი განცხადებები გამგეობის წევრებთან შეათანხმოს. ერთპიროვნულად გადაწყვეტილებების მიღებისა და განცხადებების გაკეთების უფლება მას არ აქვს. ახალი თამაშის წესები ერთპიროვნულად არ უნდა დაემკვიდრებინა. ასოციაციას აქვს წესდება, ჰყავს მმართველობის ორგანო, გამგეობა. მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი გადაწყვეტილების შემდეგ უნდა შეცვლილიყო ასოციაციის კურსი.

— **ანა დოლიძის აზრით, მას უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებსა და პრეზიდენტის ფონდთან დაკავშირებული განცხადებები არ აპატიეს.**

— ხელისუფლების კურსის მხარდაჭერაზე ან მის კრიტიკაზე არ არის საქმე. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ წვლილი უნდა შეიტანოს ქვეყნის ალმშენებლობაში, მიუხედავად იმისა, ნაციონალური მოძრაობა იქნება ხელისუფლებაში თუ სხვა. თუ ანა დოლიძეს სურს რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციაში იყოს, ერთპიროვნულად შეუძლია იქ გაერთიანდეს, არავინ უშლის. შეუძლია ასევე ერთპიროვნულად გააკეთოს განცხადება თავისი და არა ასოციაციის სახელით. ვიმეორებ, ჩვენ გვინდა დამოუკიდებლები დავრჩეთ, თორემ როგორ გგონიათ, შევარდნაძის ხელისუფლებას არ უცდია ჩვენი კეთილგანწყობის მოპოვება?... ლეიბორისტულ პარტიასაც ძალიან უნდოდა, რომ 700-კაციანი ორგანიზაცია მისი ხელქვეითი ან მის დაქვემდებარებაში ყოფილიყო, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდით ნეიტრალურები და დამოუკიდებლები ვყოფილიყავით და სამართლებრივი შეფასება გაგვეკეთებინა ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხზე.

— **როგორც ვიცით, დავა, ძირითადად, საწევროების გადახდის გამო გაიმართა.**

— საწევროების გამო დავა არ ყოფილა, ეს თემა ანა დოლიძის მომხრეებმა წამოწიეს წინ, რადგან საპასუხო არგუმენტები არ ჰქონდათ. კვარტალში ერთი ლარის გადახდა ვის გაუჭირდებოდა...

— **როგორ გგონიათ, ანა დოლიძე თანამდებობას დატოვებს თუ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია გაიხლიჩება?**

— ამ შემთხვევაში ანა დოლიძის საქციელი ლაკმუსის ქაღალდივით იქნება, — თუ მას ორგანიზაცია უყვარს, უნდა გადადგეს. მის ადგილას ვიტყოდი: დავსხდეთ, ვილაპარაკოთ. თუ უდანაშაულო აღმოვჩნდები, კიდევ ერთხელ ვიყრი კენჭს, არადა ხმას აღარ ამოვიღებო. გამოჩნდება, ანა დოლიძეს მართლა უყვარს ჩვენი ორგანიზაცია თუ მისთვის ასოციაცია არის ადგილი, სადაც ფულს შოულობს. ანა დოლიძის წასვლის შემდეგ მის დღევანდელ მომხრეებს არავითარი პრობლემები არ შეექმნებათ ასოციაციაში. როდესაც ორგანიზაცია დაფუძნდა, საწევროდ სიმბოლურად დავაწესეთ 1 ლარი, რათა ასოციაციას ესულდგმულა. მაშინ ორგანიზაციას არ ჰქონდა გრანტი და არც სხვა შემოსავალი. დღეს ასოციაციას 1 მლნ 200-ათასიანი გრანტი აქვს მიღებული და სირცხვილია საწევროზე ლაპარაკი.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული არმია ქათმის ბარკლების გარეშე რჩება

## ჯარისკაცთა მენიუში ქათმის ხორცს საქონლისა ჩაენაცვლება, რაც ხარჯებს გაზრდის, მაგრამ...



საქართველოს პრეზიდენტი ქათმის ბარკლებს ჯარისკაცებთან ერთად ველარ დაიგემოვნებს, რადგან ქათმის გრიპის შიშით მას სამხედრო სასადილოების მენიუდან ამოიღებენ...

ქათმის გრიპის შემოტევას მთელ საქართველოსთან ერთად ქართული არმიაც უფრთხის. ამ უხილავ ვირუსს წინ ტანკებსა და ქვემეხებს ვერ დავუყენებთ, თუმცა შეიძლება გავითვალისწინოთ საქართველოს „დიდი მეგობრის" ჟირინოვსკის რჩევა და გადამფრენი ფრინველების რაკეტებით თუ არა „როგატკებით" ჩამოგდება ვცადოთ...

ეს ხუმრობით, რეალურად კი ქართული არმია ქათმის ხორცის ერთ-ერთი ყველაზე ფართო მომხმარებელი იყო. თავად განსაჯეთ, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ოფიციალურად 21 500-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურეა. აქედან არანაკლებ 10 000 სერჟანტი და ჯარისკაცი ყაზარმებში ცხოვრობს და სამხედრო ნაწილის სამზარეულოში დღეში სამჯერ იკვებება.

დღეში ჯარისკაცს 250 გ ხორცი ეკუთვნის, ადრე 200 გ-ს აძლევდნენ, ხოლო ამერიკული „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით 325 გ-ს ილებდნენ ყოველდღიურად. მოგვიანებით კი ყველას 250 გ დაუწესეს. ყაზარმებში მყოფ 10 ათასამდე სამხედროს დღეში 2,5 ტონა ხორცი სჭირდება, თვეში კი — 75 ტონაზე მეტი.

გასაგებია, რომ ყოველდღიურად ჯარისკაცს 250 გ ძროხის და ღორის ხორცს არავინ მისცემს. ამიტომაც ხდებოდა, კვირაში რამდენჯერმე საქონლის ხორცის ქათმის ხორცით ჩანაცვლება. ეს გარდა იმისა, რომ აახლებდა ჯარისკაცის ერთგვაროვან მენიუს, უფრო იაფიც ჯდებოდა.

სამხედრო სასადილოებში ყველაზე ხშირად ქათმის ბარკლებს სთავაზობდნენ ჯარისკაცებს. დაფასოებული პროდუქტი პირდაპირ მაცივრიდან მოდიოდა და არც გადათვლა სჭირდებოდა (ერთი ბარკალი ერთ ჯარისკაცს)...

ერთი-ორჯერ ჩვენი პრეზიდენტიც ჩაეზიარა ჯარისკაცებს შემწვარი ქათმის ბარკლების გაყოფაში.

ქათმის გრიპის საშიშროებამ კი ქართული არმია იძულებული გახადა უარი თქვას ქათმის ხორცზე და იგი ჯარისკაცების მენიუდან ამოიღოს. თვეში 75-ტონიან ხორცის ნორმას კი შევსება დასჭირდება, რადგან ჯარისკაცმა ყოველდღიურად კუთვნილი 250 გ ხორცი უნდა მიიღოს. ქათმის ხორცის ჩანაცვლება ისევ ძროხისა და ღორის ხორცით თუ მოხერხდება. ეს კი მნიშვნელოვნად გაზრდის ქართული არმიის პირადი შემადგენლობის კვების ხარჯებს.

# ირანული ატომური ბომბის შიშით

## შექმნის თუ არა ვაშინგტონი ანტიირანულ კოალიციას?

ირანის მიერ ბირთვული ექსპერიმენტების განახლებამ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ხელისუფალთა მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური თეირანი მუდმივად ირწმუნება, ატომური რეაქტორების ამუშავება მის ქვეყანას მხოლოდ ენერგიის გამოსამუშავებლად სჭირდება, ბევრს არ სჯერა.

არ სჯერათ დასავლეთში იმიტომ, რომ ირანში ნავთობის მოპოვება და გადამუშავება ბევრად უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ატომური ენერგეტიკის ძვირად ღირებული ინფრასტრუქტურის შექმნა. იაფი ნავთობით მდიდარი ირანი წესით ატომური ელექტროსადგურების აგებაზე კი არა, ჭაბურღილების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვაზე უნდა ფიქრობდეს. თუმცა თეირანი ჯიუტად ცდილობს ატომური რეაქტორების ამუშავებას.

სწორედ ეს სიჯიუტეა, რომ აშფოთებს დასავლეთს. მას, ვისაც აქვს ატომური ენერგეტიკის ინფრასტრუქტურა, არ გაუჭირდება საჭირო დაფინანსების შემთხვევაში 5-10 წელიწადში ატომური ბომბიც შექმნას, რადგან ატომური რეაქტორის დამაჩქარებლებზე შეიძლება გამდიდრებული ურანისა და ბირთვული იარაღისთვის საჭირო პლუტონიუმის გამომუშავება.

ფაქტობრივად, ირანი ცდილობს გაიმეოროს ის გზა, რომელიც ნახევარი საუკუნის წინ აშშ-მა და საბჭოთა კავშირმა განვლო, როდესაც მათ ატომურ იარაღთან ერთად მისი გადამტანი საშუალებები — ბომბდამშენი თვითმფრინავები და ბალისტიკური რაკეტები შექმნეს.

დღეს ირანს შეუძლია დაიკვეხნოს იმ საკუთარი წარმოების ბალისტიკური რაკეტებით, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპას სწვდებიან. ჩრდილო კორეის, ჩინეთისა და რუსეთის დახმარებით ირანელმა სპეციალისტებმა თანამედროვე სარაკეტო ინფრასტრუქტურა შექმნეს. მათთვის გადაუჭრელ პრობლემას არ წარმოადგენს, რომ ათიოდე წელში 10-11 ათასი კმ რადიუსის მქონე საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები შექმნან. ასეთ რაკეტებს კი 2-3-ტონიანი (ან მეტი) ქობინის წაღება შეუძლიათ.

ამავე პერიოდში (5-10 წელში ან უფრო ადრე) ირანელი სპეციალისტები შეძლებენ დააპროექტონ და ხორცი შეასხან არა უმეტეს 2-ტონიან ატომურ ქობინს, რომლის წაღებაც 11 ათას კმ-ზე ირანულ ბალისტიკურ რაკეტას შეეძლება.

ეს კი სწორედ ის მანძილია, რაც ირანს ჩრდილო ამერიკის შუაგულიდან აშორებს. ანუ ირანს შეეძლება ვაშინგტონს მისთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელი დარტყმა მიაყენოს.

ასე რომ, ამერიკელი პოლიტიკოსები და სამხედროები სერიოზულად ფიქრობენ იმ საფრთხეზე, რაც მათ ასე შორეული ირანიდან უახლოეს წლებში შეიძლება დაემუქროს.

დასავლეთს არ შეუძლია ხელი შეუშალოს ირანს რაკეტების შემდგომ სრულყოფაში, მაგრამ ცდილობს არ დაუშვას თეირანის მიერ ატომური ბომბის შექმნა. ამიტომაც ვაშინგტონის თაოსნობით დასავლეთის წამყვანი ქვეყნები ამ კვირაში ეცდებიან ირანის ატომურ პროექტთან დაკავშირებული საკითხები ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოდან გაეროს უშიშროების საბჭოს გადასცენ განსახილველად.

ამას კი კატეგორიულად ეწინააღმდეგება გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი ჩინეთი და გარკვეულწილად, რუსეთიც.

მოსკოვს თავისი ინტერესები ამოძრავებს, რადგან ირანის ატომური ინფრასტრუქტურის შექმნა თეირანმა სწორედ რუსეთს დაუკვეთა, რაც დიდ თანხებს უკავშირდება. ასეთი უზარმაზარი მოგების დაკარგვა კი კრემლში ბუნებრივია, არ სურთ.

თუკი ამ კვირას ვაშინგტონი მაინც მოახერხებს ირანის ატომური საკითხის გადაცემას გაეროს უშიშროების საბჭოს განკარგულებაში (პეკინისა და მოსკოვის დასაყოლიებლად ვაშინგტონი გასულ კვირას დაძაბულ მოლაპარაკებებს მართავდა), მაშინ მოსალოდნელია, რომ გაერომ განსაზღვრული სანქციები შემოიღოს ირანის ისლამური რესპუბლიკის მიმართ.

თუკი საერთაშორისო დაძაბულობა სერიოზულად გაიზრდება ირანის ატომურ საკითხთან დაკავშირებით, მაშინ განზე ვერც საქართველო დარჩება, რადგან სანქციების შეუსრულებლობას ხშირად კოალიციური ძალების ჩარევა მოჰყვება ხოლმე, ჩვენი რეგიონი კი ირანს ესაზღვრება.


აქსისპალასი
AXIS PALACE

მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსი საბურთალოზე ბახტრიონის, გამრეკელის (კუტუზოვის) და საბურთალოს ქუჩების გადაკვეთაზე

რა ეღირება ცხოვრება აქსის პალასში?

მომსახურების აუცილებელი პაკეტი – 60-70 ლარი

დამატებითი საფასურის შემთხვევაში – ინდივიდუალურად შექმნილი მომსახურების პაკეტი

მინიმალური საცხოვრებელი ფართი 55მ²

საახალწლო ფასდაკლება -30-50$

სასტუმროს ტიპის მომსახურება და ინფრასტრუქტურა

- დიდი ფოიე 2400 მ²
- ეზო 8780 მ²
- განცალკევებული სარეკრეაციო ზონა
- მოპირკეთებული ქუჩა და მიმდებარე ტერიტორია

თქვენს საცხოვრებელ სახლში კომპლექსურად გაერთიანდება დასვენების, გართობისა და სპორტული ცხოვრების ყველა საშუალება.



- საცურაო აუზი
- ფიტნეს კლუბი
- საბავშვო მოედანი
- ბილიარდისა და ჩოგბურთის მაგიდები
- კომბინირებული სპორტული მოედანი

55 34 34, 55 34 33

ექსკლუზივი

# БМП-ების საქმის მთავარი „დამნაშავე“ — ძრავების ზეთი!

5 დიზელის ძრავა, ერთი ქვემეხი, ერთი აკუმულატორი, ერთი კომპრესორი და 6 რადიოსადგური — ეს გახლავთ მწყობრიდან გამოსული იმ აგრეგატების ჩამონათვალი, რომლებიც სპეციალურად დანიშნულმა ქართულმა ექსპერტიზამ უკრაინიდან ჩამოყვანილი БМП-ების შესწავლისას გამოავლინა.

არადა ორფოლოს პოლიგონზე გამართული ჯავშანსატანკო სწავლების შემდეგ შეიარაღებული ძალების გენშტაბის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი ოფიციალურად აცხადებდა, რომ უკრაინიდან ჩამოყვანილი 40 ცალი БМП-2-დან 38 მწყობრიდან გამოსული იყო და ამით სახელმწიფოს ნახევარ მილიონ ლარზე მეტის ზარალი მიადგა. ამის გამო წინასწარ სამთვიან პატიმრობაში აიყვანეს შეიარაღებული ძალების სამი მაღალჩინოსანი ოფიცერი, რომლებიც მონაწილეობდნენ უკრაინაში ამ ქვეითთა საბრძოლო მანქანების შერჩევაში.

რეალურად კი აღმოჩნდა, რომ მწყობრიდან გამოსულია არა 38 БМП-2-ი, არამედ მხოლოდ ხუთი ქვეითი საბრძოლო მანქანის დიზელის ძრავა. აღნიშნულიდან კარგად ჩანს, რომ თავდაცვის სამინისტროსა და გენშტაბის ხელმძღვანელობას უკრაინაში ნაყიდ БМП-ებთან დაკავშირებით ამხელა პანიკა არ უნდა აეტეხა, რითაც საერთაშორისო თვალსაზრისით სერიოზული ჩრდილი მიადგა ქართულ-უკრაინულ სამხედრო-ტექნიკურ ურთიერთობებს და მთლიანად ქართული არმიის იმიჯს.

ეს ერთი, მთავარი ნიუანსი გარკვეულია, მაგრამ მკითხველს ალბათ არანაკლებად აინტერესებს ისიც, თუ რამ გამოიყვანა მწყობრიდან 5 ძრავა, ერთი ქვემეხი, ერთი აკუმულატორი, ერთი კომპრესორი და 6 რადიოსადგური (საერთო ღირებულებით დაახლოებით 140 ათასი ლარი) — ქართველი ოფიცრების დანაშაულებრივმა გულგრილობამ, როცა მათ უკრაინაში არასწორად შეარჩიეს БМП-ების ძრავები და რადიოსადგურები თუ საქართველოში ჩამოყვანის შემდგომ არასწორმა ექსპლუატაციამ?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას საქართველოს შსს-ს საორგანიზაციო და საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტის საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ექსპერტიზის ცენტრის ექსპერტთა ერთობლივი 12-კაციანი ჯგუფი შეეცადა.

ექსპერტთა ჯგუფს 14 კითხვაზე უნდა გაეცა პასუხი, თუ რა დეფექტები და დაზიანებები აღენიშნება თითოეულ БМП-ს, როდის მიიღეს ეს დაზიანებები, რა მდგომარეობაშია მათი შეიარაღება, შესაძლებელი იყო თუ არა დეფექტების გამოვლინება ტექნიკის უკრაინაში მიღება-ჩაბარების დროს, რა ხარისხის საწვავ-საპოხი მასალა ჩაისხა ამ საბრძოლო მანქანებში და სხვა.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ — ამ საექსპერტო ჯგუფში ქართველ სპეციალისტებთან ერთად უკრაინელი კოლეგებიც რომ ჩართულიყვნენ, საექსპერტო დასკვნა ბევრად უფრო ამომწურავი იქნებოდა. თუნდაც იმიტომ, რომ ექსპერტიზის დროს ჯერ კიდევ მოქმედებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთწლიანი საგარანტიო ვადა. ქართველ ექსპერტებს კი უფლება არ ჰქონდათ გაეხსნათ დალუქული აგრეგატები, რათა ზუსტად გაეგოთ დეფექტების წარმოშობის მექანიზმი.

უკრაინელი სპეციალისტების საქართველოში ჩამოსვლა თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში შეუძლებელი გახდა... როგორც ირკვევა, ქართულმა მხარემ ეს არ მოინდომა. ეს ეხება იმ სპეციალური სადიაგნოსტიკო აპარატურის ჩამოტანასაც, რომლითაც ადგილზე შემოწმდებოდა მწყობრიდან გამოსული ძრავები.

ასე რომ, ქართველ ექსპერტთა ჯგუფს თავად მოუხდა საკმაოდ შრომატევადი და საპასუხისმგებლო სამუშაოების ჩატარება ვაზიანის, გორისა და ქუთაისის იმ ბრიგადებში, სადაც გადანაწილდა უკრაინიდან ჩამოყვანილი ქვეითთა საბრძოლო მანქანები.



БМП-ების მწყობრიდან გამოსვლისგან მიღებულმა ზარალმა დაახლოებით 140 ათასი ლარი შეადგინა



უკრაინაში ნაყიდი БМП-2-ები რომ კვლავ ბრძოლისუნარიანები გახდნენ, საჭიროა მათი УТД-20С-1 ტიპის ძრავების დაშლა და ზეთის სისტემის გაწმენდა

„კვირის პალიტრამ“ ექსკლუზიურად მოიპოვა ამ საექსპერტო დასკვნის ოფიციალური დოკუმენტი. მაგრამ იმის გამო, რომ დასკვნა თავისი ილუსტრაციებითა და დამატებებით 96 თაბახის ფურცელს მოიცავს, მხოლოდ ყველაზე საინტერესო მონაკვეთებს გავაცნობთ მკითხველს.

დავიწყოთ ერთადერთი დაზიანებული 30 მმ კალიბრიანი ავტომატური ქვემეხით, რომელიც ქუთაისის ბრიგადაში მდგარ БМП-2-ს აღმოაჩნდა. მთლიანობაში, ქვემეხი კი არა, მისი საზურგეა („ზატილნიკი“) გაბზარული ძლიერი მექანიკური ზემოქმედების შედეგად. როგორც საექსპერტო დასკვნაში წერია, მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკის არარსებობის გამო, ექსპერტიზამ ვერ დაადგინა დაზიანების წარმოშობის დრო. სავარაუდოდ, ეს ბზარი ქვემეხმა ჩვენს პოლიგონზე ექსპლუატაციის დროს მიიღო.

სხვათა შორის, რამდენიმე БМП-2-ს ექსპერტიზის შედეგად აღმოაჩნდა კორპუსის მექანიკური დაზიანებები (ზოგს დარღვეული ჰქონდა სადესანტო ნაკვეთურის უკანა კარების ჰერმეტულობა, რაც წყალში ცურვის დროს დაუშვებელია; ერთი БМП-ის მარჯვენა ფალშ-ბორტი კი დაზიანებული, შემდეგ შეკეთებული და გადაღებილი იყო), რომლებიც საქართველოში ექსპლუატაციისას მიიღეს და უკრაინიდან ნამდვილად არ „ჩამოჰყოლიათ“.

გადავიდეთ რადიოსადგურებზე: ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ ექვსივე რადიოსადგური სწორედ იმ БМП-2-ებზეა დაზიანებული, რომლებიც ქუთაისის ბრიგადაში დგანან. გორსა და ვაზიანში ქვეითთა საბრძოლო მანქანებზე რადიოსადგურები გამართულად მუშაობენ. „ქუთათურ“ БМП-ებს კი ყოველ ორმოში ჩარტყმისას ეთიშებოდათ რადიოსადგურები, რაც ექსპერტიზის დასკვნით, მათი დანესტიანებითა და დაჟანგული კონტაქტებით შეიძლება იყოს გამოწვეული.

აქ ექსპერტიზა შორს აღარ მიდის, მაგრამ შემდგომ აღნიშნულია, რომ ვაზიანისა და გორისგან განსხვავებით, ქუთაისური БМП-ები თვეობით ღია ცისქვეშ დგანან. ამ ორი ფაქტის საფუძველზე კი შეიძლება მარტივი დასკვნის გამოტანა — ვაზიანსა და გორში ბოქსებში მდგარი БМП-ები არ სველდებიან წვიმის წყლით, განსხვავებით ქუთაისისგან, სადაც წყლის წვეთები რადიოსადგურების ანტენების ღრიჭოებიდან ნელ-ნელა აღწევს თავად რადიოსადგურების კორპუსებამდე და კონტაქტების დაჟანგვასა და ელექტროხელსაწყოების მწყობრიდან გამოსვლას იწვევს. აქ გამოსავალი მხოლოდ ერთია — ძვირად ღირებული საბრძოლო მანქანების უკეთ მოვლა და გადახურულ ბოქსებში დაუყოვნებლივ დაყენება.

ერთი აკუმულატორის მწყობრიდან გამოსვლაზე არც კი შევჩერდებით, რადგან უფრო საოცარი ის არის, რატომ არ გაუფუჭდა ყველა БМП-ს აკუმულატორი — სამხედრო ნაწილებში БМП-ებს ყოველდღე ადგილზე იმიტომ ამუშავებენ, რომ აკუმულატორები არ დაიცალოს. ეს კი ყველა წესის დარღვევაა, რადგან ბოქსში დაყენებული საბრძოლო მანქანებიდან აკუმულატორები უნდა ამოიღონ და მათი დატენვა სპეციალურ საკუმულატორო ოთახში უნდა მოხდეს. სხვათა შორის, ასეთი საკუმულატორო ოთახი თევზაძის მინისტრობის დროს დიდი ზარ-ზეიმით გახსნეს ვაზიანის ბრიგადაში ტელეკამერების თანდასწრებით. მოქმედებს თუ არა დღეს ეს საკუმულატორო ოთახი, ვერაფერს მოგახსენებთ. საბრძოლო მანქანების ყოველდღიური დაქოქვით აკუმულატორების დატენვა თავად მანქანების ძრავების რესურსის შემცირებას იწვევს, რაც დაუშვებელია.

დაბოლოს, მივადექით ყველაზე საინტერესო საკითხს, — რამ გამოიყვანა მწყობრიდან ქვეითთა საბრძოლო მანქანების ხუთი ცალი УТД-20С-1 ტიპის დიზელის ძრავა?

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ხუთი გაფუჭებული ძრავიდან ოთხი გორის ბრიგადაზე და ერთი ვაზიანზე მოდის.

„კვირის პალიტრა“ ამ საკითხზე ესაუბრა ზემოხსენებული გაერთიანებული საექსპერტო ჯგუფის ერთ-ერთ წევრს, მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს, **რომან კენკიშვილს:**

— ძრავების ზეთის სისტემაში აღმოჩნდა ფერადი და შავი ლითონების ნაფხვენები, ორგანული წარმოშობის ნადები, სხვადასხვა ზომის პოლიმერიზებული ფირფიტები და ძაფისმაგვარი ჩანართები. ეს უკანასკნელი არ შეიძლება წარმოქმნილიყო ძრავის მუშაობის შედეგად, იგი შეტანილია ზეთთან ერთად. რაც შეეხება ორგანული ნადების წარმოქმნის წყაროს, შესაძლოა, იგი ზეთის სისტემის ავზებისა და არხების შიდამოცულობათა ზედაპირები იყოს. როგორც ცნობილია, ზეთებს აქვს თვისება ე. წ. „დაბერებისა“, რომლის დროსაც მათი ფიზიკურ-ქიმიური და საექსპლუატაციო თვისებები მკვეთრად იცვლება. გაზრდილ ტემპერატურაზე ჟანგბადის მოქმედებით, რომელიც მუდმივ კავშირშია ზეთთან, ხდება დაჟანგვა და ზეთის მოლეკულების პოლიმერიზაცია, ასევე, ზეთის კოაგულაცია და მისი დაგროვება მიწოდების სისტემაში. ლითონის ნაწილაკები წარმოიქმნება ზედაპირებს შორის გაზრდილი ხახუნის შედეგად, ხოლო ორგანული ხასიათის ნადები შეიძლება მანქანების ხანგრძლივი დგომის შედეგად წარმოშობილიყო.

ექსპერტთა აზრით, ინტენსიური ექსპლუატაციის გამო ორგანული ნადები მოსწყდა ზეთის სისტემის სხვადასხვა ზედაპირს, რამაც გამოიწვია უხეში გამწმენდი ფილტრის დაბინძურება, ეს კი გახდა ზეთის წნევის დაცემის მიზეზი. ამას მოჰყვა სუფთა წმენდის ფილტრის პარალიზება და შესაბამისად, დაიწყო „ზეთის შიმშილი“ ძრავაში. შედეგად გაიზარდა ხახუნი ზედაპირებს შორის, რამაც დამატებით გამოიწვია ლითონის ნაფხვენების წარმოშობა ზეთში. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს პროცესი ფარულად მიმდინარეობდა.

გორისა და ვაზიანის ბრიგადების კუთვნილ БМП-2-ში დაზიანების პროცესი პრაქტიკულად შეწყვეტილია, ქუთაისში კი კვლავ მიმდინარეობს და იქ განთავსებული ქვეითთა საბრძოლო მანქანების შემდგომი ექსპლუატაციისას არსებობს მათი ძრავების მწყობრიდან გამოსვლის საშიშროება.

„კვირის პალიტრა“ საექსპერტო დასკვნის კომენტირების მიზნით საპყრობილეში დაუკავშირდა პოლკოვნიკ **მამუკა ლომსაძეს**, რომელიც პოლკოვნიკ ნატროშვილთან და ვიცე-პოლკოვნიკ ბუქვაიძესთან ერთად მეოთხე თვეა აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარ პატიმრობაში იმყოფება БМП-ების ყბადაღებული საქმის გამო:

— ექსპერტიზის რიგ დასკვნებს არ ვეთანხმები, თუნდაც იმას, რომ იგი არასრული მოცულობით ჩატარდა. არ გაიხსნა დალუქული აგრეგატები და დეტალები, კერძოდ, ძრავები, გადაცემათა კოლოფები და რადიოსადგურები. ამასთან, არ არის მითითებული, რომ ზოგიერთ БМП-2-ზე დაირღვა ექსპლუატაციის წესები. მაგალითად, ძრავის მუშაობის 29 მოტოსაათი 725 კმ-ის გავლას შეეფარდება, მაშინ, როდესაც წლიური ნორმა მხოლოდ 300 კმ-ია. მაგრამ ამასთანავე ექსპერტიზამ გაარკვია საკითხები, რომლებიც ჩვენს უდანაშაულობაზე მეტყველებს. მაგალითად, დასკვნაში მითითებულია, რომ ზეთში აღმოჩენილი ძაფისებრი ჩანართები მხოლოდ გარედან შეიძლება მოხვედრილიყო ზეთის სისტემაში, ორფოლოში ზეთები ყველა მანქანაზე შეცვალეს, ეს იმაზე მიუთითებს, რომ ზეთები ჭუჭყიანი იყო ან შეიცვალა ისეთ პირობებში, რომ სხვადასხვა სახის ნივთიერება მოხვდა მასში. ზეთებში აღმოჩენილი ორგანული მინარევები წარმოქმნილია ზეთების „დაბერების“ შედეგად, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში ჩამოტანის შემდეგ ქვეითთა საბრძოლო მანქანები ძრავების კონსერვაციის გარეშე ხანგრძლივი დროის მანძილზე იდგნენ უმოძრაოდ სამხედრო ნაწილების ტერიტორიაზე. ზეთის ანალიზის დასკვნაში ისიც წერია, რომ ზეთებში არსებული ცვლილებები დამახასიათებელია ნამუშევარი ზეთებისთვის, ე. ი. შესაძლოა, მანქანებში ჩაისხა უკვე ნამუშევარი ზეთები.

საექსპერტო დასკვნა მაინც ვერ სცემს საბოლოო ამომწურავ პასუხს მთავარ კითხვას: — რამ გააფუჭა ქვეითთა საბრძოლო მანქანების ძრავები — დაუდევრობამ მათი არჩევის დროს უკრაინაში (თუმცა ექსპერტიზის დასკვნით, ზეთების „დაბერების“ პროცესი ფარულად მიმდინარეობს და ის უკრაინაშიც რომ ჰქონოდა БМП-ებს, იქ ქართველი სამხედროები ვერანაირად ვერ შეამჩნევდნენ), თუ არასწორმა ექსპლუატაციამ საქართველოში.

„კვირის პალიტრა“ კვლავ აგრძელებს ჟურნალისტურ გამოძიებას „БМП-ების საქმესთან“ დაკავშირებით, რადგან არავის აქვს უფლება, მოსახლეობის ფულით უვარგისი საბრძოლო ტექნიკა შეიძინოს ან ადგილზე არასწორი ექსპლუატაციით გამოიყვანოს მწყობრიდან.

სამწუხაროდ, არსებობს ინფორმაცია, რომ შემდგომ პერიოდში საზღვარგარეთ შეძენილი საბრძოლო ტექნიკის, შეიარაღებისა და აღჭურვილობის რიგ ნიმუშებსაც აღმოაჩნდა სერიოზული ტექნიკური წუნი. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ „БМП-ების საქმე“ ვერ გახდა სათანადო გაკვეთილი.

*რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

არ გამოგრჩეთ!

სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი




ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

# ოთხმოცი მძევალი ქმრის სისხლის სანაცვლოდ



შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო, მაგრამ გობრონიძეებთან კიდევ არ ჩაექროთ კერია. მოხუცი მამამთილი ამაოდ უჩიჩინებდა ახალგაზრდა რძალს:

— დაწექი, შვილო, დეიძინე, მოვა, აბა, სად წავა, ისე კი შენი არ იყოს, არც მე მომწონს მაგ ბიჭის პარტიულობა, მაგრამ გეივსო ეს ქვეყანა პარტიულებით და ეგეც ხომ უნდა შეკედლებოდა ვილაცას. კარგი იყო, იარაღი არ მენახა მაგათ ხელში, მაგრამ გუშინ კარაბინებით რომ ჩამოიარეს, გლახათ მენიშნა მაი ამბავი, — დაწყნარების ნაცვლად უფრო ააფორიაქა ისედაც შეშინებული ანგელინა ლადიკომ.

— ამბობენ, იარაღს მოწინავეებს აძლევენო. კარაბინი მინდა ახლა მე? — მოხუცმა დაამთქნარა, საწოლში გვერდი იცვალა და იმწამსვე ფშვინვა ამოუშვა. ის იყო, ანგელინამაც ჩათვლიმა, მაგრამ ძაღლის ყეფამ გამოაფხიზლა. სახლისკენ მომავალ ამბაკოს ასე უყეფდა ხოლმე მეზობლის მურია. ქალი ფანჯარას მიაწყდა, გამოაღო და...

— რომელი ხარ? — სიბნელიდან მოესმა ამბაკოს შეშფოთებული ხმა.

— პორფილე ვარ მე, — გაეპასუხა ვილაც სიბნელიდან, — და იცის ღმერთმა, არაფერი მაქვს შენთან გასაყოფი, მაგრამ პარტიის მოღალატეს ვერ დავინდობ. ქურდულად ვერ გესროდი, ასე კი... — ტყვიამ და ქალმა ერთად იწივლეს სიბნელეში. დაფეთებული მეზობლები საცვლების ამარა გამორბოდნენ ორღობეებში. რა იცოდნენ, რომ სოციალ-დემოკრატები კიდევ ბევრ ცოდვას დაატრიალებდნენ ქვეყანაში. ამბაკო მათი პირველი მსხვერპლი იყო.

— აი საქმე თუ პორფილემ ჩეიდინა, მაშინ არ ყოფილა ცხონებული მთლად მართალი კაცი. პორფილე სხვას არ აპატიებს უსამართლობას და თვითონ იზამდა ამას? — მჭედელი ანთიმოზა ისე, სასხვათაშორისოდ ლაპარაკობდა. კაცი იფიქრებდა, თავის თავს ელაპარაკებაო.

— ჰოდა, იმ სულწაწყმედილ გერონტიეს შეუცდენია ბიჭი. პორფილეს ხომ ჭკუა ეკეტებოდა იარაღის დანახვაზე. გერონტია სულწაწყმედილს უთქვამს, კარაბინს მოგცემ, თუ ჩვენი პარტიის ერთ მტერს მაინც მოკლავო და ამბაკოსკენ გოუშვერია ხელი. რა იცოდა პორფილემ, გერონტიე თუ ამბაკოს ახალშერთულ ანგელინას უბრიალებდა თვალებს. ამანაც თავი გამოიდო, პარტიის მოღალატეს როგორ დავზოგავო და ქე გამოუყვანა წირვა იმ უბედურს. ახლა გოუგია, რომ უდანაშაულო კაცი მოაკვლევინა გერონტიამ და მას დასდევს მოსაკლავად, — სიტყვა წააშველა ურმის კოფოზე შემომჯდარმა ექვთიმემ.

— დავლუპულვართ და ეგაა. თავი კაცი თუ მოკლეს, ვინღა დააქუხებს სოციალისტური რევოლუციის ზარბაზანს? არადა პორფილე სიტყვის კაცია. უეჭველი იზამს მაგ საქმეს, — დაასკვნა ანთიმოზამ.

მართლაც შეასრულა სიტყვა პორფილემ, ჟუჟის ხეობაში ჩაცხრილა გერონტიე მამაძაღლი და აბრაგად გავიდა, მაგრამ უკადრებელი ერთხელაც არ უკადრია. ერთი-ორჯერ საფოსტო ეტლი გაძარცვა და ალაფის ნახევარზე მეტი გაჭირვებულებს დაურიგა. ახლა დიდი და პატარა მის ქებაში იყო და კანტიკუნტად თუღა გაიხსენებდა ვინმე უდანაშაულო ამბაკოს მკვლელობას და იქვე დაამატებდნენ, იმ სულწაწყმედილის, გერონტიეს ბრალი იყოო ეგ ამბავი.

დრო მკურნალიაო, უთქვამთ, მაგრამ არც მთლად ასე ყოფილა საქმე. მერე და მერე მაინც გაუტყდა პორფილეს სახელი. ჯერ ერთ შეძლებულ გლეხს შეაწერა ფული, მერე მეორეს, მესამეს და გაუტკბა იოლად ნაშოვნი ფული. სოფლებში პოლიცია და ჟანდარმერია დაძრწოდა, მაგრამ პორფილეს რომ ვერ იჭერდნენ, ისევ მოსახლეობაზე იყრიდნენ ჯავრს.

ერთ დილით ჩოჩხათელმა, გაგურულებულმა ხვიჩიებმა მეზობლებზე ცოტა მეტი მჭადი და ლობიო რომ ჰქონდათ, წერილი ნახეს აივანზე. „დღეისწორ ხუთშაბათს ხორეთმოედნის განაპირას, ინწკირველების მიტოვებულ სასიმინდეში ას მანეთს დატოვებთ, ან დედაბუდიანად სიცოცხლეს დაემშვიდობეთ. პორფილე". სად ჰქონდათ ხვიჩიებს ამდენი ფული, მაგრამ დაშინებულებმა ნახევარი გურია შემოიარეს და დათქმულ დღეს ადგილზე მიიტანეს თანხა. ორმა ძმამ, ხვიჩიებმა, ცნობისმოყვარეობას ველარ სძლიეს და სასიმინდის გვერდით, საბძელს შეაფარეს თავი. პორფილეს დანახვა ენადათ, მაგრამ იმ ღამეში რას გაარჩევდნენ. თუმცა სახე ვერა, მაგრამ დაღამდა თუ არა, სასიმინდესთან ნახევრად მორღვეულ ღობეს რომ გოლიათი გადმოევლო და ძლივს შეეტია სასიმინდეში, დაინახეს. ძმებს ერთი სული ჰქონდათ, იქაურობას გასცლოდნენ, მაგრამ პორფილეს წასვლამდე გარეთ გამოსვლას როგორ გაბედავენ.

— რა ქნა, ჩაეძინა თუ რა დაემართა ამ კაცობიდან გადავარდნილს. ისეა გაყურსული, ჩქამიც არ ისმის. უცებ მორღვეულმა ღობემ გაიტკაცუნა.

— ეს ვიღაა? — ერთდროულად გაიფიქრეს ძმებმა.

ამასობაში უცნობმა ეზო გადაჭრა, სასიმინდეში შეაბიჯა, ასანთი გაკრა და იატაკზე ფულის ძებნას შეუდგა.

— ეგ სანთელი სახეზე მიინათე, ერთი შეგხედო, ვინა ხარ! — გაისმა მის უკან. უცნობმა პორფილეს ხმა იცნო და აცახცახებული მუხლებზე დაემხო.

— არ მომკლა, პორფილე, ნათლიმამები ვართ ჩვენ. შენი ძმისშვილის, ზურიეს ნათლია იყო მამაჩემი გერვასი. მეც მიცნობდე იქნება, მარა იმდენი ხანია არ გინახავვარ, დაგავიწყდებოდი, ალბათ. ბიკენტიე ვარ მე.

— ნეტა არც ახლა მენახე, შე მათხოვარო. ამ საქურდალში ნათელ-მირონს ან გარდაცვლილ მამაშენს როგორ ახსენებ, შე არაკაცო? ჯერ ქურდობა რა საკადრისია და ისიც სხვისი სახელით? ანდა რაღა მე ამომირჩიე, სხვას თავი დავანებოთ და, ან ტანით მგავდე, ან ფეხით. ნახევარ გურიაში თავი მომჭერი, ჩემი სახელით მამაძაღლობ და ახლა გაგახსენდა ნათელ-მირონები რომ ვყოფილვართ? — ამ სიტყვებზე ისეთი შემოსცხო გერვასიას უხეირო ყაზილარს, რომ ის უბედური თავით შეასკდა სასიმინდის დაფხავებულ კედელს, გაანგრია და ეზოში მოადინა ზღართანი. პორფილეც მიჰყვა და ფერდში ისე გამეტებით ამოსცხო წიხლი, რომ დანაგაყრილი ღორივით დაიხრიალა მსხვერპლმა. გულზე მოსულმა ძმებმა თავი ველარ შეიმაგრეს, საბძელიდან გამოცვივდნენ და ერთხმად იყვირეს:

— ღმერთმა გაგახაროს, პორფილე სარიშვილო, კაციც ყოფილხარ და ქუდიც გხურებია. ნუ მოკლავ მაგ უბედურს, თავისი სიგლახეც ეყოფა. ხვალვე მთელ გურიას მოვდებთ ამ ამბავს და ვნახავთ, როგორ გამოვა გარეთ. გაგახარებს ღმერთი, ხომ ამოგვყარე მაგის ჯავრი. კი ვფიქრობდით, რომ ვიღაც სარგებლობდა შენი სახელით, მაგრამ შუაღამეზე ამხელა გოლიათმა რომ გადმოაბიჯე ღობეს, კი დავიჯერეთ, მართლა პორფილე ყოფილა ჩვენი ამომგდები-თქვა.

პორფილემ ზიზღით დახედა მის ფეხებთან მოფართხალე კაცს და ბრძანების კილოთი გამოცრა:

— ეგ ფული ბიჭებს დაუბრუნე და აქაურობას გაეცალე. თუ ერთხელ კიდევ გიხსენებია ჩემი სახელი, იცოდე, ველარაფერი გიხსნის.

დიდი ხანია ასე არაფერი გახარებიათ გურულებს. აქამდე თუ იმას დარდობდნენ, აბრაგი გვაწიოკებსო, ახლა ერთმანეთს ალარ აცლიდნენ ჩაგრულთა მოსარჩლე პორფილეს ქებას. რა დასამალია და, ბევრი რამ გაზვიადებული იყო, მაგრამ რაკი ძალიან უნდოდათ, რომ ასე ყოფილიყო, იჯერებდნენ კიდეც.

— გვიანი კია, მაგრამ გვეცით პატივი, პორფილე ბატონო და გვეწვიეთ ოჯახში. ძალიან გაგვახარებთ, — შეჰბედეს ძმებმა.

— არ უნდა იყოს ეგ ცუდი აზრი. ცოტა მომშეულიც ვარ და... მაგრამ მარტო რომ არა ვარ?

გაკვირვებულმა ძმებმა ერთმანეთს გადახედეს. ხუმრობად ჩათვალეს პორფილეს ნათქვამი.

— მერე რა, მით უკეთესი, ვინც გნებავთ, ის წამოიყვანეთ, — არ დაიბნა უფროსი ძმა.

— მაგრე იყოს... — ჩაილაპარაკა პორფილემ, ხევისკენ შებრუნდა და უცნობს დაუსტვინა. ეს სტვენა კი არა, უფრო ჭოტის კივილი იყო. ცოტაც და, სიბნელიდან ვიღაც უცნობი ცხენოსანი გამოვიდა, რომელსაც სადავით მოჰყავდა მეორე ცხენი. ჩანს, ისიც აბრაგი უნდა ყოფილიყო. პორფილემ ძმებს გადახედა და სიბნელეს გასძახა, — წავედით, აბა.

ხვიჩიებს არ ეძინათ, — აქეთ ნასესხები ასი მანეთის, იქით ბიჭების დაგვიანების გამო. საქმის ასე წალმა შემობრუნება რომ შეიტყვეს, ფეხზე დადგა მრავალსულიანი ოჯახი. აქეთ ხბო დაკლეს, იქით — დედლები, კეცებიდან წამოყარეს ხაჭაპურები, ჩაფით ჩამოდგეს ადესა და ლხინიც გაჩაღდა და, ალბათ, დილამდე გაგრძელდებოდა, მაგრამ პორფილეს თანამგზავრს ღვინო რომ მოეკიდა, მასპინძლის რძლისკენ გაექცა თვალი. პორფილემ იფიქრა, თავს მომჭრისო და წასვლა დააჩქარა. განაწყენებული თანამგზავრი ბურტყუნით მიჰყვებოდა უკან.

— მარტო კაცი ქამაშიაც ცოდნა-თქვა და ვიფიქრე, ვინმე ჩემნაირს შევუამხანაგდები-მეთქი. მთელი ზაფხული ერთად ვართ მე და შენ ტყეში და არანაირი ნაკლი არ შემინიშნავს. ამ საღამოს კი ისე ხარბად მიშტერებოდი ჩვენი მასპინძლის ცოლს, ქმარმა რომ შეგამჩნია, მე გავწითლდი შენს მაგივრად. არ ყოფილხარ ოჯახში შესაშვები კაცი, გრამიტონ გობეჩია. ჰოდა, ვერ ვიცხოვრებ მე ამგვარ კაცთან. აჯობებს შენი გზით წახვიდე და კარგი იქნება, თუ არსად შევეყრებით ერთმანეთს, — ეს უთხრა და პასუხსაც არ დაელოდა, ისე განაგრძო გზა.

— ვისთვის გამოიდე თავი, იმ ძუკნა დედაკაცისთვის? შენი წიხლი დამკარ, პორფილე სარიშვილო, პირველი შეხვედრისთანავე თუ ტყვია არ დაგახალო შუბლში.

— ის შეაშინე, ვინც აქამდე შეგიშინებია, — უკანმიუხედავად მიაძახა და იქაურობას გასცილდა. არადა აბრაგი გობეჩია პორფილესთან შედარებით ტანმორჩილი კი იყო, მაგრამ მეტად უშიშარი და უტეხი, არც მეგობრობაში სჩვეოდა ღალატი, მაგრამ...

— კაცი ბოლომდე ვერ მიცნიაო, — ჯავრობდა მერე პორფილე და ცდილობდა, არსად შეჰყროდა ნაამხანაგარს. შეხვედრა კი მაინც შედგა.

ეს ოზურგეთის ცენტრში მოხდა, ცხრაასჩვიდმეტში და ისეთი ორმხრივი სროლა გახურდა, ხალხმა საწოლების ქვეშ შეყარა ბავშვები, ასე უფრო დავიცავთ ბრმა ტყვიისგანო. ბედად არავინ დაშავებულა. მათ შორის არც აბრაგები. სექტემბერი იყო მაშინ, ოქტომბერში კი დიდი რევოლუცია მოხდა რუსეთში, მაგრამ ვიდრე ეს ამბავი საქართველომდე მოაღწევდა, გრამიტონ გობეჩია სუფსის პირას ჩაცხრილეს. პორფილემ იცოდა, სწორედ იქ, გრამიტონას გასვენებაში ჩაუსაფრდებოდა მთავრობის ხალხი აბრაგებს, მაგრამ სამძიმარზე მაინც მივიდა. იქვე დაიჭირეს, წინააღმდეგობის გაწევა არც უცდია. იცოდა, ამით შეურაცხყოფას მიაყენებდა მგლოვიარე ოჯახს, მაგრამ ნაღომილევს რომ გასცდა ბადრაგის მონჯღრეული ფაეტონი, პორფილემ უროს სიმსხო, დაბორკილი ხელები ჯერ ერთ პოლიციელს შემოსცხო, შემდეგ მეორეს და ჭახვათის ხიდიდან გადაყარა ორივე. მერე თვითონაც გადახტა და ღელე-ღელე, ჭალბარდებში მთელი ექვსი ვერსი იარა ჭონჭკათამდე, სადაც ცოლ-შვილი ეგულებოდა. ბორკილები იქაურმა მჭედელმა შეაჭრა. სამი დღე კი ეკლებს აძრობდნენ სხეულიდანო, ამბობდნენ მოგვიანებით ცოლოურის მეზობლები. მერე რუსები წავიდნენ და მენშევიკებმა ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. მთავრობამ ბევრი აბრაგი, მათ შორის, პორფილეც შემოირიგა და მანაც მოიკიდა ოჯახში ფეხი. ხნავდა და თესავდა და ნათესავ-მეგობრებს ეხმარებოდა, მაგრამ ოცდაერთში ისევ აირია ყველაფერი. რუსები ისევ დაბრუნდნენ. ამჯერადაც ცეცხლითა და მახვილით, ოღონდ მეფის კი არა, კომუნისტების სახით. ამის გამო კი მოსახლეობაში მღელვარება დაიწყო (ბევრმა აიღო იარაღი ახალი რეჟიმის წინააღმდეგ). თავისიანებს თანაუგრძნობდა პორფილეც, ოღონდ სიტყვით, საქმით კი არაფერი გაუკეთებია, — მეყოფა აბრაგობა, ახლა წვრილშვილი მყავს მისახედი და ნუ დამემდურებითო, გამოუცხადა თავისიანებს. არადა გული უკვდებოდა, რუსული სადამსჯელო ექსპედიციის თავკაცს, ვინმე ობოლაძეს აწიოკებული რომ ჰყავდა მთელი გურია. დღე არ გავიდოდა, ობოლაძის ხალხს ვინმე არ მოეკლა, ვინმესთვის სახლი არ გადაეწვა. მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი და რამდენიმე კაცმა ობოლაძის მოკვლა გადაწყვიტა.

— მერე ვინ რას იხეირებს მაგით? აქამდე თუ დღეში ერთ-ორ კაცს კლავენ, მერე ხუთი და ათი არ ეყოფათ. თუ გგონიათ, მეორე ობოლაძეს ველარ იშოვიან, გამყიდველებითაა სავსე საქართველო და იმიტომაცაა, მეორედ რომ დაგვიპყრო რუსეთმა. ნუ იზამთ მაგას, ბიჭებო, თორემ საწყალებლად გაგვიხდება საქმე, — აშოშმინებდა ხალხს პორფილე, მაგრამ გოგია ღლონტმა ბომბი შეუგდო ფაეტონში ობოლაძეს და მას მარჯვენა ხელთან, სანიკიძესთან ერთად ააფეთქა კვაჭალათში, ლიხაურთან ახლოს. იმ დღიდან დაიწყო მეორედ მოსვლა. ობოლაძის ცოლმა ქმრის სისხლის სანაცვლოდ ოთხმოცი კაცის დახვრეტა მოითხოვა. იმ დღეს პორფილე ნათლულის, ლადიკო სარიშვილის ქორწილის სამზადისში იყო. ახლა რა აქვს და მაშინ რა ექნებოდა გურულ გლეხს. პორფილეს ვეებერთელა გოდორი აეკიდებინა და სუფრისთვის მეზობლებში ჭურჭელს აგროვებდა. ორღობეში მილიციელები შემოეყარნენ:

— პორფილეს ვეძებთ, სარიშვილს.

— მე გახლავართ.

— ახლავე ჩამოდგი ეგ გოდორი და გამოგვყევი, — უბრძანა ერთ-ერთმა.

— რომ არ წამოვიდე? — იკითხა პორფილემ.

— მაშინ სულ დაილეწება, რაც მაგ გოდორში ჭურჭელია. წაყვანით კი მაინც წაგიყვანთ, — შეუბღვირა მეორე მილიციელმა.

— ეგ მართალია. ჭურჭელი მართლა დაილეწება და სადა აქვთ ამ უბედურებს ამის გადახდის თავი, თორემ იმასაც ენახავდი, როგორ წამიყვანდით...

— მერამდენეა? — იკითხა ვიღაცამ ოზურგეთის მილიციაში.

— ორმოცდამეერთე, — იყო პასუხი.

— ჯანდაბას ამათი თავი, სად გინდა მოაგროვო კიდევ ოცდაათი კაცი? — იკითხა იმავე ხმამ. პორფილე მიხვდა, რაზეც იყო ლაპარაკი. იცოდა ობოლაძის ქვრივის მოთხოვნის ამბავი, მაგრამ ქვრივმაც ხომ იცოდა, როგორ გადაარჩინა სიკვდილს მისი ქმარი პორფილემ იმ წელს. ამიტომ მის აქ მოყვანას გაუგებრობად თვლიდა და ფიქრობდა, დღეს თუ არა, ხვალ გამიშვებენო. მეტიც, არც ის სჯეროდა, რომ მართლა ოთხმოცი კაცის შეგროვებას აპირებდნენ, რომ მერე ობოლაძის ქვრივის საამებლად დაეხვრიტათ, მაგრამ, როცა რამდენიმე დღის შემდეგ ეზოდან იყვირეს, — მეოთხმოცეც მოვიყვანეთო, გულმა რეჩხი უყო...

თან იმ დღეს კი ვიღაცამ ამბავი მოიტანა, — შორაპანში, ჩაკეტილ ვაგონში ოთხმოცამდე კაცი დაუცხრილავთო და მიუხედავად ამისა, რომ საკმაოდ ცხელოდა, თითქოს სიცივემ დაისადგურა საკნებში. ნაშუაღამევს დიდი ხორხოცი ატყდა შენობის უკანა ეზოში და მალე დაკავებულებს გამოუცხადეს, რომ ბათუმის ციხეში უპირებდნენ გადაყვანას.

— მწყობრიდან მარჯვნივ ან მარცხნივ ერთი ნაბიჯი ადგილზევე დახვრეტით ისჯება, გასაგებია? — იკითხა მილიციელთა შორის უფროსმა. ხმა არავის ამოუღია. ახლა ოთხმოცივე ბორკილდადებულის საფიქრალი მხოლოდ ერთ აზრს უტრიალებდა, — მართლა ციხეში გადიყვანდნენ თუ დახვრეტდნენ და რაკი კაცი მაინც იმედით ცოცხლობს, დახვრეტისა მაინც არ სჯეროდათ. ამიტომაც იყო, პროტესტი რომ არავის გამოუხატავს და ცხვრებივით გაუყვნენ გზას.

შუაღამე გადასული იქნებოდა, ოზურგეთი რომ უკან მოიტოვეს. მალე ჩაათავეს გურიანთა და მერიას რომ უწიეს, ცისკრის სხივმა შეაფერმკრთალა აღმოსავლეთი. ვიღაცამ განკარგულება გასცა, მოკლეზე გადავიდეთ, თორემ ასე გზა გაგვიგრძელდებაო და მდინარისკენ გადაუხვიეს.

— ეს რაა, ახალთახალ მიწაყრილზე მივდივართ, ვის გაუგონია აგვისტოში ბარვა, — შეიცხადა პორფილეს გვერდით მიმავალმა ერთმა ასკანელმა.

— არა, ეს ნაბარავი არაა, სხვა რამეშია საქმე, — უპასუხა პორფილემ. მერე ხელბორკილზე დაიხედა და მწარედ ინანა, ასე ბოჩოლასავით რომ გამოჰყვა ამ გარეწრებს სასაკლაოზე. ცოტაც და, გაისმა ბრძანება: — შეჩერდით და მარჯვნივ მოტრიალდით, — დაკავებულთა უმრავლესობა ამ შეძახილს დაემორჩილა და შემობრუნდა. იგრიალა ტყეში წინასწარ ჩასაფრებულ მილიციელთა ბერდენებმა და ოთხმოცივე კაცი მოცელილივით დაეცა მიწაყრილზე, რომლის იქით ღრმა ორმოს დაეღო პირი. მკვლელებმა გათენებამდე შეიცადეს, მერე კარგად გადაათვალიერეს ბრძოლის ველი და ის იყო, გაბრუნებას აპირებდნენ, რომ მათ რიგებს ერთი გამოეყო და პირველაღმომჩენის სიამაყით გამოაცხადა: თქვენ გგონიათ ყველა მკვდარია? ახლავე დაგიმტკიცებთო, და დახოცილებს სათითაოდ დაახალა ტყვიები კეფაში, თუმცა ერთი მათგანიც არ შერხეულა, მაგრამ ბოლოში რომ გავიდა, ვიღაცის მინავლული ხმა შემოესმა:

— ნუ იზამ, ბიკენტია მაგ საქმეს და მეც გამოგადგები.

— რომელი ხარ შენ, საიქიოდან რომ მელაპარაკები?

— პორფილე ვარ, სარიშვილი, და იცოდე, არ დაგრჩები ვალში.

— სწორედ შენ გეძებდი ამდენ მიცვალებულში და შენი დამზოგავი ვარ მე? — ყოფილმა აბრაგმა, ახლა კი გაბოლშევიკებულმა ბიკენტიამ შიგ შუბლში დაახალა ტყვია მხარში დაჭრილ პორფილეს და ერთ დროს სასიმინდეში მწარედ დამარცხებული გამარჯვებული იერით გამობრუნდა უკან მისი ვაჟკაცობის შემყურე მკვლელებთან, რომლებიც ამ გარეწართან შედარებით ახლა ანგელოზები იყვნენ.

ვაჟა გავაშელი

# მოიპარავენ თუ არა ორიგინალურ იდეებს?!

## შალვა რამიშვილი ციხეშიც ბიზნესზე ფიქრობს



**ამ ეტაპზე საქართველოში „60 წუთი" არავის აინტერესებს**

**ორიგინალური იდეის მოპარვას ვერავინ გაბედავს, ჩვეულებრივი იდეა კი ერთსა და იმავე დროს შეიძლება ერთმანეთისთვის უცნობ ადამიანებს ერთდროულად გაუჩნდეთ. სხვათა შორის, ორიგინალური იდეები თითზე ჩამოსათვლელია. ძირითადად საცხობის გაკეთებაზე, ჩურჩხელების ექსპორტზე, ძროხის ყიდვაზე და ა.შ. გვწერენ.**

ქართველი მაყურებელი ახალი შოუსთვის ემზადება, — თებერვალში ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ის ეთერში გავა შოუ „იდეა, ფული და ერთი შანსი", სადაც ავტორები ცნობილი ბიზნესმენების დარწმუნებას შეეცდებიან თავიანთი იდეების მომგებიანობაში, რათა ბიზნესის დასაწყებად დაფინანსება მიიღონ. როგორც ამბობენ, აკაკი გოგიჩაიშვილის ახალ პროექტში მონაწილეობისაგან ბევრმა თავი იმიტომ შეიკავა, რომ იდეების მოპარვის შეეშინდა.

პროექტის ავტორი იმედოვნებს, რომ ახალი რეალური შოუ დღეგრძელი აღმოჩნდება. როგორც ჩანს, გოგიჩაიშვილის პროექტის წარმატებისა პატიმარ ჟურნალისტს, შალვა რამიშვილსაც სჯერა, რომელსაც საკონკურსოდ თავისი იდეაც გაუგზავნია. ციხიდან „გამოფრენილი" იდეისა და საერთო პროექტის შესახებ **აკაკი გოგიჩაიშვილი** გვესაუბრა:

— ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნების შემდეგ „60 წუთის" გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. პროექტი უპერსპექტივო იყო, მისით არც ერთი ტელევიზია არ დაინტერესდა. ყველგან მპასუხობდნენ, ამ ეტაპზე „60 წუთის" ტიპის გადაცემები მომგებიანი არ არისო. მართალია, მომგებიანი არ არის, მაგრამ დიდ ზეგავლენას ახდენს ტელევიზიის რეიტინგსა და პრესტიჟზე. თუ ამ ორი ფაქტორის გამოც არ აინტერესებთ ტელევიზიებს ასეთი პროექტი, ბუნებრივია, მის განხორციელებაზეც უარს იტყვიან. ეს გასაკვირი არ არის, რადგან საგამოძიებო ჟურნალისტიკა სახელმწიფო სტრუქტურებში დარღვევების აღმოჩენაზე არის ორიენტირებული, რაც ხელისუფლების უკმაყოფილებას, დაპირისპირებასა და ტელევიზიაზე ზეწოლის მცდელობას იწვევს. მოკლედ, რახან საქართველოში „60 წუთი" არავის აინტერესებს, მეც გადავწყვიტე სხვა სახის პროექტი გამეკეთებინა. რადგან მთელ მსოფლიოშია პოპულარული რეალური შოუ, არჩევანი სწორედ ამ ფორმატზე შევაჩერე. თუმცა საკმაოდ გამიჭირდა ტელევიზიის ხელმძღვანელობისგან თანხმობის მიღება. საქართველოში კომერციული ტელევიზიები ეჭვით უყურებენ ისეთ პროექტებს, რომლებიც ცნობილ, უცხოურ ტელევიზიებში ადაპტირებული არ არის.

ძალიან ბევრი ვიფიქრე, რამდენიმე ვარიანტი მქონდა. ბოლოს არჩევანი შევაჩერე პროექტზე, რომლის შექმნისკენაც ჩვენმა სინამდვილემ მიბიძგა. ხელმოკლე კაცი, რომელსაც 100 ათას დოლარს მისცემ, არ გაიქცევა და ამ თანხას ძვირფას ავტომობილში არ დახარჯავს. ყველა ცდილობს რაღაც საქმეში დააბანდოს ფული და ამის შემდეგ იყიდოს ავტომობილი, ოღონდ დაბალფასიანი. ძალიან ბევრ მოქალაქეს უნდა საქმის გაკეთება, მაგრამ ხშირად არ იციან, როგორ და რით დაიწყონ. ზოგიერთმა ჩემმა ახლობელმა ბანკიდან ფული გამოიტანა, სახლი დააგირავა და იმის გამო, რომ მენეჯმენტის არაფერი გაეგებოდა და ბაზრის ელემენტარულ კანონებს არ იცნობდა, უსახლკაროდ დარჩა. ამიტომ გადავწყვიტე, სატელევიზიო პროექტად საქმის კეთების თემა გადამექცია. იდეა ნიკა ტაბატაძემაც მოიწონა.

პროექტში მონაწილეობას ვთავაზობთ იმ მოქალაქეებს, რომელთაც არა აქვთ ფული, არც იმის შანსი, რომ ბანკიდან კრედიტი გამოიტანონ, მაგრამ აქვთ იდეა. ის ბიზნესმენები კი, რომელთაც მეცენატობა და თავიანთი საქმიანობის რეკლამირება სურთ, მათ საქმის წამოწყებაში დაეხმარებიან.

**— ბიზნესმენების დაყოლიება არ გაგიჭირდათ? ბევრი ეჭვობს, რომ ბიზნესმენი ვინმეს უანგაროდ დაეხმარება.**

— ბიზნესმენთა მზადყოფნამ გამაოცა. თავიდან 15 მსხვილი ბიზნესმენის სია შევადგინე. პირველ ხუთთან რომ მივედი, დანარჩენებთან მისვლა აღარც დამჭირდა. ბიზნესმენებისთვის ისიც არის ხელსაყრელი, რომ პროექტის ეთერში გასვლამდე მათ კარგი რეკლამა უკეთდებათ.

ყველაზე მეტად ბენდუქიძის უარის მეშინოდა. ხანგრძლივი სატელეფონო მოლაპარაკების შემდეგ სალამო ხანს, გვიან მოიცალა ჩვენთვის. მე და ნინო ზურიაშვილი მივედით, თვალდახუჭული გვისმენდა. თითქოს ჩვენს ლაპარაკზე რეაქცია არ ჰქონდა. იმედი გადაგვეწურა, მაგრამ სათქმელი მაინც ბოლომდე ვთქვით და გავჩერდით. გაახილა თვალები და გვითხრა, — თანახმა ვარ, ძალიან საჭირო და მნიშვნელოვანი იდეააო.

**— რამდენად იქნებიან დაცული პროექტის მონაწილეები მათი იდეების მითვისებისაგან? სხვათა შორის, ეჭვობენ, რომ შესაძლოა კარგი პროექტები შეგნებულად დაიწუნონ და შემდეგ...**

— დაცული იქნებიან იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. პროექტების გადარჩევა შემდეგნაირად ხდება: პროექტები ორი ბანკის სამ წარმომადგენელს ეგზავნება. ისინი გაეცნობიან, ქულებს დაუწერენ და ისევ მე გამომიგზავნიან. ბუნებრივია, კონკურსში მონაწილეობას მაღალქულიანი მიიღებს, დაბალქულიანი კი — არა. სულ ასი პროექტი მოგროვდება. ლაპარაკი იმაზე, რომ კარგ იდეებს ვინმე შეგნებულად დაიწუნებს, საფუძველს მოკლებულია. ვინ მოიპარავს იდეას, ვინც მას არჩევს? ორიგინალური იდეის მოპარვას ვერავინ გაბედავს, ჩვეულებრივი იდეა კი ერთსა და იმავე დროს შეიძლება ერთმანეთისთვის უცნობ ადამიანებს ერთდროულად გაუჩნდეთ. სხვათა შორის, ორიგინალური იდეები თითზე ჩამოსათვლელია. ძირითადად საცხობის გაკეთებაზე, ჩურჩხელების ექსპორტზე, ძროხის ყიდვაზე და ა.შ. გვწერენ. მოდიოდა გამოგონებებიც, ყველა მათგანი პატენტირებულია, შესაბამისად, სიახლეს არ წარმოადგენს.

**— თუ შესაძლებელია, გაგვიმხილეთ რომელიმე ორიგინალური იდეა.**

— არ ვიცი, რამდენად ორიგინალურია, მაგრამ ერთ-ერთმა მოქალაქემ საჰაერო ბურთებით ფრენის ბიზნესი შემოგვთავაზა. შემოვიდა ძვირად ღირებული, კარგი პროექტებიც, მაგრამ ჩვენ მცირე ბიზნესის განვითარებაზე ვამახვილებთ ყურადღებას. სამწუხაროდ, ჩვენი პროექტის ფარგლებში ვერ ჩაეტევა ქარხნების, ტურისტული კომპლექსების მშენებლობა და ა.შ. ახალ რეალურ შოუში 50-ათასლარიანი პროექტი თუ შეიძლება განხორციელდეს.

**— რამდენი პროექტი დაფინანსდება?**

— იმდენი, რამდენიც მოგვეწონება. ვიმედოვნებთ, თითოეულ ბიზნესმენს, სულ ცოტა, ორი პროექტი მაინც მოეწონება. მოგებული რჩება ის, ვინც დაფინანსდება, რადგან ახალი საქმის წამოწყებით ხალხი დასაქმდება. მოგებული რჩებიან ბიზნესმენებიც, რომლებიც იმიჯს იკეთებენ, თან ფულსაც არ კარგავენ, რადგან გაცემული თანხა ბიზნესის გამართვის შემდეგ უკან უბრუნდებათ. მოგებული რჩება მაყურებელიც, რომელიც გართობის გარდა გამოცდილებასა და რჩევებსაც იღებს ბიზნესის წამოსაწყებად. კახა ბენდუქიძის თქმით, ბიზნესში წარმატებას მოიპოვებს ის, ვინც მიხვდება, რა არის დღეს საჭირო ბაზარზე და ყველას დაასწრებს ამ საქმის გაკეთებას. რა თქმა უნდა, მერე სხვებიც იმავეს გააკეთებენ, მაგრამ თქვენ მაინც მოგებული დარჩებით. ესეც იდეის მითვისებაა, — გახსენი პურის საცხობი და მეზობელმაც იგივე გააკეთა, უჩივლებ იდეის მოპარვისთვის? თავიდან იშვიათად მოჰქონდათ პროექტები, ამიტომ რეგიონებში დავიწყე მოგზაურობა. ხალხს ვესაუბრებოდი. ბოლო ორ დღეს იმაზე მეტი პროექტი შემოვიდა, ვიდრე კონკურსის გამოცხადების პირველ დღეებში.

**— თურმე შალვა რამიშვილს გამოუგზავნია თქვენთან პროექტი. დაგირეკათ თუ წერილი მოგწერათ?**

— არა, არც დაურეკავს და არც წერილი გამოუგზავნია. პროექტი ინტერნეტით მოვიდა და ბანკში მე გადავგზავნე. ჯერ არ მოსულა პასუხი გადამრჩევლებისგან. პროექტი ეხება ციხეში პატიმრების დასაქმებას, არ გავახმაურებ, კონკრეტულად რა საქმიანობას ითვალისწინებს. ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანი იდეა და რაციონალური წინადადებაა. სხვათა შორის, მსგავსი პროექტი ყოფილმა პატიმარმა ქალმაც შემოიტანა. ის ახლა მეწარმეა და ქალთა კოლონიაში პატიმრების დასაქმების საინტერესო იდეა აქვს.

*ეკა ლომიძე*


**დარწმუნებული ხართ თქვენს იმუნიტეტში?**

ჯეოვიტი

დროული პროფილაქტიკა ამ კითხვას არ ბადებს. „იმუნეშუა" (მწარმოებელი კომპანია „შიფი"-აშშ) – ბუნებრივი და ეფექტიანი იმუნოსტიმულატორი; გააჩნია ანტივირუსული მოქმედებაც.




შემადგენლობა:
- იმუნოგლობულინი G (ინტერფერონი);
- ექინაცეა
- ასტროგალუსი
- ვიტამინი C

კომპანია „შიფის" ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „ჯეოვიტი"

მის: ილ ჭავჭავაძის გამზ. 41, აფთიაქები: თამარაშვილის 1, თამარ მეფის გამზ. 19, აღმაშენებლის გამზ. 142
ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას გამზ. 29, აფთიაქი „ციბა", ტელ: 5-13-45
სპეციალისტების ყოველდღიური კონსულტაცია
ტელ: 29-20-91; 899-10-99-20; 899-14-35-56



**PSP ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პე"**
**იწყებს განაცხადის მიღებას ქალში ფარმაცევტის ვაკანსიაზე**

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება:
- უმაღლესი ფარმაცევტული განათლება;

გამოცდილება:
- ფარმაცევტულ სფეროში (აფთიაქში) მუშაობის გამოცდილება;
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება (აუცილებელია).

აუცილებელია:
- ქართული ენის სრულყოფილად ცოდნა;
- რუსული ენის თავისუფლად ფლობა.

დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ შეავსოთ განაცხადი ჩვენს ოფისში შემდეგ მისამართზე: აღმაშენებლის გამზ. 148/III (თან უნდა იქონიოთ ერთი ფოტოსურათი და განათლების დამადასტურებელი დიპლომისა და სერთიფიკატის ასლები) ან გამოაგზავნოთ თქვენი მონაცემები ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: vacancy@psp.ge



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი იწვევს:**

I. აბიტურიენტებს, ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებლად (სრული პაკეტი);

II. გადამზადება – მეორე ახალი სპეციალობის მისაღებად (1 ან 2 წელი): *საერთაშორისო ბიზნესი, საერთაშორისო მარკეტინგი, საერთაშორისო მენეჯმენტი, საერთაშორისო ტურიზმი, ბიზნესის ადმინისტრირება, ფინანსური მენეჯმენტი, ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი, საბაჟო და საგადასახადო ბიზნესი და სხვ.*

III. მოსამზადებელ 1-2-თვიან კურსებზე: კომპიუტერი (ყველა პროგრამა), ბიზნესინგლისური, ბუღალტერია, ფინანსები, საბანკო საქმე, მენეჯმენტი, მარკეტინგი, ოფისის მენეჯერი და სხვ.

*გაიცემა უნივერსიტეტის დამთავრების შესაბამისი მოწმობა (დიპლომი ან სერტიფიკატი)*
თსუ მაღლივი კორპუსი, X სართული
☎ (822) 30 51 07; (899) 58 99 50; ფაქსი: (822) 30-89-64






მსოფლიო და ამერიკის თმის გადანერგვის ასოციაციების მიერ სერტიფიცირებული ერთადერთი კლინიკა ამიერკავკასიაში

ხელმძღვანელი პროფ. თამაზ თამაზაშვილი

- უახლესი ატრავმატული ამერიკული ტექნოლოგიები
- უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროფესორის კონსულტაცია ამერიკიდან
- თმის დაზიანებათა კომპიუტერული დიაგნოსტიკა
- გარანტირებული შედეგები
- შესაძლებელია თმის გადანერგვა ნაწიბურებში ტრავმისა და დამწვრობის შემდეგ
- კონფიდენციალურობა



თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრი
ჰეალაინ ინტერნეიშნლ
HAIRLINE International
ქავთარაძის 16 (სამკერვალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62
www.hairline.ge

საუფლო დღესასწაული

# ნათელგიღებიეს...

წმინდა მამები ამბობენ, ღმერთი მამაა ჩვენი, ხოლო ეკლესია — დედაო. იმისათვის, რომ დედაეკლესიის შვილები გავხდეთ, უნდა მივიღოთ ბეჭედი სულისწმიდისა, რომელიც ნათლობის დროს მოგვენიჭება. სწორედ ნათლობაა ერთადერთი გზა, რომლითაც ადამიანი ამყარებს კავშირს ეკლესიასთან და შესაძლებლობა ეძლევა ღვთის სასუფეველი დაიმკვიდროს.

19 იანვარს მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია სწორედ იმ საუფლო დღესასწაულს — ნათლისღებას ზეიმობს, როდესაც „მსოფლიო ემბაზში" იორდანეში ნათლის მისაღებად თვით უფალმა შეაბიჯა.

„არის ამ კუთხეში ადგილი, რომელთანაც „სხვებს ხმა არ ამოელებათ". მას იორდანე ჰქვია... ალბათ ბევრჯერ გვიფიქრია ამ წმინდა მდინარეზე, მის სიგრძე-სიგანეზე, ფერსა და შემოგარენზე, მასში ჩამდგარ იოანე ნათლისმცემელზე, უეცრად გამოჩენილ შარავანდდადგმულ ახალმოსულზე... შემდეგ, უდიდეს სასწაულზე — უფლის ნათლისღებასა და აქ გაცხადებულ წმინდა სამებაზე: „განეხუნეს ცანი, და იხილა სული ღმრთისა, გარდამომავალი, ვითარცა მტრედი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა და ხმაი იყო ზეცით... ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ"...

არა, არ არის იორდანე მოზარდიმე მდინარე... არ მოედინება გაშლილ ველზე, არც ისეა გადაჭიმული, თვალი რომ შორს გაადევნო... ფინიკითა და პალმებით შემოზღუდული ულამაზესი ზურმუხტ-ლაჟვარდისფერი იორდანე ერთი პატარა მდინარეა, მაგრამ ისეთი როლშესრულებული წყალი დგას მის კალაპოტში, რომ პლანეტის „უდიდეს" მდინარედ ქცეულა... ნათლისღების დღესასწაულზე აქ ფეხის დასადგმელ ადგილს ვერ ნახავთ, ახლა თავისუფლად ვუახლოვდებით ნაპირს, რამდენიმე კიბით ვეშვებით და კიდევ ერთხელ ვთამამდებით, ფეხით ვბედავთ შესვლას იორდანეში და იქნებ სწორედ უფლისა და ნათლისმცემლის ფეხდადგმულ ქვასაც კი ვეხებით... სანახები ხომ მაინც არის მაშინდელი... მოდი ახლა და წერე უემოციოდ — ხომ გითხარით, შეუძლებელია-მეთქი! — ამას მხოლოდ მაშინ შეიგრძნობთ, თუ იორდანეში შედგამთ ფეხს". (ლალი გუნთაიშვილი, წიგნიდან „გაცოცხლებული სახარება")...



წმინდა იორდანეში

ნათლისღებით წარიხოცება ადამისა და ევასაგან მემკვიდრეობით გადმოცემული ჩვენი პირველყოფილი ცოდვა, მაგრამ უფალი ხომ სრულიად უცოდველი იყო და სასუფევლის მეუფება თავად გახლდათ და რისთვის იყო საჭირო მისი ნათლისღება?

**წმ. ეპიფანე კვიპრელი:**

„იესო ჩავიდა წყალში, მაგრამ წყალს შეუდარებლად მეტი მიანიჭა, ვიდრე თავად მიიღო, რადგან მას არაფერი ესაჭიროებოდა. თავისი ნათლით წყალი განანათლა და განსაკუთრებული ძალა მიანიჭა, რითაც მორწმუნეები, რომლებიც მოინათლებიან, შეიმოსავენ ამ ძალას და მისი ნათლით განათლდებიან".

**მამა პაისი ათონელი:**

„წმინდა ნათლისღებით ჩვენს სულში შემოდის მადლი ქრისტესი და ეს ნიჭი ყველასთვის ერთია. მაგრამ ვფიქრობთ, რომ ღმერთმა ზოგიერთ წმინდანს მეტი მადლი მისცა, რაც შეცდომაა. ქრისტეს ყველა შვილი ერთნაირად უყვარს, მაგრამ ყველას არა აქვს ერთნაირი კეთილმოკრძალება. თუ კაცი კეთილმოკრძალეა და სწამს, რომ ნათლისღებით მიღებული ქრისტეს მადლი ჩვენს სულში იმყოფება, იმდაბლებს საკუთარ ნებას, განიწმინდავს თავს, რათა მადლმა იმოქმედოს. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მას ღმერთმა მეტი მადლი მისცა. ჭეშმარიტება კი იმაში მდგომარეობს, რომ ამ სულმა მეტად შეიყვარა ქრისტე და თავისი სიმდაბლით ნება მისცა, იმოქმედოს მასში და მისი სულისთვის. ჩვენ არაფრით ჩამოვუვარდებით წმინდა მოციქულებს. მათ ხორციელად გვერდით ჰყავდათ უფალი, რომელიც მათ ეხმარებოდა. ჩვენს სულებშიც სიყრმის ასაკიდანვე, წმინდა ნათლიღების მადლით, იმყოფება უფალი. საჭიროა სული გავითავისუფლოთ ვნებებისგან და მივცეთ მადლს მოქმედების საშუალება. როცა სული საბოლოოდ განიწმინდება სურვილებისგან და სრულიად დამდაბლდება, მაშინ ქრისტეს მადლიც მოიხილავს და ქრისტეს ყველა დაპირება ასრულდება".

*მოამზადა მანანა ჯანელიძემ*



## რას გვეტყვი, მამაო?

**— გავრცელებულია აზრი, რომ ნათლობაზე დედის დასწრება არ შეიძლება. ხომ ვერ გვეტყვით, რას უკავშირდება ეს ნათქვამი?**

— ჩემი აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ ადრე ჩვილს 40 დღემდე ნათლავდნენ და დედა, ბუნებრივია, იყო ე.წ. განწმენდის პერიოდში (ამ დროს მას ტაძარში შესვლა არ შეუძლია), ამიტომ ვერ დაესწრებოდა ნათლობას, ხოლო 40 დღის შემდეგ, როდესაც მას განწმენდის ლოცვები წაეკითხება, არანაირი თეოლოგიური საფუძველი არ არსებობს, რომ არ დაესწროს ამ საიდუმლოს.

**— რამდენად გამართლებულია ბევრი ნათლია?**

— ამ „წესს" ძირითადად ეკლესიისაგან, ცოტა არ იყოს, შორს მყოფნი მისდევენ. მინახავს ადამიანები, რომლებსაც 5-6 ნათლია ჰყავთ, მაგრამ მათგან ეკლესიური არც ერთი არ არის, რაც, ბუნებრივია, ხელს უშლის მათი მთავარი მოვალეობის შესრულებას — დაეხმარონ ნათლულს რელიგიური ცხოვრების მოწესრიგებაში. სამწუხაროდ, ხშირად ნათლია არასწორი კრიტერიუმებით ირჩევა — კარგი სოციალური მდგომარეობა, ფინანსური შესაძლებლობა და სხვა.

*თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით. მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.*

# „ვერ გამიგია, რატომ გარბიხართ საქართველოდან..."

## „ყოფილი მგზნებარე კათოლიკე დღეს მართლმადიდებელი მღვდელია"

ჯეიმს ვადასი მთლად ჩვეულებრივი ამერიკელი ბიჭი არ არის, მაგრამ მისი „არაჩვეულებრიობა" უფრო შინაგანია და ამიტომ თავიდან სახელს ვერც არქმევ, რა ძალამ და ანდამატმა დაგაკავშირა ასე უეცრად ცხრა მთას იქიდან ჩამოსულ პირველად ნანახ ადამიანთან. ჯეიმსი საქართველოში მოინათლა და დღემდე თითქმის ყველა ჩვენებურს პირველად იმას ეკითხება, ამდენი ხალხი რატომ გარბიხართ აქედანო. ჩემს კონტრკითხვაზე, თვითონ როგორ მოვიდა მართლმადიდებლობამდე და საქართველომდე, ასე გვიპასუხა:

— ბავშვობაში მამას ბაპტისტურ ეკლესიაში თან არასოდეს დავყავდი, მაგრამ ისიც და დედაჩემიც ჩამჩიჩინებდნენ, იესოსი უნდა ირწმუნოო... ჩვენთან, ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთით, ბაპტისტურ და მეთოდისტურ ეკლესიებთან არსებობს რამდენიმეკვირიანი საბავშვო საზაფხულო სკოლები. ოთხი წლის რომ შევსრულდი, ბაპტისტურ საბავშვო ბაღში შემიყვანეს. მერე მეთოდისტური ეკლესიის სკოლაში გავაგრძელე სწავლა. მოგვიანებით ძალიან აქტიურ მეთოდისტად ჩამოვყალიბდი...

სკოლა რომ დავამთავრე, სწავლა ეპისკოპალურ უნივერსიტეტში გავაგრძელე და ბაკალავრის ხარისხიც მივიღე... იქ ლიტერატურა და რუსული ენა შევისწავლე და არც წირვები გამიცდენია... მეთოდისტების წირვები ძალზე ლიტურგიკული იყო, თანაც — ჩემთვის ძალიან ახალი...

შეიძლება ითქვას, თავიდან ეს რიტუალი მძულდა და საკუთარ თავს ვეუბნებოდი: — ეს ყველაფერი ხომ ზედაპირულია და ღმერთთან და ჭეშმარიტ ქრისტიანობასთან საერთო არაფერი აქვს-მეთქი, თუმცა თავს ძალა დავატანე და ამგვარი ლიტურგიის სიყვარული როგორღაც ვისწავლე... ამაში ყველაზე მეტად ის გარემოება დამეხმარა, რომ ყოველ კვირა ვეზიარებოდი, მაგრამ როდესაც არდადეგებზე შინ ვბრუნდებოდი, მეთოდისტური ლიტურგია არანაირ სიხარულს აღარ მანიჭებდა, — თითქოს მხოლოდ სიმღერას და ქადაგებასღა ჰქონდა ჩემთვის მნიშვნელობა (უნდა ვაღიარო, რომ მეთოდისტებს მართლაც ლამაზი საეკლესიო სიმღერები აქვთ), რაც, რა თქმა უნდა, აღარ მაკმაყოფილებდა. მეთოდისტებისთვის სულ ერთი იყო, გწამდათ თუ არა, რომ წმინდა ზიარება მართლაც ქრისტეს ხორცი და სისხლია, სწორედ მაშინ დავეჭვდი: — თუ მართლაც ქრისტეს სისხლს და ხორცს არ ვეზიარები, ამ ყველაფერს რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს-მეთქი...

მიუხედავად წირვის ლამაზი რიტუალისა და რეგულარულად ზიარებისა, ეპისკოპალური (ანგლიკანური) ეკლესიის თეოლოგია ჩემთვის მეტისმეტად თვითნებური იყო. ანგლიკანებს ძლიერი თეოლოგია არ გააჩნიათ და ჰგონიათ, რომ ადამიანს ის შეუძლია ირწმუნოს, რაც სურს... ხოლო როდესაც რამეს ვეკითხებოდი, პასუხის გაცემა არ შეეძლოთ. ბევრ ანგლიკანს ჰქონდა სურვილი, რომ ჰომოსექსუალისტებისათვის მღვდლად კურთხევის ნება დაერთოთ, რაც მათ მორალურ ნორმათა დაუშვებელ სისუსტედ მივიჩნიე...

როცა ჩემს ამბავს გიამბობთ, ერთი გამორჩეული ადამიანი, ჩემი მეგობარი ბენი აუცილებლად უნდა ვახსენო, — მას უნივერსიტეტში სწავლისას დავუახლოვდი და მალევე დავმეგობრდით... ბენი იმ დროს კათოლიკური ეკლესიის მრევლი გახლდათ და პირველი კითხვებიც ეკლესიის ისტორიისა და თეოლოგიის შესახებ სწორედ მან დამისვა... მაშინღა დავრწმუნდი, რომ არც ეკლესიის ისტორია ვიცოდი და არც მის არსზე მქონდა სერიოზულად ნაფიქრი... ბენმა ეკლესიის მამები გამაცნო და მეც ახალი სამყარო აღმოვაჩინე. როგორც იქნა, ვიპოვე ღრმა პასუხები კითხვებზე, რომლებზე პასუხებსაც ამდენი ხნის მანძილზე ვეძებდი...

**— ჯეიმს, იქნებ დააკონკრეტო, რა გაინტერესებდა ყველაზე მეტად?**

— რა და ის, თუ რატომ უნდა გვიყვარდეს ღმერთი და რატომ უნდა ვიყოთ ქრისტიანები...

ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთის ფუნდამენტალისტების უმრავლესობა (და არა ყველა) ძალიან ბევრს საუბრობდნენ სასჯელზე, რომელიც, მათი აზრით, ადამიანებს იმ შემთხვევაში ელის, თუ ქრისტეს მხსნელად არ აღიარებენ, მე კი საკუთარ თავს ვეკითხებოდი: — გამოდის, ქრისტიანი მხოლოდ იმიტომ უნდა ვიყო, რომ ჯოჯოხეთში არ მოვხვდე-მეთქი? და ეს ყველაფერი ძალზე ეგოისტურად მეჩვენებოდა. მაგრამ თუ ვინმე ფუნდამენტალისტებს სარწმუნოების საფუძველთა შესახებ ბევრ კითხვას დაუსვამს, ფუნდამენტალისტები ასკვნიან, რომ ამდენი კითხვა ადამიანის რწმენის ნაკლებობაზე მიუთითებს...



მოხდა ისე, რომ სადღაც წავაწყდი ორიგენეს ნაშრომებს და მივხვდი, რომ ადამიანს ღმერთი იმიტომ უყვარს და ეძიებს, რომ შემოქმედმა იგი, უბრალოდ, ასეთად შექმნა. ჩვენ უფლის სიყვარული და მსახურება ბუნებით გვაქვს ბოძებული, მაგრამ თუ ამას ხორცს არ შევასხამთ, ვერც ბედნიერებას შევიგრძნობთ ოდესმე, უფრო მეტიც, — ადამიანურებიც კი ვერ ვიქნებით... ბოლოს და ბოლოს, გავიგე, თუ სად იყო ჭეშმარიტი ხსნა...

**— მაინც რაშია ეს ხსნა?**

— ეს არის ცხოვრების არა ერთი რომელიმე მომენტი, როდესაც იესოს ვაღიარებთ, რაც, რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ დასაწყისი, არამედ ისიც, რომ ჩვენ ღვთის ხატად ვართ შექმნილნი, მაგრამ ეს ხატი დავაბინძურეთ და მისი აღდგენისათვის უნდა ვილვაწოთ... ჩვენ იესოს მსგავსნი უნდა გავხდეთ, რომ პირველქმნილი ხატის აღდგენა შევძლოთ...

როგორც გითხარი, ბევრი ახალი გავიგე და ბევრ კითხვასაც გაეცა პასუხი, მაგრამ მეთოდისტურ ეკლესიაში არ არსებობდა ძლიერი ტრადიცია და წმინდა მამებისაკენ გზის გაკვლევაში ძნელად თუ ვინმე დამეხმარებოდა. მეთოდისტებს აქვთ ბიბლია, ცოტაოდენი ბედნიერება, ქადაგება და ლამაზი საეკლესიო სიმღერები, მაგრამ არ ჰყავთ წმინდანები, არც სულიერი რჩევებისა და ასკეტიზმის ძლიერი ტრადიცია აქვთ და არც მარხვისა და ყოველდღიური ლოცვის აუცილებლობას უსვამენ ხაზს, რამაც მაფიქრებინა, რომ კათოლიკე ან მართლმადიდებელი უნდა გავმხდარიყავი. სამწუხაროდ, მართლმადიდებლობა ამერიკელებისათვის ძალიან უცხოა...

**— ასეთი რთული ძიების შემდეგ როგორ გახდი მართლმადიდებელი?**

— როგორც დასაწყისში ვთქვი, უნივერსიტეტში რუსულს ვსწავლობდი და ერთხელ რუსეთშიც მოვხვდი... სულ მცირე, ის მაინც გავიგე, რომ მართლმადიდებლობა არსებობს... რაც შეეხება კათოლიციზმს, პაპის ავტორიტეტის აღიარება არ შემეძლო და არც მათი ღვთისმსახურება მიზიდავდა, ამდენად, მართლმადიდებლობა საუკეთესო შესაძლებლობად მიმაჩნდა...

**— ვერც თქვენმა მეგობარმა ბენმა გადაგარწმუნათ ამაში?**

— ვერა, გადამარწმუნა კი არა, მის ცხოვრებაშიც საოცრება მოხდა...

იგი ფიქრობდა, რომ თუ მე მართლმადიდებელი გავხდებოდი, მხოლოდ პაპის ავტორიტეტში ჩემი დარწმუნებაღა დარჩებოდა და მოკლე დროში მეც გამაკათოლიკებდა; მაგრამ მართლაც რომ შეუცნობელი არიან გზანი უფლისანი... ბენი, ყოფილი მგზნებარე კათოლიკე, რომელიც ასე მონდომებით და ტაქტიკურად ცდილობდა ჩემს გაკათოლიკებას, ახლა მამა ბენედიქტეა — მართლმადიდებელი მღვდელი, რომელმაც საკუთარი თავი თავადვე გადაარწმუნა... მინდა გითხრათ, რომ მან ეს გადაწყვეტილება საქართველოში ორკვირიანი ვიზიტისას მიიღო, — არ ვიცი და ვერც ვერასოდეს გავიგებ, დაწვრილებით ეს ყველაფერი როგორ მოხდა ან რატომ მაინცდამაინც საქართველოში და თანაც იმ დროს, როდესაც ბენი თითქოს „რწმენის მგზნებარების" ზენიტში იყო... უფალმა მასზე უდიდესი მოწყალება მოიღო და თვალი, როგორც ჩანს, იმიტომ აუხილა, რომ გულწრფელად ეძებდა ჭეშმარიტებას... ეს იყო და ეს... ბენს საქართველო სამშობლოდ ექცა და ეს სიყვარული მეც გადმომდო...

მეც ბენივით აქ მოვინათლე, მაგრამ სანამ ამას საბოლოოდ გადავწყვეტდი, ცოტა ხნით ერთმა ქართულმა ოჯახმა მიმასპინძლა... ისინი მორწმუნე მართლმადიდებლები არიან, ძალიან მოკრძალებულად და უბრალოდ ცხოვრობენ და დროს ყოველდღიურ ლოცვაში, მარხვაში და სათნო საქმეების კეთებაში ატარებენ... ეს ორკვირიანი სტუმრობა ჩემთვის გადამწყვეტი გარემოება აღმოჩნდა. მადლობა უფალს და მადლობა საქართველოს... მართალი გითხრათ, მიკვირს, რა მიარბენინებთ ქართველებს აქედან...

*მანანა ტუაევა*



# „ბექაური დენის ქურდია“(?!)



(დასაწყისი იხ. გვ. 5)

„თელასის“ თანამშრომლებმა კაბელის ჩაჭრა დააპირეს, მაგრამ ამისთვის სპეციალური ჯგუფის გამოძახება გახდა საჭირო. მოკლედ, ბექაურს კაბელი მაინც ჩაუჭრეს და დააჯარიმეს კიდეც, რის შემდეგ პარლამენტარი „თელასის“ მენეჯერს მიუვარდა და აქტის დახევა მოსთხოვა. როგორც გადმომცეს („თელასში“ იმ დღეს უამრავი ხალხი იყო), თურმე ბექაური გაჰყვიროდა, მე პარლამენტარი ვარ, შენი წონა ფული მაქვს, რამდენი გინდა გადაგიხადო აქტის დახევაშიო. ერთი სიტყვით, ბექაურმა ჯარიმა გადაიხადა და ახლა ადმინისტრაციული სასჯელიც (600 ლარი) ელოდება, რადგან საქმე სასამართლოშია გადაცემული, „თელასმა“ უჩივლა. ბოლო ოთხი თვის განმავლობაში მას გაჩერებული ჰქონია მრიცხველი, მანამდე კი თურმე 12-16 ლარს იხდიდა. ბექაური ქურდია, ელექტროენერგიის მოპარვასაც არ თაკილობს და ეგ კაცი სხვაზე როგორ უნდა ლაპარაკობდეს. გარდა ამისა, ბექაურს დიპლომიც ყალბი აქვს, მას ინსტიტუტ „გაენათში“ არ უსწავლია. ინფორმაციის წყაროს ვერ გავამხელ, თუმცა ვიცი, რომ კობა ბექაურმა დიპლომი 200 დოლარად ჯერ კიდევ „სილარიბის“ დროს იყიდა. ამის შემოწმებას მხოლოდ ერთი საათი უნდა. ეს ინფორმაცია პარლამენტში შექმნილ „ოპიზა-ლილოს“ საქმის შემსწავლელ დროებით კომისიას მივაწოდე, მაგრამ უარი მითხრეს, ამის გამოკვლევა ჩვენი საქმე არ არისო. თუ დაინტერესდებიან სათანადო უწყებები, მათ დაწვრილებით ინფორმაციას მივაწვდი ბექაურის საქმიანობის შესახებ. მის წინააღმდეგ უამრავი სამხილი მაქვს, მაგრამ ამ ეტაპზე გახმაურებისგან თავს შევიკავებ. ვიდრე დოკუმენტური მასალა სრულად არ მაქვს მოპოვებული, შესაძლოა, ბევრი რამ მოსპონ და ხარვეზები გამოასწორონ“.

ჩვენ გადავამოწმეთ ნუნუ რამიშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. როგორც გაირკვა, კობა ბექაურს „თელასთან“ მართლაც ჰქონდა კონფლიქტი. „თელასის“ თანამშრომლებს არც ბექაურის მიერ დენის ქურდობის ფაქტი უარუყვიათ და არც დებოშის ატეხის ამბავი. მისი თავხედობის გამო კი „თელასის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა მიშა მაჭავარიანსაც მიმართა. როგორც ჩვენმა რესპონდენტმა გაგვიმხილა, ალშფოთებულ მაჭავარიანს უთქვამს, არავითარ შემთხვევაში არ დაზოგოთ ბექაური, კანონით გათვალისწინებული სანქცია — ჯარიმები დაადეთ, პასუხი აგოს ყველა უკანონობაზეო. მიუხედავად ამისა, „თელასი“ მომხდარის ოფიციალურად დადასტურებაზე მაინც თავს იკავებს. საზოგადოებასა და პრესასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის, ვალერი ფანცულაიას განმარტებით, ბექაური სათავო ოფისში რომ მისულიყო და დებოში აეტეხა, ამას აუცილებლად შეიტყობდა.

ჩვენ დიდხანს ველოდეთ ოფიციალურ ინფორმაციასა და „თელასის“ თანამშრომლების მიერ მოწოდებული ფაქტების დადასტურებას, მაგრამ „თელასის“ საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ჩვენს სატელეფონო ზარებს აღარ პასუხობდა. „კვირის პალიტრამ“ ასევე გაარკვია, რომ მრიცხველზე მიერთების შემდეგ ბექაურის ოჯახმა ოც დღეში 231 ლარის საფასურის ელექტროენერგია დახარჯა(!). თურმე ბექაურისთვის ე. წ. „ლევი“ კაბელის ჩაჭრის ამსახველი ვიდეო და ფოტომასალაც არსებობს სასამართლოში წარსადგენად, მაგრამ თუ ბექაურის ინკოგნიტო მფარველების გავლენას გავითვალისწინებთ, შესაძლოა, საქმე სასამართლოში უმტკივნეულოდ მოგვარდეს, მით უმეტეს, რომ „თელასის“ ხელმძღვანელობა ამ ფაქტს ასაიდუმლოებს.

**ხათუნა პაიჭაძე**

# პოლიტიკამ მეგობრობა არ იცის...

## „გამოჩნდება, ანა დოლიძეს მართლა უყვარს ჩვენი ორგანიზაცია თუ მისთვის ასოციაცია არის ადგილი, სადაც ფულს შოულობს“

(დასაწყისი იხ. გვ. 7)

**— ითქვა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია დასაჯეს და ხელისუფლების მითითებით ზოგიერთი პროექტი არ დაუფინანსესო.**

— სიცრუეა. პირიქით, ასოციაციას ბოლო 3 წლის განმავლობაში მზარდი დაფინანსება აქვს. ზოგიერთმა პრეზიდენტზეც მიანიშნა — ასოციაციას ებრძვისო. როგორ გგონიათ, პრეზიდენტს ანა დოლიძის ეშინია? ან რატომ ელაპარაკება ანა დოლიძე ტელევიზიით კოტე კუბლაშვილს, რომელიც ასოციაციის წევრია და შეუძლია მას პირისპირ დაელაპარაკოს. ის არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც ანა დოლიძეს იცავენ, რესპუბლიკურ პარტიასთან ახლოს არიან. მაგალითად, ანა დოლიძე დაიცვა ვახტანგ ხმალაძემ, რომელიც რესპუბლიკური პარტიის წევრია. მან თქვა, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში მეხუთე კოლონა აღმოჩნდაო და ამ შეფასებას მასვე დავუბრუნებდი უკომენტაროდ.

**დავით უსუფაშვილი:** რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე:

— ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ირგვლივ განვითარებული მოვლენები რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ხელისუფლების წარმომადგენლებს (მათ შორის ასოციაციის არაწევრებს) არაერთხელ უთქვამთ, — ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ნერვებს გვიშლის, რადგან საჯაროდ ლაპარაკობს პრობლემებზეო. გარდა ამისა, ჩანს, ძალზე გალიზიანდა ზოგიერთი ის თანამდებობის პირიც, რომლებიც ასოციაციის წევრები არიან და ამავდროულად სახელმწიფო თანამდებობებზე აიძულებთ, ცოტა სხვა პრინციპების ერთგული იყვნენ, ვიდრე კანონის უზენაესობისა. ბევრი მინისტრი ვოლუნტარისტულ, თვითნებურ გადაწყვეტილებებს იღებს, რაზეც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია იმაღლებს ხმას. არის შემთხვევები, როცა ასოციაცია დაკავებულთა, მსჯავრდადებულთა უფლებებს იცავს, საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად და უკანონოდ ხარჯვას აკრიტიკებს. ბუნებრივია, ყოველივე ამან აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა ასოციაციის წევრთა შორის და სიტუაციაც დაძაბა.

**— ასოციაციას დღეს ზედმეტად პოლიტიზებაში სდებენ ბრალს.**

— პაატა ლეჟავას ამის თაობაზე თავისი ერთი ან 2 წლის წინანდელი შეხედულებებიც უნდა გამოეთქვა. ასოციაციაში გაწევრების შემდეგ პაატა ლეჟავა არავის ახსოვს და მისნაირი წევრებისგან ორგანიზაციულ პრობლემებზე შენიშვნების გამოთქმა ცოტა უხერხულია. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ არსენა ოძელაშვილის გასამართლებით დაიწყო საქმიანობა (სცენებს ვდგამდით), დღეს კი მოქალაქეების ბედს წყვეტს. ძალიან მაღალი თანამდებობის პირებისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელი პოლიტიკოსების ყოფნა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში ერთგვარ დისკომფორტს ქმნის. მომხრე ვარ, ყველა პრეტენზია ჩამოიწეროს და განვიხილოთ ასოციაციის კრებაზე. ასე მოგვარდება პრობლემა იმ შემთხვევაში, თუ კაცს საქმე აინტერესებს და არა თავისი თავი ამ საქმეში.

**— როდესაც ხელისუფლების პირველი პირები აკეთებენ ასოციაციის საწინააღმდეგო განცხადებებს, ეს რას ნიშნავს?**

— სახელდობრ ირაკლი ოქრუაშვილი ძნელად ექვემდებარება რაიმე მითითებას. ეტყობა, მას სათქმელი დაუგროვდა და ეს მისთვის უკვე ტრადიციად ქცეული არაკორექტული ფორმით გამოხატა. რაც შეეხება სხვა ცნობილ პირებს, ვერ ვიტყვი, რომ ღამეები ეთენებინოთ ასოციაციის მომავალზე ფიქრით და მხოლოდ მერე გადაეწყვიტათ პრესკონფერენციის გამართვა. სხვა საქმეა კოტე კუბლაშვილი, რომელიც მართლაც მძიმე დღეშია, მას ყველა მხრიდან უტევენ. სამწუხაროდ, სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას და ამიტომ დაბნეულია.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია სააკაშვილს ადრე ძალიან უყვარდა. ის კრებებზეც დადიოდა და როდესაც სჭირდებოდა ასოციაციის აქტიური პოზიცია (როდესაც ხელისუფლებას აკრიტიკებდა), მისი მეგობარი იყო. დღეს სააკაშვილი პრეზიდენტია და მხოლოდ მისი ყურმოჭრილი მონა ორგანიზაციები მოსწონს.

**— ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას იმ პარტიის იდეების პროპაგანდა წაუყენეს ბრალად, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ.**

— ამ პრეტენზიის გამომთქმელებს ვურჩევ, შეისწავლონ რესპუბლიკური პარტიის პოზიციები დასაბამიდან დღემდე, მეორე მხრივ კი იურისტთა ასოციაციის პოზიციები. დიახ, ამ პოზიციებში ბევრი მსგავსება აღმოჩნდება იმიტომ, რომ რესპუბლიკური პარტია, ისევე როგორც არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, თანამიმდევრული მხარდამჭერია კანონის უზენაესობისა, ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული ღირებულებებისა. გასაოცარი ჩვენი პოზიციების მსგავსება კი არა, ის არის, არასამთავრობო ორგანიზაციები იმის მიხედვით რომ იცვლიან პოზიციას, მათი ფავორიტები ხელისუფლებაში არიან თუ ოპოზიციაში. მსოფლმხედველობრივი პოზიციური და იდეური თანხვედრა არასამთავრობო სექტორის დიდ ნაწილსა და ოპოზიციური პარტიების გარკვეულ ჯგუფს შორის, რომელიც ასე თვალში საცემია, არის ღირებულებათა ერთობა და არა რაიმე ფარული ალიანსი ვინმეს წინააღმდეგ.

ასოციაციის წევრთა ნაწილი ანა დოლიძის გადადგომას ითხოვს. ამის უფლება აქვს გამგეობას და უმრავლესობა გადაწყვეტს თავმჯდომარის ბედს, „მიწოლისა და გადაგდების“ მეთოდით ამ საკითხის გადაწყვეტას არ დავუშვებთ. ძალადობით, ზეწოლითა და შანტაჟით თავმჯდომარის გადაყენება არც ერთი ორგანიზაციისთვის არ არის სასარგებლო. ამ საკითხზე უნდა გაიმართოს გულწრფელი დებატები, დისკუსია ასოციაციის წევრთა გასაგონად და არა იმ ხალხის გულის მოსაგებად, რომლებთანაც ასოციაციის ზოგიერთი წევრი თავს იწონებს.

ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულება არ არის ახალი მოვლენა. ისინი უცერემონიოდ ერევიან ისეთი ინსტიტუტების საქმიანობაში, როგორიც მედიაა. დაუფარავად აძლევენ შენიშვნებს ზოგიერთ ჟურნალისტსა და მედიაკომპანიას, ერევიან სასამართლოების საქმიანობაში. ვფიქრობ, ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომლებიც მიხვდებიან, რომ ამ ტიპის ორგანიზაციებზე სახელისუფლებო შეტევის გაგრძელება უპირველესად ხელისუფლებას ავნებს.

**იზო რეკაძე**

# „საქართველოს ტელეკომი“ უმწეო მოხუცებს დააპურებს

სათნოების სახლ „კათარზისში“ დღეისათვის 355 ბინადარია. ოჯახურ გარემოს მოკლებული მოხუცებისთვის ეს სახლი ნამდვილ სავანედ ქცეულა, სადაც გარდა იმისა, რომ მატერიალურ საზრდოს იღებენ, სულიერ სიცარიელესაც ივსებენ. კეთილი ადამიანების წყალობით აქ მათთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობებია შექმნილი. მაგალითად, სააქციო საზოგადოება „თელასმა“ სათნოების სახლი ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის გადასახადისგან გაათავისუფლა, რითაც მოხუცებისთვის გათბობის პრობლემა გადაიჭრა, ხოლო „საქართველოს ტელეკომმა“ გადაწყვიტა „კათარზისის“ ბინადართა კვების ხარისხის გაუმჯობესებაზე იზრუნოს. სწორედ ამ კეთილშობილური ჟესტის წყალობით, სათნოების სახლის ხელმძღვანელობა სხვა პრობლემების მოგვარებასაც გეგმავს.

**ზაურ ალადაშვილი,** სათნოების სახლ „კათარზისის“ პრეზიდენტი:

— რამდენიმე თვის წინ კომპანია „ჯეოსელის“ საქველმოქმედო აქციის წყალობით „კათარზისმა“ 41 ათასი ლარი მიიღო. ჩვენი სახლის პრეზიდიუმმა ყველა ის მიმართულება განიხილა, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებს დაფინანსებას. რამდენიმე სერიოზულმა პრობლემამ იჩინა თავი.

„კათარზისი“ თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო შენობაშია განთავსებული. სახურავიდან ჩამოსული წყალი მთლიანად ანადგურებს ნაგებობის ზედა სართულს. სათნოების სახლის თანამშრომლებს დაზიანებული სახურავის შეკეთება გვსურდა, ჩვენს ბინადართ კი გათბობის პრობლემის გადაჭრა. იმ ბენეფიციარებს კი, რომლებიც „კათარზისში“ სადილობენ, სურდათ, თანხა მათი კვების ხარისხის გაუმჯობესებას მოხმარებოდა. ბუნებრივია, ყველა პრობლემის გადაჭრა 41 ათასი ლარით შეუძლებელი იყო. საბედნიეროდ, სააქციო საზოგადოება „თელასი“ გამოგვეხმაურა და მაისის თვემდე ელექტროენერგიის გადასახადისგან გაგვათავისუფლეს, რითაც შენობის გათბობის პრობლემა მოიხსნა. გარდა ამისა, „საქართველოს ტელეკომმა“ ხანდაზმულთა კვების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა ითავა, „საქართველოს ტელეკომი“ თითოეული ბენეფიციარის ერთჯერადი კვებისთვის 0,75 ლარს გაიღებს. ამას დაემატება სულზე 25-30 თეთრის ოდენობის პურის ფქვილი, ლობიო და ზეთი, რასაც წლების განმავლობაში გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამა გვაწვდის. როდესაც ამ თანხას „საქართველოს ტელეკომის“ დაფინანსება დაემატება, ერთი კაცის კვების საფასურად 1 ლარს მივიღებთ, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოხუცების რაციონს, გაამდიდრებს მის კალორიულობას და ა.შ.

**— ამ საქველმოქმედო ღონისძიების იდეა „საქართველოს ტელეკომს“ ეკუთვნის?**

— დიახ, ეს სწორედ ერთ-ერთია იმ იშვიათი შემთხვევებიდან, როდესაც კომერციული ორგანიზაცია მოგვმართავს ინიციატივით, თავისი წვლილი შეიტანოს გაჭირვებული ადამიანების დაპურებაში. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა ვუთხრა „საქართველოს ტელეკომს“ გულისხმიერებისათვის და იმისათვის, რომ კეთილშობილური იდეის ხორცშესასხმელად სწორედ ჩვენი სათნოების სახლი შეარჩია.

**— თუ არის უკვე ცნობილი, როდის დაიწყება „საქართველოს ტელეკომის“ საქველმოქმედო აქცია და რამდენი კაცი ისარგებლებს ამ სიკეთით?**

— აქცია 18 იანვარს დაიწყება და თბილისის „კათარზისის“ 355 ბენეფიციარი დაპურდება. რაც შეეხება აქციის ხანგრძლივობას, ეს ჯერ კიდევ მოლაპარაკებების საგანი გახლავთ. თუმცა შემიძლია გითხრათ, რომ პირველი საქველმოქმედო ღონისძიება სამ თვეზეა გაწერილი, ამავე პერიოდში დავსახავთ სამომავლო გეგმებსაც. ერთი რამ კი „საქართველოს ტელეკომმა“ 2006 წელი სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებულ წლად გამოაცხადა. ჩვენი მოხუცებისთვის „საქართველოს ტელეკომი“ ყოველთვიურად დაახლოებით 7.000 ლარს გაიღებს.

გასახარია, რომ ბოლო პერიოდში საქველმოქმედო წინადადების რაოდენობა მომრავლდა, ისე კი, ვარსებობთ იმით, რაც გვაქვს, — ვიღაცა კომბოსტოს მოგვაწვდის, ვიღაც ქარხალს. თუ კარტოფილი გვაქვს, ჩვენი მზარეულები ამ მცირედითაც მართალია ნაკლებკალორიულ, მაგრამ მაინც გემრიელი სადილის მომზადებას ახერხებენ. „საქართველოს ტელეკომის“ წყალობით შეგვიძლია ჩვენი ბენეფიციარების მენიუში ხშირად ხორციც შევიტანოთ.

**— „კათარზისის“ ბინადრებმა თუ იციან „საქართველოს ტელეკომის“ ამ ინიციატივის შესახებ?**

— ჯერ არავისთვის გაგვიმხელია, ამიტომ მოხუცებიც და ქართველი საზოგადოებაც პირველად თქვენი გაზეთის ფურცლებიდან შეიტყობს, რა დახმარებას აღმოუჩენს „საქართველოს ტელეკომი“ სოციალურად ყველაზე დაუცველ ფენას.

**— შესაბამისად, მოხუცებისთვის კვების ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებლობას მოგცემთ „კათარზისის“ შენობის გადახურვის პრობლემაც მოაგვაროთ, ასე არ არის?**

— დედაქალაქს ასეთი მშვენიერი შენობა აუცილებლად უნდა შევუნარჩუნოთ. უპაიათობა იქნება, რომ მოცემული შანსი არ გამოვიყენოთ. როგორც ხედავთ, „საქართველოს ტელეკომმა“ ერთ-ერთი სერიოზული და მტკივნეული საკითხი გადაგვიჭრა. უკვე დავიწყეთ მოლაპარაკებები ერთ-ერთ ფირმასთან, რომელიც შენობა-ნაგებობების გადახურვაზე მუშაობს და სამუშაოების ხარჯთაღრიცხვას წარმოგვიდგენს.

**— სათნოების სახლში ხშირად იმართება შემოქმედებითი საღამოები თავად ბინადრების მონაწილეობით, რითაც მოხუცები ცდილობენ მადლიერება გამოხატონ კეთილისმყოფელების მიმართ. საინტერესოა, ამჯერად როგორ გადაუხდიან მადლობას „კათარზისის“ მოხუცები „საქართველოს ტელეკომს“?**

— ამ საკითხზე ჯერ არ გვიფიქრია. როგორც უკვე გითხარით, ისეთმა ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ, როგორიც „საქართველოს ტელეკომია“, თავად გამოთქვა სურვილი, უანგაროდ დახმარებოდა სათნოების სახლის ბინადრებს. მართალია ყველა იმ მოხუცს, რომელიც დაპურდება, როდი ექნება შესაძლებლობა, პირადად უთხრას მადლობა „საქართველოს ტელეკომის“ მესვეურებს. ალბათ, ამის გაკეთება მათი სახელით მე მომიწევს. დარწმუნებული ვარ, „კათარზისის“ ბინადრები ნამდვილად კარგ რამეს მოიფიქრებენ.

**ემა ტუხიაშვილი**

„კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის წიგნები



წიგნში შეკრებილია „კვირის პალიტრაში“ წლების განმავლობაში გამოქვეყნებული კითხვები რელიგიურ თემაზე, რომელთაც მართლმადიდებელი მამები პასუხობენ.

336 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 5 ლ.



წიგნი მოიცავს ენციკლოპედიურ მონაცემებს იმ თემებზე, რაც კი შეიძლება ადამიანს ცხოვრებაში დასჭირდეს. ის საუკეთესო მეგზური იქნება, როგორც თქვენთვის, ისე თქვენი შვილებისთვის...

888 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 12 ლ.



წიგნში შევიდა ოტია იოსელიანის თორმეტი ახალი ზღაპარი.

წიგნი საუკეთესო საახალწლო საჩუქარი იქნება თქვენი პატარებისთვის...

124 გვერდი, მაგარი გარეკანი, ფასი: 8 ლ.



კრებულში თავმოყრილია საუკეთესო მინიატურები გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან. „ანტიდეპრესანტები“ კარგ გუნებაზე დაგაყენებთ და ბევრ საინტერესო რამეს გამცნობთ იუმორითა და მსუბუქი სტილით...

288 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 5 ლ.



წიგნი განკუთვნილია თავგადასავლებისა და მოგზაურობის მოყვარულთათვის. ავტორი უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში თავგადახდენილ ისტორიებსა და შთაბეჭდილებებს გვიზიარებს...

360 გვერდი, რბილი გარეკანი, ფასი: 5 ლ.

წიგნების შეძენა შეგიძლიათ წიგნის მაღაზიებში და პრესის გამავრცელებლებთან

ან დაუკავშირდით „ელვასერვისს“ და მიიღეთ წიგნები სახლში, ფასნამატის გარეშე. ტელ: 42-43-40

ახალი წიგნები




იბეჭდება პირველად

გოდერძი ჩოხელი

# ზარბაზანა

(ახალი დოკუმენტური მოთხრობა ანუ ნამდვილი ამბავი)

ჩემი ცხოვრების მდუღარე წარსულიდან ათასი ძაღლი მახსენებს თავს და იმათ შორის არის ზარბაზანაც.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ზარბაზანა იმ ძაღლებიდან, რომელთანაც ურთიერთობა მქონია, ყველაზე უფრო ნათლად მახსოვს.

ზარბაზანას სახელი მეზობლის ბავშვებმა შეარქვეს, ოღონდ არ გეგონოთ, რომ მთაში, სოფელში, არა, აქა, ქალაქში, დიღმის მასივში, ორი თექვსმეტსართულიანი სახლის და წიგნის ფაბრიკის ეზოში. ზარბაზანა წიგნის ფაბრიკას ყარაულობდა და მთელი ღამე ზარბაზანივით ქუხდა მისი ხმა. გააფთრებული დაეტაკებოდა ხოლმე, თუ ვინმე საეჭვო შემოეხეტებოდა ეზოში. თბილისის ომის დროს, რამდენჯერაც ზარბაზანი დაიქუხებდა, იმდენჯერ განწირულ ხმაზე მორთავდა ყეფას ზარბაზანა. თითქოს კი არ ყეფდა, ტიროდა, მერე კი ყოველ გასროლაზე ყმუილს იწყებდა.

სოფელში, ჩემს ბავშვობაში, თუ ძაღლი ყმუილს დაიწყებდა, ავისმაუწყებლად მიაჩნდათ. ის უბედურება რომ აეცილებინათ თავიდან, სოფლის განაპირას კლავდნენ თოფით იმ ძაღლს. რამდენ ასეთ ძაღლს გამოვმშვიდობებივართ ტირილით თვალცრემლიანი ბავშვები. ძაღლები ხომ ჩვენი უერთგულესი მეგობრები იყვნენ. ისინი დაგვყვებოდნენ ცხვრის სამწყემსავად, ისინი იცავდნენ ფარეხს ღამღამობით ნადირისაგან და გული გვეყინებოდა შიშით, როცა რომელიმე ძაღლი ყმუილს დაიწყებდა. ვიცოდით, რომ რაღაც უბედურებას გვაუწყებდა ეს ყმუილი, მაგრამ არც მას ასცდებოდა სიკვდილი.

ქალაქში კი ასე არ იყო.

ქალაქში არავინ არ ესროდა მგელივით აყმუვლებულ ძაღლს თოფს, განსაკუთრებით ახლა არავის არ ეცალა ამისათვის. ქუჩებში ავტომატიანი ქართველები დარბოდნენ და ძაღლებს კი არა, ერთმანეთს ხოცავდნენ.

— მერე?

— მერე კი, რომ იტყვიან, თანდათან გაძაღლდა ცხოვრება.

ჩაბნელდა და ჩამუქდა თბილისი.

ჩაბნელდა და ჩამუქდა მთელი საქართველო.

ვისაც შეეძლო, ლუკმაპურის საშოვნელად საქართველოდან გარბოდა.

ვინც ჩაბნელებულ და გაყინულ საქართველოში დარჩა, მაღაზიებთან პურის რიგებში ათენ-ალამებდნენ.

ნაგავსაყრელებზე მგლებივით ხროვა-ხროვა დაძრწოდნენ მშიერი ძაღლები.

ზარბაზანასაც შიოდა, მაგრამ მაინც ერთგულად ყარაულობდა ფაბრიკის ეზოს.

უფულობის გამო, მთაში ველარ მივდიოდი, რომ გული ნისლიანი მთების ყურებით გამეძლო და მეც დამემართა ერთ დროს ბარად ჩამოსახლებული ხევსურების ავადმყოფობა, მთების გარეშე რომ ვერ ძლებდნენ და სევდითა და ნოსტალგიით იხოცებოდნენ.

აქამდე კინო მშველოდა. კინოსცენარებს სულ მთიელთა ცხოვრებაზე ვწერდი და გადაღებითაც, რაღა თქმა უნდა, მთაში ვიღებდი. ეს ჩემი მთაში წასვლის საუკეთესო მიზეზი იყო. ერთხელ ჩემი გადამღები ჯგუფის წევრებმა მისაყვედურეს: რა არის, სულ მთაზე რომ წერ სცენარებს, ერთხელ ზღვაზეც დაწერე და ჩვენც თან გადავიღოთ, თან დავისვენოთო. შევპირდი, დავწერ-მეთქი და მართლაც შევეცადე, დავიწყე წერა:

ობიექტი №1. ნატურა

ზაფხულია.

ზღვა წყნარად ღელავს და უამრავი დამსვენებელი ირევა მის სანაპიროზე.

უზარმაზარი წითელი მზე თითქოს ზღვაში იძირება.

ბერდია და მზია ზღვის სანაპიროს მიუყვებიან.

მზე ჩადის.

ღამდება.

ობიექტი №2.

დეკორირებული ნატურა.

დილაა.

მზე ამოდის.

ბერდია ქერხოდან გამოვიდა და თოვლიან ფერდობს მხარზე თოფგადაკიდებული შეუყვა ალმა...

უცებ ჩემს დაწერილზე ელდა მეცა. სცენარის მეორე ობიექტშივე დავარღვიე პირობა და მომავალი ფილმის მთავარი გმირი, ბერდია ზღვის სანაპიროდან მთაში გადავახტუნე, თანაც თოვლიან ფერდობს შევუყენე ალმა. აი, ასე „შევუსრულე“ ზღვაზე გადაღების სურვილი ჩემი გადამღები ჯგუფის წევრებს.

ახლა კი აღარც კინოს გადაღების საშუალება მაქვს, ვეღარც მთაში მივდივარ და თექვსმეტსართულიანი სახლის მერვე სართულზე ვარ გამოკეტილი. ყოველდღე ტალახივით შავი პურის რიგში ვდგავარ და ხშირად ისიც კი არ მხვდება, ჩემ თვალწინ თავდება დახლზე პური.

ღამღამობით ხაფანგში გამომწყვდეული ნადირივით გავყურებ ქალაქის იმ ნაწილს, სადაც შუქია.

მთელი ღამე ეზოში მშიერი ზარბაზანა ყეფს.

უძილობა შემომეჩვია.

ვბორგავ, ლოგინში ვწრიალებ.

საათის წიკ-წიკიც კი მაკრთობს, მაშინებს. მინდა თავს ვუშველო, სადღაც გავიქცე ამ თექვსმეტსართულიანი საპყრობილიდან, რომელშიც ჩემივე ნებითა ვარ გამოკეტილი. იმიტომ, რომ წასასვლელი არსაითა მაქვს. მიწა გამიუცხოვდა, თანდათან სულ იშვიათადღა ჩავდივარ ქვევით. დღითი დღე ყოფიერების აზრი მეკარგება და ჩემს სულში ისადგურებს ამაოებისა და სიცარიელის განცდა.

უფერულდება ჩემი მომავალი.



წარსულს ვიხსენებ, მაგრამ იქაც ყველაფერი რატომღაც ტრაგიკულად, სევდისმომგვრელად მეჩვენება.

შუაღამეა და არ მეძინება.

ეს საათი კი ისევ წიკ-წიკ-წიკებს. ოთახის კუთხეში ვდგამ და ბალიშს ვაფარებ. მაინც ისმის მისი წიკ-წიკი.

მიწაზე მინდა დგომა.

ჩავიცვი და ეზოში ჩავედი.

მთვარის შუქზე ზარბაზანა შევნიშნე, მეზობლის მანქანის ფარეხში ცდილობდა შეძრომას, მაგრამ რკინის გისოსები ვიწრო იყო და თავი არ ეტეოდა შიგნით.

ჩემს დანახვაზე დაფრთხა, ფაბრიკისკენ გაიქცა.

— ცუგა, ცუგა! ზარბაზან, ზარბაზან! — დავუყვავე და იმანაც მიცნო, მობრუნდა, კუდის ქნევით მომეალერსა და ცოტა ხანს ჩემთან დადგა.

ეტყობა, შიოდა და მანქანის ფარეხიდან რაღაც სასუსნავის სუნი სცემდა.

მივიდა და ისევ სცადა შიგნით შეძრომა.

ვერაფრით ვერ მოახერხა გისოსებში შეძრომა.

ჩამოყუნცულდა უკანა ფეხებზე.

მერე წამოდგა და კორპუსებშორის გაუჩინარდა.

მე მიწაზე დგომა მესიამოვნა.

საყრდენი ვიგრძენი.

ვიდექი და ღამის სიჩუმეს მივუგდე ყური.

ცოტა ხანში ზარბაზანა ისევ გამოჩნდა. ფარეხისკენ მოდიოდა და უკან პატარა ფინია მოჰყვებოდა.

ფინია ჩემს დანახვაზე შედგა, უკან გატრიალდა. ზარბაზანა დაეწია და გააჩერა. მერე ორივე მანქანის ფარეხისკენ წამოვიდნენ. ზარბაზანამ გისოსებში დრუნჩი შეყო, მერე კი ფინიას დაუთმო შესაძრომი.

ფინია გისოსებში შეძვრა, შიგნიდან ცხვრის ტყავი გამოათრია და ზარბაზანას დაუგდო წინ. ზარბაზანამ პირი დაავლო და ფაბრიკისკენ წაიღო.

ფინია უკან გაჰყვა.

მთვარის შუქზე კარგი სანახავები იყვნენ.

დიდი ძაღლი და პატარა ძაღლი.

მერე ორივე ფაბრიკის კედელთან წამოწვა და ტყავს დაუწყეს ჭამა.

ვუყურებდი მთვარის შუქით განათებულ ძაღლებს და რაღაც მიხაროდა. თითქოს ვიღაც ჩამჩურჩულებდა — „ძაღლი — ძაღლითა და კაცი — კაცით, რატომღა არა?“

დიდხანს ვიდექი ასე.

მერე დამშვიდებული ავუყევი კორპუსის კიბეს. ოთახში რომ შევედი, კუთხიდან ბალიშის ქვეშ დამალული საათი ავიღე და თავის ადგილას დავდე.

„ძაღლი — ძაღლითა და კაცი — კაცით, რატომღა არა?“, ვიმეორებდი გონებაში და ღამეულ ცაზე მიმავალ მთვარეს ღრუბლებს შორის მივაცილებდი.

გვერდით საწოლში ჩემს ორ ბიჭს ერთმანეთისთვის ხელები გადაეხვიათ და მშვიდად ეძინათ.


ახალი წიგნები

სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე!

**გამომცემლობა „კვირის პალიტრა“**

| | |
|---|---|
| თემურ ყიფიანი — სამაგიდო ენციკლოპედია: | |
| ყველაფერი ყველაფერზე | 12 |
| „რას გვეტყვი, მამაო“ | 5 |
| ოტია იოსელიანი — | |
| „ზღაპრად გაუგონარი ზღაპრები“ (მგ.ყდ) | 8 |
| აკაკი გეგენავა — მოგზაურის დღიურები | 5 |
| გოჩა დვალი — ანტიდეპრესანტი | 5 |

**გამომცემლობა „ლიტერა“**

| | |
|---|---|
| აკა მორჩილაძე — მელქისეთ-ბაშის თბილისი | 12 |
| უილიამ შექსპირი — ოტელო, ჰამლეტი, მეფე ლირი, მაკბეტი | სულ 12 |
| **პატარა მკითხველისთვის** | |
| ოდისევსის თავგადასავალი | 7 |
| იულიუს კეისარი | 7 |
| ალექსანდრე მაკედონელი | 7 |
| რობინ ჰუდი | 7 |
| რობინზონ კრუზო | 7 |
| ტროას ომი | 7 |
| ჰერაკლე | 7 |
| გულივერის მოგზაურობა | 7 |

**„ელფის“ გამომცემლობა**

| | |
|---|---|
| მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები ფეხბურთში | 7 |
| „ჩემი პირველი ლექსების წიგნი“ | 6 |
| „მსოფლიოს 10 საუკეთესო ზღაპარი“ | |
| „10 საუკეთესო ქართული ზღაპარი“ | |
| „10 საუკეთესო ქართული მოთხრობა“ | სულ 20 |
| „100 საუკეთესო იგავ-არაკი“ | |
| „100 საუკეთესო ქართული ლექსი“ | |
| ჩემი საქართველო | 20 |
| მხიარული დედაენა | 7 |

**გამომცემლობა „არტანუჯი“**

| | |
|---|---|
| საქართველოს ისტორია XIX საუკუნე | 14.3 |
| საქართველოს ისტორია XX საუკუნე | 14.3 |
| მსოფლიო რელიგიები | 15.6 |
| ქრონიკები | 20.8 |
| ქართლ-კახეთის თავად-აზნაურები | 7.8 |

**ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა**

| | |
|---|---|
| **საბავშვო** | |
| გეოგრაფიის ენციკლოპედია | 39 |
| ცხოველთა სამყარო | 20 |
| საბავშვო ენციკლოპედია | 16 |
| მსოფლიოს უდიდესი საოცრებანი | 19 |
| მსოფლიოს ატლასი | 20 |
| ჰარი პოტერი I ნაწილი | 5 |
| ჰარი პოტერი II ნაწილი | 9 |
| ჰარი პოტერი III ნაწილი | 12 |
| ჰარი პოტერი IV ნაწილი | 15 |
| ჰარი პოტერი V ნაწილი | 19 |
| სურათებიანი ლექსიკონი (ინგლ.-ქართ.) | 16 |
| პაოლო კოელიო — „ალქიმიკოსი“ | 6 |

**გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“**

| | |
|---|---|
| **ლექსიკონები** | |
| ი. გვარჯალაძე — ინგლ.-ქართ.—ქართ.-ინგლ. (80 000 სიტყვა) | 28 |
| ი. გვარჯალაძე — ქართ.-ფრანგ. (50000 სიტყვა) | 16 |
| **საბავშვო ლიტერატურა** | |
| ჩიპოლინოს თავგადასავალი | 10 |
| პინოქიოს თავგადასავალი | 10 |
| ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი | 10 |
| ქართული ხალხური ზღაპრები (6 წიგნად) | 15 |

**გამომცემლობა „დილა“**

| | |
|---|---|
| მითები და ლეგენდები | 16 |
| დედის ლოცვა | 16 |
| **საყმაწვილო ენციკლოპედია** | |
| ტომი I - „სამყარო“ | 26 |
| ტომი II - „ცივილიზაცია“ | 26 |
| ტომი III - „ცივილიზაცია“ | 26 |
| ტომი IV - „ცივილიზაცია“ | 26 |

**გამომცემლობა „ლოგოს პრესი“**

| | |
|---|---|
| ენდრიუ ჰეივუდი „პოლიტიკური იდეოლოგიები“ | 10 |
| რობერტ დ. პატნემი „როგორ ვამუშაოთ დემოკრატია“ | 10 |
| „ქართული მითების სამყარო“ | 7.8 |
| ოთარ ჭილაძე „ბედნიერი ტანჯული“ | 8.2 |
| მარი ლუიზე კაშნიცი „ლექსები“ | 5.5 |

| | |
|---|---|
| ლეშეკ ბალცეროვიჩი საზელმწიფო გარდამავალ პერიოდში | 11.2 |
| მურმან ნაყოფია ევროპა ავტობუსის ფანჯრიდან | 5 |
| ა. გრიშიკაშვილი — გარდამავალი ეკონომიკური ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია | 10 |

ტელ: 42-43-40 33-26-73

# ქართველი იყო და საქართველოს ეძებდა

**გასული საუკუნის სისხლიანმა ქრონიკამ ვერ დაგვიტოვა სრული სიმართლე ადამიანებზე, რომლებიც მართლაც ქმნიდნენ ისტორიას. ყველაფრის თქმა არ შეიძლებოდა, მართალი სიტყვა და აზრი იდევნებოდა. მაშინ ათასობით სიცოცხლე შეეწირა წითელ ტერორს.**

**ჯორჯაძეების ოჯახმაც განიცადა ის, რასაც ჩვენ წიგნებში ვკითხულობთ და ფილმებში ვნახულობთ. მიუხედავად იმისა, რომ დღეს სხვა დროა და თითქოს გასული საუკუნის ტოტალიტარიზმის ნაშთიც აღარ დარჩა, ქალბატონ ივლიტა ჯორჯაძეს არ ავიწყდება ის შიში, დიდხანს რომ ტანჯავდა მის ოჯახს.**

## ალექსანდრე

ბაბუაჩემი, ალექსანდრე ჯორჯაძე, 16 წლისა წავიდა რუსეთ-თურქეთის ომში. იქ ნანახ-განცდილმა ნაადრევად გააჭაღარავა.

ალექსანდრე ჯორჯაძე ერთ-ერთი იყო მათ შორის, ვინც რუსეთის იმპერატორს, ნიკოლოზ -ს კახეთში რკინიგზის გაყვანის თხოვნით მიმართა.



ტატიანა ჯორჯაძე

ალექსანდრე წყნარი და დამთმობი კაცი იყო. უსიამოვნო სიტუაციების განმუხტვის უჩვეულო უნარი ჰქონდა. როგორც ბებია მიამბობდა, ბაბუა ვაჟა-ფშაველასთან მეგობრობდა. თურმე ხშირად დადიოდნენ სოფლებში და გლეხებსა და თავადებს შორის წარმოქმნილ უთანხმოებას აგვარებდნენ...

საბჭოთა მთავრობამ, რა თქმა უნდა, ჩვენი ოჯახიც შეავიწროვა, გვდევნიდნენ, კახეთში მამულები ჩამოგვართვეს, მხოლოდ ერთი პატარა ბინა დაგვიტოვეს თბილისში. ჯორჯაძეების ქალიშვილი ტატიანა (დედაჩემი) გადაასახლეს, ბაბუამ ეს ვერ გადაიტანა — ინსულტი დაემართა და გარდაიცვალა. დაკრძალვას ცოტა ხალხი დაესწრო. ჯორჯაძეების ოჯახი ხომ ბოლშევიკებმა, ფაქტობრივად, ხალხის მტრად შერაცხეს. ბაბუაჩემის საფლავი დაკარგულია. გადასახლებიდან დაბრუნებული დედაჩემი ცდილობდა, მიეკვლია საფლავისათვის, მაგრამ ამაოდ...

ამ დროს ალექსანდრეს ვაჟი — დიმიტრი ემიგრაციაში იყო, მეორე ქალიშვილი ვერა მოსკოვში იყო გათხოვილი, მეოთხე შვილი — ვაჟი, ლევანი მცირეწლოვანი გარდაიცვალა.

## ნაუმენკოები

ალექსანდრე ჯორჯაძეს ცოლად ჰყავდა ცნობილი ოჯახის ქალიშვილი — დომენიკა ნაუმენკო. მისი მამა ალექსანდრე დიდი ჩინოსანი ყოფილა. ძალიან მდიდარი ოჯახი ჰქონდათ. როცა დომენიკა გათხოვდა, მზითევზე უარი თქვა, — მხოლოდ პიანინო და ძვირფასი ნახატები წამოიღო მამის ოჯახიდან.

დომენიკას ძმა დიმიტრი სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა და ანტონ ჩეხოვის თანაკურსელი იყო. ესპერანტოს ერთ-ერთი ექსპერტიც გახლდათ და ვლადიკავკაზში ესპერანტოს საზოგადოებას თავმჯდომარეობდა.

დიმიტრი ნაუმენკო სიღნაღში ცხოვრობდა და ექიმად მუშაობდა. სიღნაღელი ბავშვებისთვის საკვირაო სკოლაც გაუხსნია. თავისი სახლიც ბოლოს პატარებს აჩუქა. იქ გაუხსნიათ პირველი საბავშვო სახლი სიღნაღში.

## მრბოლელი

ბიძაჩემი დიმიტრი ალექსანდრეს ძე ჯორჯაძე 8 წლისა ყოფილა, როცა მიხეილ რომანოვი გაიცნო. თურმე ძალიან მოსწონებია და კადეტთა კორპუსში შესვლაც სწორედ მის გამო გადაუწყვეტია. მიხეილ რომანოვი დახმარებია ამაში. კადეტთა კორპუსის დამთავრების შემდეგ დიმიტრი თბილისში დაბრუნდა.

წითლები რომ შემოვიდნენ, საშინლად განიცადა. თავის ბიძაშვილთან ერთად წავიდა თურქეთში, სადაც ელჩად ჯორჯაძეების ნათესავი, ირაკლი მაჩაბელი იყო და მისი დახმარებით გადავიდა ევროპაში. საფრანგეთში მან გაყიდა შემორჩენილი აქციები, რომელიც ოჯახისაგან ერგო, იყიდა გარაჟი და რამდენიმე ნახმარი ტაქსი. ცნობილია, რომ პარიზში ოცდაათიან წლებში უამრავი „რუსი თავადი“ ტაქსის მძღოლად მუშაობდა. დიმიტრიმ პოლკოვნიკ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხალხი შეკრიბა და მძღოლებად დასვა... საბოლოოდ იგი მთელი ტაქსოპარკის მფლობელი გახდა. მალე საქმის გაგრძელება თავის ნათესავს, მერაბ ჯორჯაძეს სთხოვა. ერთ დღეს გაიგო, ავტორბოლა ეწყობაო და მასში მონაწილეობა გადაწყვიტა. 1932 წელს ავტორბოლაში დიმიტრი ჯორჯაძემ პირველი ადგილი დაიკავა.

მაშინდელი პრესა წერდა, — შესანიშნავმა ავტომრბოლელმა, უცნობმა რუსმა პრინცმა დიდი გამარჯვება მოიპოვაო. გამოჩენილი რუსი ავტომრბოლელების, ფომენკოსა და ივანიცკის თქმით, მონტე-კარლოს ურთულეს ტრასაზე დიმიტრი ჯორჯაძის მიერ მოპოვებული გამარჯვება ყველა სპორტსმენისათვის სამაგალითოა.



ელენე ჯორჯაძე დასთან — თინასთან

## მხოლოდ ქართველი!

დიმიტრი ჯორჯაძეს ქართველი ქალები უყვარდა. თურმე ამბობდა, ვოცნებობდი, რომ მეუღლე, ჩემი შვილების დედა მხოლოდ ქართველი ყოფილიყოო. ოცნება აუხდენელი დარჩა, თუმცა მანდილოსნების ყურადღება არასოდეს აკლდა. ერთ-ერთ წერილში სინანულით ამბობდა: მთელი ევროპა და ამერიკა შემოვიარე, მაგრამ ვერ ვნახე ქალი, რომლისგანაც შვილის გაჩენას ვისურვებდიო.

მისი პირველი ცოლი რკინიგზის მეფედ წოდებული ვანდერბილ ემერის ქალიშვილი, ოდრი ემერი გახლდათ. ბოლოს კი ამერიკელ მსახიობ ქალზე, ლედი ეშლიზე იქორწინა. ლედი ეშლი დაკრძალულია ჰოლივუდის სასაფლაოზე. მის საფლავს აქვს წარწერა: „სილვია ეშლი-ჯორჯაძე. გარდაიცვალა 1968 წელს“.

ირაკლი თოიძეს „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრირებისას ტარიელის პორტრეტისთვის პროტოტიპად დიმიტრი ჯორჯაძე აურჩევია. შესანიშნავი გარეგნობის მქონე საქართველოშიც და უცხოეთშიც ერთთავად ყურადღების ცენტრში იყო. ამერიკელმა მწერალმა ქალმა გეიალ ელტონმა დიმიტრი ჯორჯაძეზე წიგნიც დაწერა, სახელწოდებით: „კაცი ვეფხის ტყავით“. წიგნს სევდიანი ეპიგრაფი აქვს წამძღვარებული: „რაც გინახავს, ველარ ნახავ“.



80 წლის დიმიტრი ჯორჯაძე

დიმიტრი ჯორჯაძე უცხოეთში საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა — ჰქონდა მდიდრული აპარტამენტები, იახტა, ცხენსაშენი. იახტა პრეზიდენტ ეიზენჰაუერს აჩუქა, ცხენები კი გაყიდა...

მიუხედავად იმისა, რომ წითლებისგან იდევნებოდა, ომის წლებში როგორც შეეძლო, ისე ეხმარებოდა საქართველოს, მატერიალურად მხარში ედგა... თურმე სტალინი ხშირად უთვლიდა, ჩამოდიო, მაგრამ დიმიტრიმ იცოდა, რომ ეს კარგს არაფერს მოუტანდა.

დიმიტრი ჯორჯაძე გარდაიცვალა ფილტვების ანთებით. დაკრძალულია მენტონში.

## გერი

ოდრი ემერს პირველი ქმრისგან, დიმიტრი რომანოვისაგან ჰყავდა ვაჟი, სახელად პავლე. როცა ოდრი დაქვრივდა, დიმიტრი ჯორჯაძეს გაჰყვა ცოლად. დიმიტრიმ დიდი ამაგი დასდო პავლე რომანოვის აღზრდა-განათლებას. პავლე ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო ძალებში მსახურობდა, მაიორი იყო.

...როგორც ამბობდნენ, პავლე საქართველოში ჩამოსვლაზე ოცნებობდა. უნდოდა ენახა მამობილის სამშობლო და ფოტოალბომი გაეკეთებინა. ჩვენ სულ ველოდით, იმედს არ ვკარგავდით, რომ ჩამოვიდოდა, მაგრამ ამაოდ. გვიან გავიგეთ, რომ პალმ-ბიჩის მერი ყოფილა და 2003 წელს გარდაცვლილა.

## საქართველოს ეძებდა...

მეგობარმა კონსუელა ვანდერბილმა დიმიტრი ჯორჯაძე ჩერჩილს წარუდგინა. უინსტონ ჩერჩილს ძალიან მოსწონებია მოხდენილი ქართველი ვაჟკაცი.

მოგვიანებით მონტე-კარლოში გადავიდა საცხოვრებლად. ამბობდა, აქაური კლიმატი ძალიან ჰგავს საქართველოსას, ამიტომ მირჩევნია, აქ ვიცხოვროო. ქართველი იყო და საქართველოს ეძებდა. ბიძაჩემი მონტე-კარლოს პრინცთან, რენიესთან მეგობრობდა. როცა პრინცის მეუღლე გრეის კელი ავტოკატასტროფაში დაიღუპა, დიმიტრიმ მოგვწერა: ჩემთვის მზე ჩაესვენაო.

## მშვენიერთა ხელმწიფე

ტატიანა ჯორჯაძე თბილისში ქალთა გიმნაზიაში სწავლობდა. მისი უფროსი და, ვერა სხვადასხვა ლიტერატურულ საღამოებში მონაწილეობდა. ერთ-ერთ საღამოზე ტატიანა ახლდა. იქ უნახავს ოსიპ მანდელშტამს გიმნაზიელი გოგონა და ლექსებიც კი მიუძღვნია თინა (ტატიანა) ჯორჯაძისათვის.

ძნელი იყო, მისი მშვენიერება არ შეენიშნა ვინმეს. 15 წლისა თავდავიწყებით შეუყვარდა პეტრე მასლოვს, საბჭოთა ჯარისკაცს. უთქვამს, რამდენიც საჭირო იქნება, იმდენ ხანს დაველოდები ტატიანასო. მართლაც, ელოდა. რა თქმა უნდა, ალექსანდრე ჯორჯაძეს არ სიამოვნებდა ეს. ამბობდა, გული მიგრძნობს, ეს ცუდად დამთავრდებაო...

ტატიანა ცოლად პეტრე მასლოვს გაჰყვა. შეეძინათ ვაჟი... სამხედრო ცხოვრებით ცხოვრობდნენ, — ხან სად და ხან სად... პარალელურად ტატიანა თბილისის სამედიცინო ტექნიკუმში სწავლობდა. როცა პეტრე მასლოვი ბაქოში გაგზავნეს სამსახურისთვის, ტატიანაც თან გაჰყვა და სამედიცინო ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა. ინსტიტუტის დირექტორი ლურიე აღფრთოვანებული ყოფილა ტატიანას ნიჭით. შეიძლება დიდი მომავალიც ჰქონოდა მეცნიერებაში, მაგრამ მალე მასლოვი დააპატიმრეს და დახვრიტეს. ტატიანა შინსახკომში წაიყვანეს. როგორც იხსენებდა, კარადაში შეუსვამთ,. თავზე წყალი ჩამოსდიოდა. ესმოდა ნაწამები ხალხის ყვირილი, გმინვა. მალე ტატიანა ყაზახეთში გადაასახლეს. სიკვდილს იმან გადაარჩინა, რომ მედიკოსი იყო, ლაბორატორიაში მუშაობდა. როგორც დედა მიამბობდა, ბანაკში არც კი იცოდნენ, ომი რომ იყო. 1941 წელს ეტაპით ლენინგრადში, დაჭრილების მოსავლელად გაამგზავრეს. ძლივს გამოასწრო ლენინგრადის ბლოკადას.

საშინელ მდგომარეობაში იყვნენ ყაზახეთში. დედას თმის სარჭებიც კი არ ჰქონდა, რომ თმა შეეკრა. იქ ერთი ქალბატონი გაუცნია. მას უთქვამს, ხალათი მაქვს კარგი, ატლასის ბაფთით არის გაწყობილი, მოვარღვევ და თმა შეიკარიო. მართლაც მოურღვევია და უცებ ხალათის სახელოდან ბეჭედი გადმოვარდნილა. თურმე ბეჭედი იმ ქალს ადრე დაუკარგავს და ამ გაჭირვებაში კი აღმოაჩინა...

## სათნოება

ალექსანდრე ჯორჯაძის და, ელენე სოლოლაკში ცხოვრობდა. როცა საფრანგეთიდან ტუბერკულოზით დაავადებული მისი ბიძაშვილი, არჩილ ჯორჯაძე (მე-20 საუკუნის უდიდესი მოაზროვნე, ფილოსოფოსი) დაბრუნდა, მისთვის რომ ემკურნალა, ელენემ სახლი გაყიდა, არჩილთან გადავიდა და თავდაუზოგავად უვლიდა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე თავს ადგა სნეულს. დედა მიამბობდა, არჩილი ძალიან ტრაგიკული კაცი იყოო. თურმე უმძიმეს პირობებში ცხოვრობდა და სილატაკეში გაატარა სიცოცხლის უკანასკნელი თვეები.

ელენე ჯორჯაძე ტუბერკულოზით თავადაც დაავადდა, მალე ისიც გარდაიცვალა. ლამაზ ლეგენდად დარჩა ნამდვილი ამბავი, როგორ შეუყვარდა სერგეი რახმანინოვს მშვენიერი, უსათნოესი ელენე ჯორჯაძე. თუმცა ელენე უკვე დაოჯახებული იყო და აზრადაც არ მოსვლია ამ ტრფიალებისათვის მნიშვნელობა მიენიჭებინა. დიმიტრი ჯორჯაძე კი მამიდას სულ ასე იხსენებდა: ჩემი უმშვენიერესი მამიდაო.

*ლელა ჯიყაშვილი*


**გაეროს განვითარების პროგრამის „ბიზნეს-ინკუბატორის“ პროექტი**

პროექტი ახორციელებს მცირე მეწარმეთა (რეგისტრაციის ხანგრძლივობა არაუმეტეს 2 წელი) და რეგისტრირებულ უმუშევართა სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობას უფასო ბიზნეს სწავლებისა და ბიზნეს კონსულტაციების გზით (სესხის გაცემა არ ხდება).

პროგრამის მონაწილეებს საშუალება ექნებათ მიიღონ პრაქტიკული რჩევები ბიზნეს-გეგმების შემუშავების, ბუღალტერიის, საგადასახადო და სხვა საკითხებში.

მსურველებს შეუძლიათ მიმართონ ბიზნეს-ინკუბატორის ცენტრალურ ოფისს 2006 წლის 31 იანვრამდე მისამართზე: მელიქიშვილის გამზირი №12, ტელ.: 22-14-11, 22-12-87

**ევროპული დონის პოლიგრაფია**

ფერადი ბეჭდვა „ჰეიდელბერგის“ გერმანულ დანადგარებზე

შპს „გოდოლი“



ხარისხი
ოპერატიულობა
ფასი

ტელ:
56-40-56
877-43-04-57

**დაიწყეთ ახალი წელი**

ჯეოვიტი

ჩემპიონების საყვარელი კოქტეილი



- 4 ს/კოვზი „მეგა მას 2000“ ფხვნილი (ვანილის, შოკოლადის ან მარწყვის გემოთი)
- 1 ჩ/ჭიქა (250 მლ) უცხიმო რძე
- 1 ს/კოვზი თაფლი

ამ კოქტეილში არის ყველაფერი ის, რაც საჭიროა თქვენი ჯანმრთელობისთვის!

შემადგენლობა: პროტეინი, ვიტამინები – A,C.E,K,B6,B12, თიამინი, რიბოფლავინი, ნიაცინი, ბიოტინი, კალცი, რკინა, ფოსფორი, იოდი, მაგნიუმი, თუთია, სელენი, სპილენძი, მანგანუმი, ქრომი, ქლორი, მოლიბლიბდენი, კალიუმი., - ყველა აუცილებელი მინერალი და მიკროელემენტი.

კოქტეილი აუცილებელია დაბალკალორიული დიეტების დროს, ვინაიდან უზრუნველყოფს ორგანიზმს შეუცვლელი ამინომჟავებითა და ვიტამინებით.

ხელს უწყობს იმუნიტეტის ამაღლებას და ამცირებს გაცივების რისკს.

მიიღე ერთი ჭიქა „მეგა მას 2000“

მის: ილ ჭავჭავაძის გამზ. 41, აფთიაქები: თამარაშვილის 1, თამარ მეფის გამზ. 19, აღმაშენებლის გამზ. 142
ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას გამზ. 29, აფთიაქი „სიბა“, ტელ: 5-13-45
სპეციალისტების ყოველდღიური კონსულტაცია

# რევოლუციონერებს უფრო სჭირდებათ პუტინი, ვიდრე პუტინს ისინი...

THE INDEPENDENT

რეალურმა პოლიტიკამ დემოკრატიულ იდეალიზმზე გაიმარჯვა — ეს ნათელი შეიქნა 11 იანვარს, ასტანაში, ყაზახეთის ხელახლა არჩეული ავტორიტარული პრეზიდენტის ინაუგურაციაზე, სადაც რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინის გვერდით ცნობილი „ხავერდოვანი რევოლუციონერები“ — ქართული „ვარდების რევოლუციის“ გმირი მიხეილ სააკაშვილი და „ნარინჯისფერი რევოლუციის“ ლიდერი ვიქტორ იუშჩენკო იდგნენ.

გაოცებას იწვევდა ნურსულთან ნაზარბაევის ფიცის დადების მდიდრულ ცერემონიალზე ისეთი ხალხის დანახვა, რომლებიც ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში რეჟიმების ცვლის სიმბოლოებად იქცნენ და განსაკუთრებული სიმწვავის მქონე ანტიმოსკოვური რიტორიკით გამოირჩეოდნენ. გასაოცარია იმიტომ, რომ ნაზარბაევი სიმბოლოა იმისა, რაც მათ ყველაზე მეტად სძულთ. კიდევ უფრო დამამცირებელი იყო რევოლუციონერებისთვის რუსეთის პრეზიდენტ პუტინის გვერდით ყოფნა, რადგან ის იმ ქვეყნის იმპერიალიზმის სიმბოლოა, ვისაც ასე ებრძვიან. ყველაზე გულსატკენი კი ის არის, რომ აშკარად ჩანდა — მათ უფრო სჭირდებათ პუტინი, ვიდრე პუტინს ისინი...

ასტანაში რევოლუციონერების ჩასვლა „ხავერდოვანი რევოლუციების“ ეპოქის დასასრულზე მიანიშნებს და იმაზეც მეტყველებს, რომ საქართველოსა და უკრაინას ენერგომატარებლებით მდიდარ ძლიერ ქვეყნებსა და მათ ავტორიტარულ ლიდერებთან თანამშრომლობის გარდა, სხვა გზა აღარ დარჩენიათ. ფაქტია, რომ ნაზარბაევმა კიდევ შვიდ წელიწადს უნდა მართოს ნავთობით მდიდარი ყაზახეთი. იუშჩენკო და სააკაშვილი დარწმუნდნენ, რომ მათ არ აქვთ უფლება იმეგობრონ იმასთან, ვისკენაც გული მიუწევთ. კარგად იციან, რომ ნაზარბაევს სძულს „ხავერდოვანი რევოლუციები“... „მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სხვადასხვა გამოცდილება გვაქვს და სხვადასხვა თაობას ვეკუთვნით, მაინც გავუგეთ ერთმანეთს და საერთო ენაც გამოვნახეთ“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევთან შეხვედრის შემდეგ და აღნიშნა, რომ სწორედ ყაზახეთისგან სწავლობს საქართველო ეკონომიკური რეფორმის გატარებას.

ასტანაში საქართველოს პრეზიდენტი ყაზახეთის საქმიან წრეებსაც შეხვდა და საქართველოსთვის საინტერესო პროექტებიც განიხილეს. მაგალითად, ყაზახური კერძო ბანკის „ტურან ალიმის“ გენერალურ დირექტორთან, მუხტარ აბლიზაკოვთან შეხვედრის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ თბილისში დიდი საერთაშორისო სასტუმროს მშენებლობა დაიწყება, რომლის დაფინანსებაშიც ყაზახეთის კერძო ინვესტორები და მათ შორის ბანკი „ტურან ალიმიც“ მიიღებს მონაწილეობას. დაიდო ხელშეკრულება აჭარაში რამდენიმე სასტუმროს აშენებაზე. სააკაშვილის თქმით, ზოგიერთი ყაზახური კომპანია უკვე მონაწილეობს ტრანსპორტისა და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის საინვესტიციო პროექტებში.

როგორც „ტურან ალიმის“ გენერალურმა დირექტორმა მუხტარ აბლიზაკოვმა განაცხადა, ამჯერად ყაზახ ინვესტორთა ჯგუფი მოლაპარაკებებს აწარმოებს საქართველოში მსხვილი (300-1000 მგვტ სიმძლავრის) ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე. გარდა ამისა, ყაზახური სამრეწველო ჯგუფები რუსთავში ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის პროექტს განიხილავენ, რომელიც წინასწარი გათვლებით 350 მლნ დოლარი დაჯდება. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით კი, ამჟამად საქართველოს ეკონომიკაში ყაზახური ინვესტიციების ოდენობა 300 მლნ დოლარს შეადგენს, სხვა ერთობლივი პროექტების განხორციელების შემთხვევაში კი ეს თანხა 1 მლრდ დოლარამდე გაიზრდება.

როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, ყაზახეთი შესაძლოა მომავალი ათწლეულის ნავთობის მსოფლიო მწარმოებელთა ათეულში შევიდეს.

# შტატები აფრთხილებენ, მაგრამ არ ეხმარებიან

ГазетаСНГ



ვაშინგტონმა კვლავ უკმაყოფილება გამოთქვა რუსეთის „გაზპრომისთვის“ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის შესაძლო მიყიდვის გამო. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ მეთიუ ბრაიზამ განაცხადა: „რუსეთი საქართველოს მეზობელი და უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია, მაგრამ ის უკვე ისედაც დამოკიდებულია რუსეთზე ბუნებრივი აირით მომარაგების გამო. გაზსადენის პრივატიზაციის ნებისმიერი ფორმა საქართველოს კიდევ უფრო დამოკიდებულს გახდის რუსეთის ენერგომატარებლებზე“. ბრაიზას აზრით, აუცილებელია კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა კავკასიისა და ევროპის გაზის ბაზარზე.

ასტანაში, საქართველოს პრეზიდენტთან საუბრისას, ბრაიზამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველომ აუცილებლად უნდა განიმტკიცოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობა, რაშიც მას ძალზე დაეხმარება სამხრეთკავკასიური გაზსადენი, რომლითაც საქართველოს გავლით თურქეთში აზერბაიჯანული გაზის ტრანსპორტირება მოხდება. მეტად საინტერესო წინადადებაა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ აზერბაიჯანი ბუნებრივ აირს ისევ რუსეთისგან ყიდულობს. აღსანიშნავია, რომ ამერიკულმა მხარემ არაერთხელ გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ მოსკოვს ქართული გაზსადენის ყიდვა სურს. ამერიკელთა შეშფოთებას საფუძველიც აქვს — ახალი წლის წინა დღეებში საქართველოს მთავრობამ განაცხადა, თუ რუსეთი 25 წლის განმავლობაში გაზს შეღავათიან ფასად მოგვყიდის, შესაძლოა, გაზსადენის „გაზპრომისთვის“ მიყიდვაზე ვიფიქროთო.

რუსეთის ყოფილი ოლიგარქის, კახა ბენდუქიძის აზრით, მნიშვნელობა არ აქვს, ვის ეკუთვნის მილსადენი: „გაზი რუსეთიდან მოდის, მილსადენი ვისია, მნიშვნელობა არ აქვს, ეს ფასზე გავლენას ვერ მოახდენს“. ამერიკამ ჯერ ევროპასთან გაარკვიოს საქმე და მერე მოვიდეს საქართველოშიო, დასძინა ბენდუქიძემ. როგორც ზედმიწევნით საქმიანმა კაცმა და რუსული ოლიგარქიული წარსულის მქონე ქართველმა მინისტრმა კარგად იცის, რომ გაზით სტაბილურად მომარაგების გარეშე საქართველოს ეკონომიკას ნატურალური მეურნეობის დონემდე დაქვეითება ემუქრება. ყველასთვის ცხადია, რომ პატარა წარმოებასაც კი ენერგომატარებლები სჭირდება, ხოლო იმედი, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ვაშინგტონი ქართულ ეკონომიკაზე იზრუნებდა, არ გამართლდა.

# ქართველმა ტაქსისტმა აშშ-ში 40-მილიონიანი სახლი იყიდა

Forbes



საქართველოდან ემიგრირებულმა ყოფილმა ტაქსისტმა თამირ საფირმა (თემურ სეფიაშვილმა) რუსული ნავთობითა და ამერიკული უძრავი ქონებით დიდი სიმდიდრე დააგროვა, ახლა კი მანჰეტენზე ყველაზე ძვირად ღირებული ე. წ. დიუკ სიმონსის სახლი შეიძინა. თანხა, რომელიც ქართველმა ტაქსის მძღოლმა მეხუთე ავენიუს ერთ-ერთ ულამაზეს სახლში გადაიხადა, ნიუ-იორკის კერძო ქონების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების ისტორიაში სარეკორდოა — 40 მილიონი დოლარი.

1973 წელს საქართველოდან ისრაელში რეპატრირებული თამირ საფირი თავდაპირველად გერმანიაში ცხოვრობდა, შემდეგ კენტუკის შტატის ქალაქ ლუისვილში გადავიდა, 1976 წელს კი ნიუ-იორკში დასახლდა. სამი წელი საჭესთან იჯდა, მერე ელექტრონული საქონლის მაღაზია გახსნა, სადაც ხშირად შედიოდნენ რუსული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. სწორედ ერთ-ერთი რუსი დიპლომატის საშუალებით მოახერხა ქართველმა ემიგრანტმა ბიზნესის სამყაროში ფეხის მოკიდება.

90-იანი წლების დამდეგს რუსეთის ნავთობით ნაშოვნი მილიონები საფირმა ნიუ-იორკის უძრავ ქონებაში დააბანდა. დიუკ სიმონსის სახლში 11 მარმარილოს ბუხარი და ბაჯაღლო ოქროთი მოვარაყებული სამი ლიფტია. თამირი ახალშეძენილ სახლში ცოლთან, ელენა პონომარიოვასთან და 2 წლის გოგონასთან ერთად აპირებს დასახლებას.

ონიქსი
გრანიტი
პარკეტი
მარმარილო
რბილი იატაკი
ხელოვნური ქვა
ხალიჩები
კერამოგრანიტი
კაუჩუკის იატაკები

შ.პ.ს. ფენიქსი
www.phoenix.ge

თბილისი 0160, ყაზბეგის გამზ. 12ა
ტელ.: +995 32 339 777
ფაქსი: +995 32 335 888
E-mail: info@phoenix.ge

# სერგეი ბაღაფში: „რფ-ის შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლა შეუძლებელია...“

LENTA·RU

ერთი წლის წინ სერგეი ბაღაფში აფხაზეთის პრეზიდენტი გახდა. დასამალი არ არის, რომ მაშინ საარჩევნო კამპანიას ცბიერი პოლიტტექნოლოგები მართავდნენ. ბევრი ტყუილ-მართალიც ითქვა, მაგალითად, სერგეი ბაღაფშს საქართველოს ჯაშუშობაც დასწამეს, ამის გამო კი კრემლი გაუნაწყენდა.

— *ახლა რა ხდება? როგორი ურთიერთობა გაქვთ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან?* — ამ კითხვით მიმართა სერგეი ბაღაფშს კორესპონდენტმა.

— იმთავითვე დარწმუნებული ვიყავი, რომ კარგი ურთიერთობა გვექნებოდა. ყველამ კარგად იცოდა, რომ მე პროქართული პოლიტიკოსი არ ვიყავი და აფხაზ ხალხს საქართველოსკენ მწყობრი ნაბიჯით არ გავუძღვებოდი.

— *როგორ წარმოგიდგენიათ აფხაზეთის მომავალი — რუსეთის შემადგენლობაში შესვლა, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა თუ რაიმე სხვა მოდელი?*

— ჩვენ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ვაშენებთ. მართალია, რუსეთთან ყოფნა გვინდა, მაგრამ თუ სიტუაციას რეალურად შევაფასებთ, რუსეთის ფედერაციაში აფხაზეთის შესვლა უბრალოდ შეუძლებელია. როგორ განვითარდება მოვლენები, ამას აფხაზი ხალხი გადაწყვეტს.

— *საქართველო აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას ითხოვს. მზად ხართ თქვენი საზღვრების დასაცავად?*

— ამის კატეგორიულად წინააღმდეგი ვართ. საქართველოს შერეული სამშვიდობო კონტინგენტის შემოყვანა უნდა, მაგრამ ჩვენ ამას არ დავთანხმდებით. თუ მაინც ასე მოხდა, რუსების ადგილს ჩვენი შეიარაღებული ძალები დაიკავებენ. ეს გარდაუვალია. ამასთან, შესაძლო შედეგებზე პასუხისმგებლობა იმ მხარემ უნდა აიღოს თავის თავზე, ვინც რუსეთის სამშვიდობო მისიაზე უარს აცხადებს.

— *როგორ აფასებთ საქართველოსთან ურთიერთობის პერსპექტივებს?*

— ჩვენ გამუდმებით ვადევნებთ თვალყურს სიტუაციას და უარესი ვარიანტისთვის ვემზადებით, რადგან მდგომარეობა — „არც ომი, არც მშვიდობა“, — ძალზე მყიფეა. აფხაზეთი მზად არის საქართველოსთან საომარი მოქმედებების განუახლებლობის თაობაზე ხელშეკრულების ხელმოსაწერად, მაგრამ თუ მათ მშვიდობა არ სურთ, ყოველგვარ ხელშეკრულებას აზრი ეკარგება.

— *საქართველოს მხრიდან აგრესიის შემთხვევაში, შეძლებს თუ არა აფხაზეთი წინააღმდეგობის გაწევას?*

— ეჭვიც არ შეგეპაროთ. ჩვენ ვიბრძოლებთ. კარგია, სხვისი იმედიც რომ გვქონდეს, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ჩვენი პრობლემები თავად უნდა გადავჭრათ. მართალია, გაგვიძნელდება, საქართველო კარგად არის შეიარაღებული, მაგრამ არც ჩვენ ვართ გულხელდაკრეფილები, — ვიარაღდებით და ვწვრთნით ხალხს. ვემზადებით შესაძლო აგრესიასთან საბრძოლველად, მაგრამ ყველასთვის უკეთესი იქნება, თუ ეს არ მოხდება.

— *დასავლეთში კოსოვოს აღიარებაზე ლაპარაკობენ. როგორ ფიქრობთ, აფხაზეთსაც აღიარებენ?*

— თუ კოსოვოს აღიარებენ, ე. ი. პრეცედენტი შეიქმნება და აღიარების პროცესიც დაიწყება. ყველა კონფლიქტს თავისი სპეციფიკა აქვს. აფხაზეთი იმით განსხვავდება, რომ ოდითგანვე დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო, ჩვენ მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა გვაქვს. დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა გენეტიკურად მოგვდგამს. აფხაზეთში დასავლელი პოლიტოლოგები, ელჩები ჩამოდიან და ხედავენ, რომ ჩვენთან წვერებიანი და ავტომატიანი გარეწრები არ დაძრწიან. აღიარების პროცესი ყველგან და ყოველთვის მტკივნეულად, დიდხანს გრძელდება.

— *ოპოზიცია თქვენს ადმინისტრაციას სახელმწიფო საკუთრების უკონტროლო გაყიდვაში ადანაშაულებს...*

— ჯერ არაფერი გაგვიყიდია! არც ერთი ობიექტი, მხოლოდ ჩვენი წინამორბედების მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებებს ვასრულებთ. ის კი, ვინც გვადანაშაულებს, სჯობია, ჯერ ბოლო 10 წლის პრივატიზაციაში გაერკვეს. მაგალითად, გაგრაში მშვენიერი 600-ადგილიანი პანსიონატის მეპატრონეები სახელმწიფოს სოლიდურ თანხას უხდიან! რასაკვირველია, პრივატიზაცია უნდა გაგრძელდეს, ობიექტების ნაწილი სააქციო საზოგადოებებად იქცევა. აქციების გაყიდვით ზოგიერთებისთვის ინვესტორებს მოვძებნით — პირველ რიგში აფხაზეთის მოქალაქეებს, მერე რუსეთისა და საზღვარგარეთის ქვეყნებისას. ინვესტირება ჩვენთვის აუცილებელია, უამისოდ კურორტებს ვერ აღვადგენთ.

— *როგორ მიდის სოჭი-სოხუმი-თბილისი-ერევნის რკინიგზის აღდგენის საქმე?*

— ეს სოჭის შეთანხმებით არის გათვალისწინებული. მოსკოვში სწორედ ამ საკითხის განსახილველად ჩავედი.

ჩვენ ვიცით, რომ სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო სისტემის მშენებლობა და მომსახურება კომპრომისებს საჭიროებს, მაგრამ არის ორი საკითხი, რომელიც განხილვას არ ექვემდებარება. აფხაზეთის ტერიტორიაზე არ დადგებიან ქართველი მესაზღვრეები და მებაჟეები და არც ასეთი სახელწოდება იარსებებს: „საქართველოს რკინიგზის აფხაზური მონაკვეთი“.

*გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა*



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გინითხობენ

ახალი წლის დილით პატარა **ანამ** ბებოს დაურეკა, ახალი წელი მიულოცა და თან ახარა:

— იცი, ბებო, მე თოვლის პაპამ საჩუქრები მომიტანა!

— ჩემთანაც დაგიტოვა, სიხარულო! ჩამოდი და ერთად ვნახოთ, რაც არის.

— მართლა?! რა კარგია!.. თოვლის პაპამ იცოდა, ჩემი ბებო რომ იყავი?

***

პატარა **დავით მელია** ბაბუას იპოდრომზე მიჰყავს.

— ბაბუ, იპოდრომი ცხენების ზოოპარკია? — ეკითხება დავითი ბაბუას.

## II ანა, გამოიცანი

**1. რას ნიშნავს სიტყვა — ლაფსუსი?**

ა) სალებავ ნივთიერებას; ბ) უნებლიე შეცდომას; გ) სინანულს; დ) ძმრის სახეობას.

**2. რომელი ქალაქი იყო საქართველოს დედაქალაქი თბილისამდე?**

ა) გრემი; ბ) ქუთაისი; გ) მცხეთა; დ) თელავი.

**3. რომელი მწერლის ნამდვილი სახელი და გვარია — სემიუელ ლენგჰორნ კლემენზი?**

ა) ფრანსუა რაბლეს; ბ) სტენდალის; გ) ანატოლ ფრანსის; დ) მარკ ტვენის.

**4. რა ეწოდება საყოველთაო ლოცვას დიდი დღესასწაულის დროს, როდესაც ეკლესიას გარს უვლიან?**

ა) ეპისტოლე; ბ) ლიტანიობა; გ) ლიტურგია; დ) ალილო.

**5. როგორ ადამიანზე ამბობენ „ჭკუის კოლოფიაო"?**

ა) ნიჭიერზე; ბ) თავქარიანზე; გ) ჩერჩეტზე; დ) უჭკუოზე.

**6. რა ერქვა მირიან მეფის მეუღლეს?**

ა) რუსუდანი; ბ) ქეთევანი; გ) ანა; დ) ნანა.

## III

დაეხმარე თოვლის ბაბუას დაარიგოს სახლებში საჩუქრები ისე, რომ ერთსა და იმავე გზაზე ორჯერ არ გაიაროს



შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: **„უმისოდ გურიაში კალანდა ხომ არ იქნება, თქვი, რა ჰქვია იმ „ნაძვის ხეს", თხილის ხისგან რომ ითლება".**

I



## იპოვე 10 განსხვავება



## ყვავი და კოდალა

იგავები

ერთ უდაბურ ტყეში ყვავი ცხოვრობდა. ყოველ გაზაფხულზე მუხის კენწეროზე ბუდეს იშენებდა და ბარტყებს ჩეკდა.

ხშირად მუხას კოდალა ესტუმრებოდა და მერქანზე დაბუდებულ ჭია-მატლებს მუსრს ავლებდა.

გაჯავრდა ყვავი და კოდალას დაუცაცხანა:

— რად მიღვიძებ ბარტყებს, აქედან გამეცალე, თორემ სულს ამოგხდი.

საწყალი კოდალა ძლივსღა გადაურჩა გააფთრებული ყვანჩალას ბრჭყალებს. მას შემდეგ კოდალა მუხას არ გაჰკარებია.

მოვიდა ზამთარი. მუხის მერქანზე დაბუდებულმა მატლებმა მუხა მთლად გამოაფუტუროვეს.

გაზაფხულზე ყვანჩალამ ძველი ბუდე შეაკეთა და ბარტყები დაჩეკა. მუხას სიცოცხლის ნიშანწყალი დაეკარგა. ერთ დღეს ქარი ამოვარდა და მუხა შუაზე გადაამსხვრია.

მიწაზე დაყრილი ყვავის ბახალები მელიამ იპოვა და სათითაოდ შესანსლა.

## მელია და სკვინჩა

ზამთარი იყო. მიდამო თოვლს დაეფარა. მშიერი სკვინჩა დათოვლილ ვერხვის ტოტზე იჯდა და საცოდავად წრიპინებდა. ტყეში მელა შემოვიდა, პირში მოპარული დედალი ეჭირა. ვერხვის ქვეშ შეჩერდა და ნადავლს შეექცა.

მაღლა აიხედა, სკვინჩა დაინახა და ასძახა:

— შე საცოდავო, როგორ გაძვალტყავებულხარ უჭმელობით. აბა, მე მიყურე, როგორი მსუქანი ვარ.

— მე საკენკით ვირჩენ თავს, ნაქურდალი საკვებით გასუქებას, შიმშილით სიკვდილი მირჩევნია, — გადმოსძახა სკვინჩამ.

ამასობაში მელიას ქათმის პატრონი წამოეპარა. ისე ძლიერ მოუქნია ჯოხი, რომ კუდი მოსწყვიტა.

უკუდო მელიამ გაქცევით უშველა თავს.

*ვიქტორ ლეჟავა*

პასუხები იხილეთ 35-ე გვერდზე

*გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა*












X700

## საქმე არ ითმენს!

წარმოიდგინეთ ტელეფონი, რომელშიც ორგანულად არის შერწყმული ელეგანტური დიზაინი და იშვიათი ფუნქციონალურობა. ტელეფონი, რომელშიც ყველაფერია იმისთვის, რომ ბიზნესსამყაროში ყოველთვის თავდაჯერებული იყოთ. ეს ტელეფონი მართლაც წარმატებული ადამიანებისთვისაა. ყველაფერი ადვილი წარმოსადგენია – Samsung X700.

- 1.3-მეგაპიქსელიანი კამერა • ფერადი TFT დისპლეი (262 144 ფერი)
- სტერეოხმა • FM-რადიო • MP3 / AAC პლეერი • MPEG4 ვიდეოპლეერი
- მეხსიერების ბარათი TransFlash™ • 40-ტონალური პოლიფონია
- Bluetooth • EDGE

## Дело не ждет!

Представьте телефон, органично сочетающий элегантный дизайн и исключительную функциональность. Телефон, в котором есть все, чтобы Вы могли уверенно чувствовать себя в мире бизнеса. Телефон для действительно успешных людей. Samsung X700. Легко представить.

- 1.3-мегапиксельная камера • Цветной TFT-дисплей (262 144 цвета)
- Стереозвук • FM-радио • MP3 / AAC плеер • MPEG4 видеоплеер
- Карта памяти TransFlash™ • 40-тональная полифония
- Bluetooth • EDGE

ელიტ ელექტრონიქსი – კომპანია სამსუნგ ელექტრონიქსის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

ELIT ELECTRONICS

Elit Electronics – официальный дистрибьютор компании Samsung Electronics в Грузии

მარჯანიშვილის ქ. №47; ტელ: (822) 94 24 72
აღმაშენებლის გამზ. №146; ტელ: (822) 96 28 67
ხიზანიშვილის ქ. №53; ტელ: (822) 35 69 95

Адреса магазинов: г. Тбилиси.
ул. Марджанишвили №47 / Тел: (822) 94 24 72
пр. Агмашенебели №146 / Тел: (822) 96 28 67
ул. Хизанишвили №53 / Тел: (822) 35 69 95

3-წლიანი უფასო სერვისული მომსახურება

3 года бесплатного сервисного обслуживания

SAMSUNG
სამსუნგი

სასამართლო ქრონიკა
DURA LEX SED LEX
ყოველთვიური ჩანართი
N55 16.01.2006

მოსაზრება

# ქართული RICO




**გასული წლის ბოლო კვირისა და მიმდინარე წლის პირველი დეკადის ყველაზე აქტიური პროცესი ხელისუფლების მხრიდან „ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ განხორციელებულმა რადიკალურმა ქმედებებმა და „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებამ განსაზღვრეს. როგორც ჩანს, ეს თემა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც კიდევ არაერთხელ იჩენს თავს. ქურდული „ავტორიტეტების“ შევიწროებამ ციხეებში აჩვენა, რომ ეს სამყარო არ შემოიფარგლება მხოლოდ პენიტენციარული სისტემით და ციხის კედლების მიღმაც ჯერ კიდევ არსებობს. ის, რომ „ლეიბორისტები“ და „გიორგაძისტები“ პირველები დადგებოდნენ „კანონიერი ქურდების“ გვერდით მოსალოდნელიც იყო და ლოგიკურიც, მათი კომიკური პოლიტიკური ნიშიდან გამომდინარე. თუმცა, დანარჩენი ოპოზიციური სპექტრის ასეთი სოლიდარობა „კაი ბიჭების“ მიმართ, ცოტა გაუგებარია. გაუგებარია იმიტომ, რომ მათთვის მომგებიანი არ არის, თორემ გასული წლის გაზაფხულზე ე.წ. „ჯღანას აჯანყების“ დროსაც მათი პოლიტიკური პოზა იგივე იყო, რაც დღეს: ჩვენ არ ვიცავთ ქურდებს, ჩვენ ვიცავთ პატიმართა უფლებებს. პატიმართა უფლებების დაცვის რიტორიკით გამოვიდა „ციხის ბიზნესს“ ჩამოცილებული ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციაც. თუმცა რაიმე კონკრეტული მტკიცებულება ხელისუფლების მხრიდან „არაადეკვატური და არაადამიანური“ ქმედებების დასადასტურებლად ჯერჯერობით არავის არსად წარუდგენია. რაც მთავარია, მიმდინარე პროცესი საზოგადოებამ ადეკვატურად შეაფასა და სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ამ ნიადაგზე ვერავინ ვერაფრის „აგორება“ ვერ შეძლო.**

დასასრული მე-20 გვერდზე

# მოსამართლედ არავინ იბადება

**საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ მალე სასამართლო სისტემაში ახალი მოსამართლეები დაინიშნებიან. რა კრიტერიუმებით არჩევენ ახალ სახეებს? პროფესიონალიზმთან ერთად რა პიროვნული ღირსებების მატარებელი უნდა იყოს მოსამართლე და რა სისტემური ცვლილებები მოხდება საქართველოს სამართლებრივ სივრცეში? — ამ და სხვა საკითხების კომენტირებისათვის „სასამართლო ქრონიკის“ რედაქციამ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კონსტანტინე კუბლაშვილს მიმართა.**

– ყველა ქვეყანაში, მოსამართლე თავისი თვისებებით თანამოქალაქეებისაგან, გარკვეულწილად, გამორჩეულია. პრინციპულობა, პატიოსნება, ობიექტურობა, ნესიერება, მიუკერძოებლობა – ეს ის თვისებებია, რომელიც ყველა მოსამართლეს უნდა ჰქონდეს.

მინდა გითხრათ, რომ სწორედ ამ თვისებებიდან გამომდინარე შევარჩევთ ახალ მოსამართლეებს. მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატების შესახებ ვცდილობთ ამომწურავი ინფორმაცია მოვიპოვოთ, ვაკვირდებით მათ და მხოლოდ ამის შემდეგ ვილებთ გადაწყვეტილებებს ამა თუ იმ კანდიდატის შესაძლო მოსამართლეობასთან დაკავშირებით.

**– თქვენ არაერთხელ აღნიშნეთ, რომ განსაკუთრებული აქცენტები კეთდება ახალ კადრებთან დაკავშირებით. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებით მოსამართლეთა ასაკმაც 28 წლამდე დაიწია. როგორია თქვენი აზრი ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ახალგაზრდა, პატიოსანი, მაგრამ გამოუცდელი კადრების დანიშვნის შესახებ?**

– ყველა ახალი დანიშნული მოსამართლე საწყის ეტაპზე გამოუცდელია. მოსამართლედ არავინ იბადება, ამ პროფესიისთვის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს ადამიანი წლების მანძილზე იძენს, დასაწყისისთვის კი მთავარია მისი ზოგადი განათლება, პიროვნული თვისებები, პატიოსნება, ობიექტურობა. იმის გამო, რომ ადრე მოსამართლედ არ უმუშავიათ, მათ დანიშვნაზე უარს ვერ ვიტყვით. ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება მეტი ახალი მოსამართლე – ახალი გამოცდილებით, გარკვეულწილად, „ახალი სისხლი“ სასამართლო სისტემაში. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, ახალი კადრების სასწრაფო წესით ხელაღებით დანიშვნას. პირიქით, ეს ნიშნავს, რომ მათი შერჩევა ხდება ძალიან ყურადღებით და უდიდესი პასუხისმგებლობით. თუკი ადამიანი თავისი საქმის პროფესიონალია, ანუ კარგად არის მომზადებული და პიროვნულადაც აქვს უფლება იყოს მოსამართლე, კონკრეტულად ამ პროფესიისთვის დამახასიათებელ თვისებებს იგი მალე შეიძენს. ამის გარდა, ჩვენ სახეზე გვაქვს ამ ადამიანების ხუთწლიანი სამუშაო გამოცდილება, ეს ადამიანები ადრე მუშაობდნენ მოსამართლის თანაშემწედ, ისინი დასაქმებულები იყვნენ ადვოკატურაში, სხვადასხვა იურიდიულ სამსახურებში, ანუ მათ ზურგს უმაგრებს კვალიფიციური და პროფესიონალი იურისტის სტატუსი.

რაც შეეხება სამოსამართლეო ასაკის ორი წლით გაახალგაზრდავებას, ამაში საგანგაშო და ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ. პირიქით, თუკი ეს ადამიანი პროფესიონალი იურისტია, აქვს შესაბამისი სამუშაო სტაჟი და ამ თანამდებობისთვის საჭირო თვისებებიც გააჩნია და არის მაგალითად 29 წლის, რატომ უნდა ველოდოთ კიდევ ერთი წლის გასვლას, სანამ 30 წელი შეუსრულდება.

სამწუხაროდ, ჩვენ ამ ეტაპზე არ გვაქვს საშუალება, ახალ მოსამართლეებს რამდენიმეთვიანი ტრენინგი ჩავუტაროთ, თუმცა ყველაფერი გამოსწორდება სწორედ ამ რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებულ ახალ სისტემაში. მომავალში მოსამართლეობის კანდიდატები იუსტიციის უმაღლეს სკოლაში 14-თვიან კურსს გაივლიან და უკვე ექნებათ ყველა პირობა მოსამართლისთვის დამახასიათებელი პროფესიული უნარ-ჩვევების წარმატებით შესათვისებლად.

ხშირად ეჭვქვეშ აყენებენ მოსამართლეთა მიუკერძოებლობის საკითხს.

**– ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული პრობლემა მართლმსაჯულების სისტემის არასაკმარისი დაფინანსებით არის გამოწვეული. რა კეთდება იმისათვის, რომ მოსამართლეთათვის გაუმჯობესდეს შრომის პირობები?**

– ამ რეფორმის მთავარი მიზანი არის სწორედ იმ კონდიციის მიღწევა, რასაც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო ჰქვია.

დღეს სასამართლოს დაფინანსება ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულადაა მიჩნეული. 2006 წლიდან მოსამართლეს ექნება ძალიან მაღალი ხელფასი, 1.450 ლარიდან დაწყებული მინიმალური ხელფასით პირველ ინსტანციაში და დამთავრებული 4.000 ლარით – უზენაეს სასამართლოში. ეს ფაქტობრივად ისეთი ხელფასია, რომელზეც მხოლოდ ძალიან სკეპტიკოსი თუ იტყვის, რომ კიდევ არ არის საკმარისი. სამუშაო პირობები გაუუმჯობესდებათ ასევე სასამართლოს აპარატის თანამშრომლებს, გაიზრდება მათი ხელფასებიც.

2005 წელს რემონტი ჩატარდა უზენაეს სასამართლოში. შეძენილია მთელი რიგი ახალი აპარატურა, კეთილმოეწყო დარბაზები. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ მოსამართლეებს გაუადვილდეთ საქმიანობა და მათი ენერგია მხოლოდ საქმეების განხილვისკენ იყოს მიმართული. ამ წლის იანვარში დასრულებულ სახეს მიიღებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობა და, სავარაუდოდ, ამავე პერიოდში დასრულდება ბათუმის სასამართლოს ახალი შენობის რემონტიც. ეს არის უმაღლესი არქიტექტურული დონის ნაგებობა.

მომავალ წელს ვვარაუდობთ თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის ასევე უმაღლეს დონეზე გარემონტებას, პარალელურად კეთილმოეწყობა გამსხვილებული რეგიონული სასამართლოებიც. ამგვარი სამუშაოების ჩატარების საშუალებას ჩვენი გაზრდილი ბიუჯეტიც გვაძლევს. ჩვენი დაფინანსება (უზენაესისა და საერთო სასამართლოების ერთდროულად) დაახლოებით 33 მლნ ლარამდეა. ეს კი თითქმის ორ-ნახევარჯერ მეტია, 2005 წელთან შედარებით.

**– რეფორმის ერთ-ერთი მიმართულება, მთელი საქართველოს მასშტაბით, რაიონული სასამართლოების გამსხვილებაა. თბილისში უკვე მოხდა 5 რაიონული სასამართლოს გაერთიანება. როგორ ფიქრობთ, გაამართლა თუ არა ამ მოდელმა დედაქალაქში?**

– ჯერჯერობით თბილისის საქალაქო სასამართლოში ის სიტუაცია არ არის, რომელიც საბოლოოდ გვინდა, რომ გვქონდეს. თუმცა მუშაობა საბოლოო მოდელის მისაღებად ინტენსიურად მიმდინარეობს. დიდ შედეგს მოიტანს საქალაქო სასამართლოში სპეციალიზებული კოლეგიების არსებობა, თუ ადრე რაიონული სასამართლოს მოსამართლეები ერთდროულად იხილავდნენ როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებს, საქალაქო სასამართლოს სპეციალიზებულ კოლეგიაში მოსამართლე უკვე მხოლოდ ერთი კატეგორიის საქმეს განიხილავს.

ერთი წლის განმავლობაში საქალაქო სასამართლო გარემონტდება, ამ სასამართლოში მოიყრის თავს ამჟერად სხვადასხვა შენობაში განთავსებული სამოქალაქო და ადმინისტრაციული კოლეგიებიც.

ამჟერად, ინტენსიურად ვმუშაობთ საქალაქო სასამართლოში მოსამართლეებისთვის უკეთესი სამუშაო პირობების შესაქმნელად. პირველ რიგში, ვაპირებთ საერთო კომპიუტერული ქსელის შექმნას, სადაც მოსამართლეებს საშუალება ექნებათ, მოიძიონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, იქნება ეს საკანონმდებლო ცვლილებები, თუ ამა თუ იმ ნორმასთან დაკავშირებული უზენაესი სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა.

რეფორმის შედეგად შეიქმნება თხუთმეტი გამსხვილებული რაიონული (საქალაქო) სასამართლო, რომლებიც განთავსდება საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, რუსთავში, მარნეულში, თელავში, სიღნაღში, ამბროლაურში, ზესტაფონში და ა.შ. ამ სისტემის მთავარი უპირატესობა არის ის, რომ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში მოხდება მოსამართლეთა სპეციალიზაცია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ყველა საქმე (მაგისტრატი მოსამართლეების განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეთა გარდა), განურჩევლად მათი სირთულისა თუ სუბიექტისა, განიხილება რაიონული (საქალაქო) სასამართლოების სპეციალიზებული მოსამართლეების მიერ.

სასამართლოების გამსხვილების მიუხედავად, მაქსიმალურად დაცული იქნება მართლმსაჯულების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი – მოსახლეობისთვის სასამართლოს ხელმისაწვდომობა. ამის უზრუნველსაყოფად იქმნება მაგისტრატი მოსამართლის ინსტიტუტი. მაგისტრატი მოსამართლე შედის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შემადგენლობაში და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს გამსხვილებული რაიონული (საქალაქო) სასამართლო. მაგალითად, გამსხვილებული რაიონული სასამართლო შეიქმნება ზესტაფონში, რომლის იურისდიქციაც საჩხერის, ჭიათურის, ხარაგაულის, თერჯოლისა და ტყიბულის რაიონებზე გავრცელდება, ხოლო თითოეულ ამ რაიონში იმოქმედებს თითო მაგისტრატი მოსამართლე.

მაგისტრატი მოსამართლე საქმეს განიხილავს ერთპიროვნულად. აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარემ მაგისტრატ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვა მისი სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ – რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

დასასრული 21-ე გვერდზე

მერაბ ბასილაია

დასაწყისი მე-19 გვერდზე

მიუხედავად ამ მოვლენათა თავისთავადი სიმწვავისა, უმთავრესი, რაც ამ პერიოდში მოხდა, პრეზიდენტის მიერ ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის წინააღმდეგ მიმართული კანონის საჯაროდ ხელის მოწერა იყო.

მრავალი იურისტი აღნიშნავს, რომ ეს კანონი თავისი არსით, იურიდიული შინაარსითა და საზოგადოებრივი დატვირთვით „ქართული რიკოს" ფუნქციას შეასრულებს. რაც შეეხება წინამორბედს ანუ The Racketeer Influanced and Corrapt Organaziations Act, RICO-ს, ეს აქტი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა 1970 წელს მიიღო. ამ აქტის პრაქტიკულმა ამოქმედებამ, არაერთი წინაალმდეგობრივი შედეგის მიუხედავად, დამანგრეველი დარტყმა მიაყენა კრიმინალურ სამყაროს აშშ-ში. პირველ ეტაპზე ამ აქტის ამოქმედება სწორედ მაფიასთან და კრიმინალური კლანების ნათლიმამებთან მიმართებაში აღმოჩნდა ეფექტიანი, თუმცა მომდევნო ეტაპებზე მისი არეალი გაფართოვდა და ორგანიზებული დანაშაულის მთელი სპექტრი მოიცვა.

რით არის მნიშვნელოვანი ეს კანონი? უპირველესად იმით, რომ მასში განსაზღვრულია რეკეტის ცნება.

კანონის თანახმად, რეკეტი არის „შემოსავლის მიღების ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატური მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახ დანაშაულის ჩადენასთან (თუ არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა), თუ ის განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის რეკეტირის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა". მესმის, რომ იურიდიული ფორმულირებების ერთბაშად აღქმა არცთუ ადვილი საქმეა, შევეცდები, არაიურისტ მკითხველს განვუმარტო მარტივად: თუ ვინმე მოდის და გეუბნება: „ფული მომეცი, თორემ ფეხებს დაგამტვრევ", ეს არის მუქარა, ხოლო ეს პირი „უბრალო" დამყაჩაღებელი, მაგრამ თუ ერთი და იგივე პირი ან პირთა ჯგუფი ასეთ ქმედებას ჩაიდენს თუნდაც ორჯერ ხუთი წლის განმავლობაში, თუ მათ ქმედებაში არის „განგრძობადობა" და „დაკავშირებულობა", მაშინ ეს რეკეტია.

კანონი იძლევა თავად რეკეტირის დეფინიციასაც – რეკეტირი არის პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა პირთან (პირებთან) ერთად წარმართავს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას ან სხვაგვარად მონაწილეობს რეკეტული დაჯგუფების საქმიანობაში და მისთვის ცნობილია, რომ ეს დაჯგუფება რეკეტული დაჯგუფებაა, აგრეთვე უკანონოდ წყვეტს ან მონაწილეობს რეკეტულ დაჯგუფებათა, ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირთა შორის დავაში. გამოუცდელი თვალითაც შესამჩნევია, რომ კანონის ამ მუხლის ეს პუნქტი განსაკუთრებით საყურადღებოა „კანონიერი ქურდებისათვის", რომელთა „საქმიანობის" ძირითადი „მიმართულება" საქმეების გარჩევა და მოგების წილების გადანაწილებაა.



მერაბ ბასილაია

# ქართული RICO

რეკეტული ქონება, კანონის თანახმად, არის „რეკეტიდან მიღებული ქონება. ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რეკეტიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება, აგრეთვე რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, რეკეტირის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს." მიღებული რეკეტული ქონება ექვემდებარება ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემას.

კანონის თანახმად, პროკურატურა უფლებამოსილია, მოითხოვოს არა მარტო იმ რეკეტული ქონების ჩამორთმევა, რომელიც უშუალოდ რეკეტირის მფლობელობაშია, არამედ რეკეტირის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონება/შემოსავლების ჩამორთმევა, რომელთა მართლზომიერი წარმოშობის დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს.

აღნიშნული დებულება, ერთი შეხედვით, უსამართლობის განცდას ბადებს. მართლაც, რატომ უნდა აგოს პასუხი მოქალაქემ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ნათესავი რეკეტირი ან „კანონიერი ქურდია"? ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს კანონის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, ჩამორთმევას ექვემდებარება მხოლოდ ის ქონება, რომლის მართლზომიერება არ დასტურდება შესაბამისი საბუთებით, ანუ თუ მავან მოქალაქეს უცებ უჩნდება სამსართულიანი ვილა ქალაქის პრესტიჟულ უბანში და ეს მოქალაქე ვერ ასახელებს ამ ქონების წარმოშობის რაიმე ლეგალურ წყაროს, ხოლო პროკურატურას აქვს მტკიცებულება იმისა, რომ ამ მოქალაქის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი რეკეტულ საქმიანობას ეწევა, ამ შემთხვევაში იქმნება კანონიერი საფუძველი, რათა აღიძრას სარჩელი ამ ქონების ჩამორთმევის მიზნით.

რაც შეეხება რეკეტირთან დაკავშირებულ პირს, კანონის თანახმად, ეს არის პირი, რომელსაც იურიდიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრებაში აქვს ქონება და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომ იგი მიღებულია რეკეტის შედეგად და ამ ქონებით რეკეტირი სარგებლობს.

კანონის ამ რამდენიმე ნორმის ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია, რათა დავინახოთ, თუ რა საფრთხეს უქმნის მათი სწორად ამოქმედება „კანონიერ ქურდებს", „კრიმინალურ ავტორიტეტებს" თუ „საძმოების" წევრებს. ისიც ცხადია, რომ ეს ძალები შერჩენილ პოზიციებს ადვილად არ დათმობენ. სწორედ ამიტომ უაღრესად აქტუალურია ამ პროცესში არა მარტო ხელისუფლების უშეცდომო მოქმედება, არამედ საზოგადოების კონსოლიდაცია და ამ სამყაროს მიმართ მკაფიო მოქალაქეობრივი პოზიციის გაცხადება.

# კვლევა განსჯისათვის

ALPE BCG Research

შემსრულებელი ორგანიზაცია: ბიზნესკონსალტინგის ჯგუფი, ოქტომბერი 2005

## გთხოვთ, დახედოთ 4-ბალიან სკალას და შეაფასოთ ქვემოთ ჩამოთვლილი სამართლებრივი სტრუქტურები შემდეგი მახასიათებლების მიხედვით:

(საშუალო შეფასება)




## როგორ ფიქრობთ, კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტების (ე.წ. კანონიერი ქურდების) გავლენა:






# მოსამართლედ არავინ იბადება

დასაწყისი მე-19 გვერდზე




კოტე კუბლაშვილი

**– ინსტიტუციური ცვლილებები შეეხო საოლქო და უზენაეს სასამართლოსაც. მოხდა საოლქო სასამართლოს ლიკვიდაცია, ხოლო უზენაეს სასამართლოში გაუქმდა სისხლის სამართლის კოლეგია.**

– ინსტიტუციური ცვლილებების თვალსაზრისით, რეფორმა ითვალისწინებს საქართველოში წმინდა სააპელაციო სასამართლო ინსტიტუტის შექმნას. 2005 წლის 1-ელი ნოემბრიდან ამოქმედდა სააპელაციო სასამართლო ინსტანცია, რითაც ძირეულად შეიცვალა არსებული საოლქო სასამართლოების მოდელი საერთო სასამართლოების ერთიან სისტემაში. აქამდე მოქმედი სისტემის შესაბამისად ე.წ. მეორე ინსტანციის, ანუ საოლქო სასამართლო არ გახლდათ წმინდა სააპელაციო ტიპის სასამართლო იმდენად, რამდენადაც ამ სასამართლოში არსებობდნენ შესაბამისი კოლეგიები, რომლებიც პირველი ინსტანციით განიხილავდნენ მათ განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს. განხორციელებული ცვლილებები ერთმნიშვნელოვნად მკვეთრად გაიმიჯნა სასამართლო ინსტანციების არსი, რითაც ზუსტად არის დაცული დასავლეთში გაბატონებული თანამიმდევრული ინსტანციურობის პრინციპი. სააპელაციო სასამართლოში აღარ არსებობს საქმეთა პირველი ინსტანციით წესით განხილვის კოლეგიები და ყველა საქმეს სასამართლო განიხილავს მხოლოდ აპელაციის წესით. სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, სააპელაციო წესით არ საჩივრდება ამ კატეგორიის საქმეები, რომელთა დავის საგნის ღირებულება სამოქალაქო დავების დროს არ აღემატება 1000 ლარს. სისხლის სამართლის საქმეებზე სააპელაციო წესით არ საჩივრდება სასამართლოს განაჩენი ისეთი კატეგორიის დანაშაულზე, რომლის სანქციაც სასჯელად თავისუფლების აღკვეთას არ ითვალისწინებს. მაგრამ აქაც გათვალისწინებულია გამონაკლისი ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის თვალსაზრისით. კერძოდ, პირს უფლება აქვს წარადგინოს სააპელაციო საჩივარი და მოითხოვოს წარდგენილ ბრალდებაში გამართლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო ჩამოყალიბდა წმინდა საკასაციო ინსტანციის სასამართლოდ. უზენაეს სასამართლოში გაუქმდა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია, რომელიც პირველი ინსტანციის წესით განიხილავდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის საქმეებს. ამჟამად უზენაესი სასამართლო განიხილავს მხოლოდ საკასაციო საჩივრებს, რაც ნიშნავს, რომ ამ ინსტანციაში.არ ხდება საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა-შეფასება. მართალია, საქართველო არ განეკუთვნება ანგლოსაქსონური სამართლის სისტემის ქვეყანათა კატეგორიას, სადაც სასამართლო გადაწყვეტილებებს პრეიუდიციული და სავალდებულო ძალა გააჩნიათ, მაგრამ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დადგენასა და მის განზოგადებას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროპის კონტინენტური სამართლის ქვეყნებშიც სამართლის ნორმათა განმარტების თვალსაზრისით. შემოღებულია საკასაციო საჩივრის დასაშვებობის კრიტერიუმები. ძირითადად ისინი საერთოა სამართლის სამივე (სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო) სფეროსათვის და მდგომარეობს იმაში, რომ უზენაესი სასამართლო საქმეს დასაშვებად მიიჩნევს და განსახილველად მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლოს პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის, ან თუკი სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილება არსებითად განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე უზენაეს სასამართლოში მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. გარდა ამისა, მიმდინარე რეფორმამ გაითვალისწინა დემოკრატიულ ქვეყნებში დამკვიდრებული რევიზიის საფუძვლები და დაადგინა, რომ საჩივარს საკასაციო სასამართლო აუცილებლად განიხილავს, თუ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით და ამ დარღვევას შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის შედეგზე. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო სამართალში საკასაციო საჩივარი ქონებრივ დავებში უპირობოდ დაიშვება, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 50.000 ლარს, ხოლო არაქონებრივ დავებში კი – სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე.

აღნიშნული ცვლილებებით უზენაესი სასამართლო ხდება მართლაც დოქტრინალური სასამართლო, რომელსაც სამართლის ნორმათა დასაბუთებული განმარტებისა და შეფარდების შედეგად უფრო ეფექტიანად შეუძლია სამართლის განვითარება და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება, რაც, თავის მხრივ, საერთოდ სასამართლო სისტემის სწრაფ და გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. მეორე მხრივ, ამ ცვლილებების შედეგად შექმნილ სასამართლო სისტემაში მნიშვნელოვნად აღმოიფხვრება საქმეთა გაჭიანურების უმწვავესი პრობლემა, რადგან უზენაეს სასამართლოში განსახილველად აღარ იქნება დაშვებული დღეს განსახილველ საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, შესაბამისად, იმავე რაოდენობის საქმეებზე ძალაში დარჩება სააპელაციო სასამართლოთა გადაწყვეტილებები.

1998 წელს დაწყებული სასამართლო რეფორმის წარუმატებლობის ძირითადი მიზეზი კორუფციასთან ბრძოლის ნებისა და, შესაბამისად, ამისათვის საჭირო მექანიზმების სრული უგულებელყოფაც იყო.

**– დღეს რა კეთდება ამ მიმართულებით სასამართლო სისტემაში?**

– დღეს მიმდინარე რეფორმა სწორედ ასეთ ნებას ეფუძნება და რეფორმის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაც კორუფციასთან ბრძოლის მექანიზმების მაქსიმალურად ეფექტიანად ამოქმედება იქნება.

სასამართლო სისტემაში კორუფციასთან ბრძოლის ძირითადი და, ფაქტობრივად, ერთადერთი მექანიზმი დისციპლინური სამართალწარმოებაა. გარდა ამისა, ასევე მნიშვნელოვანია ზემოთ აღნიშნული ე.წ. ინსტანციურობის პრინციპი და საპროცესო ზედამხედველობა ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. აღნიშნული ბერკეტების ეფექტიანად ამოქმედებასთან ერთად რეფორმა ითვალისწინებს სასამართლო სისტემაში კორუფციის სტიმულების აღმოფხვრას და ამ მიზნით მოსამართლეთა სოციალური და სამუშაო პირობების მაქსიმალურად გაუმჯობესებას. ხელფასის ზრდას, გადამზადებისა და კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლების სისტემის (შესაბამისი სწავლების პროგრამისა და კურსის) შექმნას, სტაბილურობისა და დაცულობის პირობების უზრუნველყოფას, რის გარეშეც შეუძლებელია კვალიფიციური, კეთილსინდისიერი და ობიექტური სასამართლო კორპუსის არსებობა.

საყურადღებოა, რომ დისციპლინური სამართალწარმოების მექანიზმის გამართულად და ადეკვატურად ფუნქციონირების პირობებში, რაც 2004 წლის მაისიდან დაიწყო, გათავისუფლებულია 19 მოსამართლე, მაგრამ არა კორუფციული, არამედ კანონის უხეში დარღვევის საფუძველზე. ბუნებრივია, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ასეთი მოსამართლეების საქმიანობა (რომლებიც უხეშად არღვევენ მხარეებისა და ბრალდებულის მატერიალურ თუ საპროცესო უფლებებს) იწვევს სასამართლოსადმი უნდობლობას და მისი ავტორიტეტის კატასტროფულად დაცემას. მაგრამ, მეორე მხრივ, ცხადი ხდება ისიც, რომ მხოლოდ დისციპლინური სამართალწარმოება და კორუფციასთან ბრძოლის სხვა შიდამექანიზმები არასაკმარისია ამ უმძიმესი პრობლემის აღმოსაფხვრელად. სწორედ ამიტომ, აუცილებელია სისხლისსამართლებრივი მექანიზმების ამოქმედება. ეს მექანიზმი რომ ძალიან ქმედითია, გვიჩვენებს 2004 წლიდან დღემდე არსებული სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც ქრთამის აღების ფაქტზე ათამდე მოსამართლეა დაკავებული, საერთოდ კი 15 მოსამართლეა მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტებთან, ანუ მოსამართლეთა სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით არსებობს შიში, რომ ამით კიდევ უფრო დაეცემა სასამართლოს პრესტიჟი, რეალურად ასეთი ფაქტები პირიქით ზეგავლენას ახდენს, ანუ კორუმპირებულ მოსამართლეთა გამოვლენა და დასჯა საზოგადოების ნდობას სასამართლოს მიმართ მხოლოდ აამაღლებს.

**– კორუფციასთან ბრძოლის გარდა, ასევე მნიშვნელოვანია მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა. რა კეთდება ამ მიმართულებით?**

– ამისი გარანტია, პირველ რიგში, თავად მოსამართლეების ობიექტურობა და დამოუკიდებლობაა. ჩვენ რაც უნდა კარგი სამუშაო პირობები შევუქმნათ, როგორი მაღალი ხელფასიც უნდა მივცეთ, ყველა შემთხვევაში მოსახლეობის ნდობის ამაღლება, ძირითადად, მაინც მოსამართლეზეა დამოკიდებული. თუმცა მოსახლეობის წინაშე პასუხისმგებლობა ჩვენც გვაქვს, რადგან სწორედ ჩვენ ვარჩევთ ამ მოსამართლეებს. მოსახლეობას შეიძლება მოეწონოს უმაღლესი სტანდარტებით გარემონტებული სასამართლოს შენობა, მაგრამ იგი მანამდე არ ენდობა სასამართლოს, სანამ თავად არ დარწმუნდება მოსამართლის დამოუკიდებლობასა და პატიოსნებაში. სასამართლო სისტემისადმი ნდობა მოსახლეობას ექნება მხოლოდ მაშინ, როცა, თუნდაც დამარცხების შემთხვევაში იგი მიხვდება, რომ მოწინააღმდეგე მხარესთან პროცესი ობიექტურად წააგო.

**– იუსტიციის საბჭოს მიმართ არასამთავრობო სექტორს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს. ბევრი მათგანი, საბჭოს მოსამართლეების უფლებების დაცვის სანაცვლოდ, მათი უფლებების დარღვევაში სდებდა ბრალს.**

– რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმირება მასში მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდისა და, საერთოდ, მოსამართლეთა „ხმის“ გაძლიერების მიზნით. სასამართლო ხელისუფლებაში უდიდესი უფლებამოსილებების მქონე ამ ორგანოში, რომლის კომპეტენციაში შედის სასამართლო ბიუჯეტის შედგენა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და მისი კონტროლი, მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნად კანდიდატის შერჩევა და წარდგენა პრეზიდენტისათვის, პრეზიდენტთან წინადადებების წარდგენა მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების თუ დაწინაურების შესახებ, დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება მოსამართლეების მიმართ, სასამართლოს მოხელეთა სამსახურში მიღება და ა.შ. იუსტიციის საბჭოში დღემდე მოსამართლეები ყოველთვის უმცირესობაში იყვნენ. მიმდინარე წლის შემოდგომაზე საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებებით კი 2006 წლის 1-ელი მარტიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა გაიზრდება და განისაზღვრება 18 წევრით, რომელთაგან ნახევარი იქნება მოსამართლე. საბჭოს შემადგენლობაში ექსოფიციო შედიან საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი და საქართველოს გენერალური პროკურორი. საბჭოს ორ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო ოთხ წევრს, რომელთაგან სამი საქართველოს პარლამენტის დეპუტატია, ირჩევს საქართველოს პარლამენტი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 8 წევრს, საერთო სასამართლოების მოსამართლეთაგან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით აირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია. ამ ცვლილებების შედეგად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა ზემოაღნიშნული უმნიშვნელოვანესი უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლეებს ექნებათ ხმათა საკმარისი რაოდენობა. ასევე აღსანიშნავია, რომ ცვლილებების მიხედვით, ამიერიდან მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების საკითხებზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს თვით სასამართლო ხელისუფლების მეთაური, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

**– დაბოლოს, მალე სასამართლოს საკუთარი მანდატური ეყოლება. რა ფუნქცია ექნება ამ ახალ სამსახურს და ვის დაემორჩილებიან უშუალოდ მანდატურები?**

– სასამართლო სისტემაში დღეს არსებული მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ აუცილებელია გაძლიერდეს სასამართლოს შენობებში წესრიგის დაცვა. ამ კუთხით მრავალი სახელმწიფოს გამოცდილებაა და მალე სასამართლოს სისტემაში ამოქმედდება მანდატურის ინსტიტუტი, რომელიც დაიცავს წესრიგს სასამართლოში. მართალია, ეს არ იქნება საფრანგეთსა და აშშ-ში მოქმედი მარშალის ინსტიტუტის აბსოლუტური ანალოგი, მაგრამ მარშალის მსგავსად მანდატური უზრუნველყოფს მოსამართლისა და პროცესის მონაწილეების უსაფრთხოებას, დაიცავს წესრიგს სასამართლოს შენობაში და სხდომის დარბაზებში პროცესის მიმდინარეობას. მანდატური ემორჩილება სასამართლოსა და სხდომის თავმჯდომარეს და მხოლოდ მათი ბრძანების შესაბამისად შეუძლია გამოიყენოს ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებები. კანონით განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებში – ცეცხლსასროლი იარაღი და, აუცილებლობის შემთხვევაში, დახმარებისათვის მიმართოს პოლიციას.

სულ საქართველოს მასშტაბით 201 მანდატური გვეყოლება, მანდატურების ხელფასი 400 ლარით განისაზღვრა. იმავდროულად, კანონმდებლობა გამკაცრდა და უფრო ქმედითი და ეფექტიანი გახდა სასამართლო პროცესის მსვლელობისას წესრიგის დამრღვევ პირთა მიმართ. სისხლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, მოსამართლეებს უფლება აქვთ წესრიგის დარღვევისა და სასამართლოსადმი უხეში უპატივცემულობის შემთხვევაში დააჯარიმონ პირი 50-იდან 500 ლარამდე თანხით, გააძევონ იგი დარბაზიდან ან დააპატიმრონ 30 დღემდე ვადით. მოსამართლის ამ ბრძანებებს აღასრულებს სასამართლოს მანდატური.

ყოველივე ზემოაღნიშნული (მათ შორის, პროცესის ვიდეოჩაწერისათვის სპეციალური ადგილის გამოყოფა სხდომათა დარბაზებში) მიმართულია პროცესის მიმდინარეობის და, საერთოდ, მოსამართლის საქმიანობის ხელისშემშლელი გარემოებების აღმოფხვრისაკენ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს და უზრუნველყოფს ყველაზე მთავარს – მართლმსაჯულების დაუბრკოლებელ განხორციელებას.

მატიანე

მოამზადა სოფო ბუკიამ, მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი



## უკანონო მეწარმეობა

თბილისის სამოსამართლეო პალატის პირველი სისხლის სამართლის დეპარტამენტში სიმონ მახარაძის საქმე იხილება, რომელსაც ჩუმად არყის მოხდა ბრალდება. მახარაძე მისმა მეზობელმა მიხეილ კაკაბაძემ დაასმინა. მახარაძემ სასამართლოს განუცხადა: არყის მოხდა აზრადაც არ მომსვლია, ღორებისთვის მსხალს ვადუღებდიო.

„ივერია“ №52, 1901 წელი



## მჭევრმეტყველი

ლონდონში გაზეთის დამტარებელ ქუჩის ბიჭებს ასამართლებენ. ამ 12-14 წლის ბიჭებს თურმე ეს რამდენიმე ხანია დააქვთ დაბეჭდილი კონვერტები, რომლებზეც ზევიდან აწერია: „ბურთა წინამძღოლის დევეტის სურათი. ფასი 10 სანტიმი“. ეს დევერტი ის კაცია, რომელიც არასოდეს არავის უნახავს და რომელსაც მთელი ინგლისის მთავრობა დასაჭერად დასდევს. ჰოდა, ხალხი ცნობისმოყვარეობის გამო მრავლად ყიდულობდა თურმე ამ კონვერტებს, მაგრამ დევეტის სურათის ნაცვლად შიგ სუფთა ქაღალდის ნაჭერს ხედავდნენ.

ქუჩის ბიჭებმა სასამართლოზე ბრალდება არ აღიარეს და თქვეს, ჩვენ კონვერტში მართლა სურათს ვდებდითო. როდესაც მოსამართლემ ერთი ასეთი კონვერტი აიღო და გახსნა, შიგნით მასაც სუფთა ქაღალდი დახვდა.

– სად არის სურათი, – იკითხა მოსამართლემ.

– ნუთუ კონვერტში არ არის? – უპასუხეს ბიჭებმა.

– აბა სადაა? – გაბრაზდა მოსამართლე.

– დასწყევლოს ღმერთმა, რა ეშმაკი კაცია ეს დევერტი! – ამბობს ერთ-ერთი ბიჭი, – ეს ეშმაკი კაცი არამც თუ ინგლისის გენერლებს ემალება, კონვერტიდანაც კი ახერხებს გაძრომას და დამალვასო.

ამ ენამოსწრებულმა პასუხმა მოსამართლე გაამხიარულა და მოხერხებულ ბიჭებს მხოლოდ ოთხი დღით დილეგში ყოფნა გადაუწყვიტა.

„ივერია“ №67, 1901 წელი

## რომანტიული ანდერძი

იტალიის ქალაქ ლოდოს სასამართლოში ერთობ დახლართულ საქმეს არჩევენ. ამას წინად ამ ქალაქში მომკვდარა ვიღაც ლუიჯი კორჩი, რომელსაც, ცოტა არ იყოს, უცნაური ანდერძი დაუტოვებია. ამ კაცს დარჩენია 80 ათასი ფრანკი ფულად ფული. თუმცა მრავალი ნათესავი ჰყოლია, კორჩის თავისი შეძლება ერთი ქალისთვის დაუტოვებია, რომელიც მეზობელ ქუჩაზე მწვანილს ყიდის და კორჩის არსებობის შესახებაც კი არ იცის არაფერი. განსვენებულს წერილში დაუწერია: ჩემი ნათესავები ისედაც მდიდრები არიან და ეს ფული მემწვანილე სილვიას უნდა დარჩეს, რომელსაც მალულად ვეტრფოდი მთელი ცხოვრებაო. ამ ახირებული კაცის ნათესავები ახლა სასამართლოს უმტკიცებენ, ეგ კაცი ბოლო წლებში ჭკუიდან შეიშალა და მისი ანდერძი უნდა შევცვალოთო.

„ივერია“ №65, 1901 წელი



## კონსენსუსი

დაბა ოვაში ამას წინედ სასამართლოს შეურიგებია ცოლ-ქმარი, რომელნიც მთელი 13 წელია ერთმანეთს ხმას არ სცემდნენ თურმე. ხოლო თუ სცემდნენ, საჩხუბრად და საკინკლაოდ. ჩხუბის მიზეზი შემდეგი ყოფილა: 1887 წელს მეუღლეთ შვილი შეძენიათ. პირველ დღესვე ლაპარაკი გაუბამთ იმის შესახებ, თუ რა დავარქვათ ბავშვსო. დედას პლატონის დარქმევა ნდომებია, მამას – სიმონის. ბოლოს საქმე იქამდე მისულა, რომ ბავშვი მოუნათლავი დაუტოვებიათ და ერთმანეთისთვის ხმა არ გაუციათ. ასე გაატარეს 13 წელი. ნათესავებმა ამ ცოლ-ქმრის ამბავი სასამართლომდე მიიტანეს. მოსამართლემ გადაწყვიტა ბავშვს ორივე სახელი – პლატონ-სიმონი დაერქვას.

„ივერია“ №70, 1901 წელი



ჩანართი დაფინანსებულია ევროპის კავშირის მიერ.

ჩანართში გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს და მათი შინაარსი არ უნდა იქნას გაგებული როგორც ევროკავშირის ოფიციალური პოზიცია.

ფონდი ALPE
მისამართი: თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. 8/33
ტელ.: 996512, 922914 ფაქსი: 920596, E-mail: office@alpe.ge, www.alpe.ge

## თქვენთვის, ქალბატონებო!

# „მახეში" პატრული გაება...



ლიკა ყოველთვის განებივრებული იყო ბიჭების ყურადღებით — დაჩვეული იყო მათგან სიყვარულის ახსნასა და საჩუქრებს. დიტოსგან კი ასეთი რამ ვერ იგრძნო. დიტო თავისი მეგობრის, ნანას დაბადების დღეზე გაიცნო. მაღალი იყო, ლამაზი და შავგვრემანი, მწვანე თვალებით. გოგოებმა უმალ დაადგეს თვალი, მათ შორის ლიკამაც. ბიჭი კი ადგილიდან არ იძვროდა, არც ცეკვავდა, არც სადღეგრძელოში ენაწყლიანობდა, იჯდა და მხოლოდ ლიკას უღიმოდა. გოგონამ ცეკვაში გაიწვია, მან კი ხმადაბლა ჩაილაპარაკა, არ ვცეკვავო. იმ დღიდან ლიკამ მოსვენება დაკარგა, დიტოს მოხიბვლის „სპორტული ინტერესი" გაუჩნდა, ერთ თვეში კი მიხვდა, „სპორტი" არაფერ შუაში იყო, — დიტო უყვარდა. ნანაც და სხვა მეგობრებიც აგულიანებდნენ, მისი მობილურის ან სახლის ტელეფონის ნომერს გაგიგებთ და დაურეკე, ან სულაც ჩვენ ვეტყვით, რომ გიყვარსო, მაგრამ გოგო უარზე იყო, — პირველად შემიყვარდა ბიჭი და არ მინდა ჩვენი ურთიერთობა ასე ბანალურად დაიწყოსო. დიტოს გულის მოსაგებ ორიგინალურ გზას ეძებდა და ეს „გზაც" მალე გამოჩნდა. ერთ დღეს ლიკას შეატყობინეს, დიტომ კრწანისის რაიონის საპატრულო პოლიციის განყოფილებაში დაიწყო მუშაობაო. ბევრი არ უფიქრია და მეგობრებთან ერთად გადაწყვიტა: საპატრულო პოლიციაში დარეკავდა, ვითომ კრწანისის რაიონის მიდამოებში ბანდიტებმა ჩანთა წაართვეს. თუ ბედმა, დიტო მოვაო, იმედოვნებდა ლიკა. გოგონებმა გეგმა შეადგინეს და ჩანთის „გამტაცებლად" უბნის ერთ-ერთი ბიჭი შეარჩიეს, რომელიც ასე დამოძღვრეს: ლიკას ჩანთა გამოსტაცე, გაიქეცი და ქუჩის კუთხეში დააგდე. შენ კი სასწრაფოდ გაეცალე იქაურობას, რომ არ დაგიჭირონო.

არავინ თქვას, ბედისწერა არ არსებობსო. ლიკამ და ნანამ „022" აკრიფეს თუ არა, სამ წუთში გაჩნდა კრწანისის რაიონის საპატრულო პოლიცია. მანქანა ჯერ გაჩერებული არ იყო, რომ კარი გაიღო და პატრულის თანამშრომლები გადმოცვივდნენ.

— რაშია საქმე? — იკითხა დიტოს ამხანაგმა.

— ჩანთა გასტაცეს ჩემს მეგობარს, იქნებ დაგვეხმაროთ!.. უი, დიტო, შენც აქ ხარ? კი ვიცოდი, რომ საპატრულო პოლიციაში დაიწყე მუშაობა, მაგრამ ამ სიტუაციაში თუ შეგხვდებოდი, ნამდვილად არ მეგონა! — „გაიკვირვა" ნანამ. დიტო „დაზარალებულს" მიუახლოვდა და მზრუნველად ჰკითხა: ხომ არაფერი დაგიშავდაო? ლიკამაც წაიკვნესა: ისე დამეჯაჯგურა ხელზე, მგონი, მელრძოო.

— საით გაიქცა, დაინახეთ? — ჩაეკითხა მეორე თანამშრომელი. გოგონებმა თითით მიანიშნეს ზემო ქუჩისკენ, რომლის კუთხეშიც დაგდებული ჩანთა ეგულებოდათ. დიტო მანქანას აღარ დაელოდა და უცებ გავარდა იქითკენ. ფიქრობდა, „გამტაცებელი" ვიწრო ქუჩებს აირჩევდა გასაქცევად, იქ კი მანქანით დადევნება შეუძლებელი იქნებაო...

ცოტა ხანში გამოჩნდა დიტო. ერთ ხელში ლიკას ჩანთა ეჭირა, მეორე კი ქეჩოში წაევლო „გამტაცებლისთვის" და მოათრევდა. ბიჭი, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, უძალიანდებოდა.

— ვაიმეე! — ერთხმად იკივლეს გოგონებმა, — გაუშვი, რა, დიტო, მთლად ბავშვი ყოფილა! — ალალად შეიცოდეს „გამტაცებელი".

— არ მაქვს უფლება. ოქმი უნდა დავწეროთ და ადგილზე მივიყვანოთ! — მკაცრად თქვა დიტომ. აქ კი გვარიანად შეშინდა 17 წლის „გამტაცებელი" და აყვირდა:

— მოწყობილია ყველაფერი, არ ვარ დამნაშავე, გოგოებმა მთხოვეს... აუ, გამიშვით, რა, თორემ მამაჩემი მომკლავს.

ბიჭებმა გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს, მერე გოგოებს მიაჩერდნენ. აქ კი ძნელი აღმოჩნდა თავის შეკავება და ჯერ ნანას წასკდა ფხუკუნი, მერე ლიკას. კარგა ხანს იცინეს, გაოცებული დიტო და მისი თანამშრომელი კი უხერხულად იშმუშნებოდნენ, — ხეირიანად ვერ გაეგოთ, რა მოხდა.

— ბიჭო, ხომ გითხარით, სასწრაფოდ გაქრი-თქო! — შეუტია ნანამ 17 წლის „გამტაცებელს".

— რა ვიცოდი, ასე მალე თუ მოვიდოდნენ, თანაც რას ვიფიქრებდი, თუ ფეხით დამედევნებოდა. ჩანთა რომ დავაგდე, შორიახლოს გავჩერდი. მეშინოდა, ვინმეს ხელი არ წამოევლო ჩანთისთვის. ამან კი (თითი დიტოსკენ გაიშვირა) თვალი მომკრა თუ არა, დაგეშილი ძაღლივით მომვარდა. საიდან მიხვდა, მე რომ „გაგტაცეთ" ჩანთა? ვეუბნებოდი, ის არ ვარ, ვინც თქვენ გგონივართ-მეთქი, მაგრამ ვინ დამიჯერა?!

ამის თქმაზე ყველა ერთხმად ახარხარდა, დანარჩენი კი მოგვიანებით იქვე მდებარე კაფეში გაარკვიეს...

დღეს უკვე ყველამ იცის, რომ ლიკასა და დიტოს ერთმანეთი ძალიან უყვართ და სულ მალე ქორწილსაც გადაიხდიან.

## გამოხმაურება

# ჩვენო უცნობო კოლეგავ, თქვენ გეძებთ შვილი და რძალი

როდესაც 28 წლის ახალგაზრდის წერილი მივიღე, სადაც მთხოვდა, ნაშვილები ვარ და გემუდარებით, დედა მომაძებნინეთო, სიმართლე გითხრათ, ეჭვი მეპარებოდა, ამდენი წლის მერე ვინ გამოეხმაურება მის წერილს-მეთქი. თუმცა წერილი მაინც დავბეჭდეთ. ეჭვი არ გამართლდა, — წერილის გამოქვეყნებისთანავე ოზურგეთის სამშობიაროს მედპერსონალის სახელით დამიკავშირდა ერთი ქალბატონი, რომელიც მარწმუნებდა, რომ იცნობდა ჩვენი რესპონდენტის დედას. რამდენიმე დღეში კი თავად დედის წერილიც მივიღე (იქნებ არც არის დედა, მაგრამ მწერდა, ამ ბიჭის ნაამბობი საოცრად ჰგავს ჩემსასო). მთხოვდა, შვილთან შემახვედრეთო. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე, რადგან ნ. გ.-ს (იმ ახალგაზრდის სახელისა და გვარის ინიციალებია) მისამართი წერილში არ მიუთითებია. სამაგიეროდ, გამოვაქვეყნეთ დედის გამოხმაურება, მაგრამ თითქოს ცამ ჩაყლაპაო, ნ. გ. აღარ გამოჩენილა. ამაოდ მეხმიანებოდნენ სავარაუდო დედა და მისი მეგობრები — ხომ არ გამოჩენილა ბიჭიო. გულდაწყვეტილი უარით ვპასუხობდი. ამ რამდენიმე დღის წინ კი, სრულიად მოულოდნელად, ერთი ახალგაზრდა ლანჩხუთელი ქალი დამიკავშირდა და თავი გამაცნო: იმ ახალგაზრდის ცოლი ვარ, დედას რომ ეძებსო. ძალიან გამიხარდა, მაგრამ გაკვირვებაც ვერ დავმალე: კი მაგრამ, აქამდე სად ხართ, იმდენი ვინმე გკითხულობთ-მეთქი. თურმე წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღეში ცოლ-ქმარი რუსეთში გამგზავრებულა. იქ ცოტა ხანს ვიმუშავეთ, მაგრამ ვერ გავძელით და დაბრუნება ვარჩიეთო.

ნატას (იმ ახალგაზრდის ცოლს) რამდენიმე ტელეფონის ნომერი მივეცი, მაგრამ ამაოდ. გულდაწყვეტილმა მითხრა, — ალბათ, ნომრები შეცვლილია და ისევ და ისევ თქვენ და მთელ რედაქციას გთხოვთ დახმარებას. ახლა საქართველოში ვართ და გულისფანცქალით ველოდებით გამოხმაურებასო.

როგორც ყოველთვის, ვითვალისწინებთ ჩვენი რესპონდენტის თხოვნას და ვეხმიანებით იმ ქალბატონს, რომელმაც ასეთი შინაარსის წერილი გამოგვიგზავნა: „ძვირფასო პალიტრელებო! თქვენი გაზეთის ფურცლებზე წავიკითხე წერილი „იმედი მაქვს, დედაჩემი გამომეხმაურება". ჯერ არ ვიცი, ვარ თუ არა წერილის ავტორის დედა, მაგრამ წერილში მოთხრობილი ამბავი მართლაც წყლის ორი წვეთივით ჰგავს ჩემს ისტორიას, რომელიც 70-იანი წლების ბოლოს გადამხდა. მეც თქვენსავით ჟურნალისტი ვარ. ვიცი, რომ გაზეთის ერთი გვერდი ვერ დაიტევს იმას, რაც გამოვიარე, ამიტომ შეგნებულად ვერიდები განმარტებებს. დიდ მადლობას გიხდით თანადგომისა და ჩემი დარდის გაზიარებისათვის. მჯერა, რომ ამიერიდან (თქვენი ძალისხმევითა და დახმარებით) ჩემი ცხოვრება სასიკეთოდ შეიცვლება. თქვენი მუდმივი მკითხველი".

ჩვენო მუდმივო მკითხველო, ვინაიდან თქვენ მიერ დატოვებულ ტელეფონის ნომერზე ვერ გიკავშირდებით, ამ წერილის გამოქვეყნებისთანავე სასწრაფოდ გამოგვეხმაურეთ. თქვენი შვილი და რძალი მოუთმენლად ელიან თქვენთან შეხვედრას.

*რუბრიკა მოამზადა მარინა ბაბუნაშვილმა*

*ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ — 899 27-25-61*







# „კატასტროფების სურნელი“



სპეციალისტები გვარწმუნებენ, რომ სწორად შერჩეული სურნელი ავტოავარიების თავიდან აცილებაში დაგვეხმარება. როგორც აღმოჩნდა, ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მძღოლი სტრესს იღებს, სიჩქარეს უმატებს და ავარიასაც ახდენს, მანქანის სალონის „არომატია“.

კომპანია Foundation-ის მკვლევართა ვარაუდით, არსებობს არომატები, რომლებიც მძღოლებს კონცენტრირებასა და ავარიული სიტუაციებისას დროულად რეაგირებაში უწყობს ხელს. მეცნიერთა თქმით, თავის ტვინამდე ცხვირის რეცეპტორებით მიღწეული ინფორმაცია იმდენად ძლიერია, რომ ზეგავლენას ახდენს მძღოლის რეაქციაზე. თურმე გვირილის, ჟასმინისა და შროშანის სურნელი ყურადღებას ადუნებს და ავტოავარიის რისკსაც ზრდის. ასევე, უარყოფითად მოქმედებს მძღოლებზე ახალგათიბული ბალახის სუნი, სუნამოებისა და ლოსიონების არომატს კი ყურადღება გზიდან ეროტიკულ ფანტაზიებზე გადააქვს(?!). სამაგიეროდ, კონცენტრირებაში დაგვეხმარება ლიმონისა და ყავის სურნელი, ზღვის ჰაერი, აგრეთვე ახალთახალი მანქანის სუნი. სწავლულებმა ისიც დაადგინეს, რომ პიტნისსურნელიანი ჰაერის გამწმენდი დეზოდორანტები მძღოლს ამშვიდებს.

*მირ პროგნოზოვ*

# დეპარდიე მიდის?

ცნობილი ფრანგი კინომსახიობი, 56 წლის ჟერარ დეპარდიე კინოკარიერაზე უარის თქმას აპირებს. მან უკვე კოლეგებიც გააფრთხილა, რომ ფილმი „მიშუ და ობერი“ მისი ბოლო ნამუშევარი იქნება. „170 ფილმში ვითამაშე და არავისთვის აღარაფერი მაქვს დასამტკიცებელი, — განაცხადა ფრანგული კინოს ოსტატმა, — ამიტომ შემიძლია მშვიდად წასვლა“.

როგორც კინოვარსკვლავის იმპრესარიო კლოდ დავი ამბობს, ამგვარი განცხადება დეპარდიესგან ხშირად სმენია. თუმცა არ გამორიცხავს, რომ მსახიობს კინო მოჰბეზრდა. „ალბათ, სურს ბიზნესს მოჰკიდოს ხელი“, — ვარაუდობს დავი.

*დენგი*

# ვინ დაამარცხა ნაპოლეონის არმია



„1812 წელს ბოროდინოს ბრძოლაში სასტიკად დამარცხებული ნაპოლეონის დიდი არმია რუსმა ჯარისკაცებმა, ყინვამ და შიმშილმა კი არა, ტილებმა გაანადგურეს“, — გვარწმუნებენ ფრანგი მეცნიერები.

საფრანგეთის ნაციონალური ცენტრის მკვლევარებმა ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსის მახლობლად, მოსკოვიდან 800 კილომეტრის დაშორებით აღმოჩენილ საძმო საფლავებში დამარხული ნაპოლეონის ჯარისკაცების ნეშტები შეისწავლეს. როგორც გაირკვა, უმრავლესობა ტილებით შეყრილ ბაქტერიულ ინფექციას უმსხვერპლია.

*ლენტა რუ*

# ორთავიანი გველი... ინტერნეტაუქციონზე

ახლახან ინტერნეტაუქციონზე უნიკალური ექსპონატი — 1,20-მეტრიანი, მსოფლიოში ერთადერთი ორთავიანი და ალბინოსი გველი გამოფინეს. მისი საწყისი ფასი 150 ათასი დოლარია.

უიმ (ასე ჰქვია 6,5 წლის ქვეწარმავალს) სიცოცხლის დიდი ნაწილი სენტ-ლუისის მუზეუმის ტერარიუმში გაატარა. მუზეუმმა იშვიათი გველი 15 ათას დოლარად იყიდა. ტრადიციულად, ასეთი ეგზემპლარები მხოლოდ რამდენიმე თვეს ცოცხლობენ, უიმ კი, შეიძლება ითქვას, რეკორდი დაამყარა. სპეციალისტების თქმით, გველმა ამდენ ხანს იმიტომ იცოცხლა, რომ მისი ორივე საყლაპავი მილი ერთ კუჭში ჩადის. აკვარიუმის ადმინისტრაცია უის გაყიდვის მიზეზს არ ახმაურებს.

სხვათა შორის, უის დასაკუთრება ხშირად უცდიათ. მაგალითად, 2004 წელს სენტ-ლუისის მუზეუმის თანამშრომელმა მოიპარა, მაგრამ გაყიდვა ვერ მოასწრო — სამართალდამცველებმა უნიკალური ქვეწარმავალი მის ფარეხში აღმოაჩინეს.

*იტოგი*

# თავაზიანობა სიცოცხლეს ახანგრძლივებს

ბრიტანეთში ჩატარებული გამოკვლევები მოწმობს, რომ ხელმძღვანელობა, რომელიც ცუდად ექცევა ხელქვეითებს, ფაქტობრივად ნელ-ნელა ასამარებს, სიცოცხლეს უმოკლებს მათ. ფინელმა მეცნიერებმა გაარკვიეს, სამართლიანი უფროსების თანამშრომლებს იშვიათად აწუხებთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, რაც სიკვდილის მთავარი მიზეზია დასავლეთის ქვეყნებში. ხელქვეითებისადმი სამართლიანი დამოკიდებულება ნიშნავს, რომ უფროსობა იზიარებს მათ აზრს გადაწყვეტილების მიღებისას და თითოეულს თავაზიანად ეპყრობა.

მეცნიერებმა გააანალიზეს 6400 სახელმწიფო მოსამსახურის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების განვითარება 10 წლის მანძილზე, ჰკითხეს, როგორ ექცეოდნენ სამსახურში. „მამაკაცებს, რომლებსაც სამსახურში სამართლიანად ეპყრობოდნენ, მათი შეფასებით, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების პათოლოგია 30%-ით დაბალი აღმოაჩნდათ, ვიდრე მათ, ვისაც ხელმძღვანელობა ცუდად ან უსამართლოდ ექცეოდა,“ — ამტკიცებენ მეცნიერები.

იმავდროულად, მომატებული დაავადება არ იყო დაკავშირებული სხვა ფაქტორებთან, როგორიცაა ასაკი, ქოლესტერინის დონე სისხლში და ალკოჰოლის ზედმეტი დოზა.

*ნიუს რუ*

# დომინოს თუ ბეღურის ეფექტი



ჰოლანდიის ქალაქ ლეუვარდენში 4 მილიონზე მეტი დომინოს ქვისგან გაკეთებული ჯაჭვი არნახული სკანდალის მიზეზი შეიქნა. დამნაშავე კი პაწაწინა ბეღურა აღმოჩნდა. ჩიტი იმ საგამოფენო ცენტრის დარბაზში შეფრთხიალდა, სადაც რეკორდის დამყარების მოსურნეთა ჯგუფი გულმოდგინედ აწყობდა ჯაჭვს. ბეღურა ერთ-ერთ ქვას გამოედო და ...დომინოს ეფექტმაც არ დააყოვნა — „მშენებელთა“ თვალწინ წამში დაინგრა 23 ათასი ქვისგან შემდგარი წყების ფრაგმენტი. აქციის მონაწილეების აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ნაცვლად იმისა, ბეღურა გაეძევებინათ დარბაზიდან, საბრალო ფრთოსანს საჰაერო თოფით გააფრთხობინეს სული. ცხადია, ბუნების დამცველებმა უყურადღებოდ არ დატოვეს რეკორდსმენთა სისასტიკე, მით უმეტეს, რომ ნიდერლანდის სამეფოში ბეღურები წითელ წიგნში სულ ახლახან შეიტანეს.

*ოჯი*

# გოგონამ დათვი დაჭრა

მერილენდელმა (აშშ) 8 წლის გოგონამ გაკვეთილებიც კი გააცდინა, რომ მამას და ბაბუას სანადიროდ წაჰყოლოდა. ბავშვმა თოფით ორი ტყვია ესროლა ძუ დათვს და ორივე... გულში მოახვედრა.

აშშ-ის კანონებით მონადირის ასაკი განსაზღვრული არ არის, თუმცა საგანგებო ტესტირების გავლა კი აუცილებელია. მერილენდის შტატის ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, პატარა მონადირემ გამოცდაში 100 შესაძლებლობიდან 98 ქულა დააგროვა.

ნახევარსაუკუნოვანი აკრძალვის შემდეგ მერილენდში ისევ დართეს ჩრდილოამერიკულ შავ დათვებზე ნადირობის ნება, რადგან ისინი ძალიან მომრავლდნენ, თანაც ადამიანებსაც აღარ ერიდებიან.

*თაიმი*



# კატრინ დენევი — „წლის ქალი“

ცნობილი ფრანგი მსახიობის უამრავ ჯილდოსა და ტიტულს ერთიც დაემატა: მსოფლიო კულტურაში შეტანილი წვლილისთვის მსახიობს „წლის ქალის“ წოდება მიანიჭეს.

ქალურობის განსახიერება (ასე უწოდებენ მას ფრანგები) კატრინ დენევი 40 წელზე მეტია ხიბლავს მაყურებელს შეუდარებელი სილამაზითა და სამსახიობო ოსტატობით. 62 წლის მსახიობს კვლავინდებურად იწვევენ ცნობილი კინორეჟისორები, დენევი რამდენიმე წელია სხვადასხვა კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარეა და საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწევა.

როგორც ამბობენ, მშვენიერი მსახიობის ერთი კოცნისთვის ფრანგები მზად არიან ორი მილიონი ფრანკი გადაიხადონ.

*ვოგი*

# სუპერთვალი

სამხრეთ აფრიკის ასტრონომიული ობსერვატორიის ოპტიკური ტელესკოპი, რომელიც უდაბნო კარუში ააგეს, ყველაზე დიდია სამხრეთ ნახევარსფეროში. იგი აღჭურვილია ათმეტრიანი სარკით, რომელიც 90-ზე მეტი ექვსკუთხა სეგმენტისგან შედგება. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გარდა პროექტის დაფინანსებაში მონაწილეობდნენ დიდი ბრიტანეთი, ახალი ზელანდია, გერმანია, პოლონეთი და აშშ. ტელესკოპს ხუთ წელიწადს აგებდნენ და საამისოდ 25 მილიონი დოლარი დაიხარჯა. სამაგიეროდ, ზემძლავრ ტელესკოპს სანთლის ალის დანახვაც კი შეუძლია, თუნდაც ისეთ მანძილზე, როგორიც დედამიწიდან მთვარემდეა.

*მონდი*

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში ოთო ლომთაძის სიტყვებს ამოიკითხავთ.

დ ა ი ს ვ ე ნ ე კ ვ ი რ ი ს პ ა ლ ი ტ რ ა ს თ ა ნ ე რ თ ა დ

რ ი ი ა ა ე ი ე ც დ ღ რ ი ს ლ კ რ ა ნ დ ხ ე კ ა უ შ

**დ.** რა ერქვა დევიდ არონსონის (ნუდლზის) შეყვარებულს ფილმში „ერთხელ, ამერიკაში“; **ა.** გათავისუფლებული ყმა; **ი.** მდინარე ჩინეთში; **ს.** ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, რომელსაც ციკუტას შხამით მოუსწრაფეს სიცოცხლე; **ვ.** რა ერქვა გერმანიის რესპუბლიკას 1918-1932 წლებში; **ე.** მაიკლ დუგლასის ეროვნება; **ნ.** ქართული, ხალხური ანტიბიოტიკი; **ე.** კუნძული, სადაც პირველად გადაასახლეს ნაპოლეონი; **კ.** ვულკანის ჩაღრმავებული ნაწილი, საიდანაც ლავა იღვრება; **ვ.** რუსი მომღერალი, პოეტი და მსახიობი; **ი.** ქართული ხალხური შეჯიბრი ცხენოსნობასა და უბუნიკო შუბის სროლაში; **რ.** დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც იბრძვიან მოკრივეები; **ი.** უწყინარი ხასიათის დამცინავი დამოკიდებულება რაიმესადმი; **ს.** ანსამბლი, რომლის სოლისტი იყო კრის ნორმანი; **პ.** აქილევსის მკვლელი; **ა.** ქალის სახელი, რომელმაც თეზევსს ძაფის გორგალი მისცა და ლაბირინთიდან თავის დაღწევაში დაეხმარა; **ლ.** ალექსანდრე მაკედონელის სამეფო კარის მხატვარი; **ი.** სურვილი, ნდომა, მადა; **ტ.** საქართველოს ისტორიული კუთხე; **რ.** რა ერქვა კაპიტან გრანტის ვაჟიშვილს ჟიულ ვერნის ნაწარმოებში; **ა.** სამცხის მმართველთა ტიტული; **ს.** ტბა სომხეთში; **თ.** რა ცხოველი იყო ამალთეა, რომელმაც საკუთარი რძით გამოკვება ყრმა ზევსი; **ა.** სამხედრო გემების დიდი შენაერთი; **ნ.** შეშის საჭრელი იარაღი; **ე.** ძველი ბერძენი მეიგავე; **რ.** ტომ სოიერის შეყვარებულის სრული სახელი; **თ.** ქალაქი, სადაც 1943 წლის 30 ნოემბერს (ჩერჩილის დაბადების დღეს) ერთმანეთს შეხვდნენ სტალინი, ჩერჩილი და რუზველტი; **ა.** პრივილეგირებული წოდება ფეოდალურ საზოგადოებაში; **დ.** გემის კურსიდან აცდენა.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**დ.** დუმბაძე; **ა.** ამერიკა; **ი.** ილუმენი; **ს.** სილნალი; **ვ.** ვოლანი; **ე.** ელე; **ნ.** ნამაზი; **ე.** ესკიმო; **დ.** დიანა; **ა.** აორტა; **გ.** გაგრა; **ა.** აკიმი; **ე.** ერშოვი; **რ.** რევანში; **თ.** თეირანი; **ე.** ეტლი; **ჩ.** ჩხეიძე; **ვ.** ვა- ბანკი; **ე.** ემისია; **ნ.** ნაგანი; **თ.** თხა; **ა.** არმადა; **ნ.** ნეი; **ე.** ეგზემა; **რ.** რვალი; **თ.** თარაზო; **ა.** აიდა; **დ.** დრაკონი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: მეუღლემ კარგი შვილები გამიზარდა.**

# თურქი „რუხი მგელი“ გაათავისუფლეს



რომის პაპმა შეუნდო ადამიანს, რომელმაც მას ესროლა

NEWSru.com

სტამბოლის ციხიდან გაათავისუფლეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საერთაშორისო ტერორისტი მეჰმეთ ალი აღჯა, თურქი „რუხი მგელი“ (ასე უწოდებენ აღჯას იმავე სახელწოდების ულტრანაციონალისტური შეიარაღებული ჯგუფის წევრობისთვის), რომელიც 1981 წელს რომის პაპს, იოანე-პავლე II-ს დაესხა თავს.

იტალიაში 19-წლიანი პატიმრობის შემდეგ, აღჯა (მას შემდეგ, რაც ის რომის პაპის თხოვნით შეიწყალა იტალიის პრეზიდენტმა თურქეთში იქნა ექსტრადირებული), 48 წლის ტერორისტი, თურქეთის ციხეში კიდევ 10 წელი უნდა მჯდარიყო ადრე ჩადენილი მკვლელობისთვის — ამ დანაშაულისთვის მას თავის დროზე დაუსწრებლად გამოუტანეს განაჩენი.

ტერორისტის გათავისუფლების გადაწყვეტილებამ თურქეთში აღშფოთება გამოიწვია. სტამბოლის მკაცრი რეჟიმის იზოლატორთან დღედაღამ დარაჯობდნენ ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტები, რომ მისი გამოსვლა ენახათ, მაგრამ სენსაცია არ მომხდარა, — ასაკის მიუხედავად, აღჯა ციხიდან პირდაპირ გამწვევ პუნქტში წაიყვანეს. თავის დროზე მას ჯარში არ უმსახურია, ეს კი თურქეთში დანაშაულად ითვლება.

დღემდე უცნობია ნამდვილი მიზეზი იმისა, რატომ ესროლა აღჯამ რომის პაპს. თურქეთში ექსტრადირების შემდეგ მან განაცხადა, რომ დაწერს მემუარებს, რომელშიც თავის საიდუმლოს გაამხელს.

# ყირიმის ახალი ომი

THE INDEPENDENT

შავი ზღვის ფლოტი, რომლის დიდი ნაწილი 1991 წელს, სსრკ-ის დაშლის შემდეგ მემკვიდრეობით რუსეთს ერგო, მძიმე დღეში აღმოჩნდა ამჟამინდელ დამოუკიდებელ უკრაინაში. 200 წლის განმავლობაში შავი ზღვა რუსეთის ფლოტის საიმედო ნავსაყუდელი იყო. დღეს კი ბუნებრივ აირთან დაკავშირებული რუსეთ-უკრაინის კრიზისის გამო უკვე გაისმა ხმები უკრაინის ტერიტორიული წყლების რუსეთის ფლოტისგან გასათავისუფლებლად. მართალია, დღევანდელი სევასტოპოლი თავისი რადიოლოკაციური პოსტებითა და შავმაზარიანი რუსი მეზღვაურებით ისე გამოიყურება, როგორც რუსეთის სამხედრო-საზღვაო ბაზა, მაგრამ მთლად ასე არ არის. კაცმა რომ თქვას, სევასტოპოლი რუსეთში კი არა, უკრაინაშია და თუ უკრაინის ხელისუფლების გავლენიანი მოხელეები თავისას მიაღწევენ, რუსეთის დროშას უკრაინისა შეცვლის.

სანამ უკრაინას რუსეთისადმი მეგობრულად განწყობილი ხელისუფლება მართავდა, მის ფლოტს არაფერი ემუქრებოდა. პრეზიდენტ იუშჩენკოს ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ კი კიევი ყველანაირად ცდილობს რუსეთთან დაშორებას და დასავლეთთან დაახლოებას. გარდა ამისა, სევასტოპოლში რუსეთის ფლოტის ყოფნა შეუთავსებელია უკრაინის სურვილთან, გახდეს ნატო-ს წევრი.

ბუნებრივი აირის ფასის გამო რუსეთთან შექმნილი კრიზისის დროს უკრაინის მთავრობის წევრებმა კვლავ წამოჭრეს სევასტოპოლის საკითხი. ისინი აცხადებენ, — უნდა გადაიხედოს სევასტოპოლში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ბაზის ობიექტების განთავსების საიჯარო ოცწლიანი ხელშეკრულება, რომელსაც ვადა 2017 წელს ეწურება. უკრაინა საიჯარო ფასის ოთხჯერ გაზრდას აპირებს (ამჟამად რუსეთი წელიწადში 98 მლნ დოლარს იხდის).

ამის თაობაზე რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა, რომელსაც პუტინის მემკვიდრედ მიიჩნევენ, მკვახედ განაცხადა, — ამ ხელშეკრულების გადახედვა უკანონო და დაუშვებელია და შესაძლოა ამას რუსეთის მხრიდან უკრაინის მიმართ ტერიტორიული პრეტენზიები მოჰყვესო.

საინფორმაციო საშუალებებმა ორი ქვეყნის დაპირისპირება „ყირიმის ახალ ომად“ მონათლეს.

# თეირანი: „ჩვენ ვერავინ შეგვაჩერებს“

BBC

„ირანელებს მინდა ვუთხრა, რომ ყველაფერს ვილონებთ ჩვენი კანონიერი უფლებების შესანარჩუნებლად — ბირთვული ტექნოლოგია მშვიდობიანი მიზნებისთვის გვჭირდება, ალაჰის შეწევნით გადაწყვეტილებას არ შევცვლით“, — განაცხადა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩერ მოტაკიმ სტუდენტებთან შეხვედრისას. თუმცა ყველას კარგად ესმის, რომ ნათქვამი უფრო ბერლინისკენ იყო მიმართული, სადაც საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და ევროკავშირის წარმომადგენლები ირანის ბირთვულ დოსიეზე მსჯელობდნენ.

თეირანი დასავლეთის ქვეყნებისადმი მიმართვაში უკვე რამდენიმე ხანია გადაჭრით აცხადებს, რომ ვერც ევროპელები, ვერც ამერიკელები და ვერც ისრაელელები ვერ შეაჩერებენ ირანის ბირთვულ ობიექტებზე დაწყებულ პროცესებს.

ირანს მძიმე დღეები უდგას. თოვლის საფარშია ჩაფლული მთელი ქვეყანა, ძლიერი ქარბუქის გამო დაიკეტა სკოლები, დაწესებულებები. არ არის გამორიცხული, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მალე ომზე ალაპარაკდნენ, იხსენებენ გასული საუკუნის 80-იანი წლების უმძიმეს დღეებს, როცა ირანის ქალაქებსა და სოფლებზე სადამ ჰუსეინის ბომბები ცვიოდა. ირანელები შიშობენ, რომ ამერიკა-ისრაელი მათ ქვეყანას ერთობლივად დაარტყამს გაზაფხულზე.



თვითმხილველები ირწმუნებიან, რომ თეირანსა და ირანის სხვა დიდ ქალაქებში გამოჩნდა ჰომეინის დროინდელი გიგანტური პლაკატები მოწოდებით, — არ შედრკეთ! გამოქვეყნდა ირანის ჯარის მეთაურის, გენერალ სალემის განცხადება, — ჩვენ ნებისმიერ აგრესიაზე შეგვიძლია პასუხის გაცემაო.

ძნელი სათქმელია, მართლა დაიწყება ომი თუ არა, მაგრამ ცხადია, რომ ირანი ახალი ომის მოლოდინშია. არა მარტო მოსახლეობას, არამედ ბანკებსაც გამოაქვთ თავიანთი კაპიტალი დასავლეთის ბანკებიდან — ეშინიათ, რომ მათ ანგარიშებს გაყინავენ.

სირიაში ვიზიტის წინ, სადაც ირანის პრეზიდენტმა ბაშარ ასადთან ხელი უნდა მოაწეროს სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებას, პრეზიდენტმა აჰმადი ნეჯადმა განაცხადა, — დიდი მოვლენების მოლოდინში ვარ, ჩვენმა რევოლუციამ სწორ გზაზე უნდა გაიყვანოს მთელი კაცობრიობაო.

# ორ ქალბატონს მიაჩნია, რომ ირანი ზღვარს გადავიდა

LA STAMPA

„ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია არ აპირებს ძალას მიმართოს იმისთვის, რომ ირანს არ მისცეს ბირთვული იარაღის გამოყენების საშუალება, მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტი არ უარყოფს მოქმედების რომელიმე შესაძლო ვარიანტს, თუმცა არავის სურს, რომ პრეზიდენტი ამაზე წავიდეს“, — ხაზგასმით აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ტელეკომპანია CBS-თვის მიცემულ ინტერვიუში.

სახელმწიფო მდივანს არ დაუზუსტებია, ირანის წინააღმდეგ გაეროს მხრიდან რა ზომების მიღებას ემხრობა თეთრი სახლი, მხოლოდ ის აღნიშნა, უშიშროების საბჭოს წევრებს ხელი „მოქმედების სხვადასხვა ვარიანტზე“ მიუწვდებათო.

აშშ-ში ვიზიტით ჩასულ გერმანიის კანცლერს, ანგელა მერკელს არ დაუმალავს თავისი აზრი — ურანის გამამდიდრებელი სამუშაოების აღდგენით ირანმა „წითელ ზღვარს“ გადააბიჯა, საერთაშორისო საზოგადოებრიობამ ერთობლივად უნდა გასცეს მის ხელისუფლებას პასუხიო.

გერმანიის, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, — ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საერთაშორისო ხელშეკრულების მიმართ ნდობის ფაქტორისა და აგრეთვე, რეგიონში სტაბილურობის შესანარჩუნებლად ძალზე მნიშვნელოვანია, რა პასუხს გასცემს საერთაშორისო საზოგადოებრიობა ირანის გამოწვევას. ჩვენ ვაცნობეთ მსოფლიო ატომური ენერგიის სააგენტოს მმართველთა საბჭოს, რომ მოლაპარაკებები ირანის წარმომადგენლებთან ჩიხში მოექცა. შექმნილი ვითარება არა მარტო ევროპასთან, არამედ მთელ საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან ირანის დაპირისპირებად მიგვაჩნია.

# ჩავესი ყავას მდიდრებსართმევს ...ღარიბების სასარგებლოდ

Коммерсантъ



ოფიციალურ ვენესუელასა და ყავის მწარმოებლებს შორის კონფლიქტი ჯერ კიდევ 2003 წელს დაიწყო. მაშინ ქვეყნის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა „მოსახლეობის უღარიბესი ფენების ინტერესების დასაცავად“ მიიღო კანონი, რომელიც კრძალავს ყავის გაძვირებას — მთავრობას მიაჩნია, რომ ყავა უბრალო ვენესუელელთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და ძვირი არ უნდა ღირდეს.

სადღეისოდ ვენესუელა ყოველწლიურად 60 ათას ტონაზე მეტ ყავის მარცვალს აწარმოებს, რაც მსოფლიო ბრუნვის 1%-ს შეადგენს.

დაპირისპირება მწარმოებლებსა და ბიზნესმენებს შორის შარშან, დეკემბრის დამლევს, განსაკუთრებით გამწვავდა. მწარმოებლებმა სახელმწიფოს მიერ დაწესებული ყავის გაძვირების აკრძალვის გაუქმება მოითხოვეს, — სამი წლის წინ დაწესებული ფასი (1 კგ ყავა 3,44 დოლარი) მეტისმეტად დაბალია, მოგების ნაცვლად ვზარალობთ და ამიტომ 6 დოლარამდე უნდა გავზარდოთო. მთავრობა არ დაეთანხმა ყავის მწარმოებლებს და შედეგმაც მეორე დღესვე იჩინა თავი — ყავა მაღაზიებიდან თითქმის გაქრა, რამდენიმე კვირაში კი მთელ ვენესუელაში სანთლით საძებარი გახდა. ყავის მწარმოებელთა კავშირის ლიდერმა გაეტანო არენამ განაცხადა, ამ საქმეს თავს დავანებებთ, ზარალის მეტი არაფერი მოაქვსო.

საპასუხოდ მთავრობამ სასტიკ ზომებს მიმართა, — საწყობების ჩხრეკა დაიწყეს და ორიოდ დღეში 700 ტონა ყავის მარცვალი ამოიღეს. ყავა გასაყიდად სუპერმარკეტებში შეიტანეს, მაგრამ მწარმოებლებმა მაინც არ განაახლეს ბაზრისთვის ყავის მიწოდება.

საქმეში პრეზიდენტი ჩაერია. ნაციონალურ ასამბლეაზე უგო ჩავესმა გადაჭრით განაცხადა, — ყავის მწარმოებლები ყავას მალულად იმარაგებენ, ჰგონიათ, გაძვირების ნებას მივცემ, მაგრამ ამას ვერ მოესწრებიან. თუ თავისას არ დაიშლიან და ყავას მაღაზიებს არ მიაწვდიან, მათი ბიზნესი ნაციონალიზებული იქნებაო.

ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ყავის წარმოების ნაციონალიზაცია იდეალურად ეხამება უგო ჩავესის პოპულისტურ პოლიტიკას, მაგრამ სავარაუდოდ, მსოფლიო საზოგადოებრიობის მორიგ კრიტიკას გამოიწვევს, თუმცა, როგორც ყოველთვის, ეს ჩავესს ვერ შეაჩერებს.

# მექის მახლობლად მომლოცველები დაიღუპნენ

Итоги

საუდის არაბეთში, მექის მახლობლად, 362 მომლოცველი დაიღუპა, უმეტესად, ეგვიპტის, იემენის, პაკისტანის, ინდოეთისა და თურქეთის მოქალაქეები.

ტრაგედია დატრიალდა ეშმაკის ქვებით ცემის რიტუალის შესრულებისას, მინას ველზე, მექიდან დაახლოებით 5 კმ-ის დაშორებით. ქვებით ცემა ჰაჯის ერთ-ერთი რიტუალია — მომლოცველები ქვას ესვრიან ეშმაკის სიმბოლო სამ ბოძს. ჭყლეტა დაიწყო ხიდიდან პირველ ბოძამდე მისასვლელ გზაზე. საუდის არაბეთის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, მომლოცველები ძალიან ბევრნი იყვნენ და თან უამრავი ზედმეტი ტვირთი ჰქონდათ.

2004 წელს ქვებით ცემის რიტუალის დროს 244 კაცი დაიღუპა, 200 დაშავდა.

საუდის არაბეთის მმართველი წრეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ რიტუალის ორგანიზებას, მაგრამ ეს საკმაოდ რთული პროცესია. მომლოცველთა ჯგუფებმა უნდა დაიცვან ბოძებისაკენ გადაადგილების გრაფიკი და არც ხელშემშლელი ზედმეტი ნივთები უნდა იქონიონ, მაგრამ სამწუხაროდ, ამის დაცვა ყოველთვის ვერ ხერხდება.

# ტერმინატორი არც ისე მაგარი ყოფილა

LENTA·RU



ეკრანზე არნოლდ შვარცენეგერის გმირები თითქმის უძლეველად გამოიყურებიან, კალიფორნიის გუბერნატორის როლში კი მსახიობს ხშირად უწევს დარტყმის გადატანა, თანაც არა მარტო პოლიტიკური ოპონენტებისაგან.

ამ დღეებში შვარცენეგერი უფროს ვაჟთან — 12 წლის პატრიკთან ერთად დაცვის გარეშე მოტოციკლით სასეირნოდ გაეშურა. თავისი ძვირად ღირებული „ჰარლეი“ მორიგი „ტერმინატორის“ გადაღების შემდეგ შეიძინა. ჰოლივუდის ექსვარსკვლავი ცუდი მრბოლელი აღმოჩნდა, ჩანს, მის ყველა ტრიუკს კინოში დუბლიორი ასრულებს, — ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ გზაჯვარედინზე ავტომობილს შეასკდა. გუბერნატორის ვაჟი არ დაშავებულა, თავად მას ტუჩზე 15 ნაკერი დაადეს. „რკინის არნი“ უფრო სერიოზული ტრავმისგან ჩაფხუტმა გადაარჩინა.

## მოკლედ

**კოლორადოსა და არკანზასის შტატებში** ასობით ადამიანმა დატოვა სახლი ტყის ხანძრის გამო. ვერც მეზობელი ოკლაჰომას, ტეხასისა და ნიუ-მექსიკოს შტატებში შეძლეს ხანძრის ჩაქრობა, რომელიც სამი კვირაა მძვინვარებს. პროფესიონალ მეხანძრეებს მოსახლეობაც ეხმარება, მაგრამ მათ მუშაობას ამ დროისთვის უჩვეულოდ თბილი ამინდი აფერხებს. დამწვარია 500-ზე მეტი სახლი და 2000 ჰექტარი ტყე.

**ავღანეთის** პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ თალიბანის ლიდერს, მოლა ომარს დაზავება შესთავაზა. თუმცა პირობაც წაუყენა, ჯერ მოინანიე ყველაფერი, რაც „თალიბანმა“ ავღანეთის კანონიერი ხელისუფლების დასამხობად ჩაიდინა და მერე შეგირიგდებითო.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ მოლა ომარზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული. ვაშინგტონი მას „ალქაიდას“ თავკაცის, უსამა ბინ ლადენის შეფარებაში სდებს ბრალს.

**სომხეთის** საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. ოსკანიანმა ერევანში პრესკონფერენციაზე განაცხადა, — „გაზპრომი“ ათას კუბურ მეტრ ბუნებრივ აირში 110 დოლარს გვთხოვს, ამ ფასის გადახდა გაგვიჭირდება და იმედი გვაქვს, რუსეთთან ურთიერთხელსაყრელ შეთანხმებას მივაღწევთო.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*


შპს „გეოკორი“ აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (საორბის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 36-64-02

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა და ვიტრაჟი
საუკეთესო ხარისხის სამ და ოთხკამერიანი
ყველაზე რეალური ფასები
38-37-47 899-17-70-80
იოსებიძის ქ. №49

„ტრანსტრეიდი“ ფირმის მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 26-30-50; 34-49-40; 61-32-37; 899-51-51-09; 899-902-091; ტ/ფაქსი: 966-779

# საქართველო „ძირითადად თავისუფალი ეკონომიკის" ქვეყნების კატეგორიაში დააწინაურეს

## საერთაშორისო შეფასებით, ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ

აშშ-ის კვლევითი ინსტიტუტის „HERITAGE FOUNDATION"-ის მიერ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებული მონაცემებით, უახლესი ისტორიის მანძილზე პირველად, საქართველოს „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი" „ძირითადად თავისუფალ" კატეგორიაში მოხვდა. ამ კვლევის მიხედვით, საქართველომ 161 ქვეყანას შორის მესამედან 68-ე ადგილზე გადაინაცვლა. ამ სიაში სომხეთი 27-ე ადგილზეა, თურქეთი — 85-ეზე, მოლდავეთი 83-ე, რუმინეთი 92-ე, უკრაინა 99-ე, ყაზახეთი — 113-ე, რუსეთი 122-ე, აზერბაიჯანი 123-ე, თურქმენეთი 148-ე, ხოლო ბელორუსია 151-ეზე. ასე რომ, როგორც ხედავთ, ბევრ ქვეყანას გავასწარით კიდეც. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს „HERITAGE FOUNDATION"-ი ბოლო 12 წლის განმავლობაში ყოველწლიურად აქვეყნებს. ის, ვისაც უკეთესი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი აქვს, გამოირჩევა გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპითა და ეკონომიკური კეთილდღეობით.

2006 წლის დასაწყისისთვის საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი გაუმჯობესდა თითო პუნქტით — ფულად-საკრედიტო პოლიტიკის, საბანკო-საფინანსო სექტორის და უცხოური ინვესტირების სფეროში. 0,1 ბალით გაუმჯობესდა ფისკალური პოლიტიკის შეფასება. რაც შეეხება მთავრობის ინტერვენციას, ხელფასებისა და ფასების კონტროლს, საკუთრების უფლებებს, რეგულირებასა და არაფორმალურ ბაზარს, ამ კრიტერიუმებში საქართველოს მაჩვენებლები უცვლელი დარჩა.

უცნაური მხოლოდ ის არის, თუ როგორ მოახერხა საქართველომ 4 თვეში მესამედან 68-ე ადგილზე გადანაცვლება. საქმე ის არის, რომ 2005 წლის 1-7 აგვისტოს ნომერში ჩვენ ამავე ფონდის კვლევა გამოვაქვეყნეთ, რომლის მიხედვითაც საქართველომ 91-დან მე-100-ზე გადაინაცვლა და „მეტად არათავისუფალი" ეკონომიკის მქონე ქვეყანათა კატეგორიაში მოხვდა. მაშინ ამის მიზეზად ეკონომიკის ექსპერტებმა არაკონკურენტუნარიანი ბიზნესგარემო, ახალი საგადასახადო კოდექსი და ფინანსური ნწხი დაასახელეს. 4 თვეში კი „HERITAGE FOUNDATION"-ის ვებ-გვერდზე კატეგორიულად განსხვავებულ მონაცემებს ვკითხულობთ. როგორც ეროვნულ ბანკში აცხადებენ, „ეკონომიკური თავისუფლების" ინდექსის გაუმჯობესება ძირითადად ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და საბანკო სექტორის გაუმჯობესების დამსახურებაა. ეკონომიკის ზოგიერთი ექსპერტი კი ფიქრობს, რომ ფონდმა ეს კვლევა ძირითადად საქართველოს ხელისუფლების მიერ მისთვის მიწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით ჩაატარა.

**დემურ გიორხელიძე,** *ეკონომიკის ექსპერტი:*

— თავისთავად ჩვენთვის კარგია, როდესაც ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაციის გამოკვლევაში, როგორიც „HERITAGE FOUNDATION"-ია, კარგი პოზიცია გვიკავია, მაგრამ სხვა საკითხია, რამდენად ახლოსაა მისი მონაცემები რეალობასთან. სხვათა შორის, ამ მონაცემების შეკრებაში ქართველებიც მონაწილეობენ, ამიტომ ვფიქრობ, რომ ფონდის კვლევაში ჩვენი კარგი პოზიცია ამანაც განაპირობა.

**— შარშან ამ ფონდის გამოკვლევით მეასე ადგილზე ვიყავით და საქართველოს ეკონომიკა „მეტად არათავისუფალ" კატეგორიაში მოხვდა. რაღაც დაუჯერებელია, ასეთ მცირე დროში მესამედან 68-ეზე გადანაცვლება.**

— ვიმეორებ, ძირითადად ეს მაინც ე. წ. ავანსური შეფასებაა და სასურველია, რომ ასეთი მდგომარეობა საქართველოში მართლაც იყოს. საქართველოს ხელისუფლებას ნამდვილად აქვს შანსი, რომ ქვეყანა მართლაც საბაზრო ეკონომიკის ქვეყნად აქციოს.

**— აღნიშნეთ, რომ სასურველია, ასეთი მდგომარეობა საქართველოში მართლაც იყოსო. რას გულისხმობთ?**

— თავისთავად ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი ჯერჯერობით მაღალი არ არის, ლეგალური ბიზნესის წარმოებაც შეუძლებელია, რადგან სამართლებრივი დაცვის მექანიზმი პრაქტიკულად არ არსებობს, — ვთქვათ, დავებთან დაკავშირებით, სახელმწიფო ჩინოვნიკთან ურთიერთობის გართულების შემთხვევაში. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი დაბალია. თუ ზრდა შეინიშნება, ესეც ძირითადად ჩრდილოვანი ეკონომიკის ნაწილობრივი გათეთრების შედეგია. საწვავისა და სიგარეტის ბიზნესის ნაწილობრივმა ლეგალიზაციამ შემოსავლები გაზარდა, თუმცა ეს მაჩვენებლები დიდხანს ვერ შენარჩუნდება. ვფიქრობ, გაზაფხულისთვის ფისკალური კრიზისის პირველი ნიშნები გაჩნდება, რადგან მხოლოდ ადმინისტრირების გზით ეკონომიკის განვითარება უბრალოდ შეუძლებელია. ახლა უკვე უმრავლესობის წევრებიც აღიარებენ, რომ საგადასახადო კოდექსი ეკონომიკის განვითარებას ხელს უშლის. ვფიქრობ, ეს კოდექსი მთლიანად გადასაგდებია და უნდა დაიწეროს ახალი, ქართულ ენაზე შესრულებული კოდექსი, რომელშიც ყველანაირი ვალდებულება ცხადად დაფიქსირდება.

„ეკონომიკური თავისუფლების" ინდექსის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით პირველი განცხადება ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ გააკეთა. ჩვენ მასაც ვესაუბრეთ.

**ირაკლი ჩოგოვაძე:** — ფაქტია, რომ ეკონომიკა ახლა უფრო თავისუფალია, ვიდრე წინა წლებში. სახელმწიფო ახლა უფრო ნაკლებად ერევა ეკონომიკაში. „HERITAGE FOUNDATION"-ს თავის გამოკვლევებში საქართველოს ბევრი სხვა პოზიტიური მაჩვენებელი არა აქვს გამოყენებული. ამიტომ, რა თქმა უნდა, ის მაინც სუბიექტური იქნება. თუმცა, თუ გლობალურად შევხედავთ, ფონდი მაინც სწორად აფასებს ზოგად ტენდენციას. ტენდენცია კი ის არის, რომ ჩვენ იმ 10 ქვეყნის რიცხვში შევედით, რომლებმაც ეკონომიკური თვალსაზრისით წინ წაიწიეს. ამ ტენდენციას სხვა საერთაშორისო ფინანსური კორპორაციებიც ადასტურებენ, ანუ საერთაშორისო შეფასებით, ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ.

**— ბატონო ირაკლი, ექსპერტები ეჭვობენ, რომ ფონდმა ეს გამოკვლევა ჩვენი ხელისუფლების მიერ მიწოდებულ მონაცემებზე დაყრდნობით გამოაქვეყნა.**

— ეს გამოკვლევა ჩვენი ხელისუფლების მიერ მიწოდებულ ციფრებზე დაყრდნობით რომ გაეკეთებინათ, მერწმუნეთ, ბევრად უკეთესი მაჩვენებლები გვექნებოდა. შესაბამისად, არც 68-ე ადგილზე ვიქნებოდით. ისე, მიმაჩნია, რომ ამ ფონდის შეფასებები გაცილებით ობიექტურია, ვიდრე იმ ექსპერტებისა, რომლებიც ასეთ განცხადებებს აკეთებენ.

*თამარ სუჯაშვილი*

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 14 იანვარს დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,8025 |
| ევრო | 2,1744 |
| გირვანქა სტერლინგი | 3,1820 |
| რუსული რუბლი | 0,0633 |
| თურქული ლირა (1*) | 1,3456 |

* 2005 წლის 1 იანვრიდან თურქეთის ცენტრალურმა ბანკმა მოახდინა თურქული ლირის დენომინაცია და 1.000.000 თურქული ლირა (TRL) გაუტოლდა 1 ახალ თურქულ ლირას (TRY)

# თბილისის ყველა კაზინო დახურულია

## ვინ გადაიხდის 5 მილიონს?



31 დეკემბერს, ღამის 12 საათზე, თბილისის ყველა კაზინომ მუშაობა შეწყვიტა. მიზეზი გახლდათ ცვლილება საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც, ამა წლის 1-ელი იანვრიდან, სამორინეებისთვის სანებართვო მოსაკრებელი 5 მილიონი ლარით განისაზღვრა. გამონაკლისს წარმოადგენს ბათუმი, სადაც კაზინოს გახსნის მსურველს მხოლოდ ერთი მილიონი ლარის გადახდა მოუწევს და წყალტუბო, სადაც ქართული ლას-ვეგასის აშენების ინიციატივა უფასო ნებართვით ჯილდოვდება. ჩვენ გადავამოწმეთ ინფორმაცია ფინანსთა სამინისტროში, სადაც დაგვიდასტურეს, რომ ახალი კანონის ამოქმედებიდან, კაზინოს გახსნის და შესაბამისად 5 მილიონი ლარის გადახდის სურვილი ოფიციალურად ჯერჯერობით არავის გამოუთქვამს. დახურული სამორინეების მეპატრონეები პრესასთან ღიად საუბარს თავს არიდებენ, თუმცა ჩვენთვის გამონაკლისი იმ პირობით დაუშვეს, თუ რესპონდენტის გვარ-სახელს არ დავაკონკრეტებდით. საუბარი კაზინოს ცარიელ დარბაზში, ცარიელ სათამაშო მაგიდასთან შედგა.

— მთავრობის ეს გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ვიცოდით, მაინც ძალიან მოულოდნელი იყო. იმედს არ ვკარგავდით, რომ შევძლებდით მიგვეღწია კომპრომისისთვის. ნამდვილი საახალწლო „სიურპრიზი" მოგვიწყვეს, როდესაც საგადასახადო დეპარტამენტში მისულებს, ე. წ. ბირკები აღარ მოგვცეს. საქართველოში სამორინეების ბიზნესი უკვე 12 წლისაა, აქედან 6 წელია, რაც თავად ვარ ამ ბიზნესში. ახლა გვაბრალებენ, ბიუჯეტს თანხებს უმალავდნენო. ვინ გაპატიებდა გადაუხდელობას, საგადასახადო დეპარტამენტის თანამშრომლები, ვითომდა კლიენტის სახით, დროდადრო შემოდიოდნენ და სათამაშო მაგიდებს ითვლიდნენ (გაუქმებული კანონის მიხედვით, სამორინეს ყოველ სათამაშო მაგიდაზე 7.000 ლარის გადახდა ევალებოდა). პირნათლად ვიხდიდით გადასახადებს, ხოლო თუ ეს თანხა ბიუჯეტამდე არ აღწევდა, თავის თავს მოჰკითხონ.

**— წყალტუბოში გადასვლა ხომ შემოგთავაზათ ხელისუფლებამ. ამ წინადადებას არ მიიღებთ?**

— წყალტუბოში ამ ბიზნესის წარმოებისთვის არანაირი ინფრასტრუქტურა არ არსებობს. ეს ტყუილად შემოგდებული ფანდი იყო, რადგან, ამ ბიზნესის მონოპოლიზაცია აქვთ გადაწყვეტილი. თბილისში დარჩება 2-3 კაზინო, ხოლო მათ მფლობელებად ჩვენი მეტად შეძლებული თანამოქალაქეები მოგვევლინებიან. თბილისის სამორინეთა ძირითად კლიენტურას ე.წ. წვრილი მოთამაშეები წარმოადგენდნენ. ზოგი 20 დოლარით მოდიოდა კაზინოში სათამაშოდ, აქედან გასულს ტაქსის ფულიც აღარ ჰქონდა (! — რედ.), და ჩვენ უნდა გვქონდეს იმის ილუზია, რომ ეს ადამიანები წყალტუბოში ივლიან სათამაშოდ?! როგორც ვიცი, კაზინოს ბიზნესში შემოდის საკმაოდ სოლიდური თურქული ინვესტიცია. თურქ ინვესტორებს სამორინეთა ქსელი მთელ მსოფლიოში აქვთ. სამწუხარო უბრალოდ ის არის, რომ ქართველების მიერ ნაგებული ფული თურქების ჯიბეში წავა. მაშინ, როდესაც მხოლოდ ჩვენს კაზინოში 400-მდე ადამიანი იყო დასაქმებული და ყველა უმუშევარი დარჩა. ასეთი კი ქალაქში 12-13 კაზინო მაინც მუშაობდა. მოკლედ, ვიხურებით და ალბათ სათამაშო აპარატების ბიზნესს წამოვიწყებ.

**ნიკო ლეკიშვილი,** *პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე:*

— კაზინოებზე დიდი შეხედულების მაინცდამაინც არ ვარ, ამიტომ ვერაფერს ვხედავ ცუდს იმაში, თუ ეს ბიზნესი შეიზღუდება საქართველოში. ახლა, მაგალითად, ჰამბურგში ვიმყოფები და აქ არც ერთი კაზინო არ არის. ცუდს ვერაფერს ვხედავ იმაში, თუ ჩვენი ხელისუფლება შეძლებს მთლიანად გააკონტროლოს კაზინოების ბიზნესი.

**დემურ გიორხელიძე,** ეკონომიკური ექსპერტი:

— კაზინოებთან მიმართებაში მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯი არ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც განსაკუთრებულად კრიტიკული, ვინაიდან ამ ბიზნესს ცივილიზებულ ქვეყნებშიც ასევე კრიტიკულად უდგებიან და სავალდებულოც არ არის იგი დედაქალაქში ყვაოდეს. მით უფრო, რომ თბილისში სამორინეების ბიზნესმა ყველა დაშვებულ ზღვარს გადააჭარბა. ეს არის სპეციფიკური სახის ბიზნესი, რომლის განვითარებაზეც სულაც არ არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის კეთილდღეობა.

**დიმიტრი ჯაფარიძე,** *ეკონომიკური ექსპერტი:*

— არსებული სამუშაო ადგილის შეკვეცა ამ დეპრესიულ ვითარებაში საკმაოდ მტკივნეულია. თუმცა ჩვენთვის უცნობია ის მიზანი და სტრატეგია, რომლის მიღწევაც სურს ამ გადაწყვეტილებით ხელისუფლებას. თუ რამდენად რენტაბელურია ასეთი სვლა, ანუ მოსაკრებლის მნიშვნელოვნად ზრდა, ამას მომავალი მოკლე პერიოდი გვიჩვენებს. ანუ რეალურად გვექნება შესაძლებლობა შევაფასოთ, თუ რა თანხა შედიოდა კაზინოებიდან ბიუჯეტში, რამდენად ფინანსდებოდა სოციალური ინფრასტრუქტურა და რა საპირწონე ეკონომიკურ ეფექტს გამოიღებს ახალი კანონი.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ახალი კანონის ამოქმედებით სამორინეების ბიზნესი იატაკქვეშეთში გადაინაცვლებს?**

— იმაზე დისკრიმინაციული და შემბოჭავი გარემო არ არსებობს, ვიდრე კომუნიზმის ბოლო ათწლეული იყო. მაგრამ იმ პერიოდშიც კი არსებობდა არალეგალური სათამაშო ადგილები. ამ სახის გართობით დაინტერესებული ადამიანები ოჯახებში იკრიბებოდნენ და სოლიდურ თანხებზე თამაშობდნენ, მაშინაც კი ვერ მოხერხდა ამის ამოშანთვა. ის, რაც ძალით და სერიოზული ზეწოლით განიდევნება, ლოგიკური გაგრძელების პერსპექტივის არქონის შემთხვევაში, თავის გადასარჩენად მანკიერ სვლებს მიმართავს. ამიტომ, რა თქმა უნდა, არსებობს ალბათობა იმისა, რომ სახეცვლილი კაზინოები იატაკქვეშეთში გადაინაცვლებენ.

# ბენზინი ისევ ძვირდება?

საქართველოში ბენზინის საწვავზე ფასი იზრდება. ბაქოს ძირითადი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა დროებით, მოდერნიზებისთვის დაიხურა. ამიტომ ამჟამად ბენზინის იმპორტი ჩვენს ქვეყანაში მხოლოდ თურქმენეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან ხორციელდება. ეს უკანასკნელი კი გაცილებით ძვირად ფასობს, ვიდრე აზერბაიჯანული, თუმცა ჩვენმა მეზობელმა ნავთობმწარმოებლებმა ევროსტანდარტებზე გადასვლა გადაწყვიტეს. ამიტომ, უკვე მომავალი წლიდან, ბაქო სწორედ ისეთი ბენზინის წარმოებას აპირებს, რომელიც ყველა ევროპულ ნორმას უპასუხებს. ალბათ შესაბამისად გაზრდის ფასებსაც. საქართველოს გარდა, საწვავზე ფასების ზრდა უკანასკნელ ხანს საერთაშორისო ბაზარზეც დაფიქსირდა...

**ვანო მთვრალაშვილი,** ნავთობის იმპორტიორთა და მწარმოებელთა კავშირის თავმჯდომარე:

— გასული წლის 30 დეკემბრის მონაცემებით, საერთაშორისო ბაზარზე 1 ტონა ბენზინის ფასმა 514 დოლარი შეადგინა, ხოლო 1 ტონა დიზელის საწვავის ღირებულება 495 დოლარით განისაზღვრა. შემდეგ ფასთა ზრდამ საკმაოდ სწრაფი ტემპი აიღო და ამ წლის 6 იანვრისთვის, გენუის ბირჟის მიხედვით, 1 ტონა ბენზინი უკვე 575 დოლარი, ხოლო ამავე მოცულობის დიზელის საწვავი 537 დოლარი ღირდა. ამის თაობაზე კომენტარები კეთდებოდა საერთაშორისო ექსპერტთა მხრიდან, რომელთა აზრით, საწვავზე ფასის ზრდა, ევროპაში უჩვეულოდ ცივი ზამთრის დადგომასთან არის დაკავშირებული. ამავე დროს, უკანასკნელ დღეებში საერთაშორისო ბაზარზე ნავთობპროდუქტებზე ფასების კლების ტენდენცია შეინიშნება, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტრო აქვეყნებს პროგნოზს, რომლის მიხედვითაც ნავთობზე ფასი 2006 წელს 14-15%-ით გაიზრდება. შესაბამისად, ერთი ბარელი ნავთობის ფასი, მათი გათვლებით, 62-65 დოლარის ფარგლებში იმერყევებს.




**ვახტანგ იოსებაშვილი,** ნავთობის მწარმოებელთა და იმპორტიორთა კავშირი:

— ამა წლის იანვარ-თებერვლიდან, გადაიარაღების მიზნით, მუშაობას წყვეტს ბაქოს ძირითადი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. სხვათა შორის, აზერბაიჯანელები საკმაოდ სერიოზული ინვესტიციის, 100-120 მილიონი დოლარის ხარჯზე, ქარხანას ევროსტანდარტების ბენზინის წარმოებისთვის მოამზადებენ. უკვე 2007 წლიდან აზერბაიჯანი მოგვაწვდის „ევროპულ" ბენზინს არაევროპულ ფასად. ყოველი შემთხვევისთვის, ჯერჯერობით ასეთია მათი პირობა. საქართველო ყოველთვიურად დაახლოებით 40 ათას ტონა ბენზინს მოიხმარს. აქედან 20 ათასი ტონა ბაქოდან იმპორტზე მოდის. იმის გამო, რომ ქარხანა დროებით წყვეტს მუშაობას, აზერბაიჯანიდან ყოველთვიურად მხოლოდ 2000 ტონა ბენზინის საწვავი შემოვა. შესაბამისად, ჩვენი მოხმარება მთლიანად ევროპულ ბენზინზე იქნება დამოკიდებული. ხოლო იქიდან გამომდინარე, რომ ევროპული საწვავი ძვირია და მისი ტრანსპორტირებაც უფრო მეტ ხარჯებთანაა დაკავშირებული, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ბაზარზე ბენზინის ფასი 10-15 თეთრით გაიზრდება. სავარაუდოდ გაიზრდება დიზელის საწვავის ფასიც, ვინაიდან 1-ელი იანვრიდან აზერბაიჯანის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, შიდაბაზარზე ამ ტიპის საწვავზე ფასი გაეორმაგებინა. მაგალითად, თუ ლარის კურსზე გათვლით, 1 ლიტრი დიზელის საწვავი ბაქოში 35-40 თეთრი ღირდა, ახლა მისი ფასი 70 თეთრს შეადგენს.

*ემა ტუხიაშვილი*

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**— გთხოვთ, ამიხსნათ, რას ნიშნავს ბრუქსიზმი და როგორ უნდა ვუმკურნალოთ 9 წლის ბავშვს?**

***მკითხველი***

— ტერმინი „ბრუქსიზმი" ძილში კბილების კრაჭუნს ნიშნავს. ეს სიმპტომები მიეკუთვნება ძილის ფუნქციურ დარღვევათა ჯგუფს, ისევე, როგორც ძილში სიარული, ლაპარაკი და სხვ. ბრუქსიზმი ყველაზე ხშირად ბავშვობის ასაკში ვლინდება. ეს სიმპტომები შეიძლება ორგანიზმში ჰელმინთების (ჭიების) არსებობაზე ან თავის ტვინის მომატებულ აგზნებადობაზე მიუთითებდეს. ასეთ დროს სასურველია ნევროლოგის კონსულტაცია და განავლის ანალიზი ჭიის კვერცხებზე. თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ბავშვის ორგანიზმში არავითარი გადახრა არ ვლინდება. ასაკის მატებასთან ერთად ბრუქსიზმი თავისთავად გაივლის.

**წნევის გაზომვისას ქვედა ნიშნული ყოველთვის მაღალი მაქვს. გთხოვთ ამიხსნათ, რა არის ამის მიზეზი?**

***გოდერძი ვ.***

არტერიული ჰიპერტონიის დროს პათოლოგიური პროცესი ძირითადად საშუალო კალიბრის სისხლძარღვებში (არტერიოლებში) ვითარდება. სწორედ ამ სისხლძარღვების კედლის მდგომარეობაზეა დამოკიდებული ქვედა ანუ დისტოლური წნევის დონე. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია იმ წინააღმდეგობის სიდიდე, რომელიც სისხლის ნაკადს ხვდება გულ-სისხლძარღვთა სისტემაში დინების დროს. არტერიული წნევის გამომწვევი მიზეზების მიუხედავად, ჰიპერტონია რეგულარულ და ენერგიულ მკურნალობას საჭიროებს.

საერთოდ, დისტოლურ ჰიპერტენზიას სისტოლური წნევის მატებაც მოჰყვება, მაგრამ ზოგჯერ უკანასკნელი მხოლოდ ოდნავ მატულობს (ან ნორმალური რჩება) — ეს ე.წ. თავმოკვეთილი ჰიპერტენზიაა და გულის შეკუმშვადობის შესუსტებაზე მიუთითებს. დისტოლური წნევის მატების ტენდენცია აღინიშნება აგრეთვე ნეფროზული (თირკმლისმიერი) ჰიპერტენზიისა და ნევროზული მდგომარეობის დროს.

## კარაბადინი

**აცივდა და გახშირდა ბრონქების გაცივების შემთხვევებიც. მე დიდ პატივს ვცემ ხალხურ მედიცინას და გული მწყდება, რომ საქართველოში, სადაც ამდენი ბუნებრივი სიმდიდრე გვაქვს, სათანადოდ არ ვაფასებთ მცენარეულ რეცეპტებს. არასწორი მგონია იმ ექიმთა ქცევაც, რომლებიც ნებისმიერი მსუბუქი დაავადების დროს ძლიერ ქიმიურ საშუალებებს უნიშნავენ პაციენტებს. ეს განსაკუთრებით შეეხება იმ ანტიბიოტიკებს, რომლებიც სულ ახალ-ახალი დასახელებებითა და შემადგენლობით შემოდის ყოველდღიურად და, რომლებსაც იმდენი უკუჩვენება და გართულება ახლავს თან, რომ მათი სამკურნალო ეფექტი რაღა მოსატანია. არადა, ზოგიერთ შემთხვევაში ხომ შეგვიძლია უფრო უვნებელი, ჩვენი წინაპრების მიერ გამოცდილი საშუალებებითაც ვიმკურნალოთ?**

**აი, მაგალითად, მე ვიცი რამდენიმე რეცეპტი, რომელიც უებარია ბრონქიტის დროს:**

**მწვავე ბრონქიტისას დღეში 4-5-ჯერ მიიღეთ თითო ს/კ სტაფილოს წვენისა და თაფლის ნარევი: 1 ჭიქა წვენს 2-3 ს/კ თაფლი უნდა დაუმატოთ.**

**დაჭყლიტეთ კანიანად მოხარშული კარტოფილი, დაამატეთ 1 ს/კ მცენარეული ზეთი, 2-3 წვეთი იოდი. ნარევი წაუსვით ორფა მარლაზე (ან ბამბის ქსოვილზე) და დაიფინეთ მკერდზე, ზევიდან კი ცელოფანი და შალის ქსოვილი დაიფარეთ.**

**სასარგებლოა თალგამის ახალგამოწურული წვენიც. მიიღეთ 1-2 ს/კ 5-ჯერ დღეში.**

**თუ ბრონქიტი გაგიხანგრძლივდათ, ათქვიფეთ 2 ს/კ კარაქი, 2 კვერცხის გული, 1 ჩ/კ ხორბლის ფქვილი და 2 ჩ/კ თაფლი. ნარევი მიიღეთ 4-5-ჯერ დღეში.**

***პატივისცემით, მკითხველი***

*ექიმის კომენტარი:* რეცეპტთა უმრავლესობა შეიცავს კომპონენტებს, რომლებიც ძლიერი ანტიანთებითი, ამოსახველებელი, ანტიბაქტერიული და იმუნიტეტის გამაძლიერებელი თვისებებით ხასიათდება. მსგავსი რეცეპტები, რომელთა გამოყენება ბრონქიტის დროსაა ნაჩვენები, მრავლად მოიპოვება ხალხურ მედიცინაში. რაც შეეხება მკითხველის შენიშვნას, რომ მათ შეუძლიათ, მთლიანად შეცვალონ ანტიბიოტიკოთერაპია, ეს მთლად ასე არ გახლავთ. დღეისათვის მომრავლდა ანთების გამომწვევ ბაქტერიათა ახალი შტამები, რომლებიც მსუბუქი ანტიანთებითი ეფექტის მქონე საშუალებების მიმართ მდგრადობას იჩენენ და თუ ასეთ შემთხვევაში არ იქნა დანიშნული „ძლიერი" ანტიბიოტიკები, შესაძლოა, შედეგად სერიოზული გართულებები მივიღოთ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში ექიმებიც თავის დაზღვევის მიზნით ჰიპერდიაგნოსტიკასა და ჰიპერთერაპიას ახდენენ, ანუ ნიშნავენ ისეთ პრეპარატებს, რომელთა დანიშვნის აუცილებლობა მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს.

მაგრამ, როცა გამოცდილი მკურნალი დაჟინებით ითხოვს პაციენტისთვის ამა თუ იმ პრეპარატის დანიშვნას, გირჩევთ, ნუ შეიტანთ თვითნებურად ცვლილებებს დანიშნულებაში, ფიტოთერაპია კი ამის პარალელურად შეგიძლიათ გამოიყენოთ.

***მოამზადა თამარ მამაცაშვილმა***

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის" დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში" მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც პოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## ნიორი და ართრიტი



● ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობა, ქარი და თოვლი დაავადებულ სახსრებზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. გარდა მედიკამენტოზური მკურნალობისა, სახსრების ტკივილს შეგიძლიათ ხალხური საშუალებებითაც შეებრძოლოთ. ართრიტის გამწვავებისას ნიორი დაგეხმარებათ. იგრძნობთ თუ არა ტკივილს, ნიორი წვრილ სახეხზე გახეხეთ და გამოწურეთ. მიიღეთ 10 წვეთი 4-ჯერ დღეში, დააყოლეთ თბილი რძეც, ხოლო ღამით მტკივან სახსარზე ნივრის წვენით გაჟღენთილი მარლის საფენი დაიდეთ. კანი წინასწარ ცხიმიანი კრემით დაიმუშავეთ.

● ხელის თითების სახსრების ტკივილის დროს კარტოფილი ბურთივით აგორავეთ თითებით. სამკურნალო ეფექტი გაიზრდება, თუ კანიანად მოხარშული კარტოფილის ნახარშს დღეში 3-ჯერ, დილით — უზმოზე, სადილისა და ძილის წინ დალევთ.

● ხშირად სახსრების ტკივილს მარილების დაგროვება იწვევს. ამიტომ კარგი იქნება, თუ სახსრების გამწმენდ პროცედურას ჩაიტარებთ: 10 გ დაფნის ფოთოლს დაასხით 2 ჩაის ჭიქა წყალი და 15 წუთი გააჩერეთ. ნაყენი (დაფნის ფოთლებთან ერთად) თერმოსში ჩაასხით, დაამატეთ მდუღარე წყალი და დადგით 2 საათით. შემდეგ გაწურეთ და დღეში 1 ჭიქა პატარა ყლუპებით მიიღეთ 2 დღის განმავლობაში.

***მირორი***

## დაამარცხეთ მავნე ბაქტერიები

როგორც იაპონელმა მკვლევარებმა დაადგინეს, მწვანე პირშუშხა კბილის ემალს დაზიანებისა და კარიესისგან იცავს. მასში შემავალ იზოტიოციონატებს ანტიმიკრობული თვისებები აქვს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ წინათ პირშუშხას სიმსივნური დაავადებების პროფილაქტიკისათვის იყენებდნენ.

კიდევ ერთი სასიამოვნო სიახლე — შოკოლადი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში „კარიესის საყვარელ ნუგბარად" ითვლებოდა, კბილებისა და ღრძილებისათვის სასარგებლო ყოფილა. იაპონელი მეცნიერების აზრით, შოკოლადის მოსამზადებლად საჭირო კაკაოს მარცვლები ბევრ ანტიბაქტერიულ ნივთიერებას შეიცავს და კარიესის წარმოქმნას ეწინააღმდეგება. ამიტომ სპეციალისტები შოკოლადის კბილის პასტის შექმნას აპირებენ. ღრძილების დაავადებების პროფილაქტიკისთვის მნიშვნელოვანია სწორი კვება და კბილების „ვარჯიში". სასურველია, ვჭამოთ უმი სტაფილო, ვაშლი ან კიტრი, რაც ღრძილებში სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს და კვებავს კბილებს. უმი ბოსტნეული ხომ უამრავი ვიტამინითაა მდიდარი.

***ოტდოხნი***

## მანდარინის მიქსტურა



ცნობილია, რომ ზამთარში ბავშვების დაცვა გაცივებისგან ძნელია. წლის ამ დროს განსაკუთრებით ხშირია ხველა. ამასთან, მშობლებს თავსატეხს ავადმყოფი ბავშვების მკურნალობაც უჩენს — ვინ არ იცის, რომ პატარებს უგემური წამლის დალევა არ უყვართ.

საბედნიეროდ, გამოსავლის პოვნა შეიძლება — მკურნალობა ჯადოსნურ პროცედურად აქციეთ. უთხარით პატარას, რომ მიქსტურა თოვლის ბაბუის საახალწლო საჩუქარია, თანაც მას მანდარინის სურნელი აქვს. რეცეპტი უბრალოა: 3 ს/კ გამხმარ მანდარინის ქერქს დაასხით 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, 2 საათს დააყოვნეთ და გაწურეთ, დაამატეთ 2 ს/კ თაფლი. ჯობს, ბავშვს მიქსტურა თბილი დაალევინოთ, 1/4 ჭიქა დღეში 4-ჯერ.

***ტაიმი***

## უსმინეთ სხეულს!

ზოგიერთი ფსიქოლოგის აზრით, ადამიანის ფიზიკური მდგომარეობა მისივე აზრების ზუსტი ანარეკლია. თუ რამე აგტკივდათ, ე. ი. სხეული სიგნალს გიგზავნით: „ყურადღება, შენს ცხოვრებაში ყველაფერი რიგზე არ არის, რაღაცაზე სწორად არ რეაგირებ". მაგალითად, თუ კუჭმა შეგაწუხათ, ე. ი. რომელიღაც სიტუაციას ან გარშემომყოფთ „ვერ ინელებთ". თავის ტკივილის მიზეზი ხშირად თვითშეფასების დაბალი დონეა, ფარისებრი ჯირკვლის ტკივილი კი იმაზე მეტყველებს, რომ მეტისმეტად დამოკიდებული ხართ თქვენს ახლობლებზე; ყელის ხშირი ტკივილი დაფარულ ბრაზზე მეტყველებს და სურვილზე, რასაც ფიქრობთ, ყველაფერი უშიშრად გამოთქვათ!

***ჟენსკიე სეკრეტი***

## როგორ მოვიცილოთ კოჟრი...

...ყველაზე კარგი საშუალება პლასტირია, მაგრამ ყველამ როდი იცის მისი მოხმარება.

გამოჭერით კოჟრის ზომის პლასტირი და მტკივნეულ ადგილას დაიდეთ, გაიჩერეთ 2 დღეღამე. ბევრი კოჟრს სამართებლით ფხეკს ან იჭრის, ეს კი ძალზე საშიშია, შეიძლება თითი გაიჭრათ და ჭრილობაში ინფექცია შეიტანოთ.

არანაკლებ ეფექტიანია ცხელ წყალში ფეხების დალბობა და დაკოჟრილი ადგილების პემზით დამუშავება. თუ კოჟრი „ხანდაზმულია", შესაძლოა, ორთოპედის კონსულტაციაც დაგჭირდეთ. სწორედ ის შეგირჩევთ ინდივიდუალურ სუპინატორებს, რათა ფეხისგულზე დაწოლის ძალა გადანაწილდეს.

***ზდოროვიე***

N19
ოჯახის
მკურნალი
სამედიცინო ჟურნალი
ფასი 70 თ.
თქვენი და თქვენი ოჯახის
ჯანმრთელობისთვის

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები – მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები.
სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია. FOX-პროცედურები
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
ბუდაპეშტის ქ. 22, მესაზღვრეების ჰოსპიტალი, III სართული
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

# დამნაშავეა თუ არა მემკვიდრეობა

სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის სტომატოლოგებმა დაასკვნეს, რომ კარიესი მემკვიდრეობით გადადის. საიდუმლო თურმე ნერწყვის შემადგენლობაში იმალება. ადამიანებს ნერწყვში შემავალი ოლიგოსაქარიდების შემადგენლობა განსხვავებული აქვთ. მკვლევარებმა შეიმუშავეს ტესტი, რომელიც ბავშვებში ნერწყვის შემადგენლობის მიხედვით კარიესის განვითარებას პროგნოზირებს, რის შემდეგაც პირის ღრუს დროული და ეფექტიანი პროფილაქტიკა კბილების სიჯანსაღეს უზრუნველყოფს.

***სანი***

# ხილ-ბოსტნეული და ასთმა...



ამერიკელ მეცნიერთა აზრით, ასთმისგან რომ თავი დავიცვათ, კუჭ-ნაწლავის ჯანსაღი მიკროფლორა უნდა გვქონდეს, რაც ორგანიზმის რეაქციას გააძლიერებს ისეთ ალერგენებზე, როგორიცაა ცხოველების ქერტლი, ბეწვი, ყვავილები და ა.შ.

ანტიბიოტიკებით მკურნალობის შემდეგ ნაწლავებში ხშირად ჩნდება სოკო, რომელიც ერთ-ერთი მიზეზთაგანია ასთმით დაავადებისა. ამიტომ მედიკოსები გვირჩევენ, ანტიბიოტიკებით მკურნალობის შემდეგ აღვიდგინოთ კუჭ-ნაწლავის მიკროფლორა, საამისოდ კი უხვად უნდა მივირთვათ ხილ-ბოსტნეული.

***ოჯი***

# „ნიწაკა ჩილის მოყვარულებს უკეთ სძინავთ!“

— ამ დასკვნამდე მივიდნენ კუნძულ ტასმანიის უნივერსიტეტის მეცნიერები. ისინი 2 წლის მანძილზე შეისწავლიდნენ, როგორ მოქმედებს ის ადამიანის ჯანმრთელობასა და განწყობილებაზე. ექსპერიმენტში 94 მოხალისე მონაწილეობდა. თითოეულს ყოველდღე სხვადასხვა კერძში 15 გ ჩილის უმატებდნენ. ექსპერიმენტის დასასრულს მოხალისეებმა შენიშნეს, რომ ძილი და განწყობა გაუუმჯობესდათ. ძილი კი, მოგეხსენებათ, დადებითად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე. სპეციალისტებმა ისიც დაადგინეს, რომ ჩილის მოხმარება სისხლში ინსულინისა და გლუკოზის დონეს ამცირებს. ასე რომ, მცირე დოზით ცხარე წიწაკა ძალზე სასარგებლო ყოფილა.

***დობრიე სოვეტი***


გაიზომეთ სისხლში შაქრის შემცველობა ბინიდან გაუსვლელად

85 კომპლექტი ლარად!!!



ფასდაკლება პენსიონერებს და ინვალიდებს!

სარეკლამო

შპს „კონტრასტი“
ბორჯომის ქ. 4
☎35-44-05; 34-74-03;
899-19-60-55



პირველად საქართველოში! მხოლოდ ჩვენს კლინიკაში!

მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:

სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!

მის: ქავთარაძის 16, სამკურნალო კომბინატი, სექსოლოგიური სამსახური. ტელ: 30 94 32; 893 75 77 07
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
ანონიმურობა დაცულია!



პრეპარატი ფენსი გაძლევთ უნიკალურ შანსს



ფსორიაზი
ეგზემა
ნეიროდერმიტი
სებორეა
ენდეთ საუკუნოვან გამოცდილებას!
იკითხეთ აფთიაქებში
მკურნალობამდე
7 კვირის შემდეგ
მკურნალობის შემდეგ

საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ყველაზე ეფექტური, არაჰორმონალური მალამოს საშუალებით

სარეკლამო

ცხელი ხაზი: 39 66 03



„ლიგა“ სამკურნალო გაერთიანება

სექსოპათოლოგია

- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
- უროლოგიური, გულსისხლძარღვთა, ნევროლოგიური, ნივთიერებათა ცვლის მოშლით და ნარკომანიით გამოწვეული სექსუალური დარღვევების მკურნალობა

ფსიქოთერაპია

ვაქცინაცია დასავლეთის წარმოების ვაქცინებით.

თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 83/11 ტელ: 32 21 21; 31 73 24


# კუჭ-ნაწლავის დაავადებები რომ ავიცილოთ

## პანკრეატიტი

კუჭქვეშა ჯირკვლის (პანკრეასის) ქსოვილის ანთებითი დაავადებაა. ის შეიძლება იყოს მწვავე და ქრონიკული.

პანკრეატიტი შეიძლება გამოიწვიოს კუჭქვეშა ჯირკვლისა და ნაღვლის სადინრების დახშობამ, ალკოჰოლის სიჭარბემ, ინფექციებმა, კვების რეჟიმის დარღვევამ (საკვებში ცილის დეფიციტმა, ზედმეტად ცხიმიანმა და ცხარე კერძებმა), ზოგიერთმა მედიკამენტმა.

პანკრეასი, ჰორმონ ინოცინის გარდა, გამოიმუშავებს წვენს, რომელიც საჭმლის მომნელებელი ფერმენტებითაა მდიდარი. პანკრეატიტის დროს ფერმენტები აქტიურდება და საკუთარი ჯირკვლის ქსოვილს აზიანებს, რასაც პანკრეასის შეშუპება და უჯრედების კვდომა მოჰყვება. ქრონიკული პანკრეატიტის დროს ანთებითი პროცესი ქრონიკულად, მუდმივად მიმდინარეობს, რასაც პერიოდულად საკუთარი ფერმენტების გააქტიურება და, შესაბამისად, პროცესის გამწვავება ახლავს.

**დაავადების ნიშნები:** პანკრეატიტის მთავარი ნიშანი სარტყლისებური ტკივილია, რომელიც უმეტესად გამოხატულია მუცლის ზემო ნაწილში და გადაეცემა წელისა და ზურგისკენ. ტკივილი იჩენს თავს მეტწილად ღამის საათებში, ცხიმიანი საკვებისა და ზედმეტი ალკოჰოლის მიღების შემდეგ.

გარდა ამისა, ახლავს გულისრევის შეგრძნება, ღებინება, შემაწუხებელი სლოკინი, ტემპერატურის მომატება, ტკივილის შეტევის დასაწყისში ადამიანი მოუსვენრადაა, ხოლო თუკი მდგომარეობა დამძიმდა, იძულებული ხდება, გაუნძრევლად იწვეს, სახე უფერმკრთალდება, შუბლზე ცივი ოფლი ასხამს. თუ ტკივილი უფრო გაძლიერდა, შესაძლოა, შოკური მდგომარეობაც განვითარდეს.

ქრონიკული პანკრეატიტის კლინიკური სურათი თავდაპირველად მწვავეს ჰგავს. დაავადების დაწყების შემდეგ ხშირდება ნაწლავების მოქმედება, წონაში მატება, მოგვიანებით (8-10 წლის შემდეგ) შესაძლოა განვითარდეს ჰორმონების უკმარისობა; ქრონიკული პანკრეატიტის მოგვიანებითი ნიშნებია შეშუპება, ანემია, კანზე მრგვალი წითელი ლაქები, ე.წ. „წითელი წვეთები“.

**დიაგნოსტიკა და მკურნალობა:** პანკრეატიტის დიაგნოზის დასმა შეიძლება კლინიკური მონაცემების, ლაბორატორიული, ტესტების და ინსტრუმენტული კვლევების საფუძველზე.

ლაბორატორიული კვლევის დროს განსაზღვრავენ პანკრეასის ფერმენტების აქტივობას სისხლსა და შარდში. ინსტრუმენტული მეთოდებიდან ყველაზე ხშირად მიმართავენ ლაპაროსკოპიას, ექოსკოპიას, კომპიუტერულ და ბირთვულ-მაგნიტურ ტომოგრაფიას.

ქრონიკული პანკრეატიტის დიაგნოსტიკა საკმაოდ რთულია, რადგან დაავადება ნელა პროგრესირებს (ზოგჯერ 20 წელი და მეტიც კი სჭირდება).

გამწვავების პერიოდში საჭიროა ისეთივე მკურნალობა, როგორიც მწვავე პანკრეატიტის დროს, კერძოდ, ტკივილის მოხსნა, მკაცრი დიეტა და ალკოჰოლის შეზღუდვა.

პანკრეასული ტკივილის დაწყებისთანავე საჭიროა მტკივან ადგილას ცივი კომპრესის (ყინულის) დადება, სრული სიმშვიდე და შიმშილი. შეტევის დაწყებიდან მეორე-მეოთხე დღეს, ტკივილის შეწყვეტამდე, ავადმყოფს არ უნდა მივცეთ არავითარი საკვები. ტკივილის მოსახსნელად ინიშნება ანალგეტიკური (ტკივილგამაყუჩებელი — ანალგინი, ბარალგინი) და ანტისპაზმური (სპაზმის მომხსნელი — ნო-შპა, პაპავერინი) საშუალებანი.

კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციურ უკმარისობას პანკრეასის ფერმენტებით მკურნალობენ, ინიშნება ცხიმში ხსნადი ვიტამინები (A,P,K). ინფექციური პროცესის საწინააღმდეგოდ გამოიყენება ანტიბიოტიკები. მკურნალობა შედეგიანია, თუკი ადამიანი უკეთ გრძნობს თავს, წონაში იმატებს, უმცირდება ნაწლავების მოქმედება.



**პანკრეატიტის დროს:** აიღეთ თანაბარი რაოდენობით წყლის სამყურას ფოთოლი, ცერეცოს თესლი, ფარსმანდუკი და ასისთავა. 1 ს/კ ამ ნარევს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, ადუღეთ ნახევარი საათი. მიიღეთ 1/3 ჭიქა დღეში 3-ჯერ, ჭამამდე.

## ქოლეცისტიტი

— ნაღვლის ბუშტის ანთებაა.

ქოლეცისტიტის განვითარებას ორი ძირითადი მიზეზი აქვს: ბაქტერიული ინფექცია და ნაღვლის შეგუბება. ინფექცია ნაღვლის ბუშტში შეიძლება მოხვდეს აღმავალი (ნაღვლის სადინარებიდან), ჰემატოგენური (სისხლით) და ლიმფოგენური (ლიმფით) გზით. ნაღვლის შეგუბების მიზეზთაგან აღსანიშნავია ნაღვლის ბუშტისა და მისი სადინრის თანდაყოლილი დეფექტი, ნაღვლის სადინრების დისკინეზიური ცვლილებები, ორსულობა, ნაკლებად მოძრავი ცხოვრების წესი. გარდა ამისა, ქოლეცისტიტის განვითარებას იწვევს მწვავე პანკრეატიტი, პარაზიტული დაავადებები (ასკარიდოზი, ამებიაზი), ჭარბი წონა, ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, ნაღვლის ბუშტის კედლის სისხლმომარაგების მოშლა, მემკვიდრეობითი წინასწარგანწყობა, ალერგიული ფაქტორები.

**დაავადების ნიშნები:** მწვავე ქოლეცისტიტის დროს აღინიშნება ძლიერი შეტევითი ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშა არეში (ჭიპის მარჯვნივ), რომელიც შეიძლება გავრცელდეს მარჯვენა წელის, მხრისა და ბეჭის მიდამოში. ტკივილს თან ახლავს გულისრევის შეგრძნება, პირღებინება, იშვიათად აღინიშნება ტემპერატურის მომატება. ტკივილი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე საათი ან 1-2 დღე. მისი ინტენსივობა თანდათან იკლებს და ყრუ ხდება.

ტკივილის შეტევის პროვოცირებას ახდენს ცხარე, ცხიმიანი, შებოლილი საკვების, ალკოჰოლის მიღება, ფიზიკური და ემოციური გადატვირთვა. ტკივილის შეტევა ნაღვლის შეგუბებითაა განპირობებული. ნაღვლის დენას ხელს უმეტესად კენჭები უშლის. გაცილებით მძიმე შემთხვევაში ტემპერატურა 38-39 გრადუსამდე აღწევს, ჩნდება ინტოქსიკაციის ნიშნები — საერთო სისუსტე, მადის დაქვეითება, შემცივნება, ტაქიკარდია.

მწვავე ქოლეცისტიტი ბავშვებშიც ხშირად გვხვდება. დაავადება უკავშირდება ნაღვლის ბუშტისა და მისი სადინრის დეფორმაციასა და თანდაყოლილ დეფექტს, აგრეთვე მათი კუმშვადობის დარღვევას. მოზრდილებსა და მოხუცებში უფრო ხშირია კენჭოვანი ქოლეცისტიტი და მისი შერწყმა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებთან.

გაცილებით ხშირია ქრონიკული ქოლეცისტიტი. ამ დროს ტკივილი ყრუა, აღინიშნება სიმძიმის შეგრძნება მარჯვენა ფერდქვეშა არეში. ქრონიკულ ფორმას თან ახლავს გულისრევის შეგრძნება, სიმწარე პირის ღრუში, სხეულის ტემპერატურა — 37-37,5 გრადუსია. ქრონიკული პროცესის გამწვავებისას დაავადების ნიშნები ისეთივეა, როგორიც მწვავე ქოლეცისტიტის დროს.

**დიაგნოსტიკა და მკურნალობა:** ქოლეცისტიტი ულტრაბგერითი კვლევით (ექოთი) იოლად ვლინდება. მსუბუქი ფორმის დროს მკურნალობა ძირითადად სპაზმოლიტურია (ნო-შპა), იყენებენ ნაღველმდენ საშუალებებს და ანტიბიოტიკებს. თუკი ტკივილს ვერ ხსნიან, მიმართავენ ქირურგიულ მკურნალობას (ქოლეცისტექომიას).

**ქოლეცისტიტის დროს:** — აიღეთ თითო ჩ/კ ბოლოკისა და წითელი ჭარხლის წვენი და ნატურალური თაფლი, 1,5 ჩ/ჭ არაყი, აურიეთ ერთმანეთში და 1 კვირა შეინახეთ ბნელ და გრილ ადგილას, შემდეგ დალიეთ თითო არყის ჭიქა 3-ჯერ დღეში.

— ჭინჭრის ფოთლის, 2 წილი ასკილის, 1 წილი ჭვავის რქის 3 ს/კ ნარევს დაასხით 0,75 ლ მდუღარე წყალი, დააყენეთ 2-3 საათით და გაფილტრეთ. მიიღეთ 3-4-ჯერ დღეში ჭამამდე 20 წთ-ით ადრე. ეს უებარი საშუალებაა ქრონიკული ქოლეცისტიტის დროს. მკურნალობის ხანგრძლივობა 1,5-2 წელია. კურსი 10-დღიანია, გაიმეორეთ ყოველ 8 კვირაში ერთხელ.

საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ორგანოთა პათოლოგიები ხშირად ჰგავს ერთმანეთს და მათი გარჩევა ერთი შეხედვით შეუძლებელია. დისპეფსიური მოვლენები, როგორიცაა გულისრევის შეგრძნება, პირღებინება, ტკივილი მუცლის არეში, ბოყინი, მადის დაქვეითება ან სრული გაქრობა, ბევრ პათოლოგიას ახასიათებს. ეს ნიშნები გარდა ქოლეცისტიტისა და პანკრეატიტისა, შესაძლებელია გასტრიტზეც მიგვითითებდეს.

## გასტრიტი

კუჭის ლორწოვანი გარსის ანთებაა. გარდა ზემოჩამოთვლილი სიმპტომებისა, მას ახასიათებს გულძმარვა, ჭამის შემდეგ მუცლის შებერვა, კუჭის სიმძიმე, ტკივილი და უსიამოვნო შეგრძნება უშუალოდ კუჭის პროექციაზე.

განასხვავებენ გასტრიტის მწვავე და ქრონიკულ ფორმებს. მათი გამომწვევი მიზეზებიდან აღსანიშნავია ინფექციური ფაქტორები (ვირუსები, ბაქტერიები, ალკოჰოლი) ზოგიერთი მედიკამენტი (მაგალითად, ასპირინი, სტეროიდული ჰორმონები, სულფანილამიდები).

ქრონიკული გასტრიტის გამწვავება ხშირად მოსდევს ალკოჰოლის ჭარბად მიღებას, ცხარე, ცხიმიანი, სანელებლიანი, შებოლილი, ზედმეტად ცივი და ცხელი საკვების მიღებას, კონსერვანტებით, საღებავებითა და ემულგატორებით გაკეთებული პროდუქტები გასტრიტის გამწვავების ძირითადი მიზეზებია.

**გასტრიტის დროს:** მიიღეთ 1 ჩ/კ ალოეს წვენი 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე (მკურნალობის კურსი 1-2 თვეა), ან 100გ ალოეს წვენისა და 100გ თაფლის ნარევი — 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 15-20 წუთით ადრე.

— 200 გ დანაყილი მრავალძარღვა 5 წუთი ადუღეთ ნახევარ ლიტრ ჭაჭის არაყში. გაწურულ-გაცივებული ნაყენი ჩაასხით ბოთლში. მიიღეთ თითო ს/კ დილით, უზმოზე, ადგომამდე 1 საათით ადრე.

***მაია მუხიგული***

# იცით თუ არა, რომ...

- თვალებისთვის სასარგებლოა — სტაფილო, მოცვი (ვიტამინი A);
- ძვლებისთვის, კბილებისთვის — ხაჭო, კვერცხის გული, ზღვის პროდუქტები, ღვიძლი (კალციუმი, ფოსფორი, ვიტამინი D);
- კუჭისთვის — ყველანაირი ფაფეული;
- ნაწლავებისთვის — ქატო, ახალი, ხმელი და მოშუშული ხილი და ბოსტნეული (უჯრედისები), რძის ნაწარმი;
- რეპროდუქციული სისტემისთვის — ხორბლის ღივი, ნიგოზი, თხილი, სოია (ვიტამინი E); ახალი ხილი, სოკო, ლელვი.
- კუჭქვეშა ჯირკვლისთვის — კვერცხის ცილა, გახეხილი წიწიბურას ფაფა, ორთქლზე მოხარშული ხორცი და თევზი;
- ფარისებრი ჯირკვლისთვის — ზღვის პროდუქტები (იოდი);
- თირკმლებისთვის — სუფთა წყალი, წვნიანი ხილი და ბოსტნეული. არ არის სასურველი ცილების შემცველი პროდუქტების, მარილიანი, სანელებლებიანი კერძების მირთმევა.

***ლეჩებნიკი***


ვმკურნალობთ ქრონიკულ პროსტატიტს

პროფ. გუსკოვის მეთოდით, ელ. სტიმულატორ „ინტრატონით“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ გააჩნია, პოტენციის დაქვეითებას, ქლამიდიოზს, ტრიქომოდულ და სხვა უროგენიტალიურ ინფექციებს. დიაგნოსტიკა, ექოსკოპია თანამედროვე იაპონური აპარატურით.

მის: გამსახურდიას (პეკინი) №14 მე-8 პოლიკლინიკა, კაბ. №26, 9-13სთ.
☎ 8(93) 31 42 35



გაიზომეთ წნევა და პულსი სხვისი დახმარების გარეშე

იკითხეთ აფთიაქებში გერმანული მაჯის წნევის აპარატი „MEDactive“

ფასი 38$ ექვივალენტი ლარში



☎ 31-69-68
899-53-99-15

ცხოვრება ზოგისთვის თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქრის, ზოგისთვის კი ურემივით მიიზლაზნება. დროს ვერაფერი შეაჩერებს, მაგრამ ამ ორომტრიალშიც ხშირად დგება მომენტი, როდესაც გვახსენდება გოეთეს ფრაზა — „შეჩერდი, წამო...“ „გაიყინება“, გაირინდება ადამიანის არსებობის ერთი მცირე მონაკვეთი და ისევ თავაწყვეტილი სრბოლით გაგრძელდება წუთისოფლის ტრიალი... შეჩერებულმა წამმა კი იქნებ საუკუნეების ხანგრძლივობაც დაიტიოს თავისი ყოვლისმომცველი იდუმალებით...

„კვირის პალიტრის“ ამ ფოტოგალერეაში საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსის“ ფოტოკორესპონდენტების მიერ დანახული ქართული რეალობაა წარმოდგენილი, ჩვენი დღევანდელობა და სინამდვილე. „შეჩერებული წამი“ — როგორც ჩვენი ისტორია და... მარადიულობა(?!.).



გასულ კვირას მეტრო „სამგორთან“ სისხლიანი შეტაკება მოხდა. სამართალდამცველთა ინფორმაციით, სამმა პირმა მათ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია, რის შემდეგ ისინი ადგილზე იქნენ ლიკვიდირებულნი. ერთი ვერსიით, ექვმიტანილებს ციხიდან პატიმართა მასობრივი გაქცევის ორგანიზება ჰქონდათ ჩაფიქრებული...

**„ნუ იქნება ოღონდ ბუნტი, სხვა რაც გინდა იყოს(?!)“**



პრეზიდენტების წინააღმდეგ მიმართული ტერაქტის იდეის ავტორისა და შემსრულებლის ვოვა არუთინიანის საქმე სარეკორდოდ მოკლე დროში დასრულდა. კოდექსის ლამის ყველა მუხლით „დამძიმებული“ განსასჯელის 400-გვერდიან საქმეს მოსამართლე ოთხი საათის მანძილზე კითხულობდა და როგორც იქნა, საბოლოო ვერდიქტიც გამოიტანა — სამუდამო პატიმრობა.



**— „ხვედელიძე“, ბიჭო! დაცვას მიხედე, დაცვას!...“**

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თავკაცად გერმანელი კლაუს ტოპმიოლერი დაინიშნა. პირველი გუნდის მთავარი მწვრთნელი მიხეილ სააკაშვილმაც მიიღო და გულთბილ სურვილებთან ერთად „საპრეზიდენტო ბურთი“ გადასცა. — „ჩვენ ჩამოგიყვანეთ, ახლა შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ, პა ბურთი და პა მოედანიო“. იმედია, პრეზიდენტის სიტყვებს მავანნი საქმედ აქცევენ, თორემ ტოპმიოლერს ბურთები ისედაც თავზე საყრელად აქვს, მაგრამ მოედნებისა კი, რა მოგახსენოთ...

**„ესაა პიკასოს ბიჭი? ამით ერთობა პიკასო?!“**



რუსეთის პრეზიდენტმა მოქანდაკე ზურაბ წერეთელს „სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის“ მესამე ხარისხის ორდენი გადასცა. პუტინის ბრძანების მიხედვით, წერეთელი „ფერწერისა და მონუმენტური ქანდაკების განვითარებაში შეტანილი განუზომელი წვლილისთვის“ დააჯილდოეს. ამის შემდეგ აღიარებულ ხელოვანთან მუშაობაზე ვეღარც სუსტი სქესის წარმომადგენლები იტყვიან უარს და ასეთ კამპანიაში რა გასაკვირია, რომ მძინვარე ვეფხვებიც მშვიდად ჰაზიარობენ?

**„შაჭირვებულა სოფელი, ძებნა სჭირდება ბადლისა: ვაი, რომ ცუდი ბევრია, პოვნა ძნელია კარგისა!“**

**(ვაჟა-ფშაველა)**



„ნახევარ საუკუნეზე მეტია ვეძებდი „გმირს“, რომელიც მამულს საიმედო შველას მისცემდა... ბოლოს მივხვდი, რომ ეს გმირი — ჩვენი გლეხი ყოფილა! გლეხი, რომელმაც ყველაზე მეტი ჩაგვრა და რბევა განიცადა და მაინც ყველაზე გამტანი, ზნემაღალი და უშრეტი სიცოცხლით სავსე!..“
(ლევან გოთუა)

„კაცი მომცა, — ლონდებოდეს, ქვეყნის სატკივარი სჭირდეს, ჭიქა მიეწოდებოდეს, დალაპარაკება ღირდეს!...
(მურმან ლებანიძე)

**„ეჰ, სუდია, სუდია, რა დაგიშავე ცუდია...“**



ბექაურის „ფარული კამერის“ წყალობით დატუსაღებულ შალვა რამიშვილს „საკნის ჩახუთული ჰაერი სწყენსო“ და... 5-დღიანი კარცერი გამოუწერეს. კარცერს როგორმე გაუძლებდა, მაგრამ ადვოკატების თხოვნა შალვას გათავისუფლების თაობაზე სასამართლომ არ გაითვალისწინა და გისოსებს მიღმა ყოფნის ვადა გაუხანგრძლივა.

ე.წ. ეშმაკის სვეტის „დასეტყვაში“
3 მილიონამდე მუსლიმანი მონაწილეობდა



მუსულმანურმა სამყარომ მექას მიაშურა მოსალოცად. ისლამის მიმდევრებმა „ეშმაკის ქვათაცემის“ რიტუალი ტრადიციული ემოციურობით აღნიშნეს, რის შედეგადაც წარმოქმნილ ჭყლეტაში ასეულობით მლოცველი დაიღუპა.

# გთავაზობთ 2005 წლის გზავნილების ადრესატთა სიას

„კვირის პალიტრის“ სახალხო პროექტი „წერილი მომავალში“ 5 წლის გახდა. როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, ეს პროექტი 100 წელს გასტანს და მომავლის წერილებიც შესაბამისად 2010, 2025, 2050 და 2100 წლების ბოლოსაც გაიხსნება. წლის დასაწყისში მეორედ გაიხსნა საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცული წერილების სკივრი, რომელთა ადრესატებსაც ამჯერად 2005 წლის ბოლოს უნდა მიეღოთ საუკუნის დასაწყისში მათთვის გაგზავნილი ახლობელთა და მეგობართა გზავნილები. ვაგრძელებთ ამ წერილების ადრესატთა სიის ბეჭდვას. დასაწყისი იხ. „კვირის პალიტრა“ №2 (567).

### კ

კაველიძე ეკა
კაველიძე თეა
კავკავაშვილი დავით. თბილისი, III მასივი, თუამთის ქ. კორპ. ა. ბ. №19
კავკასიძე გიორგი პაატას ძე
კაკაბაძე ზურაბ
კაკავა დათო თურის ძე
კაკალაძე გიორგი ცეზარის ძე. ქობულეთის რ-ნი, სოფ. ლელვა
კაკაშვილი ავთო გიორგის ძე. თბილისი, მუხიანი I მ/რ, კორპ. 17
კაკაშვილი დავით. თბილისი, გუმათჰესის ქ. №10. ბინა 70
კაკუტაშვილი ვახტანგ ზურაბის ძე
კაკუტაშვილი გიორგი გიორგის ძე
კაკუტაშვილი ნინო გიორგის ასული
კაკუშაძე სოფიკო ბონდოს ასული
კალანდაძე ანი
კალანდაძე-ახობაძე დოდო. სამტრედია, ნაჩხეტაური, კიკვიძის ქ. №263
კალანდია გიორგი მურმანის ძე
კალატოზიშვილი თამარ და ლუკა
კალაძე ვალერი
კალმახელიძე გიორგი ჯემალის ძე. თბილისი, დ. ქლდიანის ქ. №24
კალოიანი ეკა
კალმახელიძე დალი მიხეილის ასული
კალმახელიძე ლალი შოთას ასული
კანდელაკი გიორგი გოჲის ძე. გარდაბნის რ-ნი, ს. მარტყოფი
კაპანაძე გიორგი გოდერძის ძე. ქუთაისი. ავტომშენებლის ქ. №38.
კაპანაძე გიორგი. თბილისი, ქინძმარაულის შესახვევი, კორპ. 13, ბინა 18
კაპანაძე თეა ილოს ასული
კაპანაძე ირაკლი რეზოს ძე
კაპანაძე ლადო მიხეილის ძე
კაპანაძე ნანა. ქუთაისი, ლ. ასათიანის ქ. №117
კაპანაძე ნონა ყარამანის ასული
კარიბოვი დათო
კარტაძე ნიკა ზურაბის ძე. თბილისი, ვარკეთილი-3, კორპ. 302, ბ. 51
კასრელიშვილი ეკა სიმონის ასული
კაშმაძე თეიმურაზ დიომიდეს ძე. სამტრედიის რაიონი, სოფელი ბაში
კაშიაძე შუქრი ვიქტორის ძე. თბილისი, ვარკეთილის IV მ/რ, III კვ. კორპ. 12, IV სად. ბ. №60
კაჭარავა ეკა. ზუგდიდი, საკაძის ქუჩა №7
კაჭარავა ზურაბ გრიგოლის ძე
კახაბერიძე თამთა ხასანის ასული
კახელი ინგა. თბილისი, შიდლტის ქ. №74-ბ
კახელი ირმა. თბილისი, ქუთარაძის ქ №8
კახიანი ირაკლი ბესარიონის ძე. სამტრედიის რაიონი, სოფ. პატარა ეწერი
კახნიაშვილი თამარ მიხეილის ასული. სამგზავლო, სოფ. კეხვი
კახნიაშვილი მარიკა კახაბერის ასული
კახნიაშვილი სოფო
კახნიძე გიორგი და გაბრიელი
კველიშვილი გვანცა
კეკელაშვილი მაია. თბილისი, ცაბაძის ქ. II კორპ. ბინა №77
კეკელია თამარი
კეკელიძე ნანა ომარის ასული
კეკუტია გიორგი
კელაპტრიშვილი თეონა ვალერის ას.
კემულარია სოფიკო. ფოთი, გურიის ქ. №179
კენჭაძე ხატია ავთანდილის ასული
კერესელიძე ანა თემურის ასული
კერვალიძე თამარ და სოფიკო
კვალიაშვილი ირინე ვაჟას ასული
კვალიაშვილი ნიკოლოზ ვაჟას ძე
კვანტრიშვილი ნიკა ვახტანგის ძე
კვანჭიანი იმედა, თბილისი, მუხიანის II მ/რ, კორპ. 2, ბინა №25
კვაჭანტირაძე ფიქრია შალვას ასული
კვაჭაძე თეკლა ომარის ასული
კვერნაძე ბექა. წყალტუბოს რ-ნი, სოფ. მაღლაკი
კვესელაძე შ. თბილისი, წერეთლის პროსპ. №55-ა
კვიმსაძე მერაბ. ქუთაისი, კლდიაშვილის II შეს. №5
კვინიკაძე გვანცა
კვირიკაშვილი გიორგი როლანდის ძე. ქუთაისი, ჯორჯიაშვილის ქ. №87
კვირკველია ხატია და თამო
კიკვიძე გიო და ზაზა
კიკნაველიძე თემო
კიკნაველიძე რევაზ სულხანის ძე
კილასონია ლელა
კილაძე ლაშა
კილაძე მაია მიხეილის ასული. თბილისი
კირკიტაძე სერგო. თერჯოლის რ-ნი, სოფელი ძევრი
კიტეიშვილი დავით ვლადიმერის ძე
კილურაძე გიორგი ტარიელის ძე
კობაური ომარ. თბილისი, ასლანაძის ქ.
კობახიძე ავთანდილ გიორგის ძე
კობახიძე ანა ოტიას ასული
კობახიძე ბექა ტარიელის ძე. თბილისი, მუხიანი IV-ბ მ/რ, კორპ. 26, ბ. №23
კობახიძე თამარ გიორგის ასული
კობახიძე მანანა დავითის ას. თბილისი
კობახიძე ნინო ავთანდილის ასული
კობიაშვილი გიორგი გოჩას ძე
კობიაშვილი სალომე. თბილისი, ლ. ასათიანის №58
კობიაშვილი ქეთევან ვასილის ასული
კოკჩაიშვილი დიმიტრი სპარტაკის ძე
კომახიძე ანი და გიორგი. თბილისი, არაყიშვილის ქ. №15
კომახიძე იოსებ ოთარის ძე
კოპალეიშვილი არჩილ. თბილისი, იოანე პეტრიწის ქ. №9. ბ. 15
კოპალიანი ირაკლი. თბილისი, იწვერის ქ №1 ბ№4
კოპაძე თეა ვაჟას ასული. ზესტაფონის რ-ნი, სოფ. ცხრაწყარო
კოროხაშვილი ლელა
კოროხაშვილი ქრისტინე ზურაბის ასული
კორლალიძე ირაკლი გიას ძე
კორძაია ნუნი უჩას ასული. თბილისი, ქ. გამსახურდიას ქ. №9
კოტაშვილი ციალა
კოშაძე ანა შალვას ასული
კოჭლამაზაშვილი მიხეილ ლევანის ძე
კოჭლამაზაშვილი ბადრი. ახმეტის რ-ნი, სოფ. ქვემო ალვანი
კოხრეიძე ნინი. ქუთაისი, კუპრაძის XI შესახ. №3
კრავეიშვილი სოფიო ენრიკოს ასული
კუკავა დათო ვალიკოს ძე. ზუგდიდის რაიონი, სოფ. დარჩელი
კუპრავა ცისანა ოლეგის ასული. სოხუმი, ტიტოვის ქ. მე-2 გასასვლ. №14
კუპრაშვილი გიორგი. ქუთაისი, შმიდტის №50
კუპრაშვილი მელანო. ქუთაისი, ნიკეას ქ. №68/88
კუპრაშვილი ნინო
კუპრეიშვილი ზურაბ
კუპრეიშვილი ირაკლი
კურდღელაშვილი კახა და ალეკო
კურდღელაშვილი ხვიჩა გიორგის ძე. გურჯაანი
კურტანიძე ვასილ გიორგის ძე
კურტანიძე მერაბ თემურის ძე
კურტანიძე მერაბ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №72/62
კურნატიძე ნინო. ქუთაისი, მელიქიშვილის ქ. №8/77
კუტალაძე ავთანდილ დავითის ძე
კუჭავა გია დავითის ძე
კუჭავა თამო. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. №56, IIსად. ბ.23
კუხალაშვილი გოგა ჯუსტანის ძე

### ლ

ლაბაძე ავთანდილ (ბაჩიკუნა)
ლაბაძე ანტონ და გიორგი. ჭიათურის რაიონი, სოფ. ნიგოზეთი
ლაბახუა მერაბ
ლაბახუა სალომე
ლალაშვილი დათო და ლაშა. ბორჯომის რ-ნი, დაბა ახალდაბა
ლალიაშვილი სერგო მერაბის ძე. ხაშური, ძნელაძის ქ. №16
ლაზარაშვილი მეველუდ გიორგის ძე. თელავის რაიონი, სოფ. შალაური
ლაფაჩიშვილი გიორგი გიორგის ძე
ლაფერიშვილი გიორგი ვლადიმერის ძე
ლაფერიშვილი ლაშა ვლადიმერის ძე
ლალიძე შოთა. თბილისი
ლაშხი დ. თბილისი, გ. ბრწყინვალის ქ. №31
ლაშხია ირაკლი ოთარის ძე
ლაშხია მარიამ იოსების ასული
ლაშხია მარიამ იოსების ასული
ლაცაბიძე გიორგი. რუსთავი, VIIIმ/რ, 2-118
ლევიძე ლილე
ლეონიძე ნიკა. თბილისი, ჭავჭავაძის პრ. №39
ლეჟავა არჩილ ბონდოს ძე. სამტრედიის რაი. სოფ. ახალსოფელი
ლექვინაძე ნატა
ლიპარიტიძე გიორგი, ბორჯომი, რუსთაველის ქ. №69
ლიპარიტიძე ეკა, ბორჯომი, რუსთაველის ქ. №69
ლობჟანიძე ირაკლი ედუარდის ძე
ლობჟანიძე ლევან დავითის ძე
ლობჟანიძე ნინო
ლომაძე მაზერ თამაზის ძე. ქუთაისი, ვარლამიშვილის ქ. №9/57
ლომინაშვილი ამირან მამუკას ძე
ლომინეიშვილი თიკო. თბილისი, დ/დიღომი, ი. პეტრიწის ქ. №17-ა
ლომიძე რეზო ალექსის ძე
ლომიძე ნატო ზურაბის ასული, თბილისი, გორგასლის ქ. №111-ა
ლომიძე ვარლამ და მაკა. თბილისი, მუხიანის I მ/რ. კორპ. 13
ლომიძე თემურ
ლომიძე თამუნა ხაშური, ტოლსტოის ქ
ლომიძე მაია და მელაძე ავთანდილი
ლომიძეების ოჯახი ახალციხე, ახვლედიანის ქ. №3
ლომჯარია ანა და კაკო. ოზურგეთის რაიონი, სოფ. მაკვანეთი
ლორია ზვიად მურმანის ძე
ლორია ციცო ნიკოლოზის ასული
ლუხუმაძე მაია თენგიზის ასული
ლუხუტაშვილი ჯენარი გივის ასული. თბილისი, მცხეთის ქ№2

### მ

მაზანაშვილი მაია გიორგის ასული. თბილისი, ქვთარაძის ქ. №26, I სად. ბ. №12
მაზმიშვილი ნინო ემზარის ასული. კასპის რაიონი, სოფ. გრაკალი
მათიაშვილი გიორგი და დათო
მათიაშვილი ვეჟხია
მათიაშვილი ლუბა
მათიაშვილი რაინდი
მაისურაძე გოგი
მაისურაძე გიორგი. თბილისი, პეტრე გრუზინსკის ქ. №20
მაისურაძე ეკა. ბორჯომი, ფალიაშვილის ქ. №4
მაისურაძე თამრიკო
მაისურაძე თამრიკო და თორნიკე
მაისურაძე ირაკლი. საგარეჯო, 9 აპრილის ქ. №31
მაისურაძე ლევან
მაისურაძე მაია კარგოს ასული
მაისურაძე ნინო დავითის ასული. თბილისი, გურამიშვილის ქ. №36
მაისურაძე პავლე თამაზის ძე
მაისურაძე პარმენ. ლანჩხუთი, ჭანტურიას ქ. №23
მაისურაძე ქეთევან და თეონა
მაკასარაშვილი ბონდო სიმონის ძე. ბორჯომი, გრ. ხანძთელის ქ. №17
მალაზონია მარიამ. ფოთი, გურიის ქ. №179/11
მალაცაიძე გაბრო. კასპი, მირიან მეფის ქ. №74
მამაგეშვილი მაია ვახტანგის ასული
მამარდაშვილი გეგა (გიორგი)
მამარდაშვილი მედეა, გოგა და ლუკა
მამასახლისი გია ომარის ძე. ვანის რაიონი, სოფ. ზეინდარი
მამულაშვილი ანა დავითის ასული
მამულაშვილი ზაზა გურამის ძე. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. III კვ. კორპ. 25. ბ. №44
მამულაშვილი თინიკო
მამულაშვილი მაკა ნიკოლოზის ასული. მცხეთის რაიონი, სოფ. ბიწმენდი
მამულაშვილი მალხაზ სოლომონის ძე
მამულაშვილი სანდრო მამუკას ძე. თბილისი, დიღმის მასივი, V კვ. კორპ. 13. ბ. №20
მამჩიშვილი ეკა. თბილისი, ვარკეთილი, III მ/რ. კორპ. 308
მამჩიშვილი ირმა. თბილისი, ვარკეთილი, III მ/რ, კორპ. 307
მანაგაძე გოჩა
მანაგაძე ვალერი. ქუთაისი, ლესელიძის V შეს. №24
მანაგაძე შალვა ელგუჯას ძე
მანიჟაშვილი ნანა, ხეტეშვილი სულიკო. თბილისი
მანჩხაშვილი კახა ანზორის ძე
მანჭულაშვილი ზურაბ
მანჯავიძე გიორგი
მარაქველიძე ვახტანგ მიხეილის ძე. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ, IV კვ. კორპ. 3. ბ. №12
მარაქველიძე მიხეილ ვახტანგის ძე. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ, IV კვ. III კორპ. ბ. №12
მარგიანი გიორგი. თბილისი, დოლიძის ქ. კორპ. 25. I სად. ბ. №48
მარგიანი ლუკა და იკო. თბილისი, დოლიძის ქ. კორპ. 25, ბ. №48
მარდალეიშვილი გიორგი თეიმურაზის ძე. თბილისი, სანზონა, ქიმზეთის „ა“ კორპ.
მარიდაშვილი მერაბ ავთანდილის ძე. კასპის რაიონი, სოფ. ქვემო გომი
მარტაშვილი ქეთინო გუგულის ასული
მარტიაშვილი შალვა და მარიამ
მარტყოფლიშვილი ზაქარია მიხეილის ძე
მარღიშვილი მალხაზ და მარიამ. თბილისი, სანერგის ქ. №7
მარჯანიძე მაია გიორგის ასული
მაქაძე ირმა
მაღლაფერიძე ნანა ამირანის ასული
მაჩაიძე ეკა თენგიზის ასული
მაჩაიძე ვალოდია გელას ძე. ქუთაისი, მშენებლის ქ. №23/10
მაჭავარიანი-მიქაძე მაია
მაჭარაშვილი გიორგი. თბილისი, ფალიაშვილის ქ. №53, III სად. ბ. №27
მაჭარაშვილი ნუგზარ ფიდოს ძე
მაჭარაშვილი თინათინ ნუგზარის ასული
მახათაძე გიორგი
მახარაძე ნიკა გიორგის ძე
მახარაძე ნინო
მახარობლიშვილი ეკატერინე. თბილისი, ნუცუბიძის II მ/რ, IV კვ. II კორპ. ბ. №70.
მახარობლიძე ლევან ანზორის ძე. თბილისი, ალმაშენებლის ხევანი, სსი, კორპ. 10, III სად. ბ. №47
მგალობლიშვილი გიგი. რუსთავი, გონაშვილის ქ. №3.
მგალობლიშვილი მამუკა
მგელაძე ვლადიმერ ავთანდილის ძე. ბათუმი, ინასარიძის ქ. №9, ბ. 21
მგელაძე ნიკოლოზ თამაზის ძე
მდივანი კახაბერ როინის ძე
მდინარაძე გიორგი. თბილისი, ვარკეთილი-3, II მ/რ, კორპ. 28.
მებონია თემურ
მეგრელიშვილი ნორა და დათო
მეზვრიშვილი თეონა
მეზვრიშვილი ნათია
მეზვრიშვილი ნინო. გორის რაიონი, სოფ. პატარა გარეჯვარი
მეზურნიშვილი ლელა. კასპი
მეკოკიშვილი გიორგი გივის ძე
მელაშვილი ნაზ დავითის ძე
მელაძე ნესტან, გიორგი და თამარ
მელაძე რაჟდენ ამირანის ძე. მარნეულის რაიონი, სოფ. შულავერი
მელელაშვილი თათია და გიორგი
მელია დ. აბაშის რაიონი, სოფ. გულუხეთი
მელიქაძე თეა. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. №90
მელიქია გ. ს. ფოთი, აღმაშენებლის ქ. №15
მელიქიძე თაკო. თბილისი, სიმონ ჩიქოვანის ქ. №.49
მელიქიძე ირინე სერგოს ასული
მელიქიძე ირინე სერგოს ასული
მემანიშვილი დათო პავლეს ძე. თერჯოლის რაიონი, სოფ. სკანდე
მენაბდე თამუნა ალექსანდრეს ასული. ტყიბული
მენაბდიშვილი ირაკლი
მენაბდიშვილი ნინო. გორი, ყაზბეგის ქ. №20
მერაბიშვილი ანა. გორი, თავზიშვილის ქ. №47
მერაბიშვილი ზაზა ემზარის ძე
მერაბიშვილი მარეხ მერაბის ასული
მერაბიშვილი რუსუდან და მარიამ
მესხელი სვეტლანა
მესხი ნათია. ფოთი, ბელინსკის ქ №55
მესხიშვილი გიორგი ივანეს ძე
მესხიშვილი მარი. გორი, სტალინის ქ. №27
მესხიშვილი ქეთი. გორი, სტალინის ქ. №27
მესხორაძე ალექსი როინის ძე
მეტრეველი არჩილ ავთანდილის ძე. ონის რაიონი, სოფ. ნიგავზები
მეტრეველი თამუნა (თამარ) დავითის ასული
მეტრეველი ლარისა და ნინო. თბილისი, ღუდუშაურის ქ. №20
მეტრეველი ნათია დავითის ასული
მეფარიშვილი ბადრი ლევანის ძე. რუსთავი
მთვარაძე სიმონ
მთვრალიშვილი ნანა სანდროს ასული
მთავარაძე მაური. აბაშის რაიონი, სოფ. კეთილარი
მიმინოშვილი თორნიკე რომანის ძე. ფოთი, გურიის ქ. №183/17
მინდიაშვილი გიორგი რამაზის ძე
მინდიაშვილი თორნიკე რამაზის ძე
მინდიაშვილი მარიამ და ლაშა. გორი, გრ. რობაქიძის ქ. №63
მინდიაშვილი ცირა რამაზის ასული
მირაშვილი ავთო. თბილისი, დიღმის მას. III კვ. კორპ. 34, ბ. №47
მირზაშვილი მარი და გიორგი
მირცხულავა თორნიკე ვახტანგის ძე
მირუაშვილი მიხეილ გივის ძე. გორის რაიონი, სოფ. ქახნარელი
მიქაბერიძე აკაკი დავითის ძე. თბილისი, ვარკეთილი-3, III-ა მ
მიქაბერიძე ნონა სურენის ასული. თბილისი
მიქაძე იზო, არაბიძე ნინო. თბილისი, ალ. ყაზბეგის პრ. №9
მიქელაშვილი სალომე იაგოს ასული
მიხაილოვი გიორგი ვლადიმერის ძე. ქუთაისი
მიხანაშვილი ზურაბ. თბილისი, თემქა, XI მ/რ, III კვ. კორპ. 41. ბ. №55.
მოდებაძე გოჩა პავლეს ძე
მოდებაძე ნანა აკაკის ასული
მოდრეკელიძე დიმიტრი გიორგის ძე. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. №40
მოდუ თემურ ედუარდის ძე
მოდუ თენგიზ ედუარდის ძე
მოსაშვილი ნათია. თბილისი, ბახტრიონის ქ. №11, ბ. 24
მოსეშვილი კრიმგირეი
მოსეშვილი თამარ და გიორგი
მოსეშვილი ნუცა კახას ასული
მოსეშვილი კახა. ქუთაისი, თამუკაშვილის ქ. №167
მოსიძე ხატია ავთანდილის ასული. გორის რაიონი, სოფ. მეჯვრისხევი
მოწონელიძე ბესიკი და მარიკა
მოწონელიძე თ. თბილისი, გ. ზაზიშვილის I შეს. №2
მუგაშვილი მარეხი ვლადიმერის ასული
მუკბანიანი ესმა. თეთრიწყაროს რაიონი, სოფ. გოლთეთი
მუმლაძე დარეჯან
მუმლაძე ია
მუმლაძე ტატო ტარიელის ძე
მურადოვა ამალია
მურაჩაშვილი სოფიკო
მურვანიძე ეკო. თბილისი, გვაზაურის ქ. №4. ბ. №21
მუშკუდიანი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, ჯაბილაძე ლუიზა ნოეს ასული. თბილისი
მუშკუდიანი მიხეილ
მუჯირიშვილი თეონა. თბილისი, გამსახურდიას პრ. №9, II სად. ბ. №42
მღებრიშვილი ნათია. თბილისი, ვარკეთილი-3, IV მ/რ, კორპ. 420, V სად. ბ. №88.
მჭედლიშვილი თენგიზ ვახტანგის ძე
მჭედლიშვილი მარინა ვალერიანის ასული. თბილისი, კახეთის გზატკ. VII კორპ.
მჭედლიშვილი ნანი და მანანა
მჭედლიშვილი შოთა ამირანის ძე. კასპის რაიონი, სოფ. ქვემო გომი
მჭედლიძე ლიკა შუქრის ასული. თბილისი, ბერეთის ქ. №8
მჭედლიძე ქეთევანი ხაშური, გაგარინის ქ. № 86

### ნ

ნადარაია გოჩა
ნადარაია ელენე და ტატო. თბილისი, მ. მესხის III შეს. №5
ნადაშვილი ლევან ჯემალის ძე
ნადიბაიძე მარინა ტარიელის ასული
ნადიბაიძე ნინო. ახმეტა, ოძელაშვილის ქ. №5
ნადირაშვილი ნათია
ნადირაშვილი ნიკო
ნავერიანი ირა. მცხეთის რ-ნი სოფ. აგარაკი
ნავდარაშვილი ანზორ
ნაზარაშვილი ზაზა და ემზარ
ნათელაშვილი შალვა (ლეიბორისტი)
ნათელაშვილი შალვა, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი
ნათიძე გურამ სოლომონის ძე
ნაკაშიძე ირაკლი როდამის ძე. ბათუმი, ერას ქ. №86-ბ
ნაკაშიძე მაგდა სერგოს ასული
ნაკაშიძე მაგდა სერგოს ასული
ნანავა ნათია
ნანეიშვილი თამილა. თბილისი, კალ. ცინცაძის ქ. №6/7 ბ. №15
ნარდაია დავით ვახტანგის ძე. თბილისი, თემქა, მე-XI მ/რ, II კვ. კორპ. 33-ა ბ. 69
ნარმანია ირა
ნასყიდაშვილი მთვარისა. ქარელი, დ. აბაშიძის ქ. №1
ნატრიაშვილი ზვიად გურჯანის ძე. ბოლნისის რ-ნი სოფ. ვარციხე
ნატროშვილი თამარ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, კორპ. 15, ბინა 29
ნატროშვილი სოფიკო კობას ასული. დედოფლისწყარო, ებუანიშვილის ქ №4
ნაცვლიშვილი გიორგი. ქ კასპი კოჯრის №14-ა
ნაცვლიშვილი შოთა
ნაცვლიშვილი ხატია. ბათუმი, ჯავახიშვილის 59
ნაჭყებია თიკო. ოზურგეთი, ვაჟა-ფშაველას ქ. №9
ნაჭყებია სოფიკო
ნემსაძე გიორგი ელგუჯას ძე. ოზურგეთის რ-ნი სოფ. მთისპირი
ნიკოლაიშვილი ლარინა ნიკას ასული. ოზურგეთი, წუწუნავას ქ. №10
ნიკურაძე ირაკლი. სენაკის რაიონი სოფ. ძ. სენაკი
ნიკურაძე მადონა და ომარი
ნინიძე მაკა
ნინიძე ნათია
ნიორაძე სალომე გიორგის ასული
ნიჟარაძე თემურ
ნიჟარაძე შოთა ვარლამის ძე. თბილისი, გვეტაძის ქ. №4, ბინა №27
ნიშნიანიძე ზურაბ
ნოზაძე ანიკო სამსონის ასული
ნოზაძე გიორგი
ნოზაძე ეკატერინე
ნოზაძე ლაშა გიორგის ძე
ნოზაძე ნარა
ნოზაძე შოთა ვახტანგის ძე. ხაშური, ტაბიძის ქ. №35
ნონიაშვილი ლეილა ირაკლის ასული. კასპის რ-ნი ს. ზემო ჩოჩეთი
ნუცუბიძე გივიკო, კალანდარიშვილი ზაზა. თბილისი, ნაფარეულის ქ. №16
ნუცუბიძე თეონა. ქუთაისი, ბარათაშვილის №65

### ო

ობოლაძე ნ. თბილისი, ჭავჭავაძის პრ. №51
ოდიკაძე ლევან ზურაბის ძე
ოდიშარია თამუნა ვლადიმერის ასული
ოდიშელიძე ნანა აკაკის ასული. გურჯაანი, სარაჯიშვილის ქ. №8
ოზბეთელაშვილი ლევან რამაზის ძე. დედოფლისწყარო სოფ. ზემო მაჩხანი
ოზგელდაშვილი ნინო
ოთარაშვილი კობა იასონის ძე
ოკმელაშვილი ელგუჯა ნოდარის ძე. თბილისი, გუნიას შეს. 13
ომაძე გიორგი გურამის ძე
ონიანი ბექა ჯემალის ძე
ონიანი ეკა და ბექა
ონიანი თეკლა
ონიანი ნატო
ონიკაშვილი ხათუნა
ორჯონიკიძე ქეთი
ოტიაშვილი სოსო
ოქრომჭედლიძე ბიძინა ზურიკოს ძე
ოქროცვარიძე ზაქრო. ახმეტა, გურამიშვილის. ქ. №10
ოჩიგავა ბაჩანა და გიორგი, რუხაძე ნინო
ოხანაშვილი თეა ჯემალის ასული
ოხანაშვილი ჯემალ, იზო და ალიკა

### პ

პავლიაშვილი ნანა
პაკელიანი დავით ვაჟას ძე
პაკელიანი დავით ვაჟას ძე
პანჩენკო თემურ და ირაკლი
პაპაშვილი ლუკა ლაშას ძე
პაპაშვილი ნოდარ შალვას ძე
პაპაშვილი ნუკა ზაზას ასული
პაპაშვილი შალვა, გიორგი და ლელა
პაპიაშვილი ლევან
პაპუაშვილი დავით ნიკოლოზის ძე. ხაშური, გიორგი ლეონიძის №14
პაპუნაშვილი დიანა
პარუნაშვილი ვახტანგ ჟილბერის ძე. ადიგენის რ-ნი სოფ. უდე
პატარქალაშვილი მარიამ (მარიკა)
პეტრიაშვილი ივანე (ვანო) დავითის ძე
პეტრუშელელიშვილი კახა და პაატა. თბილისი, ზაზიშვილის ქ. III შესახვევი №27
პუქალიშვილი ანზორ (თამაზ) ილიას ძე

### ჟ

ჟვანია ეთერ ნოდარის ასული
ჟვანია მაია ბედიანის ასული
ჟურავსკი საბა, თომა და მართა
ჟორჟოლიანი თინათინ
ჟორჟოლიანი ნინო კახას ასული
ჟორჟოლიანი ტრისტან. თბილისი, შარაძის ქ. №11
ჟღენტი გოგა. თელავი, ყაზბეგის ქ. №8
ჟღენტი ნინო და ნოდარ
ჟღენტი სალომე გიორგის ასული. თბილისი, დიდი დიღომი, III მ/რ, კორპ. 6, ბ. №20

### რ

რაზმაძე ავთო და ნათელა
რაზმაძე თათია ზურაბის ასული
რაზმაძე მედეა
რაზმაძე მარინა და თამარ
რაზმაძე ოთარ ზაქარიას ძე. თბილისი, დ. ჟღენტის ქ. №55
რამიშვილი ბექა ვლადიმერის ძე
რამიშვილი ეკატერინე. თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-6 კვარტ. კორპ. 35, ბ.№51
რამიშვილი ზურაბ ზაზას ძე
რამიშვილი მადონა ბეჟანის ას.
რამიშვილი მანანა ბეჟანის ასული
რატიანი სოფო ზამირის ასული. თბილისი, დიდი დიღომი, იოანე პეტრიწის ქ. №11, ბ. №5
რაქვიაშვილი ნოდარ
რაქვიაშვილი მარი
რევაზიშვილი სოფიკო
რევია მერაბ. სენაკი, გამრეკელის ქ.
რევიშვილი მარიტა. ქუთაისი, გამსახურდიას ქ. № 43
რეხვიაშვილი გურამ, ნაზი, დათო, ნინო და ოლია
რეხვიაშვილი მანანა გურამის ასული
რეხვიაშვილი ნიკა. თბილისი, დიღმის მასივი, V კვ. კორპ. 20, ბ. №95
რეხვიაშვილი ნინო გურამის ასული
რეხვიაშვილი როსტომ. თბილისი, ფანასკერტელის ქ. კორპ. 6. IV სად. ბ. №72
რთველაძე ჟ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №8, I სად. ბ. №13
რიკაძე ნათია გიორგის ასული
რობაქიშვილი დენის ზურაბის ძე. ხაშური, ოსტროვსკის №10
როინაშვილი გიორგი და სანდრო
როინიშვილი ბექა, მშვილდაძე ხათუნა
როსტიაშვილი ვაჟა და ზოია
რუაძე ქეთი. გურჯაანის რაიონი, სოფ. ჩუმლაყი
რუდაკოვა მარიამ
რურუა თამაზ თამაზის ძე. თბილისი, ამირეჯიბის ქ. №46-ა
რურუა თამაზ თამაზის ძე. თბილისი, ამირეჯიბის ქ. №46/ა
რუსია თამუნა
რუხაძე ეკა. ქუთაისი, სოლომონ II-ის ქ. №4
რუხაძე ნინო პეტრეს ასული
რჩეულიშვილი ოლიკო. თბილისი, ნუცუბიძის II მ/რ, III კვ. კორპ3, VI სართ.

### ს

საათაშვილი ზაზა ზურაბის ძე. გორის რაიონი, სოფ. სვენეთი
საათაშვილი მარი და სოფიკო
საბაშვილი გოგა. ოზურგეთი
საბაშვილი თამარ
საღრაძე ლიკა როინის ასული
საკანდელიძე ზვიად რენიკოს ძე
სალუქვაძე ნინო ელგუჯას ასული
სამსონიძე ანი. თბილისი, დოლიძის IX კორპ. ბ. №14
სამუშია ბესო. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. №8
სამუშია გულიკო და ნინო
სამყურაშვილი გია
სამხარაძე გიორგი ლევანის ძე. თბილისი, წიკლაურის ქ. №19
სამხარაძე ზურა ეპიფანეს ძე. თბილისი, ვაზისუბნის IV მ/რ, I კვარტ.
სანაია მალხაზ და მანუჩარ
სანიკიძე ინგა რამაზის ასული
სანიკიძე ნუგზარ ზაურის ძე. ოზურგეთის რაიონი, დაბა ნასაკირალი
სანოძე უშანგი
სარალიძე ეკა. თბილისი, ვაზისუბნის №63
სარალიძე ჯაბა
სახეიშვილი ზვიად. ფოთი, ელაძის ქ. №11
სახვაძე დავით თომას ძე
სახვაძე ნანა. ხაშური, გაბაშვილის ქ. №19
სახვაძე სულხან დავითის ძე
სელიმაშვილი ლაშა გიორგის ძე
სეფიაშვილი მამუკა ოთარის ძე. თბილისი, კერესელიძის ქ. №6
სვანაძე ავთანდილ. ქუთაისი, მესხიშვილის III შეს. №15
სვანიძე მაია შალვას ასული
სვინტრაძე ნათია, თეონა და თამთა
სიდამონ-ერისთავი ბაბუცი
სიმონიშვილი მადონა ბადრის ასული
სიაური ლადო გურამის ძე
სიაური მაია. თბილისი, ვარკეთილი-3, II მ/რ, კორპ. 30, ბინა №97
სიაური ცაცა. ახმეტის რაიონი, სოფ. ქვემო ალვანი
სიხარულიძე კოკა. სამტრედია, თამარ მეფის ქ. №10
სიხარულიძე ნინო აკაკის ასული
სიხარულიძე რუსუდან ვლადიმერის ასული
სიხუაშვილი გიორგი. დმანისი, გორგასლის ქ. №8
სკამკოჩაშვილი აკაკი
სობჩინსკი თამრიკო (ცუცუ)
სოსელია თამარ გივის ასული
სოფრომაძე დემურ გედეონის ძე. ტყიბულის რაიონი, სოფ. ძიროვანი
სოხაძე ნინო
სპარსიაშვილი გოგი. თელავი, რუსთაველის ქ. №63
სტეფანაშვილი თემურ გალაქტიონის ძე. გორი, ნადირაძის ქ. №21/20
სტეფნაძე მურმან
სტურუა ქეთევან ავთანდილის ასული
სულავა-ჭალაგანიძე არეთა (ბაკა)
სულაბერიძე დემურ შალვას ძე. ხონი, 26 მაისის ქ. №45
სულაბერიძე ნაირა იოსების ასული
სულამშვილი ბექა მამუკას ძე
სულუაშვილი ეკა ჯემალის ასული
სურგულაძე მირანდა
სუხიშვილი ლაშა ივანეს ძე
სხვიტარიძე ქეთინო და თამრიკო
სხირტლაძე ვასილ არჩილის ძე
სხირტლაძე თიკა
სხირტლაძე ლაშა შალვას ძე. ქუთაისი, მშენებლის ქ. №23/12

### ტ

ტაბატაძე ალექსანდრე. გორი, ცხინვალის გზატკეცილი №17-ა/16
ტაბატაძე ვალერი ჯამბულის ძე
ტაბატაძე ვანო
ტაბატაძე ზაქრო. რუსთავი, ნ. დუმბაძის ქ. №20
ტაბატაძე ნინო შალვას ასული
ტაბატაძე შალვა, რეხვიაშვილი ნანა
ტაბალუა ნინო ოთარის ასული. თბილისი, ლვოვის ქ. №51
ტაბახმელაშვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე
ტაველური მამუკა ალექსანდრეს ძე
ტალახაძე ია
ტატანაშვილი რიტა სერგოს ასული. თბილისი, III მასივი, VI კვარტ.
ტატიშვილი ანა ბესარიონის ასული
ტერაშვილი დავით. თბილისი, ლიბანის ქ. №9, ბ. №14
ტეფაძე სალომე
ტვილდიანი ლალი რაჟდენის ასული. ბოლნისი, თამარ მეფის ქ. №53
ტვილდიანი მარიამ მამუკას ასული. თბილისი, ქეთევან წამებულის ქ. №25, IV კორპ. ბ. №12
ტვილდიანი მარიამ რაჟდენის ასული. ბოლნისი, თამარ მეფის ქ. №53
ტლაშაძე ალიკა. გორი, ცხინვალის გზატკ. №47/7
ტომარაძე-ურუკაძე გუგული დავითის ასული. ონის რაიონი, სოფ. სორი
ტომიანი ირინა. თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის ქ. №103, კორპ. 3, I სად. ბ. №8
ტოპეშაშვილი ლუიზა
ტოპეშაშვილი მარინე ივანეს ასული
ტორაძე მედეა. ქუთაისი, ბარათაშვილის ქ. №93, კორპ. 13, ბ. №1
ტორიკაშვილი რუსო და ასმათ
ტოროტაძე მაგდა ვასილის ასული. ლანჩხუთის რაიონი, სოფ. ჩოლობარგი
ტოტლაშვილი ივანე (ივიკო) კარლოს ძე
ტოტლაშვილი ნინო კარლოს ასული
ტოფაძე შალვა ჯემალის ძე
ტრაპაიძე თეა როლანდის ასული. ოზურგეთი
ტურაბელიძე დავით გურამის ძე. ბორჯომი
ტურაშვილი თამუნა ირაკლის ასული. თელავი, რუსთაველის ქ. №53, ბ. №7
ტურაშვილი ნიკა. თელავი, რუსთაველის ქ. №53, ბ. №7
ტყემალაძე მალინა. კასპი, დ. აღმაშენებლის ქ. №52
ტყეშელაშვილი ზურა და მონიკა. ქუთაისი, ჭავჭავაძის პრ. №30/13

**გზავნილების ადრესატთა სიის გაგრძელებას შემოგთავაზებთ „კვირის პალიტრის“ შემდეგ ნომერში**

**ადრესატებმა ბარათებს მოაკითხეთ „კვირის პალიტრის“ რედაქციაში (განცხადებების მიმღებ პუნქტში) ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 12-დან 18 საათამდე. თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა**

# ცხოვრებისეული კურიოზები



## 1. გაცნობა

ერთი ხონელი მეგობარი მყავს, ავთო. რუსულ ენასთან ცოტა მწყრალადაა და რომ იტყვიან, მხოლოდ გაქცეულ რუსს თუ მოაბრუნებს უკან.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ავთო რაღაც საქმეზე მოსკოვში მოხვდა და ერთი იქაური „ნაშა“ გაიცნო. სახელის გაგების შემდეგ (ტანია ერქვა) ჰკითხა:

— ტანია, ვი ატკუდა?

— ია მასკვიჩკა, — უპასუხა გოგონამ, — ა ვი ატკუდა?

ავთომ თავმომწონედ მიუგო:

— ა ია ხონსკვიჩკა!

***მათე სულწაძე, წყალტუბო***



## 2. გაუგებრობა

მაისის თვე გახლდათ, როცა ზუგდიდის პოლიციის ახალგაზრდა უფროსს გურამ დ-ს განყოფილებაში ახლობელი გოგონები ესტუმრნენ გურიიდან. ახალგაზრდა ჩინოსანმა თავის მოწონება მოინდომა, ჯიბიდან ორი ათმანეთიანი ამოიღო და რიგით გაბისკირიას მისცა. თან მეგრულად უთხრა, წადი ბაზარში, ათი მანეთის ნამცხვარი და ათისაც „ბული“ მომიტანეო.

არ გასულა ნახევარი საათი და რას ხედავს პოლიციის უფროსი, გაბისკირია განყოფილებაში მოტოროლერით მობრძანდა! ჯერ ნამცხვრები დაულაგა უფროსს მაგიდაზე, შემდეგ კი მთელი ასი ცალი ფუნთუშა (მაშინ თითო ცალი 10 კაპიკი ღირდა!). გაცოფებული მივარდა რიგითს უფროსი: — გაბისკირია, ახლავე გააბრუნე ეს „ბულკები“, საიდანაც მოიტანე, თორემ ყველას შენ შეგაჭმევო!..

ცოტა ხნის შემდეგ დარცხვენილი გაბისკირია მომცრო პარკით დაბრუნდა და უფროსის მაგიდაზე დალაგებულ ნამცხვრებს ორი კილოგრამი ახალშემოსული ბალი მიუმატა („ბული“ მეგრულად ბალს ნიშნავს, გაბისკირიამ კი „ბულკად“ გადათარგმნა!).

***მინდია ნაჭყებია, ზუგდიდი***

## 3. დირექტივები... ხაიჭიოდან



თავის დროზე ბადალი არ ჰყავდა შრომაში გედევანს. ახლა კი ეს სიტყვამოსწრებული კაცი უკვე სამოცდაათს გადასცილდა. ენა და გული, იცოცხლეთ, მაგრამ ჯანი ნამდვილად ველარ მოსდევს ძველებური.

შრომა არ ეზარება მის ნაბოლარას, — გიგლას. ოღონდ ეგ არის, ყველაფერს მალე ივიწყებს და წამდაუწუმ მამას ეკითხება — როდის უნდა გასხლას ვენახი, ტოტებიდან რომელი მოჭრას და რომელი გაუშვას, როდის რომელი ჰერბიციდია საჭირო... ერთი სიტყვით, მამის იმედზეა. ჰოდა, ამიტომაც ველარ შეიკავა თავი მოხუცმა, როცა გიგლამ შუადღის პაპანაქებაში ვაზის მწკრივებს შორის ტუმბოთი ამოღებული ჭის ცივი წყალი მიუშვა მოსარწყავად:

— შვილო, რომ მოვკვდები, ერთი მობილური ჩამატანე აუცილებლად!.. თუ რამ შესაკითხი გექნება, დამირეკე და არ დაგზარდები...

***გერონტი მესხი, თბილისი***



## 4. ჩექმა და ახალწვეული

სამხედრო სამსახურს ბელორუსიაში გავდიოდი, სადაც იმ ზამთარს უჩვეულოდ დიდი ყინვები დაიჭირა. გვირჩიეს, ერთი ზომით დიდი ჩექმები ჩაგვეცვა, ფეხები რომ არ გაგვყინოდა.

ერთი შუააზიელი ახალწვეული მოიყვანეს, გვარად ადიბოვი. დამავალეს, წამეყვანა საწყობში ჩექმისთვის. გზაში ვურჩიე, ერთი ზომით დიდი ჩექმა აეღო. — კარგი, 42 ზომა მჭირდება, მაგრამ 43-ს ავიღებო. საწყობში „პროპორშჩიკმა“ შეიყვანა, მე გარეთ დავრჩი. მალე ახალი ჩექმებით ყაზარმისაკენ წავედით. წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როცა ადიბოვმა ახალი ჩექმა ჩაიცვა და რომ იტყვიან, კი არ ჩაიცვა, ჩაძვრა ჩექმებში. ვიფიქრეთ, „პროპორშჩიკს“. შეეშალა ზომა, მაგრამ მალე თვითონვე გამოტყდა შუააზიელი.

თურმე ადიბოვს 41 ზომა სჭირდებოდა. სანამ მე საწყობში წავიყვანდი, ყაზარმაში ურჩევიათ, 42 ზომა აელო, მე კიდევ გზაში ვურჩიე, 43 აელო.

ალბათ მიხვდით, კეთილ „პროპორშჩიკსაც“ რომ გაუგია, 43 ზომა სჭირდებოდა, ურჩევია 44 აიღეო!..

***ელგუჯა შალამბერიძე, წყალტუბო***

## 5. „ვალინკა“



ჩემმა მეზობელმა დათიკომ ახალი რეზინის ჩექმები (გურიაში „ვალინკას“ რომ ვეძახით) იყიდა. ის დღე იყო და ის დღე, მოსვენება დაკარგა. ცოლმა დილაადრიან გააღვიძა: — ადე, დათიკო! „ვალინკა“ გაცვია და შეშა შემოიტანეო. ადგა დათიკო და შემოიტანა შეშა. — ადე, ახლა დათიკო, ვალინკა გაცვია და წყალი შემოიტანეო! შემოიტანა წყალი. — ადე, ახლა, ვალინკა გაცვია, ძროხა მეიყვანე და მიხედეო...

— ა, ქალო, შენ ეს ვალინკა და რაც გინდა ქენი, ამას მოვაკვლევინებ თავს?! — გაცეცხლდა დათიკო.

***გიორგი მარგალიტაძე, ოზურგეთი***




6. ჭიჭიკიას მესამეც გოგო შეეძინა და „გახარებული“ დგას სამშობიაროს კართან. ჟორაიამ გამოიარა, „მიულოცა“ და ალმაცერად ჰკითხა: — რა ქენი, ბიჭო, რა გაქ ამისთანა საშლელი, თლათ რო წაგიშლია გვარი?!

***ინგა ხარებავა, თბილისი***

კურიოზების კონკურსი

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი ________

________

თქვენი სახელი, გვარი

კვირის პალიტრა №3

## ყურადღება!

### კონკურსი

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მოწონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადაწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას. ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, III ადგილზე გასული კი — 20 ლარს.

ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათს, 18 იანვრის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 19 იანვრის 13 საათამდე.

## თავგადასავლების მოყვარულთათვის




## © .ფოტოპალიტრა.


გოკა გაბაშვილი, გიგა ბოკერია

**გ. ბ.** — ამათი დედა ვატირე, მარტო კანფეტები და 10-თეთრიანები გაიმეტეს...

**გ. გ.** — აბა, რა იქნებოდა, უნიღბოდ დავდიოდით ალილოზე და...

***ემზარ ფრუიძე, წყალტუბო***

**გ. გ.** — გიგა, რა გიჭირავს ხელში?

**გ. ბ.** — ეს გრიპით ინფიცირებული ქათმის ხორცის ნაჭერია, კობა დავითაშვილს უნდა დავუდო ჩუმად თეფშზე.

***ტარიელ ხუბაშვილი, თბილისი***

**გ. გ.** — შენ სიგარეტის ნამწვავებს წალმა-უკუღმა ისვრი. მე კი ხინკალს კუჭებიანად ვჭამ, გარემო რომ არ დავაბინძურო და კიდევ მე ვარ უკულტურო მინისტრი?

***მაია მესხი, თბილისი***

**გ. გ.** — რაღაც შეშინებული ჩანხარ.

**გ. ბ.** — მას შემდეგ, რაც კობა დავითაშვილი დამემუქრა, ფეხქვეშ გაგიდებო, ფეხის ხმის შიში დამჩემდა.

***თამაზ კაჭკაჭაშვილი, თბილისი***

**გ. ბ.** (ჩურჩულით) — გოკა, ჩქარა ჩაყლაპე ეგ ხორცის ნაჭერი, თორემ საცაა მიშა მოვა და შეგიჭამს!

***სოსო ცირგაია, თბილისი***

**გ. გ.** — ერთი-ორი ჩავბუქნე, წავულილინე და ნახე, რამდენი ფული ვიშოვე...

**გ. ბ.** — ყოფილიყავი ჩემსავით „კანონიერი ქურდი“ და ეგ მანჭვა-გრეხა არ დაგჭირდებოდა...

***შოთა ქელეხსაშვილი, ქარელი***

**გ. გ.** — ვის უყურებ, გიგა?

**გ. ბ.** — კობა დავითაშვილი მალივერებს! ცემას თუ დამიწყებს, მომეხმარები?

**გ. გ.** — ლანჩი რომ მაქვს დასამთავრებელი? ისე, მორალურად შენთანა ვარ!

***ზურაბ ქართველიშვილი, თბილისი***

## მილოცვა



**გიგა ჟვანია!**

ჩემო ძვირფასო შვილიშვილო! გილოცავ დაბადების დღეს, კურთხეული და დალოცვილი ყოფილიყოს ის დღე. კვლავაც წარმატებები გქონოდეს შენს პირად ცხოვრებაში.

დაე, მისაბაძი ყოფილიყავი ყველა ქართველისათვის.

*შენი გამზრდელი ბებო ალირა რობაქიძე*



**ნოდარ ილიჩ!**

გილოცავთ 60 წლის იუბილეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად.

*ვაჟა ცინცაძე*

## ბინები

იყიდება 1-ოთახიანი, სუფთა ბინა, ბ/აირით, ტელეფონით, სველი წერტილებით, მე-8 სართულზე. მის: ელიავას ქ. №26, I კორპ. I სად. მე-8 სართ. ფასი – $20.000. ტელ: 34-03-67; 899 72-93-71. ნინო, ლია

იყიდება რუსთავში 4-ოთახიანი ბინა V სართულზე, ევრორემონტით და ავეჯით, აივნით, სარდაფით, რკინის კარით, მ/ცივი და ცხელი წყლით, წყლის საქაჩი ტუმბოთი, 800-ლიტრიანი უჟანგავი ლითონის ავზით სახურავზე, 100-ლიტრიანი „არისტონის" ავზით და „კარმის" გაზის გამათბობლით; აბაზანა-სამზარეულო კაფელ-მეტლახით, გერმანული სამზარეულო ჩაშენებული გერმანული მაცივრით, ბ/ა და ჭურჭლის სარეცხი მანქანით, გერმანული საძინებლით და სამეულით, რუმინული მისაღებით და მე-2 საძინებლით, კაბინეტით, ტელეფონით, საკაბელო ტელევიზიით, სიგნალიზაციით, საგარაჟე ნაკვეთით. ფასი $25.000. მის: რუსთავი, მე-20 მ/რ. ტელ: 899 19-57-61; 899 56-79-23

ქირავდება 3-ოთახიანი ახალგარემონტებული კუთხის მზიანი ბინა 8(8) ლოჯიით, ტელეფონით, ცხელი წყლით, გათბობით საბურთალოს ბაზრის ახლოს, კანდელაკის ქუჩის დასაწყისში. ლიფტი მუშაობს. ფასი $.300. ტელ: 899 51-00-43; 37-72-70; 38-69-98 (17 სთ-ის შემდეგ)

## გთავაზობთ სამუშაოს

ფირმის ოფისში გვაქვს რეალური ვაკანსიები კვალიფიკაციის მიხედვით. მენეჯერები სტაჟირებას გაივლიან მსოფლიოს 51 ქვეყანაში, საკუთარი სურვილით, ფირმის ხარჯებით და პროფილით. ანაზღაურება გამომუშავებით – 400-600 ლარი ან სტაბილური $200-დან ზევით. ტელ: 899 76-68-50. ბ-ნი დიმიტრი. მის: დიღუბე, სამთო ქიმია, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38

მსოფლიო სავაჭრო ცენტრს ესაჭიროება თანამშრომლები ადგილობრივი კადრებიდან. ასაკი შეზღუდული არ არის. გვაინტერესებს წარმომადგენლები რეგიონებიდანაც. შესაძლებელია სხვადასხვა პროფესიის ადამიანის დასაქმება. ანაზღაურება მაღალია. მის: ვაჟა-ფშაველას 16, მშენებლობის სამინისტროს შენობა, XIII სართ. ოთახი 17, 13-14 სთ, კვირის გარდა. ტელ: 51-73-08; 893 33-18-86. გოჩა

მსხვილ კომპანიას ესაჭიროება პროფესიონალი პედაგოგები, თადარიგის ოფიცრები, მწვრთნელები, ყოფილი და მოქმედი სასწავლო ნაწილის გამგეები, სკოლის და უმაღლესი დაწესებულების დირექტორები, პირები, რომელთაც აქვთ ხელმძღვანელი მუშაკის გამოცდილება როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო მეწარმის თანამდებობებზე. შესაძლოა შეთავსებაც. ტელ: 7-28-44, მხოლოდ – 11-15 სთ. (ქუთაისი)

ჯანმრთელობა და ფული! – აი, რას გთავაზობთ ჩვენი ბიზნესკომპანია. გიწვევთ სამუშაოდ პირებს უმაღლესი განათლებით. ანაზღაურება – მაღალი, სამუშაო – საოფისე. ტელ: 899 50-37-40; 35-39-61 (18-21 სთ)

შეიძინეთ მუშაობის გამოცდილება ჯი ემ სი ჯგუფის რესტორნებში: „ძველი სახლი", „მატრიოშკა", „ტოკიო" და იმუშავეთ მიმტანად ან ბარმენად ახალგახსნილ კლუბ-რესტორან „ქალაქურში" – მთელი მსოფლიოს სამზარეულო და მომსახურების ესთეტიკა, სტუმართა მრავალფეროვანი დროს ტარებისთვის. მის: ყაზბეგის გამზ. №12. დაგვიკავშირდით: 38-12-72; 38-62-72. ჯი ემ სი ჯგუფი – თქვენი დასაქმების რეალური შანსია!

ყურადღება! ოფისში სასწრაფოდ გვესაჭიროება 2 ინჟინერ-ფინანსისტი, 2 ეკონომისტი, 2 ბუღალტერი. შერჩევა მიმდინარეობს კონკურსის სახით, გასაუბრების საფუძველზე. ტელ: 899 61-66-73

ყურადღება! გთავაზობთ საოფისე სამსახურს ორგანიზატორული ნიჭის მქონე პირებს. მუშაობა – თავისუფალი გრაფიკით, ანაზღაურება – გამომუშავებით. მოთხოვნები: უ/გ, ასაკი 25-55 წ, რუსული ენის ცოდნა. ტელ: 31-42-53; 898 14-12-72

## ვეძებ სამუშაოს

მაქვს ევროპაში თავისუფალი გადაადგილების უფლება. სრულყოფილად ვფლობ ესპანურ და რუსულ ენებს, საშუალოდ – ინგლისურს. ტელ: 899 37-79-72; 98-31-32. პაატა

## მომსახურება

აგიკრებთ ნებისმიერი სახის ტექსტს, სწრაფად, ხარისხიანად. დაგიმზადებთ ბლანკებს, დოკუმენტებს. 1 გვერდის ფასი – 60 თ. ტელ: 34-32-79; 893 96-00-42

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ინდივიდუალური ნემსით, მორჩენის გარანტიით. ფასი: 1 სთ – 12 ლარი. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, კორპ. 9. ბინა 109. ტელ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

კოსმეტოლოგი გთავაზობთ ეპილაციას ვოლფრამის ინდივიდუალური ნემსით, გალიზიანების გარეშე, მორჩენის გარანტიით. 1 სთ – 6 ლარი. აგრეთვე გთავაზობთ სახის კანის გაწმენდას და მალამოებს. მის: მ. „სამგორთან", ხარაბაძის ქ. №43ა. ტელ: 77-61-64; 893 96-91-30. ნონა

სწრაფად და ხარისხიანად! შეკიდული ჭერი, ტიხრები KNAUF-ის სისტემა („გიპსოკარდონი", ARMSTRONG და ა.შ), ლამინირებული იატაკი! ტელ: 893 25-65-21; 96-71-53

ხოჯა (მოლა) აშიშა კვლავ თბილისშია და აგრძელებს მიღებას ძველ მისამართზე: ჯადო-ნუსხის, თვალის, ჩაკეტილი ბედისა და გზების მოხსნა; ძლიერი არაბული თილისმები; დაშლილი სიყვარულისა და ოჯახის აღდგენა; შეითანის ძალით გამოწვეული პრობლემების მოწესრიგება. ტელ: 893 96-94-51


## „სიტყვა და საქმე" – ერთი გაზეთი – ორ რვეულად!




## ორჯერ უფრო ეფექტური და ორჯერ უფრო მოსახერხებელი!


## მკურნალობა

მთლიანი ორგანიზმის უმაღლესი და უზუსტესი ფუნქციონალური, კომპიუტერული დიაგნოსტიკა (30 ლ), კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული, ცისტიტი, ქოლეცისტიტი, კოლიტი, ბუასილი (შედეგი პირველსავე დღეებიდან), ქალური და მამაკაცური პრობლემები, ნერვული და ენდოკრინული სისტემის მოწესრიგება. ეფექტი პირველსავე დღეებიდან. მიღება ჩაწერით. ტელ: 32-39-46; 899 43-97-34. ექიმი ნათია

წინაპართა მეთოდებით, სამკურნალო მცენარეებსა და თეთრ მუმიოზე ვამზადებ მალამოებს, ხსნარებს. ვმკურნალობ: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრების ანთებას, რადიკულიტს, სამწვერა ნერვის ანთებას, ჰაიმორიტს (ასევე უმძიმეს დაავადებებს), დისკოზს, ართროზს. მის: თევდორე მღვდლის №48. მე-4 სად. მე-8 სართ. 56-37-37; 899 54-64-81

ალკოჰოლისა და თამბაქოსგან სწრაფი გათავისუფლება, კრემლის ლაბორატორიის მცენარეული პრეპარატებით, რომელიც ხსნის ნაბახუსევის სინდრომს, აგრესიას, დეპრესიას, აწესრიგებს ძილს, წმენდს ღვიძლს, თირკმელს, ნაღვლის ბუშტს და იცავს ორგანიზმს შემდგომი გართულებებისგან. მკურნალობა აბსოლუტურად უსაფრთხოა და შესაძლებელია პაციენტებისგან ფარულად. ტელ: 893 96-50-32 მაია; 93-44-25 (11-17); 96-34-51 (საღამოს)

ალკოჰოლიზმის მკურნალობა კრემლის ლაბორატორიის მაღალხარისხიანი, მცენარეული, ლიცენზირებული პრეპარატებით, შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც – ანტიალკოჰოლური წვეთებით; ასევე „პახმელიის" მოხსნა, ნევროზი, აგრესია, დეპრესია, ფსორიაზი, ენურეზი (შარდის შეუკავებლობა), ღვიძლის და ნაღვლის ბუშტის პრობლემები, ბავშვების სიმაღლეში მომატება (აკად. ლიხარევის მეთოდით). სიახლე – გახდომა დიეტის გარეშე. ტელ: 893 35-45-35; 93-44-25. მაკა ექიმი

მთლიანი ორგანიზმის ზუსტი კომპიუტერული გამოკვლევა ფუნქციონალურად. დაავადებათა გამოვლინება საწყის ეტაპებზე (ფასი 30 ლარი). კუჭ-ნაწლავის, გულ-სისხლძარღვთა (წნევების), ჩიყვის და დიაბეტის, ქალური, მამაკაცური, ნერვული სისტემის, სიმსუქნის, მოზარდებში სიმაღლეში ზრდის, ჩამორჩენის და ყველა შესაძლო პრობლემის დროული გამოვლინება და მკურნალობა. მის: ვაჟა-ფშაველას №47, II სართ. კაბ. №27. ტელ: 877 45-78-39; 96-66-49. ქ-ნი ბელა; 893 16-70-76; 92-39-44. ბ-ნი ზვიადი

საგვარეულო ხსნარებითა და მალამოებით თმის დაავადებების მკურნალობა (ბუდობრივი ცვენით), ამოდის თმა; თმის ძირების გამოკვლევა აპარატით, ტილებისა და წილების მოსპობა, კანისა და ფრჩხილების სოკო, ფსორიაზი, ეგზემა, ლაქების მოცილება, ოფლის მალამო; ღრძილების, ჭრილობების, გამონაყარის, ქუსლებზე ნახეთქების მკურნალობა; მასაჟი აპარატით, გარანტიით. მის: ვაჟა-ფშაველას 47, II სტომატოლოგიური პოლიკლინიკა, II სართ. ოთახი 28. ყოველდღე, 11-18 სთ. ტელ: 39-39-51; 893 91-89-17; 35-32-62. ბიოლოგი მჭედლიძე-ბეგაშვილი

გთავაზობთ: 1. კუჭ-ნაწლავის და ორგანიზმის გაწმენდას წიდების, ტოქსინებისა და მარილებისაგან; 2. ნივთიერებათა ცვლის აღდგენას, იმუნიტეტის ამაღლებას, 3. წონაში დაკლების და შენარჩუნების „კომპლექსურ პაკეტს"; 4. სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდას ქოლესტერინისაგან; 5. ბავშვებისთვის ნატურალურ ვიტამინებს, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმის ზრდა-განვითარებას და აუმჯობესებს მეხსიერებას. ტელ: 893 10-81-17

მეჭეჭებისა და სხვა ხორცმეტების: პაპილომების, კონდილომების, მოლუსკების მოცილება სახეზე, თვალებთან, კისერზე, იღლიების ქვეშ, ტანზე – უმტკივნეულოდ, ნაკვალევის გარეშე. ეფექტი გარანტირებულია. მკურნალობს კვალიფიციური სპეციალისტი – რუსუდან საყვარელიძე. ტელ: 39-00-70; 899 56-96-61

ხალხური მედიცინა, მაქსიმალურად გარანტირებული, უსწრაფესი შედეგებით!!! ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის ამოვარდნა), სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, შაკიკი. მკურნალობა ეფექტურია პირველსავე დღეებიდან!!!. მის: რკინიგზის პოლიკლინიკა (ც. დადიანის 87), კაბ. 11. ექ. ალექსიშვილი. ტელ: 39-39-97; 69-91-92; 899 57-16-99

ქრონიკული ალკოჰოლიზმის, მისი გამომწვევი მიზეზების (ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენაზას დეფიციტის) აღმოფხვრა, ალკოჰოლიზმის შედეგების („პახმელიის", „ზაპოის", ჰალუცინაციების, „ბელაია გარიაჩკას", ნევროზების) ლიკვიდაცია მცენარეული, უსაფრთხო, ქარხნული, რუსული წარმოების სერტიფიცირებული პრეპარატებით. მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისგან ფარულადაც, საკვებში შერევით. ტელ: 99-75-90; 899 36-65-34; 899 22-63-90. ექიმი, ფიტოთერაპიისა და ალტერნატიული მედიცინის მაგისტრი

კანის, თმის, ფრჩხილების დაავადებების დიაგნოსტიკა, მედიკამენტოზური, ფიზიო და ლაზეროთერაპია: ეგზემა, ჭინჭრის ციება, პიგმენტური ლაქები, ფერიმჭამლები (აკნე), სებორეა, ქერტლი, ბუდობრივი გამელოტება, ვიტილიგო, კელოიდური ნაწიბურები, კანის და ფრჩხილების ჩირქმბადი და სოკოვანი დაავადებანი და სხვა. ცენტრი „ინტერმედი", ბაზტრიონის №22ა. 11-15 სთ, კვირის გარდა. ექიმის კონსულტაცია უფასოა, ყოველ შაბათს. ტელ: 36-05-68; 899 78-06-72

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია – „დაჯი-კომპიუტერი" გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის" უკან). ტელ: 98-44-20; 899 14-03-31

ვასწავლი საოფისე პროგრამებს, ინდივიდუალურად. ტელ: 34-32-79; 893 96-00-42

ავტოსკოლა ამზადებს ყველა კატეგორიის მძღოლს. სკოლა უზრუნველყოფილია ყველანაირი მარკის მსუბუქი და სატვირთო მობილით. მის: ლ. ასათიანის ქ. №28. მუხიანის დასახლება, I მ/რ, II კორპ. ტელ: 99-53-24; 64-02-10; 899 14-14-84

ვამზადებ უნარ-ჩვევებსა და ფიზიკა-მათემატიკაში. ვარ პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი. ტელ: 37-38-10

ხარისხის მქონე ლექტორი ამზადებს აბიტურიენტებს ინგლისურში, ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად – ეროვნული გამოცდებისათვის. ტელ: 899 53-10-08

დამთავრებული მაქვს თსუ ასპირანტურა. მოვამზადებ აბიტურიენტებს და სკოლის მოსწავლეებს ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ფასი: $60. ტელ: 37-98-13; 899 97-01-49

შპს „ქართი" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. კოსმეტოლოგ-ვიზაჟისტი (სახის გამწნდა, ეპილაცია, მალმოები, მაკიაჟი); 2. მასაჟისტი (ჰიგიენური, სამკურნალო, კოსმეტიკური, სპორტული); 3. საპარიკმახერო. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის: ალმაშენებლის გამზ. №115 (ეზოში). შპს „ქართი". კაბ. №20. ტელ: 94-01-82; 95-83-18; 96-02-89

მიღება კურსებზე 50%-იანი ფასდაკლებით: 1. კოსმეტიკა. შეისწავლება სახის კანის დეფექტები, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო), კანის გაწმენდა, მასაჟი, ეპილაცია, რძეები, ნილბები, ლოსიონები და სხვ. 2. სამკურნალო და პროფილაქტიკური მასაჟი; 3. ქალთა პარიკმახერი; 4. მანიკიური, პედიკიური. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ც. დადიანის №26. ტელ: 66-53-56; 893 33-09-66; 69-09-19

ვამზადებ რუსულ ენასა და ლიტერატურაში. ტელ: 96-64-70. კარინა

მაღალკვალიფიციური სპეციალისტი იმუშავებს მეტყველებისა და ბგერათწარმოთქმის ფორმირებაზე, უმეტყველო ან მეტყველებაში ნებისმიერი ნაკლის მქონე ბავშვებთან. ტელ: 75-86-39. ქეთევანი

## იყიდება

იყიდება მიწის ნაკვეთი ზემო წყნეთში, ახალდაბის ტბასთან, ულამაზესი ხედით, 600 კვმ. ფასი $.18.000. ტელ: 32-68-33; 877 73-36-01

იყიდება ბოულინგის სათამაშო ბილიკები და მანქანა-დანადგარები. დაინტერესებული პირები დაგვიკავშირდნენ უმოკლეს ვადაში. ტელ: 877 50-55-01

მხოლოდ ახალი (მეორადი არ არის!) ტანსაცმელი ქალის, მამაკაცის და ბავშვებისთვის – საზამთრო კოლექცია, დაბალ ფასებში. მის: წერეთლის გამზ. №118 (სამტრედიის ქუჩის კუთხეში, გაჩერებასთან). ტანსაცმლის მაღაზია, 10-19 სთ, კვირის გარდა. ტელ: 899 17-77-46

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით; აგრეთვე ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები გარანტიით. ტელ: 95-95-22 (10-12 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ); 899 27-38-99

იონიკა. მოდელი: KORG T2, 16.1/2 ოქტავიანი, 16-არხიანი + ფლოპ-დისკოვოდი, თავისი კეისითა და სახელმძღვანელოთი, კარგ მდგომარეობაში. ტელ: 899 53-11-94

სასწრაფოდ! მაგიდები და სკამები სასადილო ოთახისათვის, იაფად! ტელ: 877 78-60-87; 35-11-13

ტყავის სამეულები. ტელ: 877 78-60-87

Щенки Кавказской овчарки, отличное родословие. Тел: 26-58-85

ახალი კორეული ციფრული სატელიტური ანტენა. აჩვენებს ყველგან: ქალაქში, სოფელში, აგარაკზე, მთაში, აგრეთვე საზღვარგარეთ. არხების რაოდენობა 100-600-მდე ევროპული, 1-დან 4-მდე ქართული, 5-20-მდე რუსული. ფასი $100-დან $120-მდე. მხოლოდ 30 რუსული არხი. კომპლექტის ფასი – $180. მონტაჟი – 50 ლარი. ტელ: 899 94-27-04

## შევიძენ

ნაფეტვრებში მიწის ნაკვეთს, სახლით, $2.000-4.000-ის ფარგლებში. ტელ: 899 53-11-94

ვიეტნამურ და ჩინურ ხალიჩებს, აგრეთვე გერმანულ შალის ხალიჩას – „სუპერი". ტელ: 38-89-24 (20 სთ-ის შემდეგ ან დილით)

ადამიანის თმას მაღალ ფასში. მის: ცენტრალური ვაგზლის შენობა, II სართ. მაღაზია „ესთეტი". ტელ: 58-55-58

## სხვადასხვა

სიახლე საქართველოში! „გაცნობის და დაოჯახების ცენტრი" გთავაზობთ 700-ზე მეტი გაცნობის ან დაოჯახების მსურველთა ფოტოს და სრულ პირად მონაცემებს, 18-დან 70 წლამდე. დაგეხმარებით შეგირჩიოთ და გაგაცნოთ სასურველი პიროვნება, რათა თავი დააღწიოთ მარტოობას, შექმნათ ბედნიერი ოჯახი და ცხოვრება გაიხალისოთ. მოგვმართეთ, ანონიმურობა გარანტირებულია. მის: თბილისი, კოსტავას ქ. №14. II სართ. ოთახი 210 (შესასვლელი ჭოველიძის ქ. 2-დან). ტელ: 93-49-72; 899 56-32-59

საერთაშორისო კომპანია გთავაზობთ საინფორმაციო საქმიანობას უახლესი ტექნოლოგიებისა და ეფექტური მეთოდების ბაზაზე, რითაც ადგილობრივ კადრს (რეგიონებიდანაც) ეძლევა საშუალება, მოიძიოს ზრდადი თანხები მუდმივი ჰონორარის მიღწევით, რომლის მემკვიდრეობით გადაცემა შეუძლია. ინფორმაცია უფასოა. ტელ: 38-15-64; 899 38-10-01. ელ.ფ. teona74@caucasus. net.

ქალაქ რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატი იუწყება, რომ დაიკარგა ქალაქ რუსთავში, ცურტაველის ქ. №3-47-ში მდებარე ერთოთახიან იზოლირებულ ბინაზე ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ცნობა ვალის არარსებობის შესახებ ამავე ბინაზე.

*ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატის უფროსი გურანდა სირბილაძე*



### მიტო ბაბუნაშვილის მონატრება

გავიდა გაუსაძლისი, ტკივილიანი და ცრემლიანი ერთი წელი. 19 იანვარს გულში მოუშუშებელი იარა დამიტოვე. ჩემს ამ ტკივილს ვერაფერი განელებს, შენ ჩემს გულში ანთებულ სანთლებად დარჩები. უმძიმესი ტკივილი დამიტოვე. მენატრები უსაშველოდ. არ არსებობს ერთი წამიც, რომ თვალწინ არ წარმომიდგე. რაც დრო გადის, ძლიერდება მონატრება. როგორი მწარე ყოფილა უშენოდ ყოფნა.

— ჩემო მიტო, ერთი კვირა გვიჭირდა ურთმანეთოდ ყოფნა. ხამკურნალოდ არ მიდიოდი მარტო, — ვერ დაგტოვებო, ახლა კი სამუდამოდ დამტოვე. ვერ შევეგუე იმ აზრს, რომ ერთი წელია გაჩერდა შენი კეთილშობილი გული, გული, რომელიც ოჯახის, ახლობლების, ნათესავების უსაზღვრო სიყვარულს იტევდა. ვიტანჯები უშენოდ, ვაი ასეთ სიცოცხლეს.

*შენი გაუბედურებული მეუღლე მარიამი*



### ნაზი ბოხუას გახსენება

ჩემო საყვარელო დაიკო ნაზი, ისევ უშენოდ მოვიდა, შენი დაბადების დღე — 14 იანვარი. სიტყვები არ მყოფნის უშენობით გამოწვეული მწუხარების გამოსახატავად. მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო შენი მძიმე ავადმყოფობა, კიდევ უფრო მძიმე კი — გარდაცვალება. მუდამ მოუსვენარი, საქმიანი, ხალისიანი და დაუღალავი იყავი. ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვენ გვერდით აღარ ხარ.

ნეტავ იცოდე, როგორ მენატრები.

*შენი და — ნანა ბოხუა*



### მალვინა ადეიშვილის გახსენება

დაუვიწყარო მეგობარო! დღეს 20 იანვარია. გილოცავ დაბადების დღეს! ჩვენო თბილო, კეთილო, ადამიანების უზომოდ მოყვარულო, ბოლო წუთამდე სიცოცხლის იმედით სავსევ, წელს პირველად აღვნიშნავთ შენს დაბადების დღეს უშენოდ — ცრემლით, შენს საფლავზე დანთებული სანთლებით.

დაე, შენმა ამქვეყნად დათესილმა სიკეთემ და შენთვის დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიული სასუფევლისკენ.

*მეგობრები: რუსუდან სალუქვაძე, ნანა ჩუთლაშვილი, ლალი კიკნაძე, გულიკო ზაალიშვილი*

### ბორის სილიკაშვილის გახსენება

14 იანვარი შენი დაბადების დღეა, ჩვენო საყვარელო ბორია. ცრემლითა და სევდით გილოცავთ დაბადების დღეს. ადრე ჩაქრა შენი სანთელი. ტკბილად ვიხსენებ შენთან გატარებულ წლებს. არ ყოფილა მართალი, — დრო მკურნალიაო. გამიმძაფრდა შენი არყოფნით გამოწვეული სევდა. მუდამ ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის. ნათელში გამყოფოს უფალმა.

*ოჯახი*



### ნანა მაჭარაშვილის გახსენება

უკვე 2 წელია, რაც შენი ოჯახი, მეგობრები, მეზობლები უშენობას განვიცდით. საოცრად კეთილი, ხალისიანი და თავმდაბალი იყავი. ძნელია მოიგონო საყვარელი ადამიანი წარსულში. 14 იანვარს შენს დაბადების დღეს შევხვდებით უშენოდ. ყოველ წვეულებაზე, როცა კი ვიკრიბებით მეზობლები, ყოველთვის ვიხსენებთ შენს ლამაზ იუმორს, რომელიც ყველაზე ძალიან დაგვაკლდება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული!

*უახლოესი მეზობლები*



### ნიკო ყურაშვილის გახსენება

ჩემო საამაყო შვილო ნიკო! 17 იანვარი შენი დაბადების დღეა. 32 წელი შეგისრულდებოდა. რატომ უნდა გილოცავდე დაბადების დღეს თვალცრემლიანი?!

ჩემო ვაჟკაცო, სულით მდიდარო, ჩემს ოჯახში უშენოდ გამოწვეულ სიცარიელეს ვერაფერი ავსებს და ვერც ვერასოდეს შეავსებს, ჩემი ოჯახის დიდო საგანძურო. ფრთებჩამოხეტილია უშენოდ დარჩენილი შენი ლამაზი ცოლ-შვილი. შენი ლუკა, ხასიათით და უნარით შენს პატარაობას მაგონებს. შენი საფიცარი მაია და საყვარელი ქეთი ცდილობენ შენს მეგობრებთან სიახლოვეს. ნიკო, უფალმა ყველაფერი უხვად გიბოძა ხანგრძლივი სიცოცხლის გარდა. სტუმრად წახვიდოდი თუ შენს სახლში იქნებოდი, ყველგან ყველას მასპინძლობას უწევდი. როცა უფლის ნებით კვლავ შევხვდებით ერთმანეთს, შენი მასპინძლობის იმედი მაქვს.

შვილო, დაბადების დღისათვის შენმა მეგობრებმა ისეთი საჩუქარი მოგართვეს, რაც შენ ყველაზე ძალიან გიყვარდა. ჩემთვის უცნობი შენი მეგობრები ლუკას საახალწლოდ ასაჩუქრებენ. გაოცებული ვარ, შენთვის 31 წელიც საკმარისი გახდა, რომ ღირსეული ვაჟკაცის სახელი დაგემკვიდრებინა. თამამად შემიძლია ვთქვა, ზოგი 100 წლის სიცოცხლის მანძილზეც ვერ შეძლებს იმდენი ხალხის სიყვარულისა და პატივისცემის მოპოვებას, რაც შენ დაიმსახურე, შენი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე.

ჩემო ობოლო, უბოროტო, პატიოსანო, ნიჭიერო, განათლებულო და თავმდაბალო შვილო, დარწმუნებული ვარ, უფალმა რჩეულთა შორის მიგიჩინა რჩეული ადგილი, რასაც სასუფეველი ჰქვია.

დიდად დააკლდი, პირველ რიგში, შენს ოჯახს, სამეგობროს, ნათესავებს, სამსახურს და ყველას, ვინც კი გიცნობდა. იყავი უზომოდ კეთილი, უკონფლიქტო, კარგი შვილი, კარგი მამა, კარგი მეუღლე, კარგი ძმა, კარგი მეგობარი, კარგი მომლხენი, კაცური კაცი.

ასეთი იყავი და ასეთი დარჩები სამარადჟამოდ.

*ოჯახი*



### დოდო კაჭარავას გახსენება

ჩვენო დოდო, გავიდა 40 ტკივილიანი დღე შენი ტრაგიკულად დაღუპვიდან. დაუჯერებელია ის მწარე სიმართლე, რომ შენ ჩვენ გვერდით აღარ ხარ. ყველაფერი გახარებდა და სიცოცხლეს შეტრფოდი, სიცოცხლეს, რომელიც გარეწარმა ერთ წამში წაგართვა. განგებამ შენთვის მხოლოდ 45 წელი გაიმეტა. მძიმეა მთელი სამეზობლოსთვის შენი ასეთი უეცარი წასვლა ამ ქვეყნიდან. ჩვენმა დანთებულმა სანთელმა და შენმა გაწეულმა სიკეთემ, სიყვარულმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი აბაშის მიწა.

*შენი გულდამწვარი მეზობლები*



### ნანა საჯაიას ტკივილიანი მონატრება

მონატრებაზე ძნელი და სიკვდილზე შემზარავი არაფერი ყოფილა ამ ქვეყანაზე. 40 ცრემლიანი დღე გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. რით ვანუგეშოთ შენი გამწარებული დედა, რომელსაც შენ მეტი არავინ გააჩნდა ამ ქვეყანაზე?! ყველას დააკლდა შენი სითბო და სიყვარული — ახლობლებს, თანამშრომლებს, ვისთანაც გიყვარდა ყოფნა, დიდ სამეგობროს.

ჩვენო ძვირფასო ნანა, გილოცავთ შობა-ახალ წელს, რომლის მოსვლაც ყოველთვის გახარებდა. სანამ ვიცოცხლებთ, შენს სახელს დავიწყება არ უწერია.

ნათელში იყოს შენი სული, ჩვენო ლამაზო და საყვარელო ნანა.

*ოჯახი*



### ავთო ასლამაზიშვილის გახსენება

ავთო, ჩვენო მეგობარი, ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მარადისობას შეუერთდი. უშენოდ შენს სამეგობროში დიდი სიცარიელე გაჩნდა, ფაქტობრივად — დაიშალა. შენ ყოფილხარ მთავარი დამაკავშირებელი ძალა ჩვენი სამეგობროსი. შარშანაც, ძველით ახალ წელს შენი ინიციატივით უნდა გვექეიფა მწვადებზე თქვენს ოჯახში, მაგრამ ეს შეხვედრა ვერ შედგა. ჩვენ რომ შენთან მოვდიოდით საქეიფოდ, რამდენიმე წუთით ადრე, სასწრაფო დახმარების ავტომანქანით წაუყვანიხართ საავადმყოფოში, სადაც სამი დღე-ღამის უსიტყვოდ ყოფნის შემდეგ, გაოგნებული და გაოცებული დაგვტოვე, შენი მოულოდნელი გარდაცვალების გამო.

ავთო! გვინდა იცოდე, რომ შენი სახელის უკვდავსაყოფად ყველაფერს აკეთებს შენი ვაჟკაცი შვილი გია, რომელიც შენს მეგობრებთანაც აგრძელებს შენს ტრადიციებს.

ავთო! დღეს შენი გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით, თქვენს ახლო ნათესავებთან ერთად, ჩვენც ამოვალთ შენს საფლავთან, შევსვამთ შენს სადღეგრძელოს და უფალს ვთხოვთ, რომ ნათელში ამყოფოს შენი სული.

*სამეზობლოს სამეგობრო*



### გივი მრევლიშვილის ხსოვნას!

ათი წლის წინ მშვიდად გააცილე ძველი და ახალი იმედები. შეხვდი ახალ წელს. 15 იანვარს კი უხმაუროდ დატოვე ამქვეყნიური ცხოვრება.

გაზაფხულივით მზიანმა, თბილმა დღემ, ოჯახმა, უამრავმა მცხეთელმა გაგაცილა იმქვეყნიურ გზაზე.

გაიზარდნენ შენი გოგონები, დავაჟკაცდა ბიჭიც. ოთარაანთქვრივისებურად ატარებს იმ ტვირთს შენი მეუღლე, შენ რომ დაუტოვე. „ჩემს გივის ენაცვალოს დედა", — ყოველ წუთს გიხსენებს დედაშენი.

„ღმერთო, შეუნდე ამქვეყნიური ცოდვა, უცოდველი ხომ არავინაა ამ ქვეყანაზე; და შენს საუფლოში ამყოფე ჩემი ძმის ალალი სული" — უფალს გავედრებს და.

*მარინა*



### ნინო გელაშვილის გახსენება

ორმოცი დღე გავიდა, რაც აღარა ხარ, ჩვენო საყვარელო ნინო. 9 დეკემბერს ტრაგიკულმა შემთხვევამ წერტილი დაუსვა შენს სიცოცხლეს და შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში დაიდო ბინა. ასეთი იყო შენი ბედისწერა. ალბათ ღმერთმა ასე ინება და რჩეულებს შორის მიგიჩინა ადგილი, იქ ხომ შენი სამი წლის დაღუპული ძმა, გიაცაა.

ჩვენო ხალისიანო, ღიმილიანო ნინო, რომ იცოდე როგორ გვენატრები. შენს მეგობრებს შენი გახსენება უცრემლოდ არ შეგვიძლია. ყველას უჭირს ამ მძიმე ტკივილის გაძლება.

ნინინკო, რით ვანუგეშოთ შენი დედიკო, მამიკო, შენი ერთადერთი და?! ნუთუ გიას დაღუპვა არ იყო საკმარისი მწუხარებისთვის?! რა დაუნდობელია წუთისოფელი, მხოლოდ 13 წელი გარგუნა განგებამ. უსასრულოა ჩვენი სევდა.

ნინო, შენს სახელს დავიწყება არ უწერია. ყველანი ყოველთვის ერთად მოვალთ შენს საფლავზე, მოვიტანთ ცრემლით დანამულ ლამაზ ყვავილებს და გულდამძიმებული დაგინთებთ სანთლებს. ყველანი ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის. დაე, ჩვენმა სანთლებმა და შენმა უმანკო სულმა გზა გაგინათოს სასუფეველში.

*შენი მეგობრები*



### ზაირა სვიმონიშვილის მონატრება

წელს პირველად შევხვდით შობა-ახალ წელს უშენოდ. ყოველ ახალ წელს ხომ ერთმანეთის ოჯახებს შემოვივლიდით და სიხარულს და სიყვარულს ვუზიარებდით. ახლა კი ყოველგვარი სიხარული ჩამქრალი იყო ჩვენს გულებში, სიტყვიერი მილოცვაც კი ვერ შევძელით შენგან დმწუხრებულებმა.

როგორ გვენატრები ყველას, როგორ განვიცდით უშენობას. შენ ხომ განსაკუთრებული მოლხენა იცოდი. ახლა კი თვალცრემლიანი დეიდები და დეიდაშვილები სამუდამო სასუფეველში გილოცავენ შობა-ახალ წელს.

*მანია, ლია, ვალიდა, ლევან ტატიაშვილები; ნუნუ, სერგი, ნუგზარ კაკალაშვილები*

### როლანდ ბეგოიძის მონატრება

მოვიდა შენი დაბადების დღე, 16 იანვარი, მაგრამ არა ლამაზი და ბედნიერი, არამედ სევდიანი და ტკივილიანი. რაც იცხოვრე, იცხოვრე. კაცურად წახვედი და თან წაიღე სიკეთით სავსე გული. უზომოდ გვიყვარხარ და გვენატრები. შენი ხსენებით იწყება და მთავრდება დღეები შენი ახლობლებისათვის. ერთი წელი და ხუთი თვე ვებრძოდით შენს უკურნებელ სენს, მაგრამ ავადმყოფობამ გვაჯობა და წაგვართვა შენი თავი.



ძალიან გვაკლიხარ დებს, ოჯახს, შვილებს და შვილიშვილებს. რა მწარეა, დედამ შვილს მიულოცოს ცივ სამარეში დაბადების დღე. შენი შვილები, შვილიშვილები, დები, დისშვილები თვალცრემლიანები მოვალთ და მოგილოცავთ შეუსრულებელ 59 წლისთავს.

იმ ქვეყნად ილოცე შენი შვილების, შვილიშვილების და ახლობლებისათვის. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვილოცოთ შენი სულისთვის.

*დედა, შვილები, შვილიშვილები, დები და დისშვილები*



### ვახტანგ ბაბუნაშვილის მოსაგონარი

ოთხი წელი გავიდა, რაც მარადისობაში გადახვედი. წახვედი ამ ქვეყნიდან და თან წაიღე სიკეთით სავსე გული. ყველას მოყვარული, მზრუნველი და დამხმარე იყავი. კაცური კაცის სახელით იცხოვრე. დღემდე იმ ბედნიერი მოგონებებით ვცოცხლობთ, შენ გვერდით გატარებულმა ლამაზმა დღეებმა რომ დაგვიტოვა.

უსაშველოდ გვიყვარხარ და გვენატრები.

*შენი ცოლ-შვილი*



### ნოდარ (ანტონ) აბუსერიძის მონატრება

მწუხარებაში გავიდა 40 დღე, ჩვენო საყვარელო, კეთილო მამავ. რაც დრო გადის, უფრო ვწუხვართ, გვენატრები, სულ შენს მოლოდინში ვართ. მუდამ ვილოცებთ შენი კეთილი სულისთვის. აგინთებთ სანთელს მარად.

*შვილები: ნატო და ვაჟა აბუსერიძეები; შვილიშვილები: ირაკლი, დათო ჭრიკიშვილები; დისშვილები: მათე, მარიამ, მაია და რამაზ ებრალიძეები; ძმისშვილი აპოლონ აბუსერიძე, ლიანა, ომარ ფიცხელაურები და შენი მარად დამწუხრებული მეუღლე — ზინა ჩოფიკაშვილი*



### სულიკო ქურდაძის გახსენება

19 იანვარი შენი გარდაცვალების დღეა. ნათლისღების ამ ბრწყინვალე დღესასწაულს მიიბარა შენი კეთილი სული ზეცამ. ჩვენ კი დაგვრჩა მოუშუშებელი ტკივილი და უსაზღვრო მონატრება.

მიიწურა 11 ტკივილიანი წელი, მაგრამ დრომ მაინც ვერ განკურნა უშენობით გამოწვეული სევდა. მუდამ ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის.

ნათელში გამყოფოს უფალმა.

*შენი საყვარელი მეუღლე*





### ნათელა და ვალოდია ფარადაშვილების მონატრება

ერთი წუთივით გაირბინა ცრემლით და გლოვით მოცულმა ერთმა მძიმე წელიწადმა. დედა, ერთი წელი შეგისრულდა 17 იანვარს, რაც დატოვე ეს სამყარო და მარადიულ სასუფეველში გადაინაცვლე. დედა, ჩვენო ტკბილო, როგორი ბუნებაც გქონდა, მშვიდი, წყნარი, სიკვდილსაც ისე წყნარად და ჩუმად შეხვდი. შენ ჩვენი ყვირილი და თხოვნა არ გესმოდა, ისე ჩუმად დახუჭე თვალი და დაგვემშვიდობე.

დედა, 17 იანვარს ჩაქრა შენთვის დანთებული სანთელი, რომელსაც დედის სიცოცხლეს ვევედრებოდით.

დედა, მამა შენზე 12 წლით ადრე წავიდა იმ მარადიულ სასუფეველში. ძალიან ძნელი ყოფილა მშობლების დაკარგვა, ტკივილი, რომელსაც დრო ვერასოდეს განკურნავს. უფრო ძლიერ გვენატრებით ორივენი და თქვენი ორი პატარა შვილიშვილი.

დედა, მამა, იმედი მაქვს, ჩვენი დანთებული სანთელი გზას გაგინათებთ უფლისკენ, ხოლო ჩვენი ცრემლები, რომლებიც უზომოდ მოდიან და არ შრებიან, გზას დაგინამავთ, რომ ია-ვარდი იყოს თქვენს გზაზე მოფენილი.

*„შვილების თვალები გზას გჰყურებენ,*
*იციან, არ მოხვალთ და მაინც გელიან!*
*შეხედავენ სურათს და თქვენც ნაზად ულიმით,*
*რა ქნან, სიზმარშიც გელოდებიან!*
*დღეს ღამე მოჰყვება, ცრემლს კი სევდა,*
*სიზმრად მოსულებს მოგეფერებით, დედა!"*

*თქვენზე უზომოდ მონატრებული შვილები და შვილიშვილები*

### ვაჟა ფილაურის მონატრება



ძნელია წარსულში ილაპარაკო საყვარელ ადამიანზე. რა ვიცი რა ჰქვია იმას, როცა დაბადების დღეს იმქვეყნიურ სასუფეველში გილოცავთ.

გილოცავთ ძვირფასო! 16 იანვარი ხომ შენი დაბადების დღეა. მოვალთ შენს საფლავთან, მოგიტანთ ყვავილებს, დაგინთებთ სანთლებს და გავიხსენებთ შენთან ერთად გატარებულ წლებს.

შენი 33-ე დაბადების დღე მოდის, უდანაშაულო, სიკეთის მთესველო ვაჟკაცო. ნუთუ მარტო 17 წელი იკმარე?

ნათელში იყოს შენი სული, ჩვენო ვაჟკაცო. ჩვენმა დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

*შენი ოჯახი*

### გულიზა ნილოსანი-მღებრიშვილის მონატრება



ჩემო დედი, 10 იანვარი შენი დაბადების დღეა. ყოველთვის სითბოთი და სიყვარულით გილოცავდი დაბადების დღეს, წელს პირველად ვხვდები ამ დღეს ცრემლითა და ტკივილით, იმგვარი ტკივილით, რომელსაც უშენობა ჰქვია. ამ წელს კი პირველად მამა მოგილოცავს დაბადების დღეს, რომლის გარეშეც მხოლოდ და მხოლოდ 10 წელი შეძელი ცხოვრება, ათი წლის შემდეგ მაინც მასთან წახვედი და დამტოვე მარტოდმარტო. ცხრა თვეა, დედი, მენატრები, მენატრება შენი სითბო და სიყვარული, გვერდით დგომა, შენ ხომ ჩემი დიდი იმედი იყავი... ღმერთო, რატომ არ წაშალე ის დღე, როცა სიკვდილმა დაგვემარცხა და დაგვაშორა ერთმანეთს. როგორ ვერ შევძელით შენი გადარჩენა. უდროოდ გმოგვეცალე ხელიდან, შენი ამ ქვეყნიდან წასვლით ყველას გული გვატკინე, ყველასათვის სითბოს და სიყვარულს იმეტებდი. წახვედი და დამიტოვე ცრემლი და ტკივილი, ტკივილი, რომელსაც ვფიქრობ, ვერაფერი შემიმსუბუქებს. რაც დრო გადის, მით უფრო მეტად მიმძიმს შენ გარეშე ყოფნა, მით უფრო მეტად მენატრები. გავა დრო, წლები, მე კი ყოველთვის შენს საფლავზე მოვალ, სანთლებს დაგინთებ. ყვავილებით მოგილოცავ, მოგეფერები და გეტყვი კვლავ ძველებურად: „დედი, გილოცავ დაბადების დღეს და მიყვარხარ ძალიან."

*დიდი მონატრებით, შენი შვილი ნათია მღებრიშვილი*

### გასაუბრება კაკო (კაკუნა) ჩხიკვაძესთან



კაკუნა, მე არ ვიცი ვისი ნათქვამია, მაგრამ ცხადია, შენნაირ კაცზეა ნათქვამი: „ცხოვრობდი ჩემ გვერდით და სიცოცხლეს მილამაზებდი, წახვედი და იმ ქვეყნად წასვლას მიადვილებ", — აბა სხვანაირად როგორ იქნება, ჩვენ ხომ სიამის ტყუპებივით ურთიერთმიწებებულები ვიყავით. გაჩნდა თუ არა ცნობიერება, დაიწყო ჩვენი ცხოვრება და 70 წელს მივაღწიეთ კიდეც. შენ მიღალატე, წახვედი დ გამაცილებინე თავი, მე დავრჩი და ვიცი, თანშეზრდილი გამცილებელი აღარ მეყოლება.

ერთად გამოვიარეთ ბავშვობა, მეორე მსოფლიოს ომის პერიოდში ერთად ვიწვნიეთ სიღარიბის სიმკაცრე, ერთად ვიხილეთ დედების დაქვრივება, ერთად შევაბიჯეთ სიჭაბუკეში, ზვიჩასა და გოჩას გვეძახდა შენი უფროსი ძმა. ერთად ჩამოვყალიბდით პიროვნებებად, ერთნაირად გვიყვარდა ჩვენი სოფელი, ჩვენი ქვეყანა, სამშობლო, ოჯახი, შრომით ვცდილობდით, ჩვენს შვილებს ჩვენი ბედი ასცილებოდათ, შევძელით კიდეც. 70 წელი ზოგისთვის ძალიან ბევრია, ზოგისთვის — ძალიან მცირე. გულახდილად გეტყვი, — ჩვენთვის ძალიან მცირეა, რადგან შენ სიცოცხლე გიყვარდა, თანაც ლამაზი ქეიფი და გურული იუმორი ბავშვობიდანვე ჩასახლებული იყო შენს სულში და ბოლოს გეტყვი, რომ ამ სიბოროტისთვის აღვსილ წუთისოფელში შენისთანა ჭეშმარიტი მეგობრის ყოლა ნამდვილად ღვთის წყალობა და საჩუქარი იყო ჩემთვის.

შენი დაბადების თვე დეკემბერია, გარდაცვალებისაც — დეკემბერი. სამოცდაათი წლის მანძილზე პირველად შევხვდით უშენოდ 30 დეკემბერს, შენს დაბადების დღეს და ახალ წელსაც. მე არ ვიცი, რამდენ ხანს ვიცოცხლებ აწი, მაგრამ რამდენ ხანსაც მაცოცხლებს უფალი, შენ ჩემს ხსოვნაში მუდამ დარჩები ადამიანად, ვინც სითბოსა და სიყვარულს უნაწილებდა დიდსა თუ პატარას, ნათესავსა თუ მეგობარს.

კაკუნა, 40 დღე გადის უშენოდ. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები ყველას. მწუხარებამ მოიცვა შენი მეუღლე და შვილები, ცრემლები არ შეშრობიათ შენს დებს.

სასაუბრო ბევრი გვაქვს, მაგრამ... ნათელში იყავი, ჩემო კაკუნა.

*იუზა ლორია*



### არჩილ (არჩო) ვასილის ძე დათუკიშვილის გახსენება

გაუსაძლისია, მამი, შენი დაკარგვა და მონატრება. გაუსაძლისია შენი შვილის მდგომარეობა და ვიბრძვი მის გადასარჩენად. ღმერთმა განსაჯოს შენი ოჯახის დანგრევა და ისევ ღმერთს მივანდოთ. შენი სპეტაკი სული და ალალი გული კი ნათელში ამყოფოს, ღმერთს ვთხოვთ.

*შენი შვილი ნინო; გელა*



### ლეონტი (ბეთვე) ჩიხლაძე

ლეონტი ლავრენტის ძე ჩიხლაძე დაიბადა 1923 წლის 10 თებერვალს, ქ. სენაკში. 1941 წელს საქვეყნოდ ცნობილმა ლოტბარმა, რემა შელეგიამ ბატონი ლეონტი ჩარიცხა მომღერლად, სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში. 1949 წელს ბატონი ლეონტი სწავლას აგრძელებს სოხუმის არაყიშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში, 1960 წელს ირიცხება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე. პარალელურად, ბატონი ლეონტი თეატრის ცხოვრებითაც ცხოვრობდა. მას შესრულებული აქვს 50-მდე მუსიკალური როლი, ხოლო 26 — მუსიკალურად აქვს გაფორმებული.

1967 წელს მოსკოვში, სენაკის სახალხო თეატრმა დასკვნით ტურში წარადგინა მ. ხუნწარიას პიესის დადგმა „ტეხურის პირას". სპექტაკლს ემსახურებოდა სახელმწიფო მუსიკალურ-აკადემიური თეატრის ორკესტრი ბატონ ლეონტის დირიჟორობით. მან მიიღო საკავშირო ფესტივალის ლაურეატის წოდება და მედალი დაიმსახურა. 1959 წელს შეიქმნა ანსამბლი „ოდოია 59", ბ-ნ ლეონტის ხელმძღვანელობით. 1966 წელს მან ჩამოაყალიბა ბიჭუნათა ფოლკლორული ანსამბლი „ოდოია 96". მათ რეპერტუარში შედის ბ-ნ ლეონტის მიერ შექმნილი სიმღერა ეროვნულ გმირ ქიული შარტავაზე. ბატონი ლეონტი გარდაიცვალა 2003 წლის 17 იანვარს. მან დატოვა განუმეორებელი სულიერი სიმაღლის მქონე ადამიანის წმინდა სახელი, რაც გაუხუნარი ხსოვნის საწინდარია.

ბატონი ლეონტი იყო 5-გზის რესპუბლიკური და ორგზის საკავშირო ფესტივალის ლაურეატი, სენაკის საპატიო მოქალაქე, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. 2000 წელს მან მიიღო ღირსების ორდენი, 2001 წელს კი — აკაკი წერეთლის სახელობის პრემია.

ბატონმა ლეონტიმ აღასრულა ყოველივე ის, რაც კი თავის სენაკს აღუთქვა მისი უკანასკნელი სიტყვებით: „უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვემსახურები ჩემი საყვარელი ქალაქის კულტურის აღმავლობას. სენაკი ხომ ნაწილია ჩემი სათაყვანებელი საქართველოსი".

*სენაკის მუსიკალური საზოგადოების წევრი — იზოლდა ქოიავა-ფოფხაძე*



შვილი თემური; რძალი ხათუნა სვანაძე; სიძე მიხეილ (ჟორა) ხომერიკი; დისშვილები: გია, ეკა ხომერიკები; ეთერ, ნანა არსოშვილები; ნოდარ, ცირა, სოსო, ზვიად, ნანა, ზურიკო, დათო, ნინო, ზაირა ავლოხოვები; მიშა, მაყვალა, ლილი, ლენა, ეთერ ოქროსაშვილები; ლალი მუჩაიძე იუწყებიან

**ედვარდ დავითის ძე მათიაშვილის**

გარდაცვალებას.

*პანაშვიდი:* 16 იანვარს, 16 საათზე;

*დაკრძალვა:* 17 იანვარს, მუხათგვერდის სასაფლაოზე. გამოსვენება 14 საათზე.

*მის.:* გლდანის მე-3 მ/რ, V კორპ. II სად. VI სართ.



მეუღლე ნატო; შვილი კარლო; დედა ლალი; მამა ჯემალი; ძმა ბექა; დები: ხათუნა და თამუნა; მამიდები, ბებიები, ბიძები, დეიდები, ბიცოლები, სიძეები, ახლობლები და ნათესავები იუწყებიან

**დათა ჯემალის ძე მარგიანის**

გარდაცვალებას.

*პანაშვიდი:* კვირას და ორშაბათს;

*გასვენება:* სამშაბათს, 17 იანვარს, 14 საათზე, ვაზიანის სამხედრო დასახლება.

უახლოესი მეზობლები: გელა, ფირუზა, როინი, აზა, მარინა, ზურიკო, თემური, ჯამილა, ავთო, ფრიდონი, თინიკო, ადონი, სერგო, უშანგი, ალიოშა ოჯახებით თანაუგრძნობენ ნელი წულაიას, რძლის

**მაგული აკაკის ასული მიქაძე-წულაიას**

გარდაცვალების გამო.

# მფრინავი მოჩვენება



1973 წელს ავიალაინერ L-1011-ის საიდუმლოებით მოცულმა კატასტროფამ მთელი მსოფლიო შეაშფოთა. მიზეზის დადგენა მაშინ ვერ შეძლეს. მალე თვითმფრინავის ჩამოვარდნის საიდუმლოს კიდევ ერთი მიემატა — სრულიად დაუჯერებელი: L-1011 მარკის სხვა თვითმფრინავების ბორტებზე ეკიპაჟები ხედავდნენ... მოჩვენებებს.

თითქოს ყველაფერი ნათელი იყო: ჯერ მოხდა კატასტროფა, რასაც შემდეგ მოჰყვა ამ ტიპის თვითმფრინავებზე წვრილმანი გაუმართაობის მთელი სერია და ხალხს ნერვებმა უმტყუნა. მფრინავებთან ფსიქოლოგებმა დაიწყეს მუშაობა. მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ის ფაქტი, რომ ეკიპაჟის წევრებს არათუ ეშინოდათ მოჩვენების, არამედ კონტაქტშიც კი შედიოდნენ მათთან! როცა ამ უცნაურობის მიზეზები გაირკვა, ფსიქოლოგები სრულიად სხვა სპეციალისტებმა შეცვალეს.

ატომური ფიზიკის ცნობილმა სპეციალისტმა ჯონ ფულერმა შექმნა კომისია, რომლის წევრებიც იყვნენ ფიზიკოსები, ქიმიკოსები და ბიოლოგები. კომისიის მოუკრძოებელმა დასკვნამ იმდენად გააოგნა ხელმძღვანელობა, რომ მას მაშინვე დაადეს გრიფი — „სრულიად საიდუმლოდ". მხოლოდ 30 წლის შემდეგ გაეცნენ ჟურნალისტები ამ უცნაურ დოკუმენტს. აი, როგორ დასკვნებს შეიცავდა ის:

1. ყველა, ვინც ირწმუნება, რომ ჰქონდათ კონტაქტი მოჩვენებებთან, არიან სრულიად ჯანმრთელი ადამიანები, ნორმალური ემოციური ფონით, სალად აზროვნებენ და გარემომცველ რეალობას ადეკვატურად აღიქვამენ;

2. თვითმხილველთა მონათხრობი, წვრილმანი დეტალების ჩათვლით, ემთხვევა ერთმანეთს, თანაც იმ შემთხვევებშიც კი, როცა მათ არ ჰქონდათ წინასწარ ერთმანეთთან მოლაპარაკების საშუალება;

3. მოჩვენებების სახით ფიგურირებენ მხოლოდ დალუპული თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები და არასოდეს — მგზავრები;

4. მფრინავთა მოჩვენებები უმიზეზოდ არ ჩნდებიან — ისინი ყოველთვის ამა თუ იმ საშუალებით აფრთხილებენ ეკიპაჟს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ;

5. ყველაზე ხშირად L-1011 სერიის თვითმფრინავებში ჩნდება ბორტინჟინერ დონ რეპოს აჩრდილი, რომელიც სხვადასხვა გაფრთხილებას იძლევა — დაწყებული ბორტზე წვრილმანი გაუმართაობით და დამთავრებული ამინდის არახელსაყრელი პროგნოზით;

6. დონ რეპო არასოდეს ცდება, — პილოტებმა ეს იციან და უყოყმანოდ ასრულებენ მის რჩევებს.

ამ დასკვნების გაკუთება ადვილი არ იყო სკეპტიკოსი მკვლევარებისთვის: მოჩვენებების გამოჩენას ყოველთვის უკავშირებენ ძველებურ აკლდამებსა და მინისქვეშა მღვიმეებს და არა სუპერთანამედროვე ავიალაინერებს, მაგრამ სპეციალისტებმა მიღებული მონაცემები ობიექტურად შეაფასეს და ფულერის კომისიის მოხსენება იქცა მოჩვენებათა არსებობის დამადასტურებელ მრავალთაგან ერთ-ერთ დოკუმენტად.

დონ რეპოს სული არ ჰგავდა „ტრადიციულ" მოჩვენებას — მას ნორმალური სხეულებრივი გარსი ჰქონდა. დონი ჟესტებით უხსნიდა სათქმელს მსმენელებს. ჩნდებოდა არა მხოლოდ ღამით, არამედ მზიან ამინდშიც. მას ძველი ამხანაგივით ხვდებოდნენ, თუმცა ხმელეთზე იგი არავის უნახავს.

დალუპული მექანიკოსი ბევრჯერ დაეხმარა თავის ცოცხალ კოლეგებს. აი, ერთი ამგვარი შემთხვევა: ფრენა ნორმალურად მიმდინარეობდა. სტიუარდესა მგზავრებისათვის სადილის მომზადებას შეუდგა. საკვები დიდ მიკროტალღოვან ღუმელში შეაწყო და როცა გამოღების დრო დადგა, შეძრწუნებულმა შეჰყვირა. ღუმელს მინის სარკმლიდან უცხო მამაკაცი მისჩერებოდა. სტიუარდესას სმენოდა მოჩვენებების შესახებ, საბედნიეროდ სწრაფად მოეგო გონს და უფროსი ბორტგამცილებელი გამოიძახა. ეს უკანასკნელი თავის დაქნევით მიესალმა დონ რეპოს, შემდეგ ყურადღებით დააკვირდა მის ამოძრავებულ ბაგეებს. „ხანძარი!" — მიხვდა სტიუარდესა და დაუინებით მიაჩერდა აჩრდილს. თითქოს კითხვას მიუხვდაო, მან თავი დაუქნია. მაშინვე მიაწოდეს ინფორმაცია საჰაერო ხომალდის კაპიტანს და თვითმფრინავის დათვალიერება დაიწყეს.

ვერაფერი აღმოაჩინეს! ნუთუ დონ რეპო ამჯერად შეცდა? თვითმფრინავი მშვიდობიანად დაეშვა და აეროპორტში ჩატარებულმა შემოწმებამაც შედეგი არ გამოიღო. უკან დასაბრუნებელი რეისის ნებართვაც მიიღეს, მაგრამ L-1011-მა სიმაღლის აღება ვერ მოასწრო, რომ ერთ-ერთი ძრავა გამოირთო. რამდენიმე წამში კი ტურბინებს ცეცხლი მოედო.

ალმოდებული ლაინერის მშვიდობიანად დასმა და მგზავრთა ევაკუაცია ავიაციის ისტორიაში დღემდე სასწაულად ითვლება. პილოტებს არ უყვართ ამის გახსენება, მაგრამ სტიუარდესებმა ენა ვერ გააჩერეს: მას შემდეგ, რაც ძრავას ცეცხლი მოედო, თვითმფრინავის დაჯდომამდე პილოტთა კაბინაში ერთი კაცით მეტი იყოო, მაგრამ განა ადამიანი იყო იგი?

როცა ფულერის კომისიამ ანგარიში ჩააბარა, ხელმძღვანელობამ სხვა სპეციალისტი მოიწვია. დონ რეპოსთან რამდენიმე დღის ურთიერთობის შემდეგ მედიუმმა ქალმა თქვა: „მას არ სურდა წასვლა, მაგრამ მე დავარწმუნე რეპო, წასულიყო სინათლისკენ, რომელიც შორს ციმციმებს და მიახლოებისას სულ უფრო და უფრო კაშკაშებს". ამის შემდეგ დონისა და მისი დალუპული ამხანაგების აჩრდილი თვითმფრინავებზე აღარ გამოჩენილან. სამუშაოს დამთავრებამდე მედიუმმა ქალმა მაგიდაზე უცნაური ნახატი დადო, მან არ იცოდა, რას ნიშნავდა გამოსახულება, თუმცა მოჩვენების კარნახით ხატავდა. სამაგიეროდ სპეციალისტები მაშინვე მიხვდნენ ნახატის მნიშვნელობას. ეს იყო 1973 წლის კატასტროფის მიზეზი. თვითმფრინავი გაუმართავი შასებით აფრენილა. როცა არქივიდან დოკუმენტები ამოიღეს, მიაგნეს დათვალიერების შესაბამის აქტს, რომელშიც არავითარი შენიშვნა არ იყო. მას ხელს აწერდა ბორტინჟინერი დონ რეპო.

ნლო №52

# წინასწარმეტყველური ხილვა

სუსხიანი დღე იდგა, ჩემს ძმას დაბადების დღე ჰქონდა და ვჩქარობდი. შევუხვიე მის ქუჩაზე და შორიდანვე თვალი მოვკარი — აივანზე იდგა და მელოდა. ასე იცოდა. ჩემზე 11 წლით უფროსი იყო. მთელი ცხოვრება ჩემს გზას გაჰყურებდა. მას მერე, რაც დავოჯახდი და ცალკე გადავედი საცხოვრებლად, დამირეკავდა, — გამოდიო. ჩემს მისვლამდე აივანზე დადგებოდა და მოუთმენლად მელოდა. ერთი რამ გამიკვირდა: აივანი ცალ მხარეს ჩამონგრეული იყო. ჩემი ძმა კი თითქოს ყურადღებას არც აქცევდა ამას, ჩემს გზას მოსჩერებოდა. ხელი ავუწიე, ისიც ღიმილით მომესალმა. ცუდად შემომკვნესა გულმა — აივანი რამ ჩამოანგრია-მეთქი. კიბე ავირბინე.

კარი რძალმა გამიღო.

— რა იყო, რა მოხდა? — ვკითხე მოუთმენლად. სანამ მიპასუხებდა, ჩემი ძმაც გამოვიდა ოთახიდან. გაოცებულმა შემომხედა.

— აი, მოაჯირი მარცხნივ სულ ჩამონგრეულა.

— მართლა? — წარბები აზიდა ჩემმა ძმამ.

— რა, არ იცი? აივანზე რომ იდექი, მაშინ მაინც არ შენიშნე? — გავიოცე.

— აივანზე არც გავსულვარ... დღეს თავი მტკიოდა და წამოწოლილი ვიყავი.

გულმა რეჩხი მიყო. ოთახში შევედი, უხალისოდ ჩამოვჯექი. ჩემი ძმა აივანზე გავიდა, გამომძახა: — აქ არაფერია დანგრეულიო. ამისი გაგონება იყო და ყელში ბურთი გამეჩხირა... მივხვდი, რაღაც ხდებოდა ჩვენს თავს.

შინ რომ მივდიოდი, კიდევ ერთხელ ავხედე აივანს. არაფერი იყო ჩამონგრეული, აივანზე ჩემს რძალს თეთრეული ჰქონდა გადმოფენილი გასაშრობად. მათკენ მომავალს წელან მსგავსი არაფერი დამინახავს. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ რძალმა მითხრა, — მესამე დღეა ამ სარეცხს ვაშრობდიო.

ორი-სამი დღე შიშით ვიძინებდი და ვიღვიძებდი. სულ ცუდ ამბავს ველოდი. მერე ნელ-ნელა გადამავიწყდა.

გავიდა ერთი წელი. ძმის დაბადების დღეზე ისევ წასვლას ვაპირებდი, მაგრამ ახლა ცოლშვილთან ერთად. ვიდრე შინიდან გავიდოდით, ტელეფონმა დარეკა — ჩემი ძმა აივნიდან გადავარდნილიყო... თურმე რაღაცის ჩამოსაღებად აივანზე გასულა, კიბე გასცურებია, წონასწორობა დაუკარგავს და... მაშინ კი მივხვდი, რისი მომასწავებელი იყო ჩემი ერთი წლის წინანდელი ხილვა, მაგრამ რაღა დროს...

გიორგი ჯ., თბილისი

# ტაიგის აჩრდილი...

თავის გადარჩენის ინსტინქტმა ბევრი ქართველი გადახვეწა საზღვარგარეთ და მათ შორის აღმოჩნდა ჩვენი დღევანდელი რესპონდენტიც, 37 წლის ვალერი კობახია. ვალერის დედა რუსი ჰყავს და სწორედ მისმა ნათესავებმა წაიყვანეს ციმბირის გაუვალ ტაიგაში ხეტყის დასამზადებლად:

— ციმბირში თითქმის 10 თვის განმავლობაში თოვს და ყინავს. იქაურებსაც უჭირთ მძიმე კლიმატის გაძლება და საქართველოს მზის ქვეშ გაზრდილი კაცისთვის რა იქნება... მაგრამ ოჯახი სარჩენი მყავდა და დავთანხმდი.

ჩავედი თუ არა, რუსულ-გერმანულმა ფირმამ დაგვიქირავა. ჩუქჩების სოფელში დაგვაბინავეს, რომელსაც რატომღაც „სოლნეჩნოე" ერქვა. სინამდვილეში ექვსი თვის განმავლობაში სულ ხუთ-ექვსჯერ თუ დავინახეთ მზე...

სამუშაოზე ძაღლებშებმული მარხილებით მივდიოდით. რამდენიმე ბრიგადა ვენაცვლებოდით ერთმანეთს, თითოში 5 კაცი ვიყავით.

ნაშუადღევს ამინდი მოულოდნელად შეიცვალა. თითქოს გზები და ბილიკები წაიშალა. მობუზული ძაღლები საცოდავად აწკმუტუნდნენ. აშკარად დაღუპვა გველოდა, — ღამით ტყეში თუ დავრჩებოდით, უეჭველად გავიყინებოდით. სწორედ ამ დროს ორიოდ მეტრში დავინახეთ თეთრ სამოსში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც წელამდე სცემდა ოქროსფერი თმა. თითოეულს, ცალ-ცალკე, გვეგონა, რომ ჰალუცინაცია გვქონდა, არადა, ყველამ რომ შევძახეთ, ეს ვინააო, მაშინ კი დავრწმუნდით, რომ არაფერი გვეჩვენებოდა. ქალი მიწიერს არ ჰგავდა, ამ ყველაფერს ისიც დაერთო, რომ ძაღლებმა საზარელი ყმუილი მორთეს.

თავად სიკვდილი გამოგვეცხადაო, პირჯვარი გადაიწერა ერთ-ერთმა ჩვენგანმა. ჩვენც მივბაძეთ და უცებ ძაღლები დადუმდნენ. იმ არსებამ ხელით გვანიშნა, გამომყევითო. გავყევით, ხან იქით გაგვახვევინა, ხან — აქეთ და სოფელთან მიგვიყვანა, მერე კი გაქრა!..

ბუნებრივია, ყველას ვუამბეთ ჩვენი თავგადასავალი და გვითხრეს: 200 წელიწადზე მეტია არსებობს მაგ აჩრდილზე ლეგენდა. იგი დროდადრო ეცხადება ადამიანებს და თოვლისგან თავის დაღწევაში ეხმარება. ამბობენ, ქალი ქარბუქის დროს დარჩენილა ტყეში, ნამქერში ჩამარხულა და გაყინულა. ალბათ, საშინელი ტანჯვაც გაიარა ამ დროს, მაგრამ გაბოროტების ნაცვლად კეთილ სულად იქცა და მისნაირი საშინელი ხვედრი რომ არ გაიზიარონ ადამიანებმა, ამიტომ ეხმარებაო.

ორი წელია საქართველოში ჩამოვედი და აქაც სულ ვუნთებ სანთელს ეკლესიაში, — დაასრულა თხრობა ვალერიმ...

ინგა ჯაყელი

## „საზალოო-სალაღო" გვერდის პასუხები

I. ჩიჩილაკი

II. აბა, გამოიცანი:

1. — ბ); 2. — გ); 3. — დ); 4. — ბ); 5. — ა); 6. — დ).

III. 14-15-17-16-13-12-8-9-5-4-3-5-8-7-3-2-1-2-6-10-6-7-11-12-16-15-11-14.

# იაპონური სუდოკუ სენსაცია

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ" ნიშნავს ციფრს, „დოკუ" — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც გაჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ, არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ განმეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ, საშუალო და რთულ სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა კროსვორდის პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 7 | 5 | 1 | 6 | 2 | 3 | 9 |
| 9 | 1 | 2 | 3 | 7 | 8 | 4 | 6 | 5 |
| 6 | 3 | 5 | 2 | 9 | 4 | 7 | 1 | 8 |
| 7 | 9 | 1 | 8 | 2 | 3 | 6 | 5 | 4 |
| 2 | 4 | 8 | 9 | 6 | 5 | 3 | 7 | 1 |
| 5 | 6 | 3 | 1 | 4 | 7 | 8 | 9 | 2 |
| 1 | 7 | 9 | 6 | 8 | 2 | 5 | 4 | 3 |
| 8 | 5 | 4 | 7 | 3 | 1 | 9 | 2 | 6 |
| 3 | 2 | 6 | 4 | 5 | 9 | 1 | 8 | 7 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 4 | 1 | 9 | 2 | 5 | 8 | 3 |
| 2 | 3 | 1 | 5 | 8 | 7 | 6 | 9 | 4 |
| 9 | 8 | 5 | 3 | 4 | 6 | 2 | 1 | 7 |
| 8 | 2 | 3 | 9 | 7 | 5 | 1 | 4 | 6 |
| 1 | 4 | 9 | 6 | 2 | 8 | 3 | 7 | 5 |
| 5 | 7 | 6 | 4 | 3 | 1 | 9 | 2 | 8 |
| 4 | 9 | 8 | 2 | 5 | 3 | 7 | 6 | 1 |
| 3 | 1 | 2 | 7 | 6 | 4 | 8 | 5 | 9 |
| 6 | 5 | 7 | 8 | 1 | 9 | 4 | 3 | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 4 | 9 | 5 | 2 | 3 | 6 | 8 | 1 |
| 6 | 5 | 1 | 9 | 8 | 4 | 7 | 2 | 3 |
| 3 | 2 | 8 | 7 | 6 | 1 | 9 | 5 | 4 |
| 5 | 1 | 7 | 4 | 9 | 2 | 3 | 6 | 8 |
| 4 | 8 | 2 | 6 | 3 | 5 | 1 | 9 | 7 |
| 9 | 3 | 6 | 1 | 7 | 8 | 5 | 4 | 2 |
| 2 | 9 | 3 | 8 | 5 | 7 | 4 | 1 | 6 |
| 8 | 6 | 4 | 3 | 1 | 9 | 2 | 7 | 5 |
| 1 | 7 | 5 | 2 | 4 | 6 | 8 | 3 | 9 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 2 | 6 | 1 | | | | 8 | |
| | 1 | 3 | 8 | 4 | 9 | | 2 | |
| | | 9 | 2 | | | 3 | 5 | 1 |
| 9 | | | 5 | 1 | 4 | | | 3 |
| 3 | 6 | 8 | | 2 | | 1 | 4 | 5 |
| 1 | | | 6 | 8 | 3 | | | 9 |
| 4 | 8 | 7 | | | 1 | 5 | | |
| | 3 | | 4 | 9 | 8 | 7 | 1 | |
| | 9 | | | | 2 | 4 | 3 | 8 |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | | | 8 | 9 | 7 |
| | | | 1 | 5 | 7 | | 6 | |
| 7 | 6 | 4 | | | 9 | | | |
| 2 | 4 | 3 | 5 | 9 | | | | |
| 6 | | 5 | | | | 9 | | 4 |
| | | | | 4 | 8 | 6 | 5 | 2 |
| | | | 2 | | | 3 | 1 | 6 |
| | | | 4 | 6 | 3 | | | |
| 3 | 5 | 6 | | | | | 4 | |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 | 5 | | 8 | | | |
| 3 | 2 | | 7 | | | | 4 | |
| | | 1 | | | | 2 | 9 | |
| 7 | 1 | | 8 | 6 | | | | |
| | | 2 | | 4 | | 7 | | |
| | | | | 7 | 2 | | 8 | 9 |
| | 9 | 8 | | | | 3 | | |
| | 3 | | | | 6 | | 7 | 1 |
| | | | 3 | | 1 | 5 | | |

## №3 (485) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

თემა №3(485) – ქართველები რუსულ შოუბიზნესში

**რუსული შოუბიზნესის ქართველ წარმომადგენელთაგან ვინ იმსახურებს თქვენს კეთილგანწყობას ყველაზე მეტად** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს — 8 და ა.შ. 1-მდე.

**№3(485) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ირაკლი ფირცხალავა | |
| 2 | დიანა ღურწკაია | |
| 3 | სოსო პავლიაშვილი | |
| 4 | ქეთა თოფურია | |
| 5 | ვალერი მელაძე | |
| 6 | ნუცა შანშიაშვილი | |
| 7 | თამარ გვერდწითელი | |
| 8 | თიკა კანდელაკი | |
| 9 | დათო ხუჯაძე | |

### მკითხველის შეკითხვა

ორი წლის წინ — 2004 წლის 4 იანვარს მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ გამოუცხადა ნდობა. დღეს რომ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდეს, ვის მისცემდით ხმას?

✓ ________________

### მკითხველის პრემია

! გთხოვთ, აუცილებლად დაასახელოთ როგორც საუკეთესო, ისე სუსტი სტატიები. ეს თქვენს გაზეთს წაადგება

დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ________________

დაასახელეთ ნომრის შედარებით სუსტი ჟურნალისტური ნამუშევარი

✓ ________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ. გთხოვთ. დამატებით კითხვასა და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

# 100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

✻ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის შეკითხვასა და «მკითხველის პრემიაში»

№3(485) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი **რაიონებში** განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ **ოთხშაბათის, 18 იანვრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 19 იანვრის 13 საათამდე**.

©თბილისი

**ყურადღება! რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ ისინი და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში. როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.**

## №2 (484) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგის თემას — „ფული“ — 527 მკითხველი გამოეხმაურა. მხოლოდ ერთი ბარათი იყო არასწორად შევსებული. 214-მა ქალმა და 312-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ერთი მილიონი დოლარი რომ გქონდეთ დასახარჯად, რაში გამოიყენებდით ყველაზე მეტ ფულს?“**

როგორც მოსალოდნელი იყო, რესპონდენტთა უმრავლესობა — 35% ფულის ყველაზე დიდი ნაწილით უძრავ ქონებას შეიძენდა. **6.42** საშუალო ქულით — „სახლი, აგარაკი“ პირველ ადგილზეა. მხოლოდ ხუთმა რესპონდენტმა (1%) დაუწერა მას 1 ქულა.

შემდეგი პრიორიტეტი „განათლებაა“ საშუალო ქულით 5.78. რესპონდენტთა 23% ყველაზე დიდ ფულს სწორედ განათლებაში „ჩადებდა“.

მონაწილეთა 26%-ს კი ერთი მილიონი დოლარი რომ ჰქონდეს, ყველაზე სოლიდურ თანხას ქველმოქმედებას მოახმარდა. მიუხედავად იმისა, რომ „ქველმოქმედება“ 5.46 საშუალო ქულით მესამე ადგილზეა, მაქსიმალური ქულების რაოდენობით მეორეზეა და წინ უსწრებს „განათლებას“.

რესპონდენტთა 13% მოგზაურობის მოტრფიალე ყოფილა, ისინი ყველაზე მეტ ფულს სწორედ მოგზაურობაში დახარჯავდნენ.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, ძვირფას ნივთებსა და სამკაულებში ყველაზე მცირე თანხას გაიმეტებდნენ ქართველები. თუმცა, ყველაზე მეტი რაოდენობის მინიმალური ქულა „დროს ტარებამ“ დაიმსახურა — 40%-მა შეაფასა იგი მინიმალური — 1 ქულით.




საპრიზოს ზუსტად ორი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები: 39 წლის **ზაზა ბენიძე** და 50 წლის **მერაბ ჩუგუაშვილი**.

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს ვულოცავთ და პრიზების მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 18 იანვარს, 17 საათზე.

**ყურადღება! „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს!**

## სიახლე მკითხველის პრემიაში

ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში, ნომრის რომელი ჟურნალისტური ნამუშევარი მოგეწონათ და არ მოგეწონათ ყველაზე მეტად. საუკეთესოდ დასახელებულ ნაშრომს თქვენგან ემატება ერთი ქულა, ხოლო იმ ნაშრომს, რომელიც ყველაზე მეტად არ მოგეწონათ, შესაბამისად აკლდება ერთი ქულა. იმ მასალის ავტორს, რომელიც საბოლოოდ ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 30 ლარს გადასცემს, II ადგილზე გასულ ჟურნალისტს გადაეცემა 25 ლარი, III ადგილის მფლობელი კი მიიღებს პრემიას — 20 ლარს.

გამარჯვებულ ჟურნალისტთა ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

### წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1. **ეკა ლომიძე** — „გურული „პრინცები“ — 68 ხმა
2. **ვაჟა გავაშელი** — „საახალწლო მივლინება“ — 60
3. **ინგა ჯაყელი** — „ახალი წლის ანგელოზი“ — 31

4-5. ხათუნა პაიჭაძე — „ამისთანა არაფერი მსმენია“ — 11

4-5. ლელა ჯიყაშვილი — „ვისაც საქართველოსთვის ბრძოლა ჩემზე მეტად შეუძლია, იმათ ვენაცვალე მარჯვენაში“ — 11

***„მკითხველის პრემიის“ მფლობელები 309 რესპონდენტმა გამოავლინა***

*„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, ავრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხონი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხობი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

*„კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.*

### ③ უფასო განცხადების ქვითარი

სიტყვა და საქმე

განცხადების ტექსტი ________________

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№3 ქვითარი თბილისში „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 19 იანვრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

### დამატებითი კითხვის შედეგები

**კითხვა: ხუთბალიანი შეფასების სისტემით რა ნიშნით შეაფასებთ ხელისუფლების მუშაობას 2005 წლის განმავლობაში?**




*დამატებით კითხვას 455-მა რესპონდენტმა უპასუხა*

## ცნობილთა აზრით:



**თეონა თავართქილაძე**: — ხელისუფლების მუშაობას საშუალო ნიშნით — 3 ქულით შევაფასებდი. დაუნახავი ნამდვილად არ ვარ და ვერ ვიტყვი, რომ არაფერი გაკეთებულა სასიკეთო ქვეყანაში. თუმცა ასეთი გზით მოსული ხელისუფლების გაცილებით დიდი მოლოდინი მქონდა. ვფიქრობ, რომ დანაპირები გაცილებით მეტი იყო, ვიდრე შესრულებული საქმეა.



**ალეკო თეთრაშვილი**: — ხუთბალიანი სისტემით თვით განვითარებული ქვეყნების შეფასებაც არ იქნება ყოველთვის მართებული. მით უმეტეს, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ხელისუფლების მიერ გაწეული საქმიანობა. მცდელობებისთვის კი 4 ქულა დანამდვილებით ეკუთვნით, მიუხედავად იმისა, რომ საქმე ხან გამოდის, ხანაც არა. ფაქტია, ხელისუფლება მონდომებულია, რათა სასიკეთოდ შეიცვალოს ქვეყანაში ხალხის მდგომარეობა. ეს მცდელობა კი დანამდვილებით იმსახურებს დაფასებას.



**დიმიტრი ოზოლაძე**: — ქვეყნის მასშტაბით გაწეული საქმიანობისთვის უფრო 3 ქულას დავუწერდი. ჩემი აზრით, ბევრად მეტის გაკეთება შეიძლებოდა, მოლოდინიც დიდი გვქონდა. ასე არ არის?

რაც შეეხება ჩემს დარგს — სპორტს, აქ უდაოდ 5 ქულას იმსახურებენ. ბოლოდროინდელმა მოვლენებმაც ნათლად დამარწმუნა იმაში, რომ ხელისუფლება სერიოზულად უდგება სპორტის აღორძინების პრობლემას საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «განაწყენებული კაცის პოზიციიდან არ ვლაპარაკობ»

— რატომ აღარ ჩანს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში მსახიობი ნიკო გომელაური. ამბობენ, სამსახურიდან დაითხოვეს და განაწყენებულიაო. მართალია თუ არა ეს, და თუ ასეა, ამჟამად რას საქმიანობს?

*თიკა ბერძენიშვილი*



კითხვას უპასუხებს **ნიკო გომელაური**, მსახიობი:

— როდესაც პირს შრომითი კონტრაქტის ვადა ეწურება, მასთან კონტრაქტს აგრძელებენ ან წყვეტენ, ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა. პროექტი დასრულდა. ახალი წინადადებებით ჯერ არ მოუმართავთ. იყო ლაპარაკი „ვაკაჭი-ნიუსზე“, თუმც მე აღარ ვისურვე მასში მუშაობა.

ახალი პროექტი მოფიქრებული მქონდა (ამას განაწყენებული კაცის პოზიციიდან ნამდვილად არ ვამბობ), თუმცა, როგორც ჩანს, ტელეარხს თავისი ფავორიტები ჰყავს და თავისი ინტერესები აქვს. ტელევიზიის სახით დამატებითი შემოსავლის წყარო ნამდვილად აღარ მაქვს, თუმცა დამეთანხმებით, „პანელზე“ გასვლაც ვილაცისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროა, მაგრამ ამას ყველა ხომ არ იკადრებს. არსებობს ისეთი რამ, რასაც არაფრით არ იკადრებ კაცი მხოლოდ იმიტომ, რომ შენს ხასიათსა და სურვილს არ ემთხვევა. ვიმეორებ, პროექტის დასრულების შემდეგ ტელეარხს ჩემთვის მისაღები და საინტერესო წინადადებით არ მოუმართავს.

# ვინ წარგვადგენს ზამთრის ოლიმპიადაზე

როგორც ცნობილია, 2006 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშები გაიმართება იტალიაში, ქალაქ ტურინში. სპორტის რომელ სახეობაში მიიღებენ მონაწილეობას ქართველი სპორტსმენები?

*მაია გორდელაძე*

კითხვას უპასუხებს **მალხაზ უდესიანი**, სპორტის დეპარტამენტის მასობრივი სპორტის სამმართველოს უფროსი:



— ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის ქართველებმა ოთხი ლიცენზია მოვიპოვეთ. აქედან ორი სამთო-სათხილამურო სახეობაში. შესაბამისად, ზამთრის ოლიმპიადაზე საქართველოს ამ სახეობაში სოფო ახმეტელი და იასონ აბრამიშვილი წარადგენენ. ორი ლიცენზიაც ფიგურულ სრიალში ვახტანგ მურმანიძემ და ელენე გედევანიშვილმა მოიპოვეს.

წინასწარი პროგნოზით, საპრიზო ადგილებს არ უნდა ველოდოთ. მართალია, სოფო ახმეტელზე დიდ იმედს ვამყარებდით, მაგრამ მან მუხლის ტრავმა მიიღო, ორიოდე კვირის წინ ოპერაცია გაიკეთა. ოლიმპიადამდე ივარჯიშებს, მაგრამ იმ ფორმაში ნამდვილად ვერ იქნება, რაც საჭიროა. იასონ აბრამიშვილი კი სულ 17 წლის არის, ეს ოლიმპიური თამაშები მისთვის გამოცდილების მისაღები ღონისძიება უფრო იქნება. რაც შეეხება ფიგურული სრიალის ოსტატებს, მათ რუსეთისა და კანადის სპორტსმენებთან გამკლავება, ალბათ, გაუჭირდებათ. ასე რომ, მოგების სურვილი დიდი გვაქვს, თუმცა შანსი ნაკლები.

## სიტყვათა კონა

**მეჭურჭლეთუხუცესი** (ისტ.) — ერთ-ერთი დიდი მოხელეთაგანი ძველ საქართველოში — სახელმწიფო საჭურჭლის (სალაროს, საგანძურის) მთავარი გამგე.

**მეხეური** — გარეული (ტყის) ფუტკრის მომშენებელი.

**მეხრე** — ხარების გამრეკავი.

**მეჯღანე** — ჯღანების, ძველი ფეხსაცმელების დამკერებელი, შემკეთებელი.

**მზაკვარი** — ცბიერი, ფლიდი, ვერაგი.

**მზებნელი** — ვინც მზის სინათლეს ვერ ხედავს. უსინათლო.

**მზებუდობა** — ზაფხულის მზებუდობა — წლის დრო, როდესაც ყველაზე გრძელი დღეა და ყველაზე მოკლე ღამე. ზამთრის მზებუდობა — როდესაც ყველაზე მოკლე დღეა და ყველაზე გრძელი ღამე.

**მზექალი** — იტყვიან ძალიან ლამაზ ქალზე.

**მზეწვია** — პატარა ფრინველი წყალწყალების ოჯახისა, ცხოვრობს წყალსატევების მიდამოებში.

**მზვარე** — მზიანი, უჩრდილო ადგილი.

**მზირი** (ძვ.) — მზვერავი, მოთვალთვალე, ჯაშუში.

**მზისყური** — მზიანი კუნჭული, მყუდრო ადგილი.

**მზრალი** — შემოდგომას მოხნული გაზაფხულზე დასათესად.

**მთავარმართებელი** — იგივეა, რაც მეფისნაცვალი.

**მთიები** — 1. (ძვ.) ცისკრის ვარსკვლავი; 2. (პოეტ.) ვარსკვლავი საერთოდ.

# პატრიოტთა ბანაკებში ლიდერების ადგილი ვაკანტურია...

— რომელ ორგანიზაციაში უნდა შეიტანოს განცხადება პატრიოტულ ბანაკში ლიდერის ადგილზე სამუშაოს მსურველმა ახალგაზრდამ, არის თუ არა ვაკანსიები?

*ნატა თხილაიშვილი*

კითხვას უპასუხებს **ლადო ვარძელაშვილი**, საქართველოს ძეგლთა დაცვის, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე:



— მომავალ წელს პატრიოტული ბანაკების რიცხვი გაორმაგდება, გაიზრდება ბანაკების ლიდერთა რაოდენობაც. შესაბამისად, ვაკანტური ადგილებიც გვაქვს. თუ 2005 წელს 13 კაცი იყო ლიდერი, 2006 წელს 20-22 იქნება. ლიდერები მომზადება-გადამზადებას გადიან სემინარების სახით. ახალგაზრდებმა უნდა მიმართონ ახალგაზრდობის დეპარტამენტს განცხადებით, გაივლიან სემინარებს და მხოლოდ ამის შემდეგ შეირჩევიან ის ახალგაზრდები, ვისაც ტესტირების გავლის უფლებას მივცემთ.

პატრიოტთა ბანაკის ლიდერთა ადგილები დამაკმაყოფილებელი შედეგის მქონეთა რიცხვიდან შეივსება. ყველა ლიდერთან გაფორმდება ხელშეკრულება და ანაზღაურებაც ინდივიდუალური იქნება. დიფერენციაცია გამოწვეულია ბანაკების სახეობათა მრავალფეროვნებით.

ახალგაზრდობის დეპარტამენტი ნებისმიერი მსურველის განცხადებას განიხილავს.

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...

# თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!

## „კვირის პალიტრა“ თქვენი დახმარებით გახდება უფრო უკეთესი და საინტერესო

ძვირფასო მკითხველო! აქამდეც ბევრჯერ გვითქვამს, რომ თქვენ ხართ ჩვენი გაზეთის მთავარი შემოქმედიც და შემფასებელიც. „კვირის პალიტრას“ სწორედ თქვენ ქმნით, თქვენი უშუალო დახმარებით იზრდება იგი დღითი დღე, თქვენი მეშვეობით იბადება ახალ-ახალი რუბრიკები, თემები...

თუ გსურთ, რომ „კვირის პალიტრამ“ თქვენი მოლოდინი ისევ გაამართლოს, ნუ დაიზარებთ, შეავსეთ ტრადიციული კითხვარი, დააფიქსირეთ თქვენი აზრი, შენიშვნები... გამოგვიგზავნეთ ანკეტა „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების საშუალებით.

**1. სქესი**
- ☐ ქალი
- ☐ კაცი

**2. ასაკი**
- ☐ 18 წლამდე
- ☐ 18-24
- ☐ 25-34
- ☐ 35-44
- ☐ 45-54
- ☐ 55-64
- ☐ 65 წელზე მეტი

**3. განათლება**
- ☐ არასრული საშუალო
- ☐ საშუალო
- ☐ არასრული უმაღლესი
- ☐ უმაღლესი
- ☐ სამეცნიერო ხარისხი

**4. თქვენი ძირითადი სამუშაო, საქმიანობა**
- ☐ ხელმძღვანელი, მენეჯერი
- ☐ მოსამსახურე
- ☐ მუშა
- ☐ სტუდენტი, ასპირანტი
- ☐ მოსწავლე
- ☐ თვითდასაქმებული
- ☐ დროებით უმუშევარი
- ☐ დიასახლისი
- ☐ პენსიონერი

**5. რომელ სფეროში მუშაობთ?**
- ☐ სახელმწიფო
- ☐ კერძო
- ☐ არასამთავრობო ორგანიზაცია

სხვა ____________

**6. რამდენ ლარს შეადგენს თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი?**
- ☐ 70 ლარამდე
- ☐ 70-200
- ☐ 200-800
- ☐ 800-1500
- ☐ 1500-ზე მეტი

**7. რამდენი ხანია, რაც კითხულობთ „კვირის პალიტრას“?**
- ☐ 1-6 თვე
- ☐ 6-12 თვე
- ☐ 1-3 წელი
- ☐ 3-7 წელი
- ☐ 7 წელზე მეტი

**8. რა სიხშირით კითხულობთ „კვირის პალიტრას“?**
- ☐ ყოველ ნომერს
- ☐ ხშირად
- ☐ ხანდახან
- ☐ იშვიათად

**9. არსებობს თუ არა რაიმე შემაფერხებელი ფაქტორი, რაც ხელს გიშლით „კვირის პალიტრის“ რეგულარულად შეძენაში?**
- ☐ ფასი
- ☐ დროის უქონლობა
- ☐ ხანდახან არ არის გაყიდვაში
- ☐ ხანდახან უინტერესოა

სხვა ____________
- ☐ არ არსებობს ასეთი ფაქტორი

**10. „კვირის პალიტრის“ გარდა რომელ ყოველკვირეულ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობთ სისტემატურად?**
*(დაასახელეთ მაქსიმუმ სამი)*

1. ____________
2. ____________
3. ____________

**11. რამდენად ხშირად კითხულობთ მეათე კითხვაში თქვენ მიერ I რიგში დასახელებულ გამოცემას?**
- ☐ ყოველ ნომერს
- ☐ ხშირად
- ☐ ხანდახან
- ☐ იშვიათად

**12. პირველ რიგში რას კითხულობთ „კვირის პალიტრაში“?**
*(აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი)*
- ☐ მიყოლებით ყველაფერს
- ☐ მხოლოდ საყვარელ რუბრიკას
- ☐ საყვარელი ავტორის სტატიას
- ☐ მასალას, რომლითაც გარეკანზე მოთავსებულმა ანონსმა დამაინტერესათ

სხვა ____________

**13. გთხოვთ შეაფასოთ აქ ჩამოთვლილი ყველა რუბრიკა და თემა, აღნიშნეთ, რომელ მათგანს ეცნობით ყოველთვის, ხშირად, იშვიათად და არასდროს**

| რუბრიკა | ვკითხულობ ყოველთვის | ვკითხულობ ხშირად | ვკითხულობ იშვიათად | არასდროს ვკითხულობ |
|---|---|---|---|---|
| 1. კვირიდან კვირამდე | | | | |
| 2. კვირის თემა | | | | |
| 3. დედათბილისი | | | | |
| 4. სამხედრო თემაზე | | | | |
| 5. პოლიტიკა | | | | |
| 6. ვერსია | | | | |
| 7. რას გვეტყვი, მამაო | | | | |
| 8 ვინც გვყავდა | | | | |
| 9. რას წერენ ჩვენზე | | | | |
| 10. უბრალოდ ფრაზა (ლიტერატურა) | | | | |
| 11. საბალღო-სალაღო | | | | |
| 12. 13-დან 19-მდე | | | | |
| 13. ანიდან ჰოემდე | | | | |
| 14. ამბავნარი | | | | |
| 15. თქვენთვის, ქალბატონებო (ბატონებო) | | | | |
| 16. საზღვარგარეთის ქვეყნები | | | | |
| 17. ეკონომიკა | | | | |
| 18. მედიცინა | | | | |
| 19. შეჩერებული წამი (ფოტოგვერდი) | | | | |
| 20. სა-დღე-გრძელოდ! | | | | |
| 21. ფოტოპალიტრა | | | | |
| 22. წისქვილმა კი ფქვასო... | | | | |
| 23. წარმატებებს გისურვებთ! | | | | |
| 24. გზები, რომლებიც ვერ გვაშორებენ | | | | |
| 25. სპორტი | | | | |
| 26. კროსვორდები | | | | |
| 27. განცხადებები | | | | |
| 28. რეკლამები | | | | |
| 29. სხვა ____________ | | | | |

**14. თქვენი აზრით, რა აკლია „კვირის პალიტრას“, რა სიახლეს შემოგვთავაზებდით?**

____________

____________

**15. მიუთითეთ თქვენი საცხოვრებელი ქალაქი, რაიონი (სოფელი)** ____________

წინასწარ გიხდით მადლობას!

☒ შესაბამისი უჯრა ასე გადახაზეთ (ყუთების ადგილმდებარეობის შესახებ იხ. 36-ე გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოპტიმისტები ვიყოთ და ხელფეხშეკრულებმა მაინც „გავცუროთ“



— რატომ გავცურე ხელფეხშეკრულმა? ალბათ იმიტომ, რომ რეალურად ხელფეხშეკრული ვიყავი მაშინაც და ფაქტობრივად, ახლაც. ვარ სახელმწიფო სპეცკავშირებისა და ინფორმაციის სააგენტოს სიტუაციური ცენტრის კოორდინაციის განყოფილების უფროსი, პირველი კლასის სახელმწიფო მრჩეველი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროფესორი, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი, მსოფლიო რეკორდსმენი... მაგრამ მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკმარისი არ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ცხოვრების ელემენტარული პირობები მქონდეს — თავიდან ბოლომდე ხელფეხშეკრული ვარ... ერთადერთი, ინგლისური არ ვიცი კარგად. ახლა მე და ჯუმბერ ლეჟავა ინგლისურის კურსებზეც შევედით. ვხედავთ, რომ ჩვენი მიღწევები ამქვეყნად საკმარისი არ არის, ამიტომ გადავწყვიტეთ, იმ ქვეყნისთვის მოვემზადოთ, ალბათ ინგლისური იქ გამოგვადგება... — **ჰენრი კუპრაშვილის** ამ „ნახევრად ხუმრობით“ ნათქვამში მკითხველი ალბათ უთუოდ დაინახავს სიმართლის მარცვალს.

— **ბატონო ჰენრი, როგორც ვიცი, ხელფეხშეკრული ცურვის შესახებ პირველად თქვენი ბაბუის ნაამბობიდან შეიტყვეთ...**

— კოლხეთში, უმშვენიერეს მეგრულ სოფელ ერგეტაში ბავშვობისას ბაბუაჩემმა ლევან ქურსუამ მიამბო ლეგენდა, რომლის გმირებიც — უძველესი დროის კოლხი და იბერიელი მეომრები — ხელფეხშეკრული ცურავდნენ. ასე ცურვა, ერთი შეხედვით, შეიძლება ახირებადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში ორ მიზანს ემყარება. პირველი — მეომრის ფსიქოლოგიური მომზადება და მებრძოლი სულის გაძლიერებაა. ადამიანი თუ წყლის სტიქიისადმი ბუნებრივ შიშს ხელფეხშეკრული დაძლევს, ცხადია, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ყოველგვარ წინააღმდეგობას ადვილად გადალახავს. მეორე — ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში, მეომარს თუ შანსი მიეცემოდა (მაგალითად, გემიდან წყალში აღმოჩნდებოდა...), ხელფეხშეკრულიც დააღწევდა თავს. ქართული ლეგენდებისა და მითების წიაღში მრავალი მარგალიტია გაბნეული. ხელფეხშეკრული ცურვის სახეობის აღდგენით ერთ-ერთი ასეთი ლეგენდის ცხოვრებაში გადმოტანა და პოპულარიზაცია განვიზრახე. განსაკუთრებით კი ლაზურის (კოლხურის), რომელსაც სპორტული ცურვის სახეობად ჩამოყალიბების დიდი პერსპექტივა გააჩნია და შეიძლება კროლის, ბრასისა და ბატერფლაის გვერდითაც დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი. ლაზური თავისი ტექნიკით ძალიან ჰგავს დელფინის, ვეშაპისა და ზღვის სხვა ძუძუმწოვართა მოძრაობას. ეს ცურვა ალბათ მათი წაბაძვით შეიქმნა და ძალიან ლამაზია, მხოლოდ წელი და ტანი მოძრაობს, კიდურები კი ამ მოძრაობას მიჰყვება.

— **როგორც ვიცი, ცურვის ამ სახეობის მსურველთა რიცხვი თანდათან იზრდება...**

— დიახ, ეს სახეობა „ლაგუნა ვერეს“ სასწავლო პროგრამაში უკვე ოფიციალურად შეიტანეს. ეს უშუალოდ სპორტკომპლექსის დირექტორის, ვოვა გოიაშვილის დამსახურებაა, რადგან ცურვის ქართული სახეობების დამკვიდრებას პროფესიონალი მწვრთნელები დღესდღეობით მაინც ეწინააღმდეგებიან. ისინი ალბათ სტერეოტიპებით ხელმძღვანელობენ. მიუხედავად ამისა, მაინც დაიწყო პროფესიონალ მოცურავეთა მომზადების პროცესი. პირველი მწვრთნელი, ვინც ეს გააკეთა, გერმანული წარმოშობის დიმიტრი დიკია. დაკვირვებამ აჩვენა, რომ ქართული ცურვა კუნთების სხვაგვარ სისტემას ავითარებს და სხეულს უფრო მოქნილს ხდის. ამიტომ ქართულ ცურვას ნაზიარევი ბავშვი ბევრად უკეთეს შედეგებს აღწევს სპორტის კლასიკურ სახეობებში. დიმიტრი დიკი და ვოვა გოიაშვილი ფიქრობენ, რომ ამან შეიძლება ქართველ მოცურავეებს მსოფლიო ასპარეზზე წარმატებებიც მოუტანოს.

გამოჩნდა, ლა-მანშს ერთად „დავიპყრობთ“. ბევრს დღემდე არ აქვს გაცნობიერებული, რა განძის პატრონი ვართ. „ლაზურს“ თუ ცურვის კლასიკური სახეობების გვერდით დავაყენებთ, მსოფლიო სპორტს ცურვის ულამაზეს სახეობას მივცემთ. გულშემატკივარი მეცენატი კი ამ სახეობის პოპულარიზაციაში დაგვეხმარებოდა. ახლა ლაზურის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე დამუშავებაა საჭირო, რასაც ჰიდრომექანიკოსი სჭირდება (რომელიც ცურვისას სხეულის მოძრაობას სწავლობს), მაგრამ ამ დარგის მიკროსპეციალისტები საქართველოში არ არიან. მათი რუსეთიდან ან გერმანიიდან ჩამოყვანა, ან იქ წასვლაა საჭირო. ინგლისურ ენაზე ცურვა „ლაზურის“ შემსწავლელი წიგნის შექმნის შემდეგ ველარავინ შემოგვედავება. ვებ-გვერდის საშუალებით უამრავი ცურვის მოყვარული მიკავშირდება, რომლებიც ლაზურის შესწავლის პროგრამას, მეთოდიკას ითხოვენ...

— **რატომ გადაწყვიტეთ ლა-მანშის ბავშვებთან ერთად გადაცურვა?**

— თურქებმა ბოსფორის გადაცურვა იმ მიზეზით შემაწყვეტინეს, სიცოცხლისთვის საშიშიაო. ამ დროს 12 კმ-იანი დარდანელის სრუტე ექსტრემალურ სიტუაციაში გავცურე. ამით თურქებს მინდა დავუმტკიცო, რომ ცურვის ამ სახეობაში არანაირი საშიშროება არ არის და ამას 7-10 წლის ბავშვებთან ერთად გავაკეთებ.

— **მაინც რა მოხდა, რატომ შეგაწყვეტინეს თურქებმა ცურვა?**



— როდესაც განვაცხადეთ, რომ ლაზურ-კოლხური სტილით უნდა გამეცურა, იქაურმა ლაზებმა გვითხრეს, რომ ლაზურის ხსენების გამო, თურქები ამ გადაცურვას ჩაშლიდნენ. ისინი ლაზების თვითგამორკვევის მცდელობასაც კი ერიდებიან. თურქები ნაციონალისტები არიანო. გამეცინა, არ იქნება ეს მართალი-მეთქი, მაგრამ ფაქტია, რომ ჩაიშალა. საგულშემატკივროდ 32 ჩოხოსანი გამომყვა. ჩოხებში გამოწყობილებმა სტარტზე ისეთი სიმღერა გააჩაღეს, რომ სტამბოლს ცა ახადეს. შეიძლება თურქები ამანაც გაალიზიანა...

— **რატომ გაგიჩნდათ პირველად ხელფეხშეკრული ცურვის სურვილი?**

— 90-იან წლებში, როდესაც საქართველოში ძალზე დამთრგუნველი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება იყო, ქართველები თითქოს ხელფეხშეკრული აღმოვჩნდით. მაშინ ამოტივტივდა ჩემს მეხსიერებაში ბავშვობაში ბაბუის ნაამბობი და ვარჯიშიც დავიწყე. პირველი გაცურვა 2001 წლის 28 იანვარს განხორციელდა. მაშინ ტელეკომპანია სი-ენ-ენმა ეს ამბავი 8-ჯერ გააშუქა ეთერში.

— **მაშინ სი-ენ-ენმა „ადამიანი-დელფინი“ შეგარქვათ და თქვენი მიღწევა მსოფლიო რეკორდად შეაფასა.**

— შემდეგ დარდანელის სრუტე იყო, რომელიც 3 საათსა და 15 წუთში დავფარე. ახლა ლა-მანშის გადაცურვაც მინდა, მაგრამ სპონსორი ჯერჯერობით არ გამოჩნდა. ამჟამად 15 ბავშვს ვავარჯიშებ. თუ გაგვიმართლა და სპონსორი

— **რას ელით ახალი წლისგან?**

— რაც უნდა შემბოჭონ და შემკრან, მაინც ოპტიმისტი ვარ. ახალ წელსაც დიდი იმედებით შევხვდი. „კვირის პალიტრას“ და მის მკითხველს ვუსურვებ ყოველთვის ოპტიმისტებად დარჩნენ, რწმენა არ დაკარგონ და ხელფეხშეკრულობის მიუხედავად, მაინც „გაცურონ“.

*თამარ სუჯაშვილი*

კომერციული და საოფისე ფართები "ახალ ბაგებში"



არსი
ARCI

| კვ.მ | ძველი ფასი | ახალი ფასი |
|---|---|---|
| 165 | 971 | 500 |
| 40 | 658 | 420 |
| 145 | 1102 | 800 |
| 114 | 753 | 500 |
| 60 | 552 | 400 |

საახალწლო ფასდაკლება
მხოლოდ 31 იანვრამდე
25 14 59; 25 14 60
(899) 94 02 57
თენგიზ აბულაძის №21
www.arci.ge

დებიუტი

# „მინდა, ჩემი სიტყვა ვთქვა ქართული რაგბის ისტორიაში“



2006 ქართველი მორაგბეებისთვის უმნიშვნელოვანესი წელია — „ბორჯღალოსნებს“ მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის კარგი შანსი აქვთ და რაც მთავარია, ღირსეული შემცვლელებიც ეზრდებიან. საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატი მოიგო. მათზე პატარებსაც იგივე „ტემპი“ აქვთ აღებული. თუმცა, 19-წლამდელთა ნაკრებმა ჯერ A ჯგუფში უნდა აინაცვლოს და თუ ნაკრების წევრს, **შოთა ცხოვრებაშვილს** ვერწმუნებით, ეს სულ მალე, დუბაის მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა მოხდეს. შოთა ჯერ 18 წლის არის, თუმცა ამ ასაკში უკვე სამჯერ მოასწრო ქვეყნის ჩემპიონობა და ცოტა ხნის წინ, „ლელოსთან“ ერთად საქართველოს თასი მეორედ მოიგო.

— ოთხი წელი ვცეკვავდი, მაგრამ წონაში მოვიმატე და თავი დავანებე. მშობლებმა რაგბიზე მიმიყვანეს — ვაჟკაცური სპორტია, ჯანმრთელობასაც გაიკაჟებს და არც ქუჩაში აქეთ-იქით „ხეტიალს“ მოჰყვებაო. მოკლედ, რაგბიში ვარჯიში დავიწყე და ასე შემოვრჩი სპორტის ამ სახეობას.

— **ნიჭი რომ არ გქონოდა, ბუნებრივია, გუნდში არავინ გაგაჩერებდა...**

— ალბათ. ხუთი წელი „აკადემიაში“ ვითამაშე, მას შემდეგ კი „ლელოში“ ვარ. ჭაბუკთა ლიგაში სამჯერ ჩემპიონობა მოვიგეთ, ბოლო მიღწევა კი საქართველოს თასია, რომლის ფინალშიც უნივერსიტეტის გუნდი 34:29 დავამარცხეთ. უკვე ერთი წელია, უმაღლეს ლიგაში ვთამაშობ მეორე ნომრად შერკინების პირველ ხაზში.

— **19-წლამდელთა ნაკრებზე რას იტყვი, მსოფლიო ჩემპიონატზე შენც მიდიხარ?**

— ნაკრები წვრთნას ახლა გადის. 35 მორაგბე ვემზადებით, საბოლოო ჯამში კი დუბაიში 26 გაემგზავრება. მსოფლიო ჩემპიონატი საამიროს დედაქალაქში 4-დან 25 აპრილამდე გაიმართება. ნაკრების ძირითად ბირთვს ისევ ის მოთამაშეები შევადგენთ, შარშან ევროპის პირველობაზე მე-5 ადგილი რომ ავიღეთ. ახლა უფრო სერიოზული მისია გვაქვს — ჯგუფიდან ზედა დივიზიონში ანაცვლება უნდა მოვახერხოთ. ჩვენი მეტოქეები ქვეჯგუფში ტონგელები, კორეელები და ნამიბიელები იქნებიან და ამათ ვერ უნდა ვაჯობოთ?

ხუმრობა იქით იყოს და პირველობის შანსი მართლა კარგი გვაქვს. 19-წლამდელთა ნაკრებში ჩინებული თაობაა თავშეყრილი, ჩვენზე უმცროსებშიც მაგარი ბიჭები მოდიან.

— **ესე იგი, ეროვნული ნაკრების თავკაცებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ — „ბორჯღალოსნებს“ ღირსეული შემცვლელები ჰყავთ...**

— ნამდვილად ასეა. 1987-88 წლებში დაბადებულ მორაგბეებში ძალიან ბევრი ნიჭიერი ჭაბუკია და ჩვენს სიტყვას აუცილებლად ვიტყვით.

— **გეტყობა, ეროვნულ ნაკრებში თამაშზეც არ იტყოდი უარს.**

— თუ მიმიწვევენ, ხვალვე წავალ, მაგრამ (იცინის)... სერიოზულად რომ ვთქვათ, ორი წელი მაინც მჭირდება, მთავარ ნაკრებში თამაში რომ შევძლო. ეს დრო რომ გავა, სურვილიც მეტი მექნება და იმედი მაქვს, ეროვნულ გუნდში მიწვევის ღირსადაც ჩამთვლიან.

— **ახლა, ყველა სფეროში ვიღაცის მიბაძვაა „მოდაში“. თუ არის ისეთი მორაგბე, რომლისნაირად თამაშის სურვილიც გაქვს?**

— რა გითხრათ, თავადაც შერკინების პირველ ხაზში ვთამაშობ და ძალიან მომწონს ავქსენტი გიორგაძის თამაში. ჩინებული მორაგბეა მამუკა გორგოძეც... საერთოდ კი, მინდა, ჩემი სიტყვა ვთქვა ქართული რაგბის ისტორიაში...

*რატი შელეგია*

# „გოლიათების მკვლელი“

## ექსკლუზიური ინტერვიუ კოკაისთან



ასე დასცა ქართველმა კოკაიმ უძლეველი მონღოლი ასაშორიუ

ტოკიოს ბაშოზე, ანუ სუპერტურნირზე შესანიშნავად მოასპარეზე ქართველმა სუმოისტმა **ლევან ცაგურიამ** (კოკაიმ, რაც ქართულად „შავ ზღვას“ ნიშნავს) შაბათს მორიგი მეტოქე მოისროლა დოჰიოს (სუმოს მოედნის) მიღმა. იანვრის ბაშოზე კოკაიმ შვიდიდან ოთხი ბრძოლა მოიგო. თანაც ვისთან — „მძლეთამძლე“ ჩემპიონ ასაშორიუს ორი უძლიერესი სუმოისტიც მიაყოლა და იაპონელი ჟურნალისტების მიერ „გოლიათების მკვლელად“ მოინათლა. ქართველი ფალავანი მეექვსე წელია იაპონიაში ცხოვრობს. ამომავალი მზის ქვეყანაში უკვე მოიხვეჭა სახელი და იქაური ცხოვრების სტილსაც მიეჩვია. ეგ კი არა, ლევან ცაგურიას საახალწლოდ საცივის და ღომის მომზადებაც მოუხერხებია. კოკაის იაპონიაში მაშინ შევეხმიანეთ, როცა მორიგი მეტოქე — ჰაკუროძანი რამდენიმე წუთის დამარცხებული ჰყავდა.

— ამ ეტაპისთვის დადებითი ბალანსი მაქვს. ყოველდღიურად თითო ბრძოლას ვატარებთ და ოთხი მეტოქის დამარცხება მოვახერხე. უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ.

**— ტოკიოს ბაშოს მთავარი მოვლენა შენთვის ის იყო, რომ იოკოძუნა ასაშორიუს დამარცხება მესამედ მოახერხე...**

— ასაშორიუს დამარცხება ოფიციალურ ტურნირებზე ორჯერ შევძელი, ერთხელ კი კომერციულ შეჯიბრებაზე მოვუგე. ჩინებულ ფორმაში ვარ, ასაშორიუსთან საბრძოლო განწყობით გავედი, დარწმუნებული ვიყავი, რომ დავამარცხებდი და ისე ვიჭიდავე, როგორც ჩაფიქრებული მქონდა. გამარჯვებით მე ხომ გავიხარე, მაყურებელშიც დიდი აჟიოტაჟი გამოვიწვიე — გულშემატკივრებმა ბალიშების სროლა დაიწყეს და მამხნევებდნენ — ასე გააგრძელე, კოკაი, უძლიერესი ხარო...

**— ამას ორი ოძეკის — კაიოს და კოტოოშუს დამარცხება მოჰყვა, რის მერეც იაპონურ გაზეთებში „გოლიათების მკვლელი“ შეგარქვეს...**

— „გოლიათების მკვლელისა“ რა მოგახსენოთ, მაგრამ უძლიერესი მოჭიდავეების წინააღმდეგ ყოველთვის მეტი მონდომებით გავდივარ საბრძოლველად.

**— ისე, გასაკვირი კია — ჩემპიონებს უგებ და გაცილებით სუსტ მეტოქეებთან მარცხდები ხოლმე...**

— როდესაც ძლიერ მოწინააღმდეგეს ხვდები, დარწმუნებული ხარ, რომ ის „სუფთად“ გეჭიდავება, არც გვერდზე გაიწევა, არც სხვა ხერხით შეეცდება გამარჯვებას. დაბალი დივიზიონების სუმოისტები კი მოსაგებად არაფერს თაკილობენ — გარბიან და მათთან ჭიდაობა უფრო ძნელია.

როდესაც ძლიერ მოწინააღმდეგეს ხვდები, დარწმუნებული ხარ, რომ ის „სუფთად“ გეჭიდავება, არც გვერდზე გაიწევა, არც სხვა ხერხით შეეცდება გამარჯვებას. დაბალი დივიზიონების სუმოისტები კი მოსაგებად არაფერს თაკილობენ — გარბიან და მათთან ჭიდაობა უფრო ძნელია.

**— ქართველი მკითხველის უმეტესობა არცთუ კარგად ერკვევა სუმოს „იერარქიებში“. იქნებ, მოკლედ აგვიხსნა ეს ყველაფერი?**

— სუმოში სულ ექვსი დივიზიონია. ყველაზე დაბალს „დონოკუჩი“ ჰქვია, მერე მოდის — „ჯონიდა“, „სანდამე“, „მაკუშტა“, რომლის ზემოთ ორი ელიტარული დივიზიონია — „ჯურიო“ და „მაკუჩი“, რომელშიც 17 უძლიერესი მოჭიდავე ასპარეზობს. შემდეგ არის ტიტულები — კომუსუბი, სეკივაკე, ოძეკი და ყველაზე მაღალი წოდება — იოკოძუნა, რომელიც მძლეთამძლე ჩემპიონს ნიშნავს.

**— ლევან, სუმოში გადადგმული პირველი ნაბიჯები გაიხსენე. იაპონიაში როგორ მოხვდი?**

— საქართველოში ყოფნისას თავისუფალი სტილით მოჭიდავე გახლდით. მოგვიანებით, ჩემმა მეგობარმა იაპონიაში არაპროფესიონალთა შორის სუმოში მსოფლიო ჩემპიონობა მოიგო და სწორედ მისი დახმარებით აღმოვჩნდი ამ ქვეყანაში. სხვათა შორის, სუმოზე და მთლიანად იაპონიაზე სულ სხვაგვარი შეხედულება მქონდა, იაპონიაში ჩამოსული კი განსხვავებულ გარემოში მოვხვდი.

სუმო მხოლოდ ორი ვეებერთელა მოჭიდავის ჭიდილი კი არა, მთელი სისტემაა. კლუბში მყოფი ქვედა დივიზიონში მოასპარეზე ახალგაზრდა სუმოისტები ვარჯიშს ყოველდღიურად, დილის ხუთ საათზე იწყებენ და მთელი დღის განმავლობაში თავადვე უხდებათ საჭმლის მომზადებაც და სახლის დალაგებაც. ასე დავიწყე მეც. თანაც, პირველი უცხოელი ვიყავი და ძალიან გამიჭირდა, თორემ ახლა, უკვე საკმაოდ ბევრი არაიაპონელი ჭიდაობს პროფესიულ სუმოს.

**— სუმო ელიტარულ სახეობად კი ითვლება, მაგრამ ისიც გამიგონია, რომ სუმოისტებს განსაკუთრებული კვების რეჟიმი აქვთ...**

— სუმოისტების კვების რაციონში უზომოდ ბევრი ბრინჯია (ბრინჯში კი დიდია შაქრის შემცველობა), ამიტომაც მოჭიდავეთა უმეტესობა დიაბეტით არის დაავადებული. უცხოელი სპორტსმენები ამით განვსხვავდებით ადგილობრივი მოჭიდავეებისგან. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რადგან სუმოისტი ხარ, აუცილებლად ადრეულ ასაკში უნდა წახვიდე ამ ქვეყნიდან (იცინის).

**— შენი სახელი — კოკაი „შავ ზღვას“ ნიშნავს. ცხოვრებაში ან ჭიდაობისას თუ ამართლებ ამ სახელს, ხშირად „ღელავ“ ხოლმე?**

— ზღვასავით აღელვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მოედანზე გასული ბოლომდე კონცენტრირებული ვარ. მოწინააღმდეგე არა მხოლოდ უნდა დავამარცხო, მასზე გაცილებით უკეთ უნდა ვიჭიდაო. თითოეულ ორთაბრძოლას ისეთი განწყობით ვხვდები, თითქოს ბოლო შეხვედრას ვატარებ ცხოვრებაში.

**— ქართული ხასიათი, ტრადიციები რამდენად გეხმარება ბრძოლისას? მით უმეტეს, თავისუფალი ჭიდაობის „წარმომადგენელი“ ხარ...**

— ჭიდაობაში მიღებული გამოცდილება ძალიან მეხმარება. იაპონიაში რომ ჩამოვედი, ფიზიკურადაც ჩინებულ ფორმაში ვიყავი და არც სისწრაფის ნაკლებობას ვუჩიოდი. ზოგჯერ შეიძლება, ჭიდაობის ილეთიც გამოიყენო, მაგრამ ეს ორი სახეობა ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან — სუმოში ყველაფერი წამებში ხდება, მაგრამ თუ მეტოქის შეჩერება მოახერხე, მერე შეგიძლია „ფეხში შეხვიდე“ ან ჭიდაობის სხვა ილეთი გამოიყენო.

**— როგორც ვიცი, საკმაოდ დატვირთული გრაფიკი გაქვს. თავისუფალი დრო თუ გრჩება?**

— შეჯიბრებები ყოველ ორ თვეში იმართება, ტურნირის დასრულების შემდეგ კი ერთი კვირა თავისუფლები ვართ. ამ ხნის მანძილზე, შეგიძლია ივარჯიშო ან სულაც არაფერი აკეთო. ვცდილობ, თავისუფალ დროს ქალაქგარეთ გავიდე, თუ ზაფხულია, ზღვის სანაპიროს ვეწვიო. იაპონიაში ამ მხრივ ნამდვილი ფუფუნებაა...

**— ბოლო დროს, განსაკუთრებულად პოპულარული ხარ და ალბათ, იაპონელებსაც უკეთ გააცანი საქართველო...**

— იაპონიაში საქართველოს „გრუზიას“ ეძახიან. აქ რომ ჩამოვედი, ჩვენი ქვეყანა რუსეთის შემადგენლობაში მყოფი სახელმწიფო ეგონათ, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის დროს იყო. ახლა, ბევრად მეტი გაიგეს საქართველოზე და რაც მთავარია, უკვე იციან, რომ სუვერენული ქვეყანა გვაქვს.

**— ფინანსური თვალსაზრისით, სუმო მომგებიანი სპორტია?**

— კომერციული ტურნირებიც იმართება წელიწადში სამჯერ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი ასპარეზობის ფინალში დავამარცხე ასაშორიუ. მოჭიდავე ელიტარულ დივიზიონში რომ გადადის, სუმოს ფედერაცია ხელფასს მერე უნიშნავს, თორემ მანამდე, სუმოისტებს კლუბი მხოლოდ საკვებით და ბინით უზრუნველყოფს. ფინანსური თვალსაზრისით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ, მაგრამ იაპონია იმდენად ძვირი ქვეყანაა, რომ უყაირათო ხელგაშლილობა მალე გაგაკოტრებს...

**— საქართველოს მსგავსად, იაპონიაც მდიდარი ტრადიციების ქვეყანაა...**

— ადამიანებთან ურთიერთობაში არაფერი ეშლებათ და ცდილობენ, ყველანაირად პატივი გცენ. ამის მიუხედავად, პირველ წლებში საკმაოდ გამიჭირდა უცხო ქვეყანაში. ისე კი, ქართულ ტრადიციებთან შედარებით, იაპონია კი არა, მთელი მსოფლიო „მოისუსტებს“.

**— სუმოისტებს სპეციალური კვების რეჟიმი აქვთ. ქართული კერძები არ გენატრება?**

— ტოკიოში რუსული რესტორანია, სადაც ქართული კერძებიც აქვთ. მეც ამ რესტორნის ხშირი სტუმარი ვარ. ისე, ახალ წელს მეგობრებთან და ჩემს ძმასთან ერთად შევხვდი (ის ქვედა დივიზიონში გამოდის). როგორც შეგვეძლო, ისე მოვემზადეთ — საცივი და ღომი გავაკეთეთ და იაპონიაში ახალ წელს ქართულად შევხვდით...

*რატი შელეგია*


ჯეოვიტი

# თქვენი სურვილები თქვენსავე შესაძლებლობებშია!

ახალი უნიკალური ორსაფეხურიანი პროგრამა მამაკაცის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და აღდგენისთვის კომპანია „ჯეოვიტისგან“

საფეხური 1:

პრეპარატი „პროსტატ ექსელი“ - შექმნილია მხოლოდ მამაკაცებისთვის; გამოიყენება წინამდებარე ჯირკვლის პროფილაქტიკისა და მკურნალობისთვის; კერძოდ, კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიისას. პრეპარატი თავიდან აგარიდებთ შარდის გამოყოფის დისფუნქციას პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიისას (ადენომა), ავლენს ანტისეპტიკურ და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას, აძლიერებს იმუნიტეტს, ასევე, შეგინარჩუნებთ სქესობრივ და რეპროდუქციულ ფუნქციას.




„პროსტატ ექსელის“ შემადგენლობაში შედის ხალხურ მედიცინაში ცნობილი მცენარეების ექსტრაქტები და ფუტკრის მტვერი.

საფეხური 2:

პრეპარატი „იოჰიმბე“ - დაკარგული პოტენციის დასაბრუნებელ, საუკუნეების მანძილზე ნაცად მრავალ საშუალებას შორის, გერმანელი სექსოლოგის, იოზეფ ფოგტის აზრით, ყველაზე ეფექტურია აფრიკული ხის – იოჰიმბეს ქერქის ექსტრაქტი, რომლის მოქმედ საწყისს წარმოადგენს ალკალოიდი – იოჰიმბინი; იგი იწვევს სისხლის მოჭარბებას მცირე მენჯის ორგანოებში და აძლიერებს სექსუალურ აქტივობას. იმავდროულად, ხდება ნერვული კვანძების მოღვაწეობის სტიმულაცია ზურგის ტვინში, რომელიც მართავს ერექციას.




„პროსტატ ექსელი“ პლუს „იოჰიმბე“ - წარმოადგენს სრულყოფილ, ორსაფეხუროვან პროგრამას მამაკაცების ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მის: ილ ჭავჭავაძის გამზ. 41, აფთიაქები: თამარაშვილის 1, თამარ მეფის გამზ. 19, აღმაშენებლის გამზ. 142
ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას გამზ. 29, აფთიაქი „ციბა“, ტელ: 5-13-45
სპეციალისტების ყოველდღიური კონსულტაცია
ტელ: 29-20-91; 899-10-99-20; 899-14-35-56





ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო განწყობისთვის





## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ტრიუკი; 5. გიტარა; 9. უელსი; 11. ტრეჯენი; 12. დიოპტრი; 13. აპისი; 14. ანორაკი; 17. კაიმანი; 18. ვოლტა; 20. აჯანი; 21. პასტელი; 24. ინცესტი; 28. პარმა; 31. იუნესკო; 32. ლამბაქი; 33. ოტელო; 34. იდილია; 35. ფიზიკა.

**შვეულად:** 1. ტაქტიკა; 2. იუშენკო; 3. კოლეგია; 4. ალაპი; 6. იმპორტი; 7. აბატისა; 8. ალთინგი; 9. უგია; 10. იოდი; 15. ინვენტარი; 16. ფოლი; 17. კლავესინი; 19. დალი; 21. პასიონი; 22. სეინერი; 23. ემისარი; 25. ცთომილი; 26. საფანტი; 27. ინდიანა; 28. პოლო; 29. როდეო; 30. ალლო.

22/I

უკანასკნელი მეოთხედი




ყოველ სამშაბათს
ყველაფერი ბომონდის შესახებ

## მისტერ და მისის პიტები



ბრედ პიტმა, რომელმაც ანჯელინა ჯოლის სთხოვა ხელი, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ყველა ჭორში არის ჭეშმარიტების მარცვალი. როგორც მსახიობის აგენტმა განაცხადა, საქორწინო კონტრაქტი მზად არის და ქორწილი უახლოეს მომავალში გაიმართება. არადა მსახიობები დიდი ხნის განმავლობაში მალავდნენ თავიანთ სასიყვარულო ურთიერთობას. ირწმუნებოდნენ, მხოლოდ და მხოლოდ მეგობრები ვართო.

პიტს თურმე შვილივით უყვარს ჯოლის შვილობილები — ოთხი წლის მადოქსი და ათი თვის ზექერი. როგორც ბრედ პიტი ამბობს, ჯოლისთან ქორწინება ბავშვების სიყვარულმაც გადააწყვეტინა. ბრედი მზადაა, იშვილოს ისინი და საამისო დოკუმენტაციაც მზად აქვს. მსახიობებმა უკვე მოირგეს ცოლ-ქმრის როლი ფილმ „მისტერ და მისის სმიტების“ გადაღებისას, რომლის დროსაც დაიწყო კიდეც მათი რომანი.




არ გამოგრჩეთ!

„კვირის პალიტრის“ ტრადიციული კედლის მოსახევი კალენდარი

აგრეთვე: სამედიცინო, ქალთა, მართლმადიდებლური და მემამულის კედლის მოსახევი კალენდრები

ბითუმად შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: ☎ 899 10 66 54

## ბრილიანტებიანი ტორტი



ხილის ულამაზესი ტორტი, რომელსაც 223 ბრილიანტი ამშვენებს (საერთო წონა 170 კარატი), იაპონელმა კულინარებმა დაამზადეს ტოკიოში გახსნილი საიუველირო ნაკეთობათა საახალწლო გამოფენისთვის.

კულინარიულმა და საიუველირო სასწაულმა უძვირფასესი საიუველირო ექსპონატები დაჩრდილა.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთ. რედაქტორი გიორგი თევდორაშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, ლია იაკობაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

news@kvirispalitra.com

www.kvirispalitra.ge

სარეგისტრაციო ნომერი © 1518

„კვირის პალიტრა“ გამოდის ორშაბათობით

გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში“.